ქ 87749
3

ე. ბერძენიძე

ერის წის შემდეგ

1896

ე. ბელლამი

ასის წლის შემდეგ

(LOOKING BACKWARD)

(სოციოლოგიური რომანი)

თარგმანი

დ. კალანდარიშვილისა.

გამოცემა ან. გოგიაშვილისა, № 3

თბილისი
ტიპობა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. ნიკ. ქუჩა № 21.
Тип. М. Шарадзе, Николаевская ул. № 21.
1896

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27-го Октября 1895 г.

ასის წლის შემდეგ

წინასიტყვაობა.

ისტორიული განყოფილება შოუმეტ-კოლედჟისა ბოსტონში 28 ქრისტეშობისთვე, 2000 წელი.

ჩვენთვის, ვინც ამ მეოცე საუკუნის უკანასკნელს წელში ვცხოვრობთ და იმდენად მარტივი და გარკვეული საზოგადო წეს-წყობილების სიკეთით ვსარგებლობთ, რომ ის გონიერ მოსაზრების ჭეშმარიტ ძლევა-მოსილებად გვეხატება, ჩვენთვის, უეჭველია, ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს თანამედროვე უკვე დამკვიდრებული წეს-წყობილება ერთ საუკუნეზე უხნიერესი არ გვეგონოს. მაგრამ, როგორც დაწვრილებით ვიცით, ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის დამლევს ყველა დარწმუნებული იყო, რომ, რამოდენიმე უმნიშვნელო განკარგების გარდა, ძველი სამრეწველო წესი მთელი თავის ცუდი მხარეებით, აურიცხველს საუკუნოებს გასტანდა. მეტად უცნაური და თითქმის დაუჯერებელიკაა, რომ ეს მას უკან დამყარებული საოცარი ზნეობრივი და ქონებრივი ცვლილება ასე მოკლე ხნის განმავლობაში ყოფილიყოს შესაძლებელი. განა ეს ცხადად არ ამტკიცებს იმ სიადვილეს, რა სიადვილითაც ეჩვევა ხალხი თავის მდგომარეობის გაუმჯობესობას, როგორც ბუნებრივს მოვლენას, რომლის უკეთესის ნატვრა მას წინაზე შეუძლებელად მიაჩნდა? ეს აზრი საშინლად ამცირებს იმ „ნოვატორების“ *) აღტაცებას, რომლებიც იმედოვნებდენ, რომ მომავალი თაობა გულ-წრფელს მადლობას შეძღვნიდა მათ.

ჩემი წიგნის განძრახვაა — შეეწიოს ყველას, ვისაც სურს რაიმე გარკვეული ცნობა იქონიოს მეცხრამეტე და მეოცე

*) ახალი აზრების მომხრენი.

საუკუნოების განსხვავებაზე, და არ მიმართოს ამ საგნისათვის გამომშრალს ისტორიულს ტრაქტატებს. მე გამოცდილებით ვიცი ჩემის მასწავლებლობის დროიდამ, რომ უხამსო საგნის შესწავლა ღალავს კაცის გონებას და ამიტომ ვეცადე შემემსუბუქებინა წიგნის მოძღვრებითი კილო, რისთვისაც მივეცი მას რომანის ხასიათი, რომელიც თავის-თავადაც არ უნდა იყოს, ჩემის აზრით, უსიამოვნო.

იმ მკითხველისათვის, რომელსაც ჩვენნი ახალნი დაწესებულებანი და მათ საფუძვლად დადებული პრინციპი სრულს ბუნებრივად მიაჩნია, დოქტორი ლიტის ახსნა შეიძლება მოსაწყენსა და ჩვეულებრივს ამბავს შეადგენდეს, მაგრამ ნუ დავიწყებთ, რომ ჩვენი დოქტორის უცნაურს სტუმარს ასე არ ეჩვენებოდენ ეს დაწესებულებანი; ამასთან ეს წიგნიც იმ განძრახვითაა დაწერილი, რომ დაავიწყოს მკითხველს, რომ ესენი მასაც გაგებული აქვს.

ერთი სიტყვაც. თითქმის ყველა მეცხრამეტე საუკუნის დამლევის სახელ განთქმულ მწერლებსა და ორატორებს საერთო დედა-აზრად ქონდათ აღებული მომავალი და არა წარსული —არა მიღწეული წარმატება, არამედ წარმატება, რომლის მიღწევაც სასურველი იყო, რომ სულ წინ-წინ ევლო კაცობრიობას, სანამ არ წააწყდებოდა თავის გაუკვლეველს დანიშნულებას. ეს მშვენიერია. მაგრამ, ჩემის აზრით, თამამი ახსნა რომ მივცეთ კაცობრიობის განვითარებას, მომავალ ათასის წლის განმავლობაში ვერსად ვნახავთ ისეთს მტკიცე საფუძველს, როგორსაც მაშინ ვიპოვით, თუ წარსულის თვალით შევხედავთ ამ უკანასკნელ საუკუნის წარმატებას.

იმ იმედით, რომ ეს წიგნი ბევრს მკითხველებს მოიპოვებს, რომელთა ინტერესიც ჩემგნით არჩეულ საგნისადმი აიძულებს მათ ლმობიერად მოეპყრან ჩემი მონათხრობის ნაკლს, მე უკუ ვდგები და სიტყვას ვუთმობ იულიან ვესტს.

ე. ბელლამი.

I

მე დავიბადე ქალაქ ბოსტონში 1857 წელს.

— რაო, 1857 წელს? ეს ხომ შეცდომაა. დამწერს უთუოდ უნდოდა ეთქვა 1957 წელსაო!—იტყვის გაოცებული მკითხველი.

— უკაცრავად, მაგრამ ეს სრულიადაც შეცდომა არ არის. სწორედ 1857 წელს, და არა 1957-ს, ნაშუადღევის 4 საათზე, 26 ქრისტეშობისთვეს, ესე—იგი ქრისტეს დაბადების მეორე დღეს, პირველად ვიგრძენი ბოსტონის ქარის ჰქროლა, რომელიც, შემიძლია დაგარწმუნოთ, ძველადაც ისეთივე სუსხიანი იყო, როგორც ამ მეოცე საუკუნეში.

ამას თუ ისიც დაუმატეთ, რომ მე შეხედულობით ოცდაათს წელზე მეტის არ ვიქნები, მაშინ, ცხადია, ჩემი ნაანგარიშევი დაბადების რიცხვი ისეთ მტკნარ სიცრუედ ეჩვენება ყველას, რომ ვერავის დავძრახავთ, რომ ამის შემდეგ არც-კი წაიკითხონ ეს წიგნი, რომელიც თითქო ასე საზიზღრად სარგებლობს მკითხველის გულ-უბრყვილობით. მიუხედავად ამისა გულ-წრფელად ვარწმუნებ მკითხველს, რომ სრულიად არა მსურს მისი დაბრიყვება და კიდევაც შემიძლია ამის დამტკიცება, თუ ის რამოდენიმე წუთს ყურადღებას მომაპყრობს. მას უკან, მკითხველი თუ არ მიწყენს იმის დამტკიცებას, რომ მე მასზე უკეთ ვიცი ჩემი დაბადების დღე, განვაგრძობ ჩემს ამბავს.

ყველა სკოლის შეგირდმა იცის, რომ მეცხრამეტე საუკუნის დამლევს ასეთი განათლება ან სხვა რამე ამისი მსგავსი არ არსებობდა, როგორიც ახლაა, თუმცა ელემენტები, რომლიდამაც ის აღორძინდა, მაშინაც იყვნენ დრტვინვა—მღელვარებაში. ყოველს შემთხვევაში არაფერი არ ხდიდა მაშინ შე

საძლებელად უხსოვარის დროდამ არსებულის იმ წესის შეცვლას, რომელიც ჰყოფდა საზოგადოებას ოთხ კლასად—ანუ უკეთა ვსთქვათ—ერად. მართლაც, მაშინ კლასთა შორის უფრო თვალსაჩენი განსხვავება იყო, ვინემ რომელსამე ახლანდელ ერთა შორის. მაგალითად, განიყოფებოდენ ამ ნაირად: მდიდარნი და ღარიბნი, განათლებულნი და უმეცარნი. მე თითონ მდიდარი და განათლებული ვიყავი და, მაშასადამე, ყველაფერი ხელს უწყობდა ჩემს ბედნიერებას, რომლითაც იმ დროში სარგებლობდენ მომეტებულად მხოლოდ ბედნიერნი. ვცხოვრობდი ფუფუნებაში და ვეტანებოდი მხოლოდ ცხოვრების მიმზიდლსა და სასიამოვნო მხარეებს. ვრჩებოდი მე სხვების შრომით თუმცა არ მახსოვს, რომ ვინმესთვის მცირეოდენი სამაგიერო მიმეზღოს. ჩემი მშობლები და წინაპრებიც სწორედ ასე ცხოვრობდენ და, ჩემის ფიქრით, თუ მეყოლებოდა, ჩემი ჩამომავალიც ასეთივე უზრუნველობით დასტკბებოდა.

მკითხველმა შეიძლება იკითხოს, თუ როგორ ვცხოვრობდი ასე ყველასათვის ურგებლად? რატომ არჩენდა ხალხი ასეთს მუქთა—ხორას, რომელსაც შეეძლო სარგებლობის მოტანა? ამის პასუხი სულ ადვილია. ჩემს პაპის მამას იმდენი ფულები შეეგროვებინა, რომ მისს ჩამომავლობასაც რიგიანად აცხოვრებდა. ბლომად ყოფილა, თუ-კი სამი უზრუნელი მოდგმა შეინახა და მაინც არ გამოილია; მაგრამ ეს ასე არ არის. პირველად ეს კაპიტალი არ იყო ისე ბევრი და იმატა შესამჩნევად მხოლოდ მას უკან, რაც სამი თაობა გამოზარდა მუქთა-ხორობაში. ეს საიდუმლოება, რომ ხარჯავდე და არ აკლდებოდეს, ცეცხლი არსად იყოს და ნაპერწკლები ცვივოდეს, თვალმაქცობას ემსგავსება. მაგრამ აქ არაფერი ყოფილა ისეთი. საჭირო იყო მხოლოდ იმ ხელოვნების ხერხიანად მოხმარა, რომელიც ახლა, საბედნიეროდ, შემუსვრილია, მაგრამ ჩვენი წინაპრებისაგან-კი მეტად წარმატებულს ვარჯიშობაში იყო. ეს ის ხელოვნებაა, რომ სხვების მხრებს დასწოლოდა შენი არსებობის ტვირთი. ვინც ამას მიაღწევდა—და ეს-კი მი-

ზანი იყო მაშინ, რომელსაც ყველა მიესწრაფოდა—ის ცხოვრობდა, როგორც ამბობდენ მაშინ, თავის თავნის სარგებლით. მეტი იქნება იმის ახსნას გამოვუდგეთ აქ, თუ როგორ მიაჩნდა ეს შესაძლებელად საზოგადოების ძველს წყობილებას. შევნიშნავ მხოლოდ ერთს, რომ ფულის სარგებელი იმ დროს ერთ-გვარი სამუდმო ხარკი იყო, რომელსაც იხდიდა სამრეწველო შრომის ნაყოფი იმ პირთა სასარგებლოდ, ვისაც ასე თუ ისე ხელთ ეგდო ეს თავნი. შეუძლებელია ვთქვათ, რომ ჩვენი თანამედროვეთა აზრით ასეთი უმსგავსი და უმართებულო ქცევა არ ეძლეოდა ჩვენი წინაპრებისაგან ლანძღვასა და კიცხვას. პირიქით, კანონმდებლები და ზნეობის მქადაგებელნი (მორალისტები) დიდ ხნიდამ ცდილობდენ სრულიად ამოეფხვრათ ეს სარგებელი ანა და შესაძლებელად შევმცირებინათ. მაგრამ მეცადინეობა უნაყოფოდ რჩებოდა, რაც სრული მოსალოდნელი იყო იმ გვარს წეს-წყობილებაში. იმ დროში, რომელზედაცმე ვწერ, მეცხრამეტე საუკუნის დამლევს, მთავრობანი უმეტესს ნაწილად უარს ამბობდენ ამ კითხვის ასე თუ ისე ჯეროვანად გადაწყვეტაზე.

მკითხველს რომ ცოტაოდენი ნათელი აზრი მაინც შევადგენიო მაშინდელ ხალხის ცხოვრებაზე, იმის უკეთესს ვერას მოვიგონებ, რომ შევადარო ძველი საზოგადოება ვეებერთელა ეტლს, რომელშიაც შებმულია ურიცხვი ხალხი: ეს ხალხი ვალდებულია ატაროს ის ოღრო-ჩოღრო და ქვიშიანს გზებზე. მეეტლის ადგილი შიმშილს ეჭირა და არ აძლევდა მოსვენების ნებას, თუმცა ეტლი ისეც ნელა მიიწევდა წინ. მიუხედავად მისა, რომ დიდს გასაჭირს შეადგენდა ამ ეტლის თრევა ისეთს ხრიანკელს გზებზე, ის მაინც სავსე იყო შიგ მსხდომარე ხალხით, რომელიც აღმართებშიაც კი არ კადრულობდა იქიდამ გადმობძანებას მასში ჯდომა მეტაღ სასიამოვნო რამ იყო; მტვერი იქ არ მოხვდებოდათ და მაშასადამე შიგ-მსხდომთ თავისუფლად შეეძლო დამტკბარიყვნენ ბუნების სიმშვენიერით და ავად ან კარგად ეფასებინათ ეტლში შებმულის წელ-გულ-

მოწყვეტილი ხალხის სამსახური. რასაკვირველია, ასეთს საჯდომებზე დიდი მოთხოვნილება იყო და ამიტომ დიდი ბრძოლაც. თვითეულის უმთავრესი მიზანი ეტლში ადგილის დაჭერა იყო, რომ შემდეგ გადაეცა ის თავის ჩამომავლობისათვის. კანონის ძალით ყველას შეეძლო თავისი ადგილი ეანდერძებინა ვისთვისაც სურდა; მაგრამ მეორეს მხრით ისეთი შემთხვევაც ხშირი იყო, რომ რომელიმე საჯდომი შეიძლებოდა ადვილად დაჰკარგოდა პატრონს. თუმცა მეტად სასიამოვნო მოსათავსებელი რამ იყო ეს ადგილი, მაგრამ განსაცდელს მოკლებულიც-კი არ იყო: ყოველ უეცრივს ჯახუნზე ხალხი ცვივდებოდა ეტლიდამ და ერთხებოდა მიწას; მაშინ ამათაც უნდა იმ წამსვე ჩაეჭიდათ ხელი თოკებისათვის და მიშველებოდნენ იმ მძიმე ეტლის თრევაში, რომელშიაც რამოდენიმე წუთის წინად ისე არხეინად ფარფაშობდენ. უეჭველია, ამ ნაირად ადგილის დაჰკარგვა საშინელ უბედურებად ითვლებოდა და იმაზე ზრუნვა, რომ ასეთს მარცხს, ასცდენოდნენ მუდამ შავი ღრუბელივით აწვა ეტლში მსხდომთა ბედნიერებას.

მაგრამ ნება მომეცით ვიკითხო: ნუ თუ ეს კაცები მარტო თავის-თავზე-ღა ფიქრობდნენ? ნუ თუ მათი ასეთი მედიდურობა არ სძრაგდა მათშივე საზიზღრობას, როცა მას შეადარებდნენ მათი ძმებისა და დების სვე-ბედს? ან იმისი შეგნება არ აწუხებდათ, რომ მათივე საკუთარი სიმძიმე უხდებოდა ტვირთად ამ ეტლში შებმულს ხალხს?

ოჰ! როგორ არა! ეტლში მსხდომნი ხშირად იჩენდენ იმათს სიბრალულს, ვინც ასეთს ულელს ეწეოდა, განსაკუთრებით ცუდს გზებზე ან დიდს აღმართებზე, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდა მათ. მაგრამ ამ შემთხვევაში ზოგი ეტლში მჯდომი შეხმაურებით ამხნევებდა ღონე-მიხდილ შებმულებს, არიგებდა მათ მოთმინებით აეტანათ წილ-ხვედრი ტანჯვა და ნაცვლად ამისა უხატავდა თვალ-წინ მომავლის შესაძლებელს რაღაც ჯილდოს სიყიოში. ზოგი-კი კრებდა ფულებს, რომ წამლის ყიდვის სახსარი მაინც ამოეჩინა დაშავე-

ბულთა და დაჭრილთათვის. ამასთან საშინლად სწუხდნენ, რომ ეტლის ზიდვა ასეთს სიძნელეს შეადგენდა, მაგრამ რა-კი სამშიკიდობო გზას გააღწევდნენ, ყველა მხიარულებასა და სიმსუბუქეს ჰგრძნობდა. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს თანაგრძობა ჭუდამ სიბრალულისაგან არ იყო გამოწვეული; მათ უფრო იმის შიში ქონდათ, რომ ვაი თუ ასეთს ოღრო-ჩოღრო გზებზე ეტლი—რაც ადვილად შესაძლო იყო—სრულიად გადაბრუნებულიყო და ყველა გამოთხოვებოდა შიგ ჯდომას.

სიმართლე ითხოვს აღვიარო, რომ ეტლში შებმული ტანჯულ ხალხის სახე იმიტომ უფრო მოქმედებდა ასე ძლიერად ეტლში მჯდომარეებზე, რომ ამაღლებდა მათს თვალში ეტლში ჯდომის ფასს და ეს კიდევ უფრო აგულიანებდა მათ მედგრად ჩასჭიდებოდნენ თავ-თავიანთს საჯდომებს. შიგ მსხდომნი რომ დარწმუნებულნი ყოფილიყვნენ, რომ არც ისინი და არც მათი მახლობელნი არასოდეს არ გადმოცვივიან ეტლიდამ, მაშინ, უეჭველია, მათი სიბრალული მარტო ჭრილობის წამლისა და არტაშანის ყიდვით განისაზღვრებოდა და ეტლში შებმულთა დატანჯვაზე ყურსაც არ გაიბერტყავდნენ.

მე, რასაკვირველია, მესმის, რომ მეოცე საუკუნის დედაკაცებსა და მამაკაცებს საზიზღროებად ეჩვენებათ ასეთი არა-კაცობა, მაგრამ არის ორი საგულისხმიერო ფაქტი, რომელიც რამოდენიმედ მაინც ხსნის კაცთ-მოყვარეობის გრძნობის დახშულობას.

პითველად სუფევდა გულ-წრფელი და მტკიცე რწმენა, რომ კაცობრიობა ვერას გზით ვერ წაიწევს წინ, თუ მომეტებულმა ეტლი არ ზიდა და მცირე ნაწილმა შიგ არ მოისვენაო.

მეორე ფაქტი, უფრო შესანიშნავი, ეტლში მსხდომთა იმ უცნაურს ილიუზიაში (ტყუილი ფიქრი) იხატებოდა, რომ ისინი ერთნაირად თითქო მაღალი ჯურის ხალხს ეკუთვნოდნენ და უფლება ჰქონდათ, სხვების მხრებს ეტარებინათ ისინი. ეს იქნება დაუჯერებლად გეჩვენოსთ, მაგრამ, რადგან ერთხელ მე თითონ დავდიოდი იმ ეტლით და თანა-ვუგრძნობდი კიდევაც ამავე ილიუზიებს, შეგიძლიათ ამ შემთხვევაში მერწმუნოთ.

*
* *

1887 წელს მე შემისრულდა ოცდა-ათი წელიწადი. ამ დროს ცოლი ჯერ კიდევ არ მყოლია, მაგრამ დანიშნული ვიყავი იუდიფ ბარტლეტზე. როგორც მე, იუდიფსაც ეტლის შვაგულში ეჭირა ადგილი, ესე-იგი, მისი ოჯახიც შეძლებული იყო. იმ დროში, როცა მხოლოდ ფულით შეიძლებოდა მოპოვება ტკბილის ცხოვრებისა და ყველაფრის რაც-კი კულტურულს ეკუთვნოდა, გასათხოვარი ქალისათვის საკმაო იყო მარტო სიმდიდრე, რომ საქმროები გამოსჩენოდნენ. იუდიფ ბარტლეტს-კი ამასთან შესანიშნავი სილამაზე და მოხდენილი ტანადობაცა ჰქონდა. ვიცი ჩემი მკითხველი ქალები ამ სიტყვებზე ტუჩებს აიბზუებენ; მე კიდეც მესმის მათი ლაპარაკი: „ლამაზი კიდევ ჰო, მაგრამ მოხდენილი ტანადობა რომ ქონებოდა შეუძლებელია. მაშინდელი მორთულობა, ეს მთელი ადლის სიმაღლე შენობა, რომელსაც მორთულობას ეძახდნენ და ეს რაღაც მანქანებით უკან აფუფუნებული ტანსაცმელი კიდევ უფრო ამახინჯებდა მთელს ტანს, ვინმე რომელიმე ველური დროის მოგონილი მორთულობა. განა შესაძლოა ვინმე მოხდენილად წარმოვიდგინოთ ასეთს სასაცილო მორთულობაშიო?“

საყვედური სწორედ ღირსეულია და მე ის-ღა დამრჩენია შევნიშნო, რომ, როცა მეოცე საუკუნის ქალები მაგალითებით გვიჩვენებენ, თუ სადად და შნოზე შეკერილი ტანსაცმელი რამდენად უფრო მომხიბლველად ხატავს ქალის ტანადობას, ჩემი პირადი მოგონება მათს წინაპრებზე ნებას მაძლევს დავამტკიცო, რომ ვერაგვარი უმსგავსო ტანისამოსი ვერ დაამახინჯებს სრულიად ქალის მშვენიერებას.

ჩვენი ჯვარის წერა უნდა მომხდარიყო მას უკან, როცა სახლის შენებას მოვათავებდი, რომელიც ჩემი მომავალი საცხოვრებელი ბინა უნდა ყოფილიყო. ის შენდებოდა ქალაქის საუკეთესო ნაწილში, ე. ი. იქ, საცა მომეტებულად მდიდრები

სახლობდენ. საჭიროა მოვიხსენიო, რომ სამოსახლო ადგილის არჩევა ბოსტონის ამა თუ იმ უბანში თვით ადგილის ღირსებაზე კი არ იყო დამოკიდებული, არამედ ადგილობრივ მკვიდრთა ხასიათზე. თვითეული კლასი ანუ ერი განკერძოებულად ცხოვრობდა ქალაქის რომელიმე უბანში. ღარიბებში ჩასახლებული მდიდარი და უმეცართა შორის ჩაჩხეკებული განათლებული ემსგავსებოდა იმ კაცს, რომელიც იძულებულია განმარტოებულად იცხოვროს მისს მოძულე და უცხო ტომის ხალხში.

როცა სახლის შენება დავიწყე, იმედი მქონდა, რომ 1886 წლის ზამთრისათვის მოთავდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ შემდეგი წლის გაზაფხულსაც ისევ ისე დაუმთავრებელი დახვდა და ამის გამო ჩემი ჯვარისწერაც მომავლისათვის გადაიდო. მიზეზი ამ დაგვიანებისა, რაც, უეჭველად მოთმინებიდამ გამოიყვანდა ცხარე მოტრფიალეს, იყვნენ ზედი-ზედ მუშების გაფიცვანი ანუ ერთსა და იმავე დროს მუშაობის შეწყვეტა კალატოზთა, ხუროთა, მღებავართა და ყოველ გვარ სახლის ასაშენებელად საჭირო მუშათაგან.

რამ გამოიწვია ეს გაფიცვანი ამ წამში ვერ მოვიგონებ. სამუშაოზედ ხელის აღება ისეთ ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა იმ დროში, რომ ხალხს მოსწყინდა მისი განსაკუთრებული მიზეზების ძებნა. თუ ერთში არა, მრეწველობის მეორე დარგში (отрасль) უთუოდ დღე-დღეზედ უნდა გამეორებულიყვნენ ეს გაფიცვანი მას უკან, რაც 1873 წელს მოხდა დიდი სამრეწველო კრიზისი. საქმე იქამდე მივიდა, რომ რაღაც იშვიათ შემთხვევად მიაჩნდათ თუ მრეწველობის რომელსამე დარგის მუშები რამოდენიმე თვის განმავლობაში მუშაობას არ შეწყვეტდენ.

ამ მეორიათასე წლის მკითხველი, თქმა არ უნდა, ასეთს მუშაობის შეწყვეტაში დაინახავს ჯერ კიდევ ნათლად გაურკვეველს პირველს ფაზისს იმ ძლიერი მოძრაობისას, რომელსაც მოჰყვა ახალი სამრეწველო წესი მთელად თავის სოციალურის

შედეგებით. რასაკვირველია, ახლა წარსულზე შეხედვით და საქმის დაკვირვებით ისე ნათელი მისახვედრია ყოველივე, რომ ბავშსაც არ გაუჭირდება მისი გაგება; მაგრამ ჩვენ, მაშინდელი ხალხი, რა-კი წინასწარმეტყველები არ ვყოფილვართ, არც შეგვეძლო შეუცდომლად წარმოგვედგინა ის, რაც მომავალში მოგველოდა. მუშებსა და მათ მჭირავებელთა შორის, შრომასა და კაპიტალს შორის დამოკიდებულება რაღაც მიუწდომლის სახით შეირყა და მოიშალა. მუშა ხალხი თითქმის ყოველგან ღრმა უკმაყოფილებას აცხადებდა თავის მდგომარეობაზე; იმათ შეიგნეს, რომ შესაძლებელი იყო მათი ბედის გაუმჯობესობა, რომ იცოდნენ, როგორ უნდა მოჰკიდონ საქმეს ხელი. ყოველი მხრიდამ თხოულობდნენ შრომის ფასის მომატებას, სამუშაო საათების შემოკლებას, უკეთესს სადგომებს, მეტს სწავლა-განათლებას და ცხოვრების გაუმჯობესობაში მონაწილეობის გადაჭრილს კერძს. ასეთ მოთხოვნილებათა შესრულება შესაძლებელად მიაჩნდათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანას მეტი სიმდიდრე ექნებოდა, ვინემ იმ დროს ჰქონდა. მუშები რამოდენიმედ გრძნობდნენ თავიანთს საჭიროებას, მაგრამ ამ საჭიროების მომპოებელი გზა კი ვერ მიეგნოთ. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ისინი ისე აღტაცებით ეხვეოდნენ გარს და დიდების გუნდრუკს უკმევდნენ ყველას, ვისაც კი შეეძლო მათის აზრით გაეკვლია მათთვის ეს სასურელი გზა; თუმცა ნამღვილად ამ მეთაურთაც დიდი არაფერი შემწეობის აღმოჩენა შეეძლოთ მათთვის. რა გაურკვეველი ოცნებაც არ იყო ეს მუშების ლტოლვილება, მაგრამ ის გულ-მოდგინეობა, რომლითაც მხარს უჭერდენ ერთმანეთს გაფიცვებში, რაც შეადგენდა მათს უმთავრესს სახსარს, და ის მსხვერპლნი, რომლებსაც ისინი ამ გაფიცვათა გამარჯვებას სწირავდნენ, თქმა არ უნდა, ნათლად ხატავდნენ მათი მისწრაფების სიდიადეს.

ამ მუშების არეულობის უკანასკნელი მიზნის შესახებ — უფრო არეულობის სახელით იწოდებოდა მაშინ ჩემგნით აწერილი მოძრაობა — ჩემის წრის ხალხის აზრი სხვა-და-სხვა იყო

იმის მიხედვით, თუ ვინ როგორის ტემპერანტისა იყო. სანგვინიკი (ფიცხი კაცი) დაჟინებით გაიძახოდა, რომ თვით საქმის არსებობა შეუძლებელად ხდის მუშების ახალ სურვილების დაკმაყოფილებას, რადგან ქვეყნის სიმდიდრე ვერ გაუწვდება ამის სისრულეში მოყვანასაო. მხოლოდ იმიტომ არ განჩდა ამომჟღერტი შიმშილი, რომ მეტი ნაწილი ხალხისა სამძიმო შრომაშია და კმაყოფილდება მარტო სულის დასაპურებელს საშვალებას? ასე რომ, არავითარი მათის მდგომარეობის თვალსაჩენი განკარგების სახსარი არ მოიძებნება, სანამ ერთობრივ მთელი დედამიწა ასეთს სიღარიბეში არისო. მუშა ხალხი კაპიტალისტების (ფულიან კაცების) წინააღმდეგ-კი არ აჯანყებულაო, ამბობდნენ ეს სანგვინიკები, არამედ იმ სიღარიბის რკინის მუხრუჭის წინააღმდეგ, რომელშიაც კაცობრიობა იყო ჩაბმული. საქმე მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, თუ რამდენს ხანს გასტანდა კიდევ ეს გონების სიჩლუნგე, რომელიც უშლიდა მათ საქმის შინაარსის შეგნებას,და მშვიდდებოდენ თუ არა მაშინ მაინც, როცა იძულებული იქნებოდნენ, დამონებოდნენ იმას, რის შეცვლაც შეუძლებელი გახდებოდა.

დინჯი კაცებიც ეთანხმებოდნენ ამ აზრს. მუშა ხალხის იმედები მათ მიუწდომელად მიაჩნდათ ბუნებითი მიზეზებისა გამო; მაგრამ იმათ ის აცახცახებდათ, რომ ვაი თუ მუშები მხოლოდ მაშინ მივიდნენ ამ დასკვნამდის, როცა საშიშ არეულობას მოახდენენო. არეულობის მოხდენა-კი მათთვის ადვილი იყო, თუ მოინდომებდნენ, რადგან ხმის უმეტესობა მათკენ იყო და მათი მეთაურნი-კი იმ აზრს დაადგნენ, რომ მუშებმა უთუოდ უნდა მოახდინონ ეს არეულობაო. ზოგი იმ მეთვალ-ყურეთაგანი, რომელსაც ყველაფერი ბნელად ეჩვენებოდა, იმ დასკვნამდეც მიდიოდა, რომ წინასწარმეტყველებდა აუცილებელს საზარელს საზოგადო უბედურებას.

კაცობრიობამაო, სჯიდნენ ესენი, უკვე მიაღწია განვითარების უმაღლესს წერტილს და ახლა მზად არის იგრიალოს ზევიდამ და ისევ უთავ-ბოლოობაში ამოჰყოს თავიო. ეს უთუ-

შედეგებით. რასაკვირველია, ახლა წარსულზე შეხედვით და საქმის დაკვირვებით ისე ნათელი მისახვედრია ყოველივე, რომ ბავშსაც არ გაუჭირდება მისი გაგება; მაგრამ ჩვენ, მაშინდელი ხალხი, რა-კი წინასწარმეტყველები არ ვყოფილვართ, არც შეგვეძლო შეუცდომლად წარმოგვედგინა ის, რაც მომავალში მოგველოდა. მუშებსა და მათ მქირავებელთა შორის, შრომასა და კაპიტალს შორის დამოკიდებულება რაღაც მიუწდომლის სახით შეირყა და მოიშალა. მუშა ხალხი თითქმის ყოველგან ღრმა უკმაყოფილებას აცხადებდა თავის მდგომარეობაზე; იმათ შეიგნეს, რომ შესაძლებელი იყო მათი ბედის გაუმჯობესობა, რომ იცოდნენ, როგორ უნდა მოჰკიდონ საქმეს ხელი. ყოველი მხრიდამ თხოულობდნენ შრომის ფასის მომატებას, საშუშაო საათების შემოკლებას, უკეთესს სადგომებს, მეტს სწავლა-განათლებას და ცხოვრების გაუმჯობესობაში მონაწილეობის გადაჭრილს კერძს. ასეთ მოთხოვნილებათა შესრულება შესაძლებელად მიაჩნდათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანას მეტი სიმდიდრე ექნებოდა, ვინემ იმ დროს ჰქონდა. მუშები რამოდენიმედ გრძნობდნენ თავიანთს საჭიროებას, მაგრამ ამ საჭიროების მომპოებელი გზა კი ვერ მიეგნოთ. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ისინი ისე აღტაცებით ეხვეოდნენ გარს და დიდების გუნდრუკს უკმევდნენ ყველას, ვისაც კი შეეძლო მათის აზრით გაეკვლია მათთვის ეს სასურელი გზა; თუმცა ნამღვილად ამ მეთაურთაც დიდი არაფერი შემწეობის აღმოჩენა შეეძლოთ მათთვის. რა გაურკვეველი ოცნებაც არ იყო ეს მუშების ღტოლვილება, მაგრამ ის გულ-მოდგინეობა, რომლითაც მხარს უჭერდენ ერთმანეთს გაფიცვებში, რაც შეადგენდა მათს უმთავრესს სახსარს, და ის მსხვერპლნი, რომლებსაც ისინი ამ გაფიცვათა გამარჯვებას სწირავდნენ, თქმა არ უნდა, ნათლად ხატავდნენ მათი მისწრაფების სიდიადეს.

ამ მუშების არეულობის უკანასკნელი მიზნის შესახებ — უფრო არეულობის სახელით იწოდებოდა მაშინ ჩემგნით აწერილი მოძრაობა — ჩემის წრის ხალხის აზრი სხვა-და-სხვა იყო

იმის მიხედვით, თუ ვინ როგორის ტემპერანტისა იყო. სანგვინიკი (ფიცხი კაცი) დაჟინებით გაიძახოდა, რომ თვით საქმის არსებობა შეუძლებელად ხდის მუშების ახალ სურვილების დაკმაყოფილებას, რადგან ქვეყნის სიმდიდრე ვერ გაუწვდება ამის სისრულეში მოყვანასაო. მხოლოდ იმიტომ არ განჩდა ამომჟღერტი შიმშილი, რომ მეტი ნაწილი ხალხისა სამძიმო შრომაშია და კმაყოფილდება მარტო სულის დასაპურებელს საშვალებას? ასე რომ, არავითარი მათის მდგომარეობის თვალსაჩენი განკარგების სახსარი არ მოიძებნება, სანამ ერთობრივ მთელი დედამიწა ასეთს სიღარიბეში არისო. მუშა ხალხი კაპიტალისტების (ფულიან კაცების) წინააღმდეგ-კი არ აჯანყებულაო, ამბობდნენ ეს სანგვინიკები, არამედ იმ სიღარიბის რკინის მუხრუჭის წინააღმდეგ, რომელშიაც კაცობრიობა იყო ჩაბმული. საქმე მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, თუ რამდენს ხანს გასტანდა კიდევ ეს გონების სიჩლუნგე, რომელიც უშლიდა მათ საქმის შინაარსის შეგნებას,და და მშვიდდებოდენ თუ არა მაშინ მაინც, როცა იძულებული იქნებოდნენ, დამონებოდნენ იმას, რის შეცვლაც შეუძლებელი გახდებოდა.

დინჯი კაცებიც ეთანხმებოდნენ ამ აზრს. მუშა ხალხის იმედები მათ მიუწდომელად მიაჩნდათ ბუნებითი მიზეზებისა გამო; მაგრამ იმათ ის აცახცახებდათ, რომ ვაი თუ მუშები მხოლოდ მაშინ მივიდნენ ამ დასკვნამდის, როცა საშიშ არეულობას მოახდენენო. არეულობის მოხდენა-კი მათთვის ადვილი იყო, თუ მოინდომებდნენ, რადგან ხმის უმეტესობა მათკენ იყო და მათი მეთაურნი-კი იმ აზრს დაადგნენ, რომ მუშებმა უთუოდ უნდა მოახდინონ ეს არეულობაო. ზოგი იმ მეთვალ-ყურეთაგანი, რომელსაც ყველაფერი ბნელად ეჩვენებოდა, იმ დასკვნამდეც მიდიოდა, რომ წინასწარმეტყველება აუცილებელს საზარელს საზოგადო უბედურებას.

კაცობრიობამაო, სჯიდნენ ესენი, უკვე მიაღწია განვითარების უმაღლესს წერტილს და ახლა მზად არის იგრიალოს ზევიდამ და ისევ უთავ-ბოლოობაში ამოჰყოს თავიო. ეს უთუ-

ოდ გონს მოიყვანს მას და ისევ შეუდგება ზევითკენ ფორთხვას. ადვილად შეიძლება, ისტორიულსა და არა ისტორიულს ხანებში განმეორებულმა ამ გვარმა ცდამ გააჩინა კაცის თავზე ის უცნაური ხორკლებიო. კაცობრიობის ისტორია, როგორც რომელიმე სხვა დიდი მოძრაობა, ტრიალებს სირგვლეში და მუდამ პირველს დაწყებითს წერტილს უბრუნდება. პირდაპირი გზით მავალი დაუსრულებლივ წარმატების იდეია მიუწდომელი ოცნებაა, ნამდვილი წარმოდგენის ნაყოფია და ვერავითარს მსგავსებას ვერ ჰპოებს ბუნებაში. კაცობრიობამ, რაკი ბარბაროსულ სიბნელიდამ სხივ-მომფინარე სიმაღლეს შეუდგა, უკვე მიაღწია უუმაღლესს განათლების განვითარებას და იქიდამ უთუოდ ისევ უნდა დაუშვას მოპირისპირე ჯურღმულისაკენ უთავ-ბოლოობის უმდარესს სფერაში.

ეს, რასაკვირველია, უკიდურესი შეხედულება იყო, მაგრამ მე მახსოვს, რომ ჩემი ნაცნობი წრის ჭკვა-დამჯდარი კაცებიც ამ გვარად სჯიდნენ, როცა სიტყვა დროთა სასწაულობაზე ჩამოვარდებოდა. ეჭვი არ არის, ყველა მოაზრე კაცები იმ რწმენისა იყვნენ, რომ საზოგადოება უახლოვდებოდა კრიტიკულ ხანას, რომელსაც შეეძლო თვალ-საჩენი ცვლილება მოეხდინა. მუშებ ს არეულობანი, მათნი მიზეზნი და სიდიადენი და აგრეთვე იმათი დამამშვიდებელი საშვალებანი—უმთავრესს მითქმა-მოთქმის საგანს შეადგენდა ბეჭდვითი სიტყვაშიაც და კერძო საუბრებშიაც.

მაშინდელი საზოგადო აზრის აზვირთება ისე ნათლად არაფრით არ მტკიცდებოდა, როგორც იმ ერთი მუჭა ხალხისაგან გამოწვეულის საზოგადოების აღელვებით, რომელსაც ანარხისტებს ეძახდენ. ეს ანარხისტები ცდილობდნენ შეეშინებიათ ამერიკა და მუქარითა და ძალით მოეხვიათ მისთვის თავზე თავიანთი იდეიები—თითქო იმ ძლიერს ერს, რომელმაც ისე შემუსრა თავის ნახევარ მკვიდრთა აჯანყება სახელმწიფოს წეს-წყობილების დასამკვიდრებლად, შიში დაიმორჩილებდა და მიაღებინებდა იმ რაღაც ძალად მიჩეჩებულს სოციალურს წესებს.

როგორც ერთი მდიდართაგანი და, მაშასადამე, არსებული წეს-წყობილების დაცვის მომხრე, მეც, რასაკვირველია, ვიყოფდი ჩემივე წრის ხალხის შიშს. ჩემი პირადი მრისხანება, მიმართული მუშებისადმი, რომელთა გაფიცვანიც მაიძულებდნენ გადამედო ცოლ-ქმრული ბედნიერება, უეჭველია, კიდევ მეტს სიძულვილს მატებდა ჩემს გრძნობებს.

თ ა ვ ი II

1887 წელს, ოც-და-ათს მაისს, ორშაბათი დღე შეხვდა. მეცხრამეტე საუკუნის დამლევს, ამ დღეს იცოდნენ სათემო დღეობა, ეგრედ წოდებული „გამოჩინების დღე", რომელსაც დღესასწაულობდნენ სამხრეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მეომარ ჯართა სახსოვრად, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ შტატების შორის კავშირის დასაცველ ბრძოლაში. ამ დღეს დამსახურებული ჯარის კაცები, სამხედრო და სამოქალაქო მთავრობასთან ერთად მუსიკის წინამძღოლობით, ჩვეულებრივ მოიყრიდნენ ხოლმე თავს სასაფლაოზე და გვირგვინებით ამკობდნენ ომის ველზე დახოცილ ამხანაგთა საფლავებს. ეს ცერემონია მეტად დიდებული და ამაღელვებელი რამ იყო. იუდიფ ბარტლეტის უფროსი ძმაც ამ ომში მომკვდარიყო და მთელი მისი სახლობა ამ «გამოჩინების დღეს» ჩვეულებრივ ინახულებდა ხოლმე მაუნტ-ობერში მისს ძვირფასს საფლავს.

მე ნება მომცეს ვხლებოდი მათ და, როცა საღამოზე ქალაქში შემოვბრუნდით, სადილად ჩემს საცოლოს ოჯახში დავრჩი.

ნასადილევს, ავიღე საღამოს გაზეთი და ამოვიკითხე მასში მუშების ახალი გაფიცვა, რომელიც, უეჭველია, კიდევ უფრო გადაგრძელებდა ჩემი ბედ-უკუღმართი სახლის აშენებას. ნათლად

მახსოვს, როგორ გამაბრაზა ამან და ვწყევლიდი საზოგადოდ მუშებს და განსაკუთრებით ამ გაფიცვას ისეთი უშვერი სიტყვებით, როგორიც კი შესაძლებელი იყო მეხმარა ქალების საზოგადოებაში.

ჩემი მოსაუბრენი სრული ჩემი აზრის იყვნენ. ამ ბაასში იმდენი სასტიკი შენიშვნები ითქვა მუშების წინამძღოლთა უზნეო საქციელზე, რომ დაყრუვდებოდნენ კიდევაც ეს ვაჟბატონები ჩვენი კამათობა რომ მოესმინათ. ყველა ერთხმად, ვლაღადებდით, რომ საქმე უარესად მიდიოდა დღე-დღეზე და რომ წარმოდგენაც კი შეუძლებელი იყო იმისი, თუ რითი დაბოლოვდებოდა ყველა ეს ამბავი.

— ყველაზე საშინელება ის არის,—დაიწყო ბარტლეტის მეუღლემ,— რომ ეს მუშები, მგონი, მთელს ხმელეთზე, ყველანი ერთსა და იმავე დროს იშლებიან ჭკუიდამ. ევროპაში კიდევ უარესია, ვინემ აქ. იქ, სწორე გითხრა, ვერც-კი გავბედავდი ცხოვრებას. ამას წინაზე ვეკითხებოდი ჩემს ქმარს, სად უნდა შევაფაროთ თავი, რომ მართლა ატყდნენ ყველა ის უბედურებანი, რომელთაც სოციალისტები გვიქადიან მეთქი. მან მითხრა, რომ ახლა არსად ხედავს ისეთს მხარეს, სადაც მტკიცედ იდგეს წეს-წყობილება, გარდა გრენლანდიისა, პატაგონიისა და ჩინეთის სახელმწიფოსიო.

— ჩინელებმა კარგად იცოდნენ, რაც სწადდათ,—ჩამოერია ვიღაცა,—როცა უარ-ჰყვეს დასავლეთის სწავლა-განათლება. იმათ ჩვენზე უკეთ ესმოდათ, თუ რასაც მოასწავებდა ასეთი წესი და ნათლად ხედავდნენ, რომ განათლება იგივე ნიღაბ-აფარებული ასაფეთქებელი მანქანაა.

მახსოვს, როგორ გავიხმე იუდიფი ცალკე და ვარწმრნებდი, რომ უკეთესი იქნებოდა არ გვეცადა სახლის აშენებისათვის და ახლავე დაგვეწყრა ჯვარი, მით უფრო, რომ ჩვენ მოგზაურობაში შევვეძლო გაგვეტარებინა ის დრო, რომელიც სახლის რიგიანად დამთავრებას მოუნდებოდა. ამ საღამოს იუდიფი შესანიშნავი ლამაზი ჩნდა. შავი ტანსაცმელი, რომელიც სამგლოვიარო დღეობის პატივ-საცემად ჩაეცვა, მომხიბლველად

აჩრდილებდა მისს საუცხოო სახეს ფერს. ახლაც-კი ისე ცხოვ-ლად მაქვს წარმოდგენილი ის გონებაში ისეთად, როგორიც იმ საღამოს იყო. წასვლისას მან მიმაცილა დერეფნამდის და მე ჩვეულებრივად ვაკოცე მას გამოთხოვებისას. ეს ჩვენი განშო-რებაც ისეთივე ჩვეულებრივი იყო, როგორც სხვა წინანდელი. მცირეოდენი წინასწარ-გრძნობაც-კი არ აშფოთებდა არც ჩემ-სას და არც მისს გულს, რომ ეს განშორება რაღაც უძლიე-რესი იყო, ვინემ სხვა დროინდელი.

ვაი, რომ ეს ასეც იყო...

ჩემი იუდიფთან გამოთხოვების წამი შეყვარებულთათვის მეტად ნაადრევი იყო; მაგრამ ამ შემთხვევას არავითარი კავში-რი არ ჰქონია ჩემს მისდამი სიყვარულთან. მე ვიტანჯებოდი გამუდმებული უძილობით და, თუმცა საზოგადოდ ჩემს სიმთე-ლეს ვერას ვუსაყვედურებდი, მაგრამ ამ დღეს რაღაც საში-ნელს მოუძლურებას ვგრძნობდი; თითქმის მთელი ორი წინა ღამეები ზედ-ზედ არ მძინებია. იუდიფმა იკოდა ეს გარემოე-ბა და ამიტომ დამიჟინა, რომ დაებრუნებულიყავი სახლში და დაუყონებლივ მომესვენა.

სახლი, რომელშიდაც მე ვცხოვრობდი და რომლის ერ-თად-ერთი და უკანასკნელი მემკვიდრე მე-ღა ვიყავი, სამი თა-ობის განმავლობაში ჩემს გვარეულობას ეკუთვნოდა. ეს იყო უზარ-მაზარი ძველი ხის შენობა, ძველებურ გემოვნებაზე მორ-თული; მაგრამ ქარხნებისა და ქარვასლების გამრავლების მიზე-ზით, იმ უბანს, სადაც ის იდგა, დიდი ხანია აღარავინ რაცხ-და საპატიო პირთა საცხოვრებელ ადგილად. ფიქრიც შეუ-ძლებელი იყო, რომ ასეთს სახლში მომეყვანა ახალგაზდა ცო-ლი და მერმე ისეთი ტურფა ქმნილება, როგორიც იუდიფ ბარ-ტლეტი იყო. ამიტომ მე გამოვაცხადე კიდევაც ამ სახლის გა-ყიდვის სურვილი; თუ შევდიოდი შიგ, მხოლოდ დასაწოლად და სადილს-კი „კლუბში“ ვჭამდი. ჩემი მოსამსახურე, ერთგუ-ლი ზანგი, სახელად სოიგრი, ჩემთან ცხოვრობდა და ასრუ-ლებდა ჩემს მცირე სამსახურს. ერთი რამეს მოცილება მიჭირ-

და ამ სახლში, სახელდობრ საწოლი ოთახის, რომელიც საფუ-ძველში იყო მოთავსებული. მე რომ ზედა სართულში დავბი-ნავებულიყავი, უეჭველია, სრულიად ვერ ვეღირსებოდი ძილს ღამ-ღამობით ქუჩებში შეუწყვეტელი ხმაურობისაგან. მაგრამ ამ ჩემს ქვესკნელის ოთახში-კი მცირეოდენი ხმაურობაც არსა-იდამ ჩამოდიოდა.

როცა შიგ შევდიოდი და კარებს მოვიხურავდი, სამარის მყუდროება ჩამოვარდებოდა ჩემს გარშემო. სინოტიოსაგან და-საფარავად იატაკი და კედლები „გიდრავლიკური ცემენტით“ შევალესინე; ოთახს რომ სალაროობაც გაეწია ჩემთვის და დაფარული ყოფილიყო, როგორც ცეცხლისაგან, ისე ავაზაკე-ბისაგანაც, მჭიდროდ დავხურე მისი თაღი ფიქალის ქვით და გარედამ-კი რკინის კარები ამიანტის ქვით (asbestъ) დავფარე. პატარა მილი, რომელიც სახლის სახურავზე ჰაერის საწშენდს მანქანას უერთდებოდა, ამუშავებდა ჰაერს ოთახში.

გეგონებოდათ ამ ოთახის პატრონს ტკბილი ძილი უნდა ჰქონდესო, მაგრამ აქაც-კი იშვიათი იყო ჩემი ორი ღამის ზე-დი-ზედ მოსვენებული ძილი. ამ ნაირად ისე შევეჩვიე უძილო-ბას, რომ ერთი უძილოდ გატარებული ღამე ჩემთვის არაფერს არ შეადგენდა. მაგრამ ქვეშსაგების ნაცვლად სავარძელში წიგ-ნის კითხვით გატარებული მეორე ღამე-კი ძლიერ მასუსტებდა. ამან ისე შემაშინა არ მომშლოდა ტანის სიმთელე, რომ ერ-თის ღამის მეტს არას შემთხვევაში არ ვათევდი უძილოდ. ამი-სათვის მივმართე ხელოვნურ საშვალებას. თუ ორი უძილო ღამის შემდეგაც არ მომდიოდა რული, მესამე ღამეს მოვიწ-ვევდი ხოლმე დოქტორს პილსბერის.

დოქტორს მას უფრო ზდილობისაგან ეძახდენ, რადგან ის, როგორც იტყვიან, «უპატენტო“ მკურნალი იყო, ანუ უფრო გასაგებად „მკვეხარა“, რომელიც საშინლად იჩემებდა „ცხო-ველ-მყოფელ მაგნეტიზმის პროფესორობას.“ მე წავაწყდი მას შემთხვევით თავს მის საყვარელ მაგნეტიზმურ მოვლენათა კვლე-ვის დროს. არ ვფიქრობ, რომ მას რაიმე გაჰგებოდეს ექიმობისა,

თუმცა ეჭვი არ არის, მაგნეტიზის საუცხოო მცოდნე-კი იყო. რო-
ცა მესამე ღამის უძილობას მოველოდი, მოვიწვევდი მას, რომ
დავეძინებინე მისი თილისმით. რაც უნდა ნერვებ აშლილი
ვყოფილიყავი, პილსბერი რამოდენიმე ხნის უკან მაინც დამაწყ-
ნარებდა და ღრმა ძილში დამტოვებდა, რომელიც გასტანდა იმ
დრომდე, სანამ იმავე საშვალებით არ გამომაღვიძებდნენ. გასაღ-
ვიძებელი საშვალება უფრო საადვილო იყო, ვინემ დასაძინე
ბელი და ამიტომ ვთხოვე პილსბერს, რომ სიადვილისათვის
ესწავლებინა ეს გასაღვიძებელი საშუალება ჩემი მსახური
სოიერისათვის.

ერთად-ერთმა ჩემმა მსახურმა იცოდა, პილსბერი რომ ჩემ-
თან დადიოდა რასაკვირველია, ვფიქრობდი გამემხილა ეს
სიდუმლო იუდიფისათვის — მხოლოდ ჯვარის წერის უკან.
მაგრამ მანამ-კი არ მინდოდა მეთქვა რამ ამაზე, რადგან
მაგნეტიზმით დაძინებას საშიშროება მოჰყვებოდა და, ვი-
ცოდი, იუდიფი ამიკრძალავდა ჩემს ჩვეულებას. საშიშროება
იმაში იხატებოდა, რომ ამ გვარად დაძინება შეიძლებოდა მეტ
ღრმა-ძილად გარდაქცეულიყო და შემდეგ საღათაზეც გადასუ-
ლიყო, რომლის შეჩერებაც მაგნეტიზმს აღარ შეუძლია და
საქმე სიკვდილით ბოლოვდება. გამოცდილებამ დაამტკიცა,
რომ ამ დროს თუ კაცი უსაჭიროესს ზომებს მიიღებდა, გან-
საცდელი ისეთი მნიშვნელოვანი აღარ იქმნებოდა, და აი ამაში
ვფიქრობდი დამერწმუნებინა იუდიფი, თუმცა არ ვიმედოვნებ-
დი კი.

საცოლოდამ მე პირდაპირ შინისაკენ გავეშურე, საიდამაც იმ
წამსვე ვაფრინე სოიერი პილსბერთან დი თვითონ ჩავეშვი ჩემს სა-
წოლს მიწურში, გამოვიცვალე ტანისამოსი და დავიწყე წერი-
ლების კითხვა, რომლებიც საღამოს ფოსტით მოეტანათ და
რიგიანად დაეწყო სოიერს ჩემს საწერს სტოლზე. ერთი წერი-
ლი ჩემი ახალის სახლის მშენებელისაგან იყო და ასაბუთებდა
გაზეთებში დაბეჭდილს ცნობებს. „ახალნი გაფიცვანი—იწერე-
ბოდა ის—განუსაზღვრელის დროისათვის სდებენ პირობის შე-

სრულ¿ბას, რადგან არც მუშები და არც მეპატრონენი ხანგრძლივ უბრძოლველად არ უთმობენ ერთმანეთსაო.“ კალიგულას სურდა, რომ რომის ხალხს ერთი საერთო თავი ბმოდა, რომლის მოკვეთაც ერთი შემოკვრით შესძლებოდა. სწორედ ეგევე სურვილი დამებადა მეც ამ წერილის კითხვის დროს ამერიკელ მუშების შესახებ.

სოიერისა და პილსბერის მოსვლამ შესწყვიტა ჩემი შავი ფიქრები. ეტყობოდა, სოიერს ძლივ-ძლივობით წამოეყვანა პილსბერი, რადგან ის ამ ღამეს თურმე ქალაქიდამ გასვლას აპირებდა. მაგნეტიზერმა ამიხსნა, რომ ჩვენი ერთმანეთის უკანასკნელად ნახვის უკან, მან გაიგო, რომ ერთი შემოსავლიანი ადგ-ლი გახსნილა შორეულს ქალაქში და გადასწყვიტა რაც შეიძლება სწრაფად ისარგებლოს ამ შემთხვევით. როცა მე შემკრთალმა ვკითხე, ვიღასთვის მიმემართა დასაძინებლად, მან დამინიშნა რამოდენიმე ბოსტონელი მაგნეტიზერები, რომლებიც, მარწმუნებდა ის, ისეთისავე ძალის მექონნი იყვნენ, როგორც თვით პილსბერი. ამ მხრით ცოტათი დამშვიდებულმა ვუბრძანე სოიერს გავეღვიძებინე ხვალ დილის ცხრა საათზე და შევწევი ლოგინში; მე თავისუფლად გავიშხლართე და მივეცი თავი მაგნეტიზერის თილისმის ძლიერებას.

თ ა ვ ი III

— ის ეხლავე გაახელს თვალებს. კარგი იქნება, რომ ერთის ჩვენგანის მეტს არვის ნახავდეს პირველად.

— არა, ჯერ აღმითქვი, რომ შენ არ ეტყვი მას...

პირველი ხმა მამაკაცისა იყო, მეორე—დედაკაცისა და ორივე ჩუმად ლაპარაკობდნენ.

— იმის მიხედ¿ვით, თუ რა მდგომარეობაში იქნება—მიუგო მამაკაცმა.

— არა, არა, აღმითქვი, რაც უნდა მოხდეს—დაჟინებით ეუბნებოდა ქალი.

— კმარა, გაუგონე, —მოისმა მეორე ჩუმი ხმა, ისიც დედა კაცისა.

— ჰო, კარგი, კარგი, —მიუგო მამაკაცმა, —მხოლოდ ჩქარა გადით, ის საცაა გონს მოვა.

მოისმა ტანისამოსის შრიალი და გავახილე თვალები. ლამაზი, სამოცი წლის მამაკაცი მადგა თავს; სახეზე ეხატებოდა რაღაც ცნობის-მოყვარეობაში შერეული თანაგრძნობა. ჩემთვის ის სრულიად უცნობი პირი იყო. წამოვიწიე ცალ ინდაყვზე, მივიხედ-მოვიხედე ირგვლივ და დავინახე, რომ ცარიელს ოთახში ვიყავი. მეტად უთუოდ არასოდეს არ ვყოფილვარ მასში, არც ამის მსგავსად მორთულს ოთახში. შევხედე უცნობს, მანგამიღიმა.

— როგორა გრძნობთ თავს? – დამეკითხა ის.

— სადა ვარ? — ვკითხე მე.

— ჩემს სახლში, —მიპასუხა მან.

— როგორ გავჩდი აქა?

— ამაზე მაშინ ვილაპარაკოთ, როცა უფრო ჯანზე იქნებით. მანამ კი გთხოვთ, თავს ნუ შეიწუხებთ. თქვენ მეგობრებსა და კარგს მფარველებში ხართ. როგორა გრძნობთ თავს?

— რაღაც საოცრად, —მივუგე მე, – მაგრამ, მგონი, კარგად უნდა ვიყო. არ შეიძლება გამაგებინოთ, რა ვალდებულება მიმიძღვის, რომ თქვენი სტუმარ-მოყვარეობით ვსარგებლობ? რა შემემთხვა? რა ნაირად მოვხვდი აქ? მე ხომ ჩემსას, ჩემს საკუთარს სახლში დავიძინე.

— ამათ ასახსნელად ჩვენ საკმაო დრო გვექნება, —დამამშვიდებელის ღიმილით მომიგო ჩემმა უცნობმა მასპინძელმა. უმჯობესია, ეს თქვენი ამაღელვებელი საუბარი იმ დროისათვის გადავსდოთ, სანამ მოიკეთებდეთ. ახლა-კი დამავალეთ და რამოდენიმე ყლაპი ეს სასმელი წამალი მიიღეთ. ეს თქვენ გარგებთ. მე მკურნალი ვარ.

ხელის კვრით მოვიშორე ჭიქა და გაჭირებით წამოვჯექი ლოგინზე; რაღაც საოცარს თავის ტკივილს ვგრძნობდი.

— გადაწყვეტით ვთხოულობ ამიხსნათ ამ წუთშივე, სადა ვარ და რა მიყავით მე თქვენ?—განვუცხადე მას.

— მოწყალეო ხელმწიფევ!—დაიწყო ჩემმა მოსაუბრემ:— გთხოვთ ნუ აღელდებით. ჩემთვის დიდად სასიამოვნო იქნება, თუ არ დაიჯინებთ ახლავე ამის ახსნას; ხოლო თუ გადაწყვეტით თხოულობთ, მაშინ ვეცდები დავაკმაყოფილო თქვენი ცნობის-მოყვარეობა მხოლოდ ერთის პირობით—ყველაზე წინ უნდა ეს სასმელი მიიღოთ, რომელიც რამოდენიმედ გაგამგრებთ.

მე ჩამოვართვი მოწოდებული წამალი და დავლიე.

— თუ როგორ გაჩნდით აქ, ამისი თქმა არც ისე ადვილია, როგორც თქვენა ფიქრობთ, ალბათ.—დაიწყო უცნობმა.—ამ საგანზე სწორედ თქვენც იმდენივე შეგიძლიათ გამაგებინოთ მე, რამდენიც მე—თქვენ. ესეც არის თქვენ გამოგაღვიძეს ღრმა ძილისაგან, ანუ უკეთა ვთქვათ, საღათასაგან. აი რის თქმა შემიძლია. თქვენ ამბობთ, რომ დაიძინეთ თქვენს საკუთარს სახლში. ნება მომეცით ვიკითხო, როდის იყო ეს?

— როდის? — შეეკირხე მე, როდის? რასაკვირველია, გუშინ საღამოს, საათის ათზე. მე ჩემს მსახურს სოიერს ვუბრძანე გაეღვიძებინე დილის ცხრა საათზე. სოიერი რა იქნა?

— არაფრის ნამდვილი თქმა არ შემიძლია—მომიგო ჩემმა მოსაუბრემ და გოოცებით შემომხედა:—მაგრამ დარწმუნებული ვარ, მისი ამ ჟამად აქ დაუსწრებლობა სრულიმისატევებელია. არ შეგიძლიათ უფრო გარკვევით ამიხსნათ, როდის ჩავარდით ამ ძილში, ე. ი. მე ვკითხულობ, რომელს რიცხვს?

— რასაკვირველია, გუშინ საღამოს, რაც, ვგონებ, გითხარით კიდევაც, ესე იგი, თუ მთელი დღე არ მძინებია. ღმერთო მაღალო! ეს შეუძლებელია, და მე კი ისე ვგრძნობ თავს თითქო დიდ-ხანს მძინებოდეს. მე დავიძინე „გამოჩინების დღეს“

— „გამოჩინების დღეს“?.

— დიახ, ორშაბათს, ოც-და-ათს.

— მომიტევეთ, ოც-და-ათს, რომელი თვისას?

— რასაკვირველია, ამ თვის 30-ს, თუ კი ივნისამდის არ მძინებია; მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია?

— ახლა ჩვენში ენკენისთვეა.

— ენკენისთვე! ამითი ხომ ის არ გინდათ თქვათ, რომ მე მაისიდამ აქამდე მეძინა! ღმერთო ჩემო! ეს მოუხერხებელია!

— ვნახოთ,—მომიგო ჩემმა მოსაუბრემ,—თქვენ ამბობთ რომ დაიძინეთ 30 მაისს.

— დიახ.

— შემიძლია გკითხოთ, რომელ წელში?

მე მივაშტერე მას შეშინებული თვალები და რამოდენიმე წამს ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხე. ბოლოს ძლივს წამოვიყრანტალე და უნდოდ შევეკითხე:

— რომელ წელში?

— დიახ, რომელ წელში, თუ შეიძლება. თქვენი პასუხი მიშველის გაგაგებინოთ რამდენი ხანი გეძინათ.

— ეს იყო 1887 წელს,—ძლივს წარმოვთქვი ბოლოს.

ჩემმა მოსაუბრემ დამალევინა კიდევ რამდენიმე ყლაპი წამალი და გამიშინჯა მაჯა.

— მოწყალეო ხელმწიფევ,—დაიწყო მან,—თქვენი ქცევა ამტკიცებს, რომ არ აცდენიხართ სწავლა-განათლებას, რომელიც, რამდენადაც ვიცი, სრულიად სავალდებულო არ იყო თვითეულისათვის თქვენს დროში, როგორც ჩვენშია ახლა. მაგრამ როგორც განათლებულს კაცს თქვენ თვითონ დიდი ხნიდამ გექნებათ, უეჭველია, დაკვირვება, რომ ამ ქვეყნად არა გვარი მოვლენა არ შეადგენს არავითარს საკვირველებას. ყოველ გვარს მოვლენას საკმაო მიზეზები აქვს: ამ გვარადვე მათი შედეგნიც სრული ბუნებითი უნდა იქმნენ. ეჭვი არ არის, თქვენ გეუცხოებათ ის, რაც სათქმელი მაქვს! მაგრამ, იმედია, არ დაემორჩილებით სულის მღელვარებას. გარეგანი შეხედულობით თქვენ ოც-და-ათის წლისა თუ იქნებით; თქვენი ფიზიკური მდგომარე-

ობა-კი ეტყობა ძალიან ნაკლებად განსხვავდება, მეტის-მეტად ხანგრძლივისა დმ ღრმა ძილისაგან, ახლად გამოღვიძებულ კაცის მდგომარეობიდამ, და დღეს კი, უნდა გაგიტყდეთ, მეორეათასე წლის 10 ენკენისთვეა და მაშასადამე თქვენ გიძინიათ სრული ას ცამეტი წელიწადი, სამი თვე და თერთმეტი დღე.

მე გავშეშდი.

ჩემმა მოსაუბრემ დიდის ხვეწნით შემახვრიტა ერთი ფინჯანი რაღაცას წვენი, რის შემდეგაც ისევ-მა დაუძლეველმა ძილმა შემიპყრო, რომ მაშინვე ღრმა მოსვენებას მივეცი თავი.

გამომეღვიძა. ოთახში დღის სინათლე იდგა, ხოლო პირველ გამოღვიძებაზე ის ხელოვნურად იყო განათებული.

ჩემი საიდუმლო მასპინძელი გვერდით მიჯდა. თვალების გახელის დროს ის ჩემკენ არ იცქირებოდა და თამამად შემეძლო ამეთვალიერებინა ის და გამესაჯა ჩემი უცნაური მდგომარეობა, სანამ ჩემს გამოფხიზლებას შენიშნავდა.

თავ-ბრუ აღარ მესხმოდა; გონება ფხიზელი მქონდა.

ჩემი ას ცამეტი წლის ძილის ამბავი, რომელიც ისე უწინააღმდეგოდ მივიღე წინა სისუსტესა და უგონო მდგომარეობაში, ხელ-ახლად მომაგონდა, მაგრამ მე განვდევნე თავიდამ ეს აზრი, როგორც ჩემს თვალ-ასახვევად მოგონილი უნამუსო ხრიკი, თუმცა ასეთის ქცევის მიზნად კი ვერაფერი მეპოვა. ყოველ ეჭვს გარეშე იყო, რომ მე უჩვეულო რაღაც შემემთხვა. მაშ რა იყო ეს, ამ უცხო სახლში გაღვიძება, ჩემთვის უცნობის კაცის თანადასწრებით?. ჩემი ოცნება უღონო შეიქმნა სხვა რამე მოეგონა, გარდა მხეცურის აზრებისა ამ „რაღაცას“ არსებობის შესახებ. იქნება რამე შეთქმულობის მსხვერპლი ვიყავი? ეს ძალიან წააგავდა ნამდვილს. მაგრამ, თუ შეიძლება ზოგჯერ გარეგნობას მივენდოთ, ეს ფაქიზისა და კეთილშობილურის სახის კაცი შეუძლებელი იყო გარეოდა რამე ბოროტ-განზრახულს მოქმედებაში. შემდეგ წარმომიდგა, რომ იქნება ბრიყვული ხუმრობის საგნად ამიღეს ჩემმა მეგობრებმა, რომლებმაც გაიგეს ალბად როგორმე ჩემი იდუმალი ოთახის

თქვენი ასეთი ხან-გრძლივი სიცოცხლე შესაძლებელი იყო მხოლოდ ცხოველ-მყოფელ მოქმედების ერთიან შეწყვეტის პირობებში. თქვენს სხეულს რომ საღათას დროს პაწია ცვლილება რამ შეხებოდა, ის ახლა ღიდ ხნიდამ გახრწნილი იქნებოდა.

— მოწყალეო ხელმწიფევ, — მოვუბრუნდი მას და დავიწყე, — მე სრულიადაც არა მსურს გავიგო, რატო ასე დაბეჯითებით მიამბობთ თქვენ ასეთს უმსგავსო უაზრობას. მაგრამ კარგად უნდა გესმოდესთ, რომ თვით უიმედო სულელს გარდა, სხვისი ამბით გაბრიყვება შეუძლებელია. დამიხსენით ამ მოგონილ ჭორიდამ და მიპასუხეთ მხოლოდ ამ კითხვაზე: გამაგებინებთ თუ არა ხეირიანად, სადა ვარ და როგორ მოვხვდი აქ? თუ თქვენ უარს იტყვით ამაზე, მაშინ მე თვით ვეცდები დავიკმაყოფილო თავი მიუხედავად ყოველგვარის დაბრკოლებისა.

— მაშ თქვენ არა გწამსთ, რომ ახლა მეორიათასე წელიწადია?

— ნუ თუ მართლა საჭიროდ ხედავთ ამაზე კითხვას

— მაშ კარგი, — წამოიძახა ჩემმა საოცარმა მასპინძელმა, — რადგან უღონო შევიქენი დაგარწმუნო ამაში, თქვენ თვითონ დარწმუნდებით. გრძნობთ თქვენში საკმაო ძალას, რომ ამყვეთ ზედა სართულში?

— მე იმდენივე ძალა მაქვს, — რაც, ვგონებ, საქმითაც დავამტკიცო, თუ კიდევ დიდს ხანს გაგრძელდა ეს ხუმრობა.

— მაგრამ გთხოვთ, — მიპასუხა მან, — ძალიან ნუ გაეტაცებანებით იმ აზრს, რომ თქვენ ვითომ სიცრუის მსხვერპლი იყოთ, იმ ძლიერი „რეაქციის“ ასაცილებლად, როდესაც დარწმუნდებით ჩემი სიტყვების სინამდვილეში.

ამ სიტყვებში გამოხატულმა სიბრალულთან შერეულმა თანაგრძნობამ და ჩემს მრისხანებაზე მცირეოდენი გულ მოსულობის დაუჩნეველობამ, ერთიან დამიმონეს, და, უცნაურად არეულის შთაბეჭდილებით მოცული, დავედევნე მას უკან. ვიარეთ ჯერ ორი კიბე. შემდეგ მესამე უფრო მოკლე, რომელმაც აგვიყვანა სახლის თავზე მიშენებულ ჩარდახზე.

— გთხოვთ გადახედოთ ირგვლივ,—მომიბრუნდა ის, როცა ზედა აივანზე მოვექეცით, —და მიპასუხოთ, ესაა ის მეცხრამეტე საუკუნის ბოსტონი?

თვალწინ გადამეშალა შვენიერი დიდი ქალაქი. ყოველ მხრიდამ მოჩანდნენ ხეებით შემორგული ტ ლამაზ შენობებით შემოზღუდული გრძელი ტ ფართო ქუჩები. სახლები უმეტეს ნაწილად მწკრივად კი არ იყვნენ, არამედ განცალკევებით ერთი-მეორისაგან დიდ ან პაწია ეზო-ბაღებით გარემოცულნი. თვითეულს უბანში მწვანედ გამოიცქირებოდა ფართოდ გადაშლილი ტ ხეებით შემორგული ბაღები; ამ ხეებს შორის სალამოს მზის სხივებზე ბრწყინავდენ ქანდაკებანი და აბრეშუმიალებდენ შადრევანები. ვეებერთელა, შესანიშნავ ხელოვნებით ნაშენი საზოგადო შენობები, რომელ. ნიც სრულიად არა ჰგავდნენ ჩვენის დროისას, მედიდურად ამართულიყვნენ თავიანთის ამაყი სვეტებით ქუჩების ორივ-მხრით.

მართლაც მე მეტად არასოდეს არ მენახა არც ეს ქალაქი და არც სხვა რამ ამისი მსგავსი. ბოლოს ძლივს მოვაკილე ამათ თვალი და გავხედე დასავლეთს. ეს მზის დასავლეთისაკენ კლაკვნით მიმამული ლურჯი ზოლი ხომ მდინარე ჩარლოსი იყო ჩემი ნაცნობი ხეულებებით. გავიხედე აღმოსავლეთისაკენ; წინ გამომეჭიმა ბოსტონის ნავთ-სადგური, ზღვაში შეზიდულის კლდის ცხვირებით და მწვანე პაწია კუნძულებით.

აი აქ მივხედი, რომ რასაც მეუბნებოდენ ჩემს თავს დამტყდარი სასწაულის შესახებ ყველა ნამდვილი იყო.

თ ა ვ ი IV

გონება არ დამიკარგავს, მაგრამ ჩემი თავ-გადასავალი (გარკვეულად შეგნებისათვის ისეთი ძალ-დატანება დამჭირდა, (რომ თავ-ვბრუსხმა გამომიწვია, მახსოვს, ჩემმა მასპინძელმა აივ. ს ნიდამ მაგრად ხელ-ჩაჭიდებული შემიყვანა ზედა სართულის გა-

ნიერს ოთახში, სადაც მისი რჩევით ორიოდე ჭიქა ღვინო გადავკარი და სუბუქად ვისაუზმე.

— იმედია,—გამხნევებით მითხრა მან,—თქვენ აწი მალე სრულიად მორჩებით; ასეთს გაბედულს საშუალებას ვერ ვიხმარდი, თუ თქვენს ყოფაქცევას, რომელიც ამ შემთხვევაში შესანდობარია, არ ვეიძულებინე უთუოდ ეს გზა ამერჩია. ვნანობ—სიცილით დაუმატა მან,—რომ ერთს ხანს რამოდენიმედ ვშიშობდი არ შევყროდი იმას, რასაც მეცხრამეტე საუკუნეში, თუ არ ვცდები, „მუშტი-კრივს“ ეძახდნენ და, თუ დროზე არ წამომეყვანეთ აქ, უთუოდ არც ამცდებოდა. მაშინ მომაგონდა, რომ თქვენი თანამედროვე ბოსტონელები განთქმულნი იყვნენ „მუშტი-კრივში“ და გადავწყვიტე დამეჩქარებინა. იმედი მაქვს, ახლა მაინც ამხდით იმ დანაშაულობას, რომ მე ვითომ თქვენი გაბიაბრუება მდომემოდეს.

— მას უკან, რაც უკანასკნელად ვნახე ეს ქალაქი,—მივუგე მე ღრმა მღელვარებით,—რომ გეთქვათ, ასი კი არა, ათასი წელიწადი გავიდაო, იმასაც დავიჯერებდი.

— გავიდა მხოლოდ ერთი საუკუნე,—მომიგო მან,—მაგრამ მსოფლიო ისტორიის მთელს ათასს წლებშიაც-კი არა მოხდარა ასეთი უცნაური ცვლილებები.

— ახლა-კი—დაუმატა მან და რაღაც აუწერელ ის ალერსით გამომიწოდა ხელი,—ნება მომეცით, გულით მოგესალამოთ მეოცე საუკუნის ბოსტონში და სახელდობრ ამ სახლში. ჩემი გვარია ლიტი, ხელობით მკურნალი ვარ.

— ჩემი სახელია იულიან ვესტი,—ვუთხარი მეც და ჩამოვართვი გამოწვდილი ხელი.

— დიდად სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, უფ. ვესტ,—მომიგო მან.— როგორც ხედავთ, ეს სახლი აშენებულია თქვენს ფველ ნამოსახლზე და ამის გამო ვიმედოვნებ, რომ ეს გაგიადვილებსთ ისე იგრძნოთ თავი აქ, როგორც თქვენს საკუთარს სახლში.

საუზმის უკან უფ. ლიტის რჩევით ვიბანავე და გამოვიცვალე ტანისამოსი.

ჩემი მასპინძლის ნაამბობით გამოაცებელი ცვლილება არ შეხებია მარტო მამაკაცის ტანსაცმელს, რადგან, გარდა რამოდენიმე წვრილმანებისა, ჩემი ახალი მოართულობა სრულებით არ მეხამუშებოდა.

სხეულით იგივე ვიყავი, რაც წინად. მაგრამ მკითხველს, უეჭველია უნდა გაიგოს რა ხდებოდა ჩემს სულში. რას ემსგავსებოდა ჩემი ზნეობითი მდგომარეობა, როცა მე ანაზდათ გავჩდი თითქო ახალს ქვეყანაში? ამის პასუხად, ვთხოვ მას წარმოიდგინოს თავისი თავი ერთს თვალის დახამხამებაში, თუნდა მიწიდამ ზეციურს სამოთხეში ანა და პლუტონის ქვესკნელეთის სამეფოში. რას იგრძნობდა ის აქ? ანაზდეულად მიტოვებულს დედამიწას დაუბრუნდებოდა მაშინვე მისი ფიქრები, თუ ახალს გარემოცულობაში შთანთქმული, რამოდენიმე ხნით უკუ აგდებდა მეხსიერებიდამ წინანდელს ცხოვრებას, თუნდა რომ გახსენებოდა ის კიდევაც დაბოლოს? მე-კი ამას ვიტყვი, რომ, თუ მისი შთაბეჭდილება მარცვლის ოდენად მაინც იქნებოდა ჩემგნით აწერილ თავგარდასავალის მსგავსი, უკანასკნელი ფიქრი უფრო სარწმუნო იქნებოდა. ჩემმა ახალ გარემოცულობისაგან გამოწვეულმა საკვირველებისა და ცნობისმოყვარეობის გრძნობამ პირველი მღელვარების უკან ისე ძლიერად მოიცო ჩემი ტვინი, რომ ყოველივე დანარჩენი დახშო მან ჩემში. მოგონებანი წინანდელს ცხოვრებაზე დროებით თითქო განიფანტნენ.

როცა კი ცოტათი გავმაგრდი სხეულით ჩემი კეთილი მასპინძლის მეოხებით, ისევე მომინდა სახლის ზედა სართულში ასვლა, სადაც დაუყონებლივ მოვთავსდით მშვენიერს სავარძლებში და გადავცქეროდით ჩვენ ფეხთ-ქვეშ და გარშემო გადაშლილს ქალაქს. გაიმართა ბაასი, რომლის განმავლობაში მე ვაძლევდი კითხვებს, როგორც ჩემი ძველი ნაცნობი საგნების შესახებ, რომელთაც ახლა ველარსად ვხედავდი, აგრეთვე ახ-

ლებზედაც, რომელთაც ძველების ადგილი დაეჭირათ. უფ. ლიტ'ს მოესურვა გაეგო, თუ რა უფრო მაოცებდა მე ძველ ბოსტონის ახალთან შედარებით.

დავიწყებ წვრილმანებიდამ,—მიუგე მე,—სწორე გითხრათ, ჩემი აზრით, ის არის ერთი ჩემგნით ყველაზე წინ შემჩნეული საკვირველება, რომ არსად არც ბუხრის თავები და არც კომლი არა სჩანან.

— ახ, მართლა,—გულწრფელად წამოიძახა ჩემმა მოსაუბრემ,—ბუხრები სრულიად გადამავიწყდა კიდევაც. ისინი ხომ დიდი ხანია რაც ხმარებიდამ გამოვიდა. აგერ თითქმის ასი წელი გადის, რაც თქვენს დროში ხმარებული სითბოს მოპოვების ძველის-ძველი წესი მოისპო.

— საზოგადოდ,—შევნიშნე მე,—ყველაზე უფრო მაოცებს ამ ქალაქში ხალხის ქონებრივი კეთილდღეობა, რასაც თვით ქალაქის დიდ-მშვენიერება ამტკიცებს.

— მე ძვირად დავაფასებდი ერთხელ რომ მაინც თვალი გადამეველო თქვენი დროის ბოსტონისათვის.—შემნიშნა ლიტმა.—უეჭველია, როგორც თქვენი ნათქვამიდან ჩანს, იმ დროის ქალაქებს სამწუხარო ფერი სდებიათ. თქვენ ძალიანაც რომ მოგეწადინათ ქალაქის გამშვენიერება, რაშიდაც ეჭვის შეტანა თავხედობად მიმაჩნია, მაშინაც კი არ შეგეძლოთ ამის სისრულეში მოყვანა საყოველთაო სიღატაკისა გამო, რომელიც ნაყოფი იყო თქვენის რაღაც თავსებურის სამრეწველო წესისა. ამას გარდა იმ დროში გავრცელებული უზომო პირადობა (ინდივიდუალიზმი) ძლიერ უშლიდა ხელს ინტერესების ერთობის გრძნობის განვითარებას. ის პაწია შეძლება, რომელიც თქვენ ხელთ იყო, იხარჯებოდა ერთიან კერძო პირთა ზიზილ-პიპილებზე. ჩვენს დროში კი, პირიქით, გადამეტებული სიმდიდრის პირდაპირი დანიშნულება ქალაქის გამშვენიერებაა, რომლითაც თვითეული თანასწორად სარგებლობს.

როცა აივანზე ავდიოდით მზე ჩადიოდა და ჩვენს საუბარში კი ქალაქი მოიცო ღამემ.

— ბნელდება, — მითხრა ჩემმა მასპინძელმა, — შევიდეთ სახლში და ჩემს ცოლსა და ქალს გაგაცნობთ.

მისმა სიტყვებმა მომაგონეს ქალების ჩუმი ხმით ლაპარაკი ჩემი გაღვიძების ხანს; ცნობის-მოყვარეობამ ერთიანად ამიტაცა, მინდოდა გამეგო, თუ რა გვარი ქალები იყვნენ მეორიათასე წლებში და სიხარულით დავეთანხმე მისს წინადადებას. ის ოთახი, სადაც მასპინძლის ცოლ-შვილი ვნახეთ და აგრეთვე მთელი სახლის შინაგანობა, მკრთალად იყო განათებული, ეტყობოდა ხელოვნურის სინათლით, თუმცა ვერ შევნიშნე კი საიდამ ეფინებოდა ოთახებს ეს სინათლე. ლიტის მეუღლე კარგი ტანადი და ჯან-საღად შენახული დედაკაცი იყო, მიუხედავად მისა, რომ ქმრის ხნოვანებისა იქნებოდა. სიყმაწვილის ფურჩქვნილებაში ახლად შესული ამისი ქალი კი უულამაზეს არსებათ წარმომიდგა, როგორიც კი ოდესმე შემხვედრია. მისი სახეც ისეთივე მომხიბლველი იყო, როგორც ღრმა მტრედ-ს ფერი თვალები. ნაზი ელფერი და სახის უნაკლულო მოყვანილობა კიდევ უფრო მეტს ძალას აძლევდა მისს საერთო მიმზიდველობას, თუმცა მეცხრამეტე საუკუნეში უმისოდაც საუკეთესო ლამაზ ქალად ჩაითვლებოდა ის მისი ტანის იდეალური მოყვანილობით. ამ შვენიერ ქმნილების რაღაც ქალური სინაზარნარე და სინაზე რაღაც საუცხოვოდ ესისხლხორცებოდა მისს სიმთელესა და ძალით სავსე სიცოცხლეს, რაც ისე შესამჩნევად აკლდათ ჩემი დროის ქალებს, რომლებთანაც შემეძლო მისი შედარება. ამას გარდა — მართალია, ჩემს ყოველმხრივ უცნაურ მდგომარეობასთან შედარებით დიდ-მნიშვნელოვანი ერთგვაროვნობა არ არის — მაგრამ მაინც კიდევ საოცრება იყო ის, რომ ამასაც იუდიფი ერქვა.

ეს საღამოც, რასაკვირველია, ერთად-ერთი იყო მოქალაქობრივ ცხოვრებაში. თუმცა შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ჩვენი საუბარი ვითომ მეტად გაჭიანურებული და უხერხული ყოფილიყოს. ჩემის აზრით, როგორც ეძახიან, ამ არა ჩვეულებრივს მდგომარეობაში კაცს ალბათ იმიტომ უჭირავს

ალავი ბუნებრივად, რომ თვით ეს მდგომარეობა ვერ იტანს ხელოვნურს ქცევას. ყოველ შემთხვევაში, ვიცი, რომ ჩემი საუბარი სხვა საუკუნის და სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან განსხვავდებოდა მხოლოდ უზადო გულწრფელობით და ისეთის გულახდილობით, რომელიც მხოლოდ იშვიათად ეძლევა კაცს და ისიც დიდი ხნის ნაცნობობით. უეჭველია ჩემი მოსაუბრეების ზრდილობიანი კილოც ხელს უწყობდა ამას. ცხადია, ბაასის შინაარსს ის საოცარი მოვლენა შეადგენდა, რომლის ძალითაც მე მათ შორის გავჩნდი, მაგრამ ამაზე ისინი ისეთი აღგზნებული ინტერესებით ლაპარაკობდენ, რომ ჩვენი საუბრის საგანი სრულიად კარგავდა თავისს შემზარავს იდუმალობას, რომელიც უამისოდ გააძნელებდა ბაასის მოსმენას. ასე გეგონებოდათ, ესენი დიდი ხანია შეჩვეულიათ წასულ საუკუნის კაცთა წრეში ცხოვრებასაო, იმდენად შეხამებული იყო მათი ქცევა.

რაიცა შემეხება თვით მე, არ მახსოვს, რომ ოდესმე ჩემი ტვინის მოძრაობა ისეთი ცოცხალი და მხნე ყოფილიყოს, ან ჩემი სულიერი თვისება უმეტესად მგრძნობიერი, როგორც ამ საღამოს. ამითი ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ ჩემი საოცარი მდგომარეობის შეგნება ერთი წუთით მაინც გამომდიოდა თავიდამ, არამედ ისა, რომ ეს შეგნება იხატებოდა მხოლოდ მთრთოლვარე მღელვარებაში, რაღაც ტვინის შებრუების მსგავსად.*)

იუდიფი ნაკლებად ღებულობდა მონაწილეობას ბაასში; მხოლოდ, როცა ჩემი თვალები თითქო მისს წარმტაც სილამა-

---

*) ამ ჩემი მდგომარეობის ახსნის დროს არ უნდა დაივიწყოთ, რომ მთელს ჩვენს გარემოცულობაში, ჩვენსავე სასაუბრო საგანს გარდა არაფერი ისეთი არ იყო, რასაც ჩემი თავგადასავალის კვალზე დაეყენებინე. ძველს ბოსტონში, ჩემს მეზობლად, ბევრს კიდევ უფრო ჩემთვის უცხო დარბაზებს შევხვდებოდით ვინემ ეს იყო, რომელშიდაც ამ ჟამად ვიმყოფებოდი. მეოცე საუკუნის ბოსტონელების და მეცხრამეტე საუკუნის კულტურულ წინაპართა ლაპარაკი კიდევ უფრო ნაკლებად განსხვავდებოდა ერთი-ერთმანეთისაგან, ვინემ ამ უკანასკნელების საუბარი ვაშინგტონისა და ფრანკლინის

ზის ზედ გავლენით, მიაჩერდებოდნენ ხან-და-ხან მისს სახეა-
მე ვხედავდი, რომ მისი ღრმა, გამომეტყველებით სავსე თვა-
ლები ჩემკენ მოიმართებოდნენ. ცხადია, მე ძლიერს ინტერესს
ვუღვიძებდი მას, რაც არც გასაკვირი იყო ისეთი ფრთოვან
ოცნების პატრონი ქალისაგან. მართალია, ვფიქრობდი, რომ
მისი ინტერესის უმთავრესი მიზეზი ცნობის მოყვარეობა იყო,
მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც დიდს შთაბეჭდილებას ახ-
დენდა ჩემზე, რაც გარწმუნებთ, არ მოხდებოდა, ეს რომ ასე-
თი ლამაზი არ ყოფილიყო.

დოქტორი ლიტიცა და ქალებიც, ეტყობოდა, ძალიან
გაიტაცა ჩემმა მიწურ ოთახში დაძინების ამბავმა. თვითეულს
სხვა-და-სხვა მოსაზრება მოჰყავდა ჩემი აქ დავიწყების მიზეზად.
უკანასკნელი ფიქრი, რომელიც ყველამ ერთ-ხმად შევიწყნა-
რეთ, საკმაო სარწმუნო იყო, მაგრამ არც ერთმა არ ვიცოდით,
თუ რამდენად ადგა ის სინამდვილეს თავისს წვრილმანებშიაც.
როგორც ამტკიცებდა, ოთახს ზემოდამ დაყრილი ნაცარი, სახლი
დამწვარიყო. წარმოვიდგინოთ, რომ ცეცხლი გაჩნდა იმ ღამეს,
როდესაც მე დავიძინე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სოიერი დაი-
ღუპა ცეცხლში — დანარჩენი მას უკან თავის-თავად შემთხვევის
აუცილებელს შედეგს შეადგენს. გარდა სოიერისა და პილსბე-
რისა არვინ იცოდა არც იმ ოთახის არსებობა, არც ჩემი იქ
ყოფნა. ჩემს მაგნეტიზერს, რომელიც იმ ღამეს გაემგზავრა
ორლეანში, უთუოდ არაფერი გაუგია ცეცხლის გაჩენაზე. ჩემი
ნაცნობები და მეგობრები კი ალბათ დარწმუნდნენ, რომ მე
ცეცხლმა მიმსხვერპლა. ნანგრევების გადათხრას, თუ ძირამდის
არ დაიყვანდნენ, ვერ ამოაჩენდნენ ჩემი ოთახის შემადგენელს
საფუძველის კედლებში მომწყვდეულს სამალავს. უეჭველია, ამ

დროის საუბრისაგან. ტანსაცმელებისა და სახლის ავეჯების განსხვავება ამ
ორი ხანასი იმაზე მეტად არ იცვლებოდა, რასაც კი მოდა იძლევა ერ-
თის თაობის განმავლობაში.

ადგილზე რომ მაშინვე შენობა გამოეწყოთ ამ გვარი თხრილები საჭირო იქნებოდა, მაგრამ არეულს დროებსა და ადგილის უხერხულობას შეეძლოთ დაეშალათ შენობის აგება. ამ მიწაზე აზდილი ხეების სიდიდე, როგორც უფ. ლიტმა შენიშნა გვიმოწმებს, რომ ეს ადგილი, სულ ცოტა ნახევარ საუკუნის განმავლობაში უნაშენოდ დარჩენილა.

თავი V

საღამოს, როცა მე და ბ. ლიტი მარტონი დავრჩით, ის მომიბრუნდა და მკითხა: — ბ. ვესტ, შეიძლება მოსვენება გსურდეთ და ამ შემთხვევაში ლოგინი მზად არის, შეგიძლიათ სურვილი დაგიკმაყოფილოთ. ხოლო თუ ფხიზლობას ირჩევთ ჩემთვის მეტად სასიამოვნო იქნება, მეც ამხანაგობას გაგიწიოთ. მე თვითონ გვიან ძილსა ვარ ჩვეული — დაუმატა მან, — და პირფერობით არ ვიტყვი, შენებრ საყურადღებო მოსაუბრეს ძნელად შეხვდება კაცი. დამეთანხმეთ, რომ ძალიანი იშვიათი მოვლენაა მეცხრამეტე საუკუნის კაცთან ბაასი.

მთელი ეს საღამო ცახცახით მოველოდი იმ დროს, როცა მარტო უნდა დავრჩენილიყავი მთელი ღამე ამ ჩემთვის უცხოსა, მაგრამ ასეთს საყვარელ კაცებში, რომელიც თანაგრძნობითაც გამხნევებული და აღფურვილი ვიყავი, კიდევ შემეძლო ჩემი გონებითი სიმშვიდის შემონახვა. თუმცა ახლაც, როცა კი ბაასი შეწყდებოდა და ჩემს გამართობელს საგნებს მოვაკლდებოდი, ელვასავით თვალ-წინ მიკრთოდა ჩემი საოცარი მდგომარეობის საშინელება. ვიცოდი, რომ ამ ღამეს ძილი არ მეწერა და დარწმუნებულიცა ვარ, სილაჩრეს ვერვინ შემწამებს, თუ კი დაუფარავად აღვიარებ, რომ მაშინებდა უძილოდ წოლა და ფიქრი, როცა ჩემი მასპინძლის კითხვაზე მე გულახდით აღვიარე ეს, მან მიპასუხა, რომ გასაოცარი იქნებოდა მართლაც მსგავსი რაიმე არ მეგრძნო. — რაიცა შეეხება

უძილობას, — დაუმატა მან, — თქვენ ამაზე ნუ სწუხართ: როცა მოსვენებას დააპირებთ, ისეთს დასალევ საშვალებას მოგცემთ, რომელიც უთუოდ დაგაძინებსთ. ხვალ კი, უეჭველად, იმ გრძნობით გაიღვიძებთ, თითქო მთელი საუკუნე ამ ახალი ქვეყნის მკვიდრი ყოფილიყოთ.

— სანამ ამ გრძნობებს შევეჩვეოდე, — შევნიშნე მე, — სასურველია უფრო უკეთესად ვიცნობდე იმ ბოსტონს, სადაც ხელმეორედ მოვბრუნდი. როცა აივანზე ვისხედით, თქვენ მითხარით, რომ, თუმცა ჩემს ძილში ერთმა საუკუნემ განვლო, მაგრამ მან მეტი თვალსაჩენი ცვლილება შემოიტანა კაცობრიობაში, ვინემ წინად გავლილმა ათასმა წლებმაო. როცა ქალაქს გადავცქეროდი, უნდა უთუოდ დავრწმუნებოდი თქვენს სიტყვებს; მაგრამ ძალიან გულით მინდა გავიგო, სახელდობ რაში იხატებიან მოხსენებულნი ცვლილებანი. რადგან ეს უეჭველად რთული საგანია და საჭიროა რომელიმე ერთი კითხვიდამ დავიწყოთ — გთხოვთ მიპასუხოთ: როგორ გადაწყვიტეთ მუშების შესახები კითხვა, თუ კი როგორმე შეიძელით ეს? მეცხრამეტე საუკუნეში. ის სფინკსის *) გამოცანას შეადგენდა და იმ დროში, როცა გავქრი ქვეყნის პირიდამ ეს სფინკსი ჩაყლაპვას ემუქროდა საზოგადოებას, რადგან ვერ მოენახათ დამაკმაყოფილებელი ახსნა. რასაკვირველია, სანატრელია ასი წლის ძილი ამ კითხვის სწორი განაჩენის გასაგებად, თუ მართლა შეიძელით თქვენ როგორმე მისი დადგინება.

— რადგან ამ ჟამად არავითარი მუშების შესახები კითხვა არ არსებობს, — მიპასუხა ჩემმა მასპინძელმა. — და არც არავითარი საბაბი არა სჩანს მისს ასატეხად, მე მგონია, თამამად შემიძლია გიპასუხოთ, რომ ჩვენ ის გადავწყვიტეთ. მართლაც რომ საზოგადოება აღმოფხვრის ღირსი იქნებოდა, რომ ასე

---

*) სფინკსი — მითოლოგიური საშიშარი ცხოველი, რომელიც ვითომ ბრძნეულს გამოცანას აძლევდა გამვლელებს და ვინც ვერ გამოიცნობდა, ჰკლავდა.

უბრალო შინაარსიანი გამოცანის ახსნა ვერ მოეხერხებინა. ნამდვილად საზოგადოება არც რევია ამის ახსნაში, ეს, შეიძლება ითქვას, თავის-თავად გადაწყდა: ეს გამოცანის ახსნა მხოლოდ შედეგი იყო მრეწველობის გაძლიერებისა, რომელიც უთუოდ უნდა მომხდარიყო. საზოგადოებას ის-ღა დარჩენოდა, რომ მიეღო ეს გაძლიერება და ესარგებლებინა უმთავრესი მიმდინარეობით, როცა-კი ის სრულიად გაირკვა.

— მე მხოლოდ ამას ვიტყვი,—შევნიშნე მას,—რომ, როცა მე დავიძინე იმ დროში ჯერ კიდევ არვინ ამჩნევდა ამ მიმდინარეობას.

— მახსოვს, თქვენ ამბობდით, რომ დაიძინეთ 1887 წელს 30 მაისს.

ჩემი მოსაუბრე ცოტა ხანს დაფიქრებით შემომცქერდა და შემდეგ განაგრძო: „და თქვენ ამბობთ, რომ იმ დროს ბევრს არ ესმოდა რა გვარ კრიზისს უახლოვდებოდა საზოგადოება? რასაკვირველია, მე მწამს თქვენი სიტყვები. თქვენი თანამედროვეების რაღაც განსაკუთრებული სიბრმავე დროთა ბრუნვის საქმეში, ამ ჟამად საერთოდ მიღებული აზრია, რომელსაც ბევრი ჩვენი ისტორიკოსებიც ამტკიცებენ. ცოტაა ისეთი ისტორიული მოვლენა, რომელიც ჩვენთვის იმდენად გაუგებარი იყოს რამდენადაც ისა, რომ თქვენ თვალ წინ გედოთ მომავალ ცვლილებათა ყველა ნიშნები და ვერ შეიგენით-კი ის, როცა რომ ჩვენთვის ახლა იგივე ნიშნები ცხადნი და უცილობელნი არიან. ბ. ვესტ, ჩემთვის დიდად საინტერესო იქნებოდა უფრო განსაზღვრული ცნობა მიმეღო თქვენგან იმაზე, თუ რა შეხედულობის იყავით თქვენა და თქვენი წრის კაცები 1887 წლის საზოგადოების მდგომარეობასა და მისწრაფებაზე. ეს მაინც უნდა გცოდნოდათ, რომ ყველგან გავრცელებული სამრეწველო და საზოგადო არეულებანი რაიმე დიად ცვლილებათა მომასწავებელნი იყვნენ, რადგან ყველა „კლასები“ უკმაყოფილებას აცხადებდენ საზოგადოებაში არსებულ უთანასწორობაზე და კაცობრიობის საერთო სიღარიბისა გამო.

— რასაკვირველია, ეს გვესმოდა — მივუგე მე, — ჩვენ ვგრძნობდით, რომ საზოგადოების ხომალდმა დაჰკარგა ღუზა და უნდა ტალღების სათამაშოდ გამხდარიყო. საით გაიტაცებდა მას ქარი, არვინ იცოდა, მხოლოდ ყველას გვაშინებდა ის ბრაგას არსად დატაკებოდა.

— კი, მაგრამ მიმდინარეობა მისი მაინც სრული ნათელიანი იყო; საჭირო იყო მხოლოდ უფრო ახლო დაკვირვებოდით და შეამჩნევდი, რომ ბრაგასაკენ კი არ მიცურავდა ის, არამედ გარკვეულ სიღრმისაკენ.

— ჩვენ ერთი მეტად გაგრძელებული ანდაზა გვქონდა.— მიუგე მე,—რომ წინ ცქერას უკან მიხედვა სჯობიაო. ამ ანდაზის მნიშვნელობას, ცხადია, ახლა უფრო ვაფასებ, ვინემ ოდესმე. მხოლოდ იმას-კი ვიტყვი, რომ იმ დროში, როცა მე დავიძინე, მომავალზე ისეთი შეხედულობა ჰქონდათ, რომ არ გამიკვირდებოდა დღეს რომ შენი სახლის აივნიდამ შვენიერი ქალაქის ნაცვლად განახშირებული გახრწნილი და ხავს-მოდებული ნანგრევები დამენახა.

ბ. ლიტი ყურადღებით მისმენდა და ღრმა გამომეტყველებით დაიქნია თავი ჩემს სიტყვებზე.

— თქვენი ნაამბობი — მითხრა მან — საუკეთესო დამსაბუთებელია სტორიოტის აზრი თქვენს ხანაზე, თუმცა მისი აზრები თქვენი დროის კაცობრიობის ტვინის საერთო სიბნელესა და მოშლილობაზე ჩვეულებრივ გადამეტებულად არის ცნობილი. სრული ბუნებითია, რომ მსგავსი გარდამავალი დროებამი უნდა განსხვავებულიყო აზრების დრტვინვა—მღელვარებით. მაგრამ მღელვარე ძალთა გარკვეულ მიმართულებისათვის, ჩემი აზრით, საზოგადო ტვინის მოძრაობა უმთავრესად იმედისაკენ იყო მიმართული და არა შიშისაკენ.

— თქვენ კიდევ არ გითქვამთ, თუ რა პასუხი ჰპოვეთ გამოცანის ამხსნელად,—დავეკითხე მას.—მოუთმენლობით ვიდაგვი გავიგო, თუ როგორ მოხდა ისეთი გარდაქმნა ბუნებით მსვლელობისა, რომ დაამყარა ქვეყნად ის მყუდროება და კე-

მეტი ფართო კალაპოტი დაიპირა, მინამ ევროპაში, ამ საუკუნის უკანასკნელ წლებში ვერც ერთი კერძო წარმოება ბრაგვარ შესამჩნევ მრეწველობის დარგთა ვერ იმარჯვებდა კაპიტალის ხელ-შეუწყობლად. ამ საუკუნის უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში წრვილმანნი წარმოებანი სწრაფად ქრებოდნენ ან დუნდებოდნენ, როგორც ძლიერ კაპიტალთა პარაზიტები, ანა და ისეთ მცირე დარგებში ეჭირათ ალაგი, რომელიც ვერ იზიდავდა მომსხო კაპიტალისტებს. ამ გვარად პაწია წარმოებანი—იმ სახით, როგორშიაც დარჩენილიყვნენ კიდევ, იმ თაგვებისა და ვირთხების მდგომარეობაში ჩაცვივნულიყვნენ, რომლებიც მიკრუნჩხულან თავიანთ სოროებში და ცდილობენ არ შეამჩნევინონ თავი და ცოტა ხანი კიდევ განაგრძონ ამ წუთი სოფლის ცხოვრება. რკინის გზები ზედი-ზედ უერთდებოდნენ ერთმანეთს იქამდე, სანამ ძლიერ „სინდიკატთა“ მცირე უცხემა არ ჩაიბღუჯა ხელში თვითეული რელსი. საქარხნო ლ[illegible]ში თვითეული რომელიმე შესამჩნევი მრეწველობის დარგი [illegible]ციატების განკარგულებაში შევიდა. აი ეს სინდიკატები, [illegible]ართული თავდებობანი, მზრუნველობანი, ანუ როგორც ეს გაფიცხდნენ მათ, ადებდნენ ფასებს და მუსრავდნენ ყოველ-

— მეექეობას იმ შემთხვევებს გარდა, როცა მათივე ტოლი

— რა შირი დაარსდებოდა ხოლმე. ამის შემდეგ იწყებ[illegible]-

— მუშებრომელსაც მოჰყვებოდა ხოლმე კაპიტალის კიდევ პოვებდნენ თავიაზა. ქალაქის დიდი ბაზარი მუსრს ავლებდა „სინდიკატებისაგან. [illegible]ოქეებს პროვინციებში საკუთარის საწყო-

— საქმეც იმაშია,— ქალაქში-კი იქამდე სწუწნიდა თავის ასეთი ერთობა და გაფიცვანნი უბნის ვაჭრობას ერთს ჭერ-კიდევ უმეტესად შემოკრებამ კბრენით, რომელთაც თავის ნოსმე ყოფილა. სანამ ვაჭრობასა და [illegible]ტი, რა-კი მოკლებული შეძლებულ ფირმების (სავაჭრო სახლთ[illegible]ებოდა მოეთავსებინა მისდევდნენ პაწია ფულის პატრონნი, ე. ი. [illegible]ებთან შედიოდა მოებელთა ურიცხვი სიმრავლე და, სანამ მთელი [illegible] ფულისათვის რამოდენიმე პირთა ხელში არ შეგროვებულიყო, [illegible]

რომ უნდა მათივე „აქციები“ და „ობლიგაციები“ ეყიდნათ და ამ ნაირად ორ-გვარად ვარდებოდა მათს ბრეკყალებში.

ის ფაქტი, რომ თავ-განწირული სახალხო ბრძოლა (ოპოზიცია) წარმოებას რამოდენიმე ძლიერ ხელში შეკრების წინააღმდეგ უნაყოფოდ რჩებოდა იმას ამტკიცებს, რომ ამას ღირსშესანიშნავი ეკონომიური მიზეზები უნდა ჰქონებოდა. მართლაც ამ წვრილმან კაპიტალისტებმა თავიანთი აურიცხველი წვრილმანი სავაჭრო წარმოებანი იმიტომ დაუთმეს მსხვილ კაპიტალისტებს, რომ თვითონ ცხოვრების ვიწრო პირობათა ხანას ეკუთვნოდენ და ვერ აეღწიათ ორთქლის, ტელეგრაფების და ვაება წარმოებათა ხანის მოთხოვნილებამდე. ძველი წესწყობილების აღდგენა, მაშინაც-კი შესაძლებელი რომ ყოფილიყო, იმას ემსგავსებოდა, რომ „მალპოსტების“ ხანას მიბრუნებოდენ. მრუხედავად მსხვილ კაპიტალის აუტანელ ბატონობისა და ყველა მისგან წარმომდგარის შევიწროებისა, თვით ამ კაპიტალის სხვერპლიც წყევლა-კრულვისაგან ერთად უნებურად უნდა აღეარებინათ საერო მრეწველობაში გამოჩენილი „მაწარმოებელი ძალის“ (производительная сила) საოცარი წარმატება, ვაება დაზოგილი სიმდიდრე, მიღწეული წარმოებათა შემოკრებით და ამათი შენაგენობის ერთსულობით, და შეეგნოთ, რომ მას უკან, რაც ძველი წესი ახალზე შეიცვალა საქვეყნო სიმდიდრე იმ ზომამდე აიწია, როგორიც სიზმრადაც არვის მოჩვენებია იმ ჟამამდის.

რასაკვირველია, სიმდიდრის ასე ძლიერად წარმატებამ უმეტესად იმაზე იქონია გავლენა, რომ მდიდარი კიდევ უფრო გაამდიდრა და ამითი გააფართოვა მისსა და ღარიბს შორის დებული უფსკრული; მაგრამ, როგორც სიმდიდრის მომპოვებელი საშვალება, კაპიტალი შეიქნა მისი თანაბარ შეგროვების საზომ-შვამავლად. ძველი წესის აღდგენა სიმდიდრის გაყოფით შესაძლებელი რომ ყოფილიყო ეს, თქმა არ უნდა მეტს თანასწორობას შემოიტანდა ცხოვრებაში უფრო მეტი საპირადო ღირსებითა და თავისუფლებით, მაგრამ ამის მოღწევა შესაძლე-

ბელი წლის განმავლობაში უცქეროდა ის, რომ სინდიკატები
წარმა(შემოსავალს იღებდნენ, ვინემ სახელმწიფო და განა-
ნათ ან ასისა და ათასის ხალხის შრომას, მათს „მაწარმოე-
დამოძალას“ და ეკონომიას, რაც მიუწვდენელი იყო წვრილ
რა-კიიებაში. იძულებულნი იყვნენ დაურღვეველ ჭეშმარიტე-
ხი. აჭცნოთ, რომ რამდენადაც ფართოა წარმოება, იმდენად
კრებლოა მისი განმაწესიერებელი ძირითადი კანონი. როგორც
პოლი(ა უმარჯვესია ხელზე, აგრეთვე ალაგი უჭირავს მსხვილ
აღმდეებაში, როგორიც აღის თვალ-ყურს წვრილმანს საქმეებ-
ნებიუფრო უტყუარი შედეგი მოჰყვება ხოლმე. ამ გვარად
შეეჩეკატების წყალობით მოხდა ის, რომ იმ დროს, როცა
დაეჯ ერს უნდა მოეკიდნა ხელი თავის საჭიროების დასაკმა-
ლებლად, ეს აზრი უკვე თვით ჯაბან კაცების თვალშიაც
უკანასკ შეიცავდა არაფერს განუხორციელებელს. ეს სწორედ
და. საალელობის ნაბიჯი იყო, რომელიც წინაზე არ გადადგ-
პირებს,თუმცა ამასთან ყველასათვის ცხადი იყო, რომ რა-კი
ვითარი ა ერთად ერთი მონოპოლისტი წარმოების ნაწილში,
ნისა და ად უნდა განეთავისუფლებინა ეს წარმოება ყველა
კატს, საერსაგან, რომელთანაც იბრძოდა კერძო მონოპოლია.
ბული იყო

და ყველას ს
თქოს შეადგის.
მელმაც ჩაყლაპ

თ ა ვ ი VI

პიტალისტების ნა(
ერთი მწარმოებელი, დაჩუმდა; მეც ხმას არ ვიღებდი და ვცდი-
ყველა წინანდელ წვროვის ერთი საერთო შეხედულობა საზო-
რომლის მოგებასა და ტრადქმნაზე, რომელიც მოეხდინა ამ
ერი. ერთის სიტყვით, შეეერცვლილებას. უკანასკნელ მე მი-
წყვიტეს თვითონ იტვირთონ
ეწორედ ისე, როგორც ამ ასის ს გვარი გადიდება მართალი
ბგენ საქვეყნო მართვა-გამგეობას; ეკლ ძალად იხატება.
ნამდვილ იმ წესზე მოეწყვენ, როგორც ხა

— უფლების გადიდება! — განიმეორა მან, — სად არის აქ ეს გადიდება?

— ჩემ დროში, — მივუგე მე, — მართებლობის პირდაპირ დანიშნულებას შეადგენდნენ: მშვიდობიანობის დაცვა და ხალხის საზოგადო მტრების მოგერება, ე. ი. სამხედრო და საპოლიციო მთავრობანი.

— ერთი გამაგებინეთ, თუ ღმერთი გწამთ, ვინ არიან ეს საზოგადო მტრები? — წამოიძახა ლიტმა, — რომელია ეს — საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, თუ შიმშილი, სიცივი და სიღატაკე? თქვენს დროში მართებლობანი, სარგებლობდნენ რა საერთაშორისო მცირე უკმაყოფილობით, შეეჩვევნენ მოქალაქეთა საქმის მითვისებას და თვით მათ კი ასი ათასობით ყლეტავდნენ და ასახიჩრებდნენ, ფლანგავდნენ რა ამასთანავე მათ საკუთარს საუნჯეს. და ეს კი მომეტებულად ხდებოდა ვითომ თვით ამ სხვერპლთათვის რაღაც მოგონილ სარგებლობის გულისათვის. ჩვენში ახლა ომიანობა მოსპობილია და ჩვენს მართებლობას არა ჰყავს ჯარი, ხოლო თვითეული პირის დასაცველად სიცივისა, შიმშილისა და სიღატაკისაგან, და სხვა ყოველგვარ სხეულისა და ზნეობის საჭიროების საზრუნველად, ვალად აძევს მართებლობას განაგოს ერის სამრეწველო შრომა დადებულის წლის განმავლობაში. არა, ბ. ვესტ, მე მრწამს, რომ თქვენ თუ კარგა დაუკვირდებით, გაიგებთ, რომ ჩვენს დროში კი არა, თქვენს დროში იყო მართებლობის უფლება წრეს გადასული. ახლანდელს დროში უეჭველ საკეთილო მიზნისათვისაც კი ვერ ვანდობთ ჩვენ მთავრობას ისეთს უფლებებს, რომლითაც სარგებლობდნენ ისინი თქვენს დროში უმავნებელესს განზრახვათა განსახორციელებლად.

— თავი დაანებოთ შედარებას, — მივუგე მე, — მაგრამ ჩემს დროში ანგარება და მექრთამეობა სახელმწიფო პირთა უძლეველ დაბრკოლებას შეგვახვედრებდა სახელმწიფოსთვის რომ მიგვენდო საერო მრეწველობის გამგეობა. ჩვენი აზრით, იმაზე უარესი

წესი აღარა იქნებოდა რა, რომ „პოლიტიკოსების“ ხელში გადაგვეცა ქვეყნის მაწარმოებელი საშუალებანი, ეს საფუძველი სახალხო სიმდიდრისა. ქონებრივი ინტერესები ისედაც სათამაშოდ იყო გამხდარი იმ დროს სხვა და სხვა დასების ხელში.

— უეჭველია, თქვენ მაშინ მართალი იყავით,—მიპასუხა მან.—მაგრამ ეხლა ყოველივე შეიცვალა. ჩვენ არ გვყავს არც დასები, არც პოლიტიკოსები. რაიცა შეეხება ანგარებას და მექრთამეობას, ჩვენს დროში ამ სიტყვებს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა-ღა აქვთ.

— ამ შემთხვევაში ძლიერ უნდა შეცვლილიყო თვით ადამიანის ბუნება,—შევნიშნე მე.

— სრულებით არა,—მომიგო მან,—შეიცვალნენ მხოლოდ ადამიანის ცხოვრების პირობები და მასთან ერთად მაიძულებელნი საშუალებანი კაცთა ქცევაში. ჩვენი საზოგადო წეს-წყობილება მეტად აღარ აქეზებს სიფლიდეს; მაგრამ ეს ისეთი საგნებია, რომელთაც მალე გაიგებთ, რაკი დაახლოვებით გაგვეცნობით.

— ყველა—ყველა, მაგრამ თქვენ ჯერ კიდევ არ გითქვამთ ჩემთვის, როგორ გადასჭერით მუშების შესახები კითხვა. აქამდე ჩვენ მხოლოდ კაპიტალზე ვლაპარაკობდით,—შევნიშნე მე,—მაგრამ მას უკან, რაც ერმა ჩაიბარა გამგეობა ფაბრიკებისა, მაშინებისა, რკინის-გზებისა, მიწათ-მოქმედებისა, მადნეულობისა და საზოგადოდ მთელი ქვეყნის კაპიტალისა, მუშების საკითხი ისევ-ისე გაურკვეველი დარჩა. კაპიტალთან ერთად ერმა იკისრა კაპიტალიზმის მდგომარეობის ყველა სიძნელე.

— რაკი კაპიტალი ჩაიბარა ერმა, სიძნელეც გაჰქრა.—მიასუხა ლიტმა.—შრომის საერო წყობილება ერის გამგეობის ვეშ გახდა იმის სრული გადამწყვეტი, რაც თქვენს დროში ეა თქვენებურს წესებში სამართლიანად ირიცხებოდა გაურკვეელ მუშების შესახებ კითხვად. რაკი ერი შეიქმნა ერთად-ერთი პატრონე, ყველა მოქალაქე თავის მოქალაქებრიულ უფლე-

ბის ძალით მუშად იქცა და ეს მუშები მრეწველობის მოთხოვნილების თანახმად სწრაფად იყოფებოდნენ კლასებად.

— მაშ,—შევნიშნე მე,—მუშების შესახებ კითხვას თქვენ შეუსაბამეთ მხოლოდ საზოგადო სამხედრო ბეგარის პრინციპი, როგორც ესმოდათ ეს ჩვენს დროში?

— დიახ,—მომიგო მან;—ეს ისე თავის-თავად გადაწყდა, რაკი ერი გახდა ერთად-ერთი კაპიტალისტი. ხალხი უკვე შეეჩვია იმ აზრს, რომ სამხედრო ბეგარის გარდახდა ერის დასაცველად ვალია და უსაჭიროესი ყველა სხეულით ვარგის მოქალაქესათვის. რომ თვითეული მოქალაქე თანაბრად მოვალეა შეიტანოს სახელმწიფო მოთხოვნილებისათვის თავისი კერძი მრეწველობისა ან გონებითი ნაწარმოებისა—ესეც ცხადი იყო; თუმცა ამ გვარ ვალდებულების შესრულება რწმენით მისს აუცილებლობასა და სამართლიანობაში მოქალაქეს მხოლოდ მაშინ შეეძლო, როცა ერი გახდა სამუშაოს მიმცემი. არა გვარი შრომის წეს-რიგი არ იყო შესაძლებელი, სანამ წარმოება ასსა და ათას კერძო პირთა და კომპანიებს შორის იყო დანაწილებული, რომელთა შორისაც მოუხერხებელი იყო ერთსულობა და ნამდვილად—შეუძლებელიც. მაშინ განუწყვეტელი შემთხვევა იყო, რომ მრავალი მუშაობის მსურველი ვერ პოულობდა ვერაკითარ სამუშაოს; მეორეს მხრით იმას, ვისაც თავის დაძვრენა სურდა მოვალეობიდამ, ადვილად შეეძლო განეხორციელებინა საქმით ეს წადილი

— ეხლა უთუოდ სავალდებულოა ყველასათვის მონაწილეობა გაწეს-რიგიანებულს სახელმწიფო შრომაში?—შევნიშნე მე.

— ეს უფრო თავისით კეთდება, ვინემ იძულებით,—მიპასუხა მან—ეს ისეთ ხელ-შეუვალ ბუნებრივ და გონივრულ მოვლენად ითვლება, რომ მარტო აზრიც კი აქ იძულებაზე უადგილოა. ის პირი, რომელიც ამ შემთხვევაში ძალდატანებას საჭიროებს, წარმოუდგენელ ზიზღს გამოიწვევდა ყველასაგან. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, თვით ის სიტყვა „იძულება“ შეეს სახებ იმ შეხედულობისა, როგორისაც ჩვენა ვართ სამსახურზე

ვერ ახასიათებს სრულად მისს უეჭველ აუცილებლობას; მთელი ჩვენი სოციალური წეს-წყობილება დამყარებულია ამ საფუძველზე და გამოდის მისგანვე, ასე რომ, თუ ვინმე გაიფიქრებდა სამსახურის აკილებას, მას მოესპობოდა ყოველგვარი საშუალება თავის არსებობისათვის. ამით ის თითონ გამოირიცხავდა თავს ამ ქვეყნიდგან და დაშორდებოდა თავისავე მსგავსებს, ერთის სიტყვით—ჩაიდენდა თვით მკვლელობას.

—განა სამრეწველო ჯარში სამსახური სიკვდილამდის გასტანს?

— ოხ, არა; ერთიცა და მეორეც დაიწყება გვიან და თავდება უფრო ადრე თქვენი დროის საშვალ სამუშაო დრო-ჟამისა. თქვენი სახელოსნოები გამოვსებულიყო ბავშვებით და მოხუცებულებით. ჩვენ-კი, ყმაწვილობის ჟამს ვანდომებთ სწავლა-განათლებას, ხოლო სიმწიფის ჟამს, როცა ფიზიკური ღონე სუსტდება, ვეძლევით მყუდროებასა და ტკბილს მოსვენებას. სამრეწველო სამსახურის ვადას შეადგენს ოცდა-ოთხი წელიწადი, რომელიც იწყება სწავლის დასრულების შემდეგ, ოცდა ერთის წლის ასაკის დროს და თავდება მეორმოცდა ხუთე წლით. ორმოცდა ხუთიდან ორმოცდა ხუთმეტ წლამდე. თუმცა თგანთავისუფლებულნი არიან სავალდებულო მუშაობისაგან, მაგრამ განსაკუთრებულს შემთხვევებში მაინც ექვემდებარებიან სპეციალურს მოწვევას, როცა მოთხოვნილება იქნება უეცრივ სამუშაო ძალის მოსამატებლად; თუმცა ასეთი შემთხვევები იშვიათია და ნამდვილად კი თითქმის არაოდეს არ ხდება. თუთხმეტი ოქტომბერი ყოველ წლივ დანიშნულია, როგორც ვეძახით, „გარჩევის დღედ“, რადგან ამ დღეს, ვისაც ოცდა ერთი წელიწადი შეუსრულდა შედის სამრეწველო სამსახურში და ამავე დროსყველა ოცდა-ოთხის წლის დამსახურებული და მიღწეული 45 წლის ხნოვანებაზე, ღებულობს საპატიო თავისუფლებას. ეს დიდებული შემთხვევაა ჩვენში ყოველ წლივ; აქედამ ვიწყებთ ჩვენ ყველა სხვა შემთხვევათა ანგარიშს, ეს ჩვენი ოლიმპიადაა, *)

*) ოლიმპი იყო მაღალი მთა ფესალიაში (ეხლა ლახო); ამ მთაზე

რომელიც მითი თუ განსხვავდება ძველი ბერძნების ოლიმპიადასაგან, რომ ვასრულებთ მას ყოველწლივ.

თავი VII

ჩემის აზრით, აი ამ სამრეწველო ჯარის მოკრების უკან, —დავიწყე მე,—უნდა შეგხვდესთ უმთავრესი დაბრკოლება, რადგან ამითი ბოლოვდება მისი სამხედრო ჯართან მსგავსება. ყველა ჯარის კაცი უნდა ასრულებდეს ერთსა და იმავე და სულ უბრალო საქმეს, სახელდობრ ვარჯიშობდეს სიარულში, ყარაულობდეს და სწავლობდეს იარაღის ხმარებას. სამრეწველო ჯარმა კი ორასი და სამასი სხვა და სხვა გვარი მრეწველობა და ხელობა უნდა შეისწავლოს. რა ადმინისტრატიულ ნიჭს ძალუძს გადაწყვიტოს, ვინ რომელ მრეწველობასა ან ხელობას მოჰკიდოს ხელი?—ადმინისტრაციის საქმე აქ არაფერია.

— მაშ ვისზეა ეს დამოკიდებული?—ვკითხე მე.

— თვითეული პირი თვითონ ირჩევს თავისათვის სამუშაოს, თავის ბუნებითი ნიჭის შესაფერად. ამასთან წინდაწინვე მიიღება ყოველგვარი შესაძლებელი ზომა რომ თვითეულს შეეძლოს გაარჩიოს თავისი ჭეშმარიტი მისწრაფება. ჩვენი სამრეწველო ჯარის ძირითადი პრინციპი ისეთია, რომ კაცის ბუნებითი ღირსებანი, როგორც ზნეობრივი, აგრეთვე ფიზიკური, არკვევენ, თუ რა გვარის შრომით უფრო მეტი ნაყოფი შეუძლია მოუტანოს მან ერს და თავის-თავსაც მეტი კმაყოფილება მისცეს.

ძველი ბერძნების აზრით ცხოვრებდნენ ღმერთები; ფესალიაშივე იყო ქალაქი ოლიმპი, სადაც ყოველ წელიწადში ერთხელ მოხდებოდა ხოლმე ბერძენთა ეროვნული თამაშობა. ოლიმპის ღმერთი იუპიტერის პატივსაცემლად ხოლო ოლიმპიადა ნიშნავს იმ ოთხ წელიწადს, რომელიც ერთი ასეთი თამაშობიდან მეორემდე გაივლიდა.

სამსახურის საერთო ვალდებულობისაგან ვერვინ დაიხსნის თავს, მაგრამ სამსახურის რაგვარობა კი დამოკიდებულია ოავისუფალს არჩევაზე და ითხოვს მხოლოდ საჭირო გაწეს-რიგიანებას რაკი თვითეულის ცალკე დაკმაყოფილება სამსახურში დამოკიდებულია მაზე, თუ რამდენად მისი გემოვნებისაა არჩეული საქმე, ამიტომ მშობელნი და აღზრდელნი თვალ-ყურს ადევნებენ ყმაწვილში რომელიმე განსაკუთრებულ მიდრეკილებათა გამოჩენას. ჩვენებურ აღზრდის საყურადღებო ნაწილს შეადგენს პირველ-დაწყებითი გაცნობა საერო-სამრეწველო სისტემასთან და მის ისტორიასთან, და აგრეთვე ცოდნა ძირითადი კანონებისა ყველა ასე თუ ისე შესამჩნევ ხელობათა. ასეთი სამრეწველო მომზადება არ არღვევს ჩვენს საყოველთაო სწავლა-განათლების სისტემას, რომლის მიზანია გაგვაცნოს „საკაცთმოყვარეო“ მეცნიერება, და ეს სრულებით საკმაოა იმისათვის, რომ საერო წარმოების თეორიულ ცოდნასთან შეიძინოს აგრეთვე სამრეწველო იარაღებისა და მათი ხმარების საჭირო ცნობაც. ჩვენი ახალგაზდობა ხშირად ნახულობს სახელოსნოებს და კარგა ხანგრძლივ მოგზაურობასაც არ ერიდება სამეცნიერო მიზნით, რომ დაახლოვებით შეისწავლოს მრეწველობის სხვადა-სხვა დარგი. თქვენს დროში არვინ დაგიდევდა ყველა სხვა ხელობათა უცოდინარობას, თუ კი თავის სპეციალური საგანი ესმოდა. ჩვენს დროში კი ასეთი უვიცობა მოუთავსებელი იქნებოდა თითეულ მოქალაქის ვალდებულებასთან, რომელიც ავალებს მას, გონიერად და წინდახედულად აირჩიოს ხელობა, თავის ნიჭისა და მისწრაფების შესადარად. ახალგაზდა კაცი ჩვეულებრივ სამსახურში მიწვევას დიდის ხნით წინ ასწრებს არა თუ გაირკვიოს თავისი მისწრაფება, არამედ ბევრს ცნობებსაც იძენს არჩეულ საგნის შესახებ და მოუთმენლად მოელის იმ დროს, როცა ისიც ჩაერევა მის ხელობით—ამხანაგთა მშრომელ რაზმში. თუ მას არა აქვს სპეციალური მისწრაფება და ვერც ჰპოულობს ამორჩევისათვის საჭირო შემთხვევას, მაშინ მას აძლევენ ისეთს სამუშაოს, რომელიც არ თხოულობს

რაიმე განსაკუთრებულს ცოდნას, მაგრამ სადაც საჭიროა ძალა.

— უეჭველად — მიუგე მე — შეუძლებელია, რომ რომელიმე მრეწველობაში შრომის მსურველთა რიცხვი უთუოდ უდრიდეს არსებულს მოთხოვნილებას. ეს მსურველთა რიცხვი ალბათ მოთხოვნილებაზე მეტ-ნაკლები იქნება.

— მსურველთა რიცხვი მუდამ მოთხოვნილებას, უდრის — მიპასუხა ლიტმა. ამის თვალყურის დევნება ადმინისტრაციის საქმეა. თვითეული წარმოების კეთილ-მნებლებზე სწორი ანგარიში სდგება. თუ მსურველთა რიცხვი რომელიმე წარმოებაში აღემატა ამ ხელობისათვის საჭირო მოთხოვნილებას, მაშინ იმ აზრს ადგებიან, რომ ეს წარმოება სხვებზე უფრო მიმზიდველი ყოფილა. მეორე მხრით, თუ მსურველთა რიცხვი, რომელიმე შრომაში მცირდება, მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სამუშაო უფრო საძნელო ყოფილა. ადმინისტრაციის საქმეა მუდმივ იზრუნოს წარმოებათა თანასწორ მიმზიდველობისათვის, რამდენადაც-კი ეს დამოკიდებულია მუშაობის პირობებზე, რომ ყოველგვარი შრომა ერთნაირად იზიდავდეს იმათ, ვინც მისდამი ბუნებრივ მიდრეკილებას იჩენს. ამას ვასრულებთ სხვა-და-სხვა წარმოებაზე მეტ ნაკლები სამუშაო საათების დაწესებით, იმის მიხედვით, თუ რამდენად საძნელოა რომელიმე წარმოება. უადვილესს წარმოებას, რომელიც მეტ მიმზიდველ პირობებშია, მეტი სამუშაო საათები ენიშნება, როცა რომ საძნელო წარმოებაში, როგორც, მაგალითად, მადნების თხრაა, ძლიერ შემცირებულია სამუშაო ვადა. არ არის არც თეორია, არც მატემატიკური კანონი, რომელსაც შეეძლოს წარმოებათა შორის შედარებითი მიმზიდველობის გარკვევა. უმსუბუქებს რა ჯაფას მშრომელთა ერთს კლასს და უმძიმებს მეორეს, ადმინისტრაცია მხოლოდ თვალ-ყურს ადევნებს მომუშავეთა შორის აზრთა სხვა-და-სხვაობას, რომელიც იხატება იმაში, თუ რამდენი, რომელ წარმოებას ელტვის. პრინციპი ისეთია, რომ საზოგადოდ მუშაობის სიძნელე ყველასათვის გათა-

ნაბრებული უნდა იქნას, რის მსაჯულებიც თვითონ მუშები არიან. ამ კანონის უფლება უსაზღვროა, იმ შემთხვევაში, რომელიმე წარმოება რომ ისეთი უსიამოვნო დარჩეს თავის-თავად ან ისეთი შემავიწროებელი გავლენა იქონიოს, რომ მიმდევრების მისაზიდავად საჭირო გახდეს დღიური შრომის ათს წუთზე დაყვანა—ამას უთუოდ მოიქმედებენ. ხოლო თუ ამის შემდეგაც არვინ გამოჩნდა მსურველი ამ სამუშაოზე—ის რჩება უწარმოებლად. მაგრამ საქმით-კი სამუშაო საათების ზომიერი შემოკლება ან სხვა რაიმე შეღავათის მომატება საკმაოა შეავსოს მშრომელთა რიცხვი ხალხისათვის საჭირო წარმოებაში. თუ მართლა რომელიმე უსაჭიროესი სამუშაოს სიძნელე და ხიფათი ისეთი დაუძლეველი რამ გახდა, რომ ვერავითარმა ამ სამუშაოს გაუმჯობესებულმა უპირატესობამ ვერ შესცვალა ხალხის მისდამი სიძულვილი, ამ შემთხვევაში საკმაოა სრულიად გამორიცხოს ადმინისტრაციამ საათვალავიდამ ამ გვარი წარმოება და გამოაცხადოს, რომ ის, ვინც მას თავისს სპეციალურ საგნად აირჩევს, ერის მადლობის ღირსი გახდებაო,—მსურველთა რიცხვს ველარც-კი აუვლენ. ჩვენი ახალ-გაზდობა მეტად პატივ-მოყვარეა და არ ჩაატარებს უბრალოდ თავის ჩენის ასეთს შემთხვევას. თქვენ ხედავთ, რომ ეს მრეწველობის დამოკიდებულება სრულს თავის ნებით არჩევანზე მოკლებულია ანტი გიგიენურს პირობებს და ყველა სხვა სიცოცხლისა და დაშავების საშიშროებას. ყოველგვარ წარმოებაში სიმრთელე და უშიშროება უეჭველ პირობებად ითვლებიან. ერთი არცა ჰკლავს და არც ასახიჩრებს თავის მუშებს ათასობით, როგორც ამას შერებოდნენ თქვენი დროის კერძო კაპიტალისტები და სინდიკატები.

— ვთქვათ მოხდა, რომ მსურველთა რიცხვი რომელიმე სამუშაოზე საჭიროებას აღემატა, როგორ ექცევით ამ შემთხვევაში მოცილეებს?

— უპირატესობა ეძლევა იმათ, რომელთაც უკეთესი სახელი დაუმსახურებიათ წინანდელ სამსახურში, როცა ჯერ კი-

დევ შავს სამუშაოს ეწეოდენ, და აგრეთვე სწავლა-განათლების დროს განმავლობაში. ჯერ არასოდეს არ მომხდარა, რომ ვინც-კი თავ-გამოდებული ეძიებდა თავის ხელოვნების გამოჩენას რომელიმე იშვიათს საქმეში, დაბოლოს მაინც არ მიეღწიოს სასურველ მიზნისადმი. რაიცა შეეხება იმ წინააღმდეგს შესაძლოებას, როგორიც არს რომელიმე საიშვიათო სამუშაოზე მსურველთა რიცხვის უეცრივი შემცირება ან ძალის მომატების ანაზდეული საჭიროება—ადმინისტრაციას, რომელსაც მუდამ ახსოვს, რომ მოხელეთა რიცხვის შევსების საქმეში დაიცვას ჩვეულებრივი თავისუფალ არჩევნის წესი, ყოველ-ჟამს შეუძლია საჭიროებაზე მოიპოვოს მსურველნი—სპეციალისტები და აგრეთვე მოიწვიოს საჭირო ძალა სხვა გვარის სამსახურიდამ. საზოგადოდ-კი ყველა მაგნაირი მოთხოვნილება შესაძლოა დაკმაყოფილონ იმ კატეგორიის ძალისაგან, რომელსაც უსწავლელს მუშებს ეძახიან ანუ „შავ-მუშებს“.

— საიდამ-ღა იკრიბება ეს „შავ-მუშათა კლასი?—ვკითხე მე.—ამაზე ნებით მსურველნი უთუოდ არ უნდა აღმოჩდნენ.

— ეს საფეხურია, რომელიც ყველა ახლად გამოწვეულმა უნდა განვლოს პირველი სამი წლის სამსახურით. ამ ხნის განმავლობაში ისინი თავის უფროსების განკარგულებაში იმყოფებიან ყოველგვარ სამუშაოზე და მხოლოდ ამის შემდეგ აქვთ უფლება ახალი მოქმედების არჩევისა; ამ სამის წლის მკაცრს დისციპლინას კი ვერავინ დაახწევს თავს.

— ასეთი სამრეწველო წესი უზომო ნაყოფიერი უნდა იქმნას,—შევნიშნე მე,—მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ის საკეთილო დარჩეს მაღალ სამსახურის კაცთათვის, რომლებიც ტვინით ემსახურებიან ერს და არა ხელებით. მოაზრე მშრომლებიც რომ უთუოდ საჭირონი არიან თქვენთვის. როგორ-ღა უნდა გამოირჩეს ისინი მათგან, რომლებიც მხნელ-მთესველებად და ხელოსნებად არიან დანიშნული? ჩემი აზრით აქ დიდი გამჭრიახობა საჭირო.

— ასეც არის—მიპასუხა მან;—აქ სწორედ გულ-მომჭირნ

გამოცდაა საჭირო,—ამიტომაც არის, რომ ჩვენ მათვე ვაკისრებთ ამ კითხვის გადაწყვეტას: მოაზრე მშრომელი უნდა გახდეს ის, თუ ხელოსანი. სამი წლის შავი მუშაობის უკან, რომელიც ყველამ უნდა განურჩევლად გამოვლოს, მას ნება ეძლევა მისი ბუნებითი ნიჭის შესაფერად აირჩიოს მოსამზადებელი მეცადინეობა ან რომელიმე ხელოვნებისათვის, ან მეცნიერულ პროფესიისათვის ანა და ხვნა-თესვისა და ხელობისათვის. თუ ის გრძნობს, რომ ტვინით მუშაობა უფრო ეადვილება ვინემ სხეულით, მაშინ ეძლევა მას ყოველი საჭირო საშუალება შენიშნული ნიჭის გამოსაცდელად და განსავითარებლად და იმ შემთხვევაში, თუ კი გამოსადეგი შეიქნა ის არჩეულ პროფესიისათვის, ყოველგვარი საშვალება ეძლევა მეცადინეობის გასაგრძობად მისს სპეციალურ საგანზე. ყველა სამეცნიერო სკოლები: სახელოსნო (ტეხნოლოგიური), სამკურნალო, სახელოსნო, სამუსიკო, სადრამატიულო ხელოვნებისა და მაღალ თავისუფალ მეცნიერებათა—ყველა ეს სკოლები მუდამ ჟამს უსათუოდ ღია არიან ყველა სწავლის მსურველთათვის.

— და არ ივსება კი ეს სკოლები ახალგაზდობით ერთადერთის მუშაობის აცდენის აზრით?

ჩემი მოსაუბრე დაიმანჭა.

— მე თქვენ გარწმუნებთ, რომ ერთიც არავინაა ისეთი, რომელიც სამეცნიერო და სახელოვნო სკოლაში იმიტომ შევიდეს, რომ მუშაობა აიცილოს,—მიპასუხა მან. ეს სკოლები იმათი დანიშნულებაა, რომლებიც განსაკუთრებულს ნიჭს იჩენენ მათში სასწავლ საგნების შესახებ და ის, ვინც ასეთი ნიჭის პატრონი არ არის, უფრო ადრე ირჩევს ორკეცს სავადო შრომას თავის სახელოსნოში, ვინემ იმას სდიოს, რომ არ ჩამორჩეს საზოგადო თანასწორობას კურსებსა და კლასებში. ცხადია, ბევრი გულწრფელად ცდება თავის მისწრაფებაში და ვერ აკმაყოფილებენ რა სკოლის მოთხოვნილებას, თავს ანებებენ მას და უბრუნდებიან სამრეწველო ჯარს, ასეთ კაცებს სრულიადაც არ აკლდებათ პატივის ცემა, რადგან საზოგადო

სამმართველოს დანიშნულებაა წააქეზოს კაცში შენიშნული ნიჭის განვითარება, რა ნიჭის არსებობაც მხოლოდ საქმეში დაინახება. თქვენ დროში მეცნიერებისა და ხელოვნების სკოლები ქონებრივად დამოკიდებულნი იყვნენ სწავლების სასყიდელზე და, ვგონებ, დიპლომებით დაჯილდოება უნიჭო კაცებისა, რომლებიც პოულობდენ გზას დაეპირათ თანამდებობა შესაბამ სამსახურში, წესიერ მოვლენად ითვლებოდა. ჩვენი სკოლები საერო დაწესებულებანია და გავლილი საგნების ჯეროვანი ცოდნა გამოცდის დროს მისი ჩინებული ნიჭის უცილობელი თავდებია.

ამ მაღალ განათლების მისაღებად ყველასათვის ღიაა კარი მისი ხნოვანების ოცდა-თუთხმეტ წლამდე, ამ ხნოვანების შემდეგ კი არვის ღებულობენ სასწავლად, რადგან მათი განთავისუფლების ვადამდე ცოტა დრო რჩება საერო სამსახურისათვის მათ სპეციალურ საგანში. თქვენ დროში ახალგაზდა კაცები ძლიერ ადრე ირჩევდნენ თავის სპეციალურ საგანს და ამიტომ, უმეტესს შემთხვევაში, ცდებოდენ თავიანთ მისწრაფებაში. ჩვენ დროში კი დამტკიცებულია, რომ ბუნებითი მიდრეკილებანი ზოგს ადრე ეხსნებიან, ზოგს გვიან და ამიტომ სპეციალური საგნის არჩევა შესაძლებელია მხოლოდ მეოცდა ოთხე წელზე, თუმცა ამის შემდეგაც თერთმეტის წლის განმავლობაში მას გზა გახსნილი აქეს. ამას ისიც უნდა დავუმატოთ რომ შესაძლებელია აგრეთვე ერთი ნაადრევად არჩეულ ხელობიდამ ბოლოს მოწონებულ ხელობაზე გადასვლა, განსაკუთრებულის განსაზღვრით 35 წლის ხნოვანებამდის.

კითხვა, რომელიც ათჯერ მაინც მომადგა ენაზე სათქმელად და მხოლოდ ეხლა წარმოვსთქვი, ეხებოდა იმას, რასაც ჩვენს დროში ისე გასაკირად რაცხდენ მრეწველობის გამოცანის ასახსნელად.

— საკვირველია,—დავიწყე მე.—რომ თქვენ აქამდის სიტყვაც არ წამოგცდენიათ დაჯილდოების შესახებ. რა-კი ერი ჩნდება ერთად-ერთ მეპატრონედ, მართებლობამ უნდა აღნიშ-

ნოს დაჯილდოების ზომა და სისწორით დაადგინოს, რამდენია სახელდობრ თითეულისათვის საჭირო შრომის ფასად — სწავლულთაგან მოკიდებული უკანასკნელ მადნის მუშამდის. ყველა, რის თქმაც შემიძლია, ეს ისაა, რომ ჩვენ დროში ყოველად შეუძლებელი იყო ასეთი რამე და, მე. არ მესმის, როგორ შეიძლება მისი ამ დროში განხორციელება, თუ თვით ადამიანის ბუნება არ შეცვლილა. ჩემს დროში არვინ კმაყოფილი არ იყო თავის ხელფასით ანუ ჯამაგირით. თუნდა ისიც გაჰგებოდა, რომ საკმაოდ ღებულობს, მაინც კიდევ თითეული მათგანი დარწმუნებული იყო, რომ მისი მეზობელი მეტს ღებულობს და ეს-კი მისთვის გულში ლახვარი იყო. რაც ამის გამო საერთო უკმაყოფილება სუფევდა ის რომ გაფიცვებისა და ურიცხვ მწარმოებელთა სახელზე წყევლა-კრულვის გზავნის ნაცვლად, ერთს რამეს დასწოლოდა, სახელდობრ მთავრობას რაც უნდა ძლიერი ყოფილიყო ეს მოთხოვნილება ორს ქირა-გადასახდელ დღესაც ვერ გაუძლებდა.

ჩემმა მოსაუბრემ გულიანად გადიხარხარა.

— სრული ჭეშმარიტებაა, სრული ჭეშმარიტება, — მომიგო მან, — ქირა-გადახდილ პირველსავე დღეს უთუოდ საერთო აჯანყება მოყვებოდა და მართებლობის წინაალმდეგ აჯანყება ხომ რევოლიუციაა.

— როგორ-და იცილებთ თქვენ ამ რევოლიუციას ჯამაგირების დარიგების დღეს? — ვკითხე მე. — ან იქნება ვინმე უცნაურმა ბრძენმა მოიგონა ისეთი ახალი საანგარიშო სისტემა, რომელიც ყველას აკმაყოფილებს განთვითებითი? (обсолютный) და შედარებითი შეფასებით ყოველგვარ შრომისა, სხეულით, ტვინით, ხელით ან ენით, სმენით ან მხედველობით? ან არა და ადამიანის ბუნება შეცვლილა ისე, რომ არვინ ყურს არ უგდებს თავის საკუთარს საქმეებს და ზრუნავს მხოლოდ მეზობლის ქონებაზე? ან ერთი უნდა ვიფიქროთ ან მეორე, სხვაფრივ ამის ახსნა შეუძლებელია.

— არც ერთი მომხდარა, არც მეორე, — სიცილით მომიგო

ჩემმა მასპინძელმა.—ახლა კი ბ. ვესტ,—განაგრძო მან-—უნდა მოგაგონოთ, რომ თქვენ იმდენადვე ავადმყოფი ხართ ჩემი, რამდენადაც სტუმარი, და ამიტომ ნება მომეცით გამოგიწეროთ ძილი ჩვენს ახალ საუბრამდეს. აგერ ღამის სამ საათზე მეტია.

—ბრძნული წამალია, ეჭვი არ უნდა,—შევევშნე მე,—მაგრამ ძალიან ცოტა იმედია, რომ მე დაძინება შევძლო.

—ეს ჩემი საქმეა,—მიპასუხა მან და აღასრულა კიდევაც თავისი სიტყვა, დამალევინა რა ერთი პაწია ჭიქა რაღაც ისეთი, რომელმაც იმ წამსვე მიმაძინა, როგორც კი ბალიშისაკენ გადავხარე თავი.

თავი VIII

როცა გამომეღვიძა, უფრო მხნედ ვგრძნობდი თავს და დიდხანს დავყავი მწოლარემ მთვლემავს მდგომარეობაში, ვტკბებოდი რა სხეულის სიმშვდით. ჩემი წინა დღის შთაბეჭდილება მეოცე საუკუნეში გამოღვიძება, ახალი ბოსტონის სახე, ჩემი მასპინძელი და მისი ოჯახობა, სასწაულები, რომელზედაც მელაპარაკებოდნენ—ყველა ესენი ერთიან გამიქრა მეხსიერებიდამ. წარმომიდგა, რომ ვითომ ჩემს საკუთარს სახლში ვწევარ, საწოლ ოთახში. ამ ნახევრად მთვლემავსა და ნახევრად შეგნებულს მდგომარეობაში ფიქრები მიხატავდნენ მე სურათს ჩემი წინანდელი ცხოვრებისას, ბუნდად მაგონდებოდა ყოველი წვრილმანობა „გამოჩინების დღისა“, ჩემი გამგზავრება იუდიფთან და მისს მშობლებთან ერთად მოუნტ-ობერში, ჩემი მათსას სადილობა ქალაქში მობრუნების უკან... მომაგონდა იმ დღევანდელი იუდიფის სიმშვენიერე, რამაც მაფიქრებინა ჯვარის-წერა. მაგრამ ისიც იყო შევტოპე ამ სასიამოვნო ამბების მორევში, რომ ჩემი ოცნებანი შეწყვიტა ჩემი არხიტექტორისაგან იმ საღამოს მიღებულ წერილის გახსენებამ, სადაც ის მწერდა, რომ ახალ გაფიცვას შეეძლო განუსაზღვრელ დროისათვის გადაედო

ჩემი ახალი სახლის შენება. ამ მოგონებით გამოწვეულმა სიბ-
რაზემ სრულიად გამომაფხიზლა. მომაგონდა, რომ 11 საათი
დანიშნული დრო მქონდა გაფიცვის შესახებ მოსალაპარაკებ-
ლად ჩემს არხიტექტორთან და გავახილე თვალები შემეხედნა
ტახტის ბოლოზე მიმაგრებულ „ციფერბლატისათვის“ (საათის
მაჩვენებელი მანქანაა), რომელი საათი იყო. მაგრამ თვალებმა
ვერ იხილეს იქ საათის მაჩვენებელი მანქანა და მყისვე ვიგრძენი,
რომ ჩემს ოთახში არ ვიყავი. წამოვჯექი ტახტზე და გიჟივით
ვათვალიერებდი ირგვლივ ამ უცხო შენობას.

ჩემი ფიქრით არა ერთი და ორი წუთი დავყავი ლოგინზე
ამ გამოურკვეველ მდგომარეობაში, გაშტერებული ვიცქირე-
ბოდი ირგვლივ და ვერ დავრწმუნებულიყავი ჩემს საკუთარს
ბინაობაში. ამ წუთებში ისე არ შემეძლო გამეცალკევებინა
ჩემი „მე“ უსაზღვრო (обсолютный) არსებობისაგან, როგორც
არ შეიძლება ეს განცალკევება დაუშვათ ახალს ჩანასახს სულ-
ში, როცა ის ჯერ კიდევ არ შეუმოსავს მიწიერ საფარველს,
როცა ჯერ არ აღბეჭდილა მასში პიროვნული ნაქვთი, რომე-
ლიც ჰქმნის მისგან ვინაობას. საოცარია, რომ ამ უღონო-
ის გრძნობა ასეთი მტანჯველია, მაგრამ ასეთად გავჩენილვართ.
ერც-კი გამომითქვამს ის სულიერი გვემულება, როგორიც
ამოვკლე ამ უნუგეშო, ბრმა ძიებაში, ჩემივე თავის შინჯვა-
ში ამ უსაზღვრო ამოებათა შორის. უთუოდ ვერავითარი სხვა
ნეობრივი შთაბეჭდილება ვერ შეედრება გრძნობას. სრული
ონებითი უმოძრაობისას, რომელიც იწყება დაკარგვით სუ-
ლიერის ნუგეშისა, ამ ჩვენი აზროვნობის სამოძრაო წერტი-
ლისა მაშინ, როცა ჩვენი საკუთარის „მე“-ს შეგნება ანაზდე-
ლად იხშვება. იმედი მაქვს, რომ ამიერიდგან არაფრის მსგავ-
ს გამოცდა არ მომიწევს.

არ ვიცი, რამდენს ხანს გასტანა ამ მდგომარეობამ — მე ის
აუსრულებლად მეჩვენა — რომ უეცრივ, ელვის მსგავსად, ისევ
ბრბინა ჩემში ყოველსავე გამოვლილის მოგონებამ; მომა-
ონდა სადა ვარ, ვინა და როგორ ჩამოვარდი აქ, აგრეთვე

ისიც, რომ ჩემს გონებაში ანაზდეულად აღძრული წასული სცენები, თუმცა გუშინდელ ამბავად წარმომიდგა, შეეხებოდა უკვე დიდხნიდამ დამიწებულს თაობას.—ვისკუპე ტახტიდამ და გავჩდი ოთახის შვაგულში; საფეთქლებზე მაგრად ვაჭერდი ხელებს, რომ არსად გამსხლტომოდენ. მერე ისევ ჩავეცი ქვეშსაგებში, წავრგვევი თავი ბალიშში და გავიტრუნე, შემდეგ გონებითი აფორიაქებისა და ნერვულ ციებისა, რაც პირველი შედეგი იყო ჩემგან გამოვლილი საშინელის განსაცდელის,— დაიწყო მოსალოდნელი კრიზისი. დადგა წამი სულიერი მღელვარების უარესობისა, რაც გამოიწვია ჩემში ჩემი ნამდვილი მდგომარეობის შეგნებამ და ყველა მან, რასაც-კი ეს მდგომარეობა ითავსებდა. კბილების ღრჭიალით და აძგერებულის გულით ვიწევი და ვებღაუჭებოდი ტახტის კოჭებს ვებრძოდი-რა გონების სიბნელეს. ყოველივე ირეოდა ჩემს ტვინში: გრძნობები, იდეათა ასოციაციები, წარმოდგენანი ხალხზე და სხვა საგნებზე—ყველაფერი აირ-დაირია, დაჰკარგა კავშირი, სდუღდა და გადმოდიოდა ამ წარმოუოქმელს უთავ-ბოლოობაში. აქ აღარაფერი იყო, არც შემაერთებელი წერტილი და არც სხვა რამე მკვ-დრი. დამრჩენოდა ერთად-ერთი ნება. მაგრამ რომელი ადამიანის ნებას შეეძლო ეთქვა ამ აზვირთებულ ზღვისათვის: „წყნარად, დამშვიდდიო;“ მე ამაზე ფიქრსაც ვერ ვბედავდი. ყველა ცდა განსასჯელად ჩემი შემთხვევებისა, ყოველი ძალ-დატანება ჩემი მდგომარეობის ასახსნელად საშინლად მიბრუებდა თავს.

ის აზრი, რომ მე ორი ვარ, რომ ჩემი არსებობა ორ პიროვანია—საშინლად მიტაცებდა მე, რაკი ასე ადვილად ხსნიდა ჩემს სამწუხარო შემთხვევას.

მე ვგრძნობდი, რომ გონების სასწორი ირხეოდა. ამ ფიქრებით მოცულს რომ ცოტა კიდევ დამეყოვნა მწოლარე მდგომარეობაში, აუცილებლად დავიღუპებოდი. ჩემთვის საჭირო იყო რაიმე გასართობი, თუნდა უბრალო სხეულის ვარჯიშობით; სწრაფად წამოვარდი ლოგინიდამ, საჩქაროდ ჩავიცვი, გამოვედ

ოთახიდამ და ჩავიარე კიბე. ჯერ კიდევ ადრე იყო, ახლად თენდებოდა და ამიტომ არავის შევხვედრივარ სახლის ქვედა სართულში. დერეფანში ქუდი მქონდა დატოვებული. გავაღე ოდნად მოხურული კარი,—ალბათ ახლანდელს ბოსტონში არაგვარი ქურდობის შიში არ ჰქონდათ,—და გავჩდი ქუჩაში. მთელი ორი საათი მოუსვენრად დავხეტიალობდი, ანუ უკეთა ვსთქვათ დავრბოდი ქალაქის ქუჩებში და თითქმის ყველა უბანის დავლა მოვასწარ ამ ნახევარ-კუნძულზე. არ ვფიქრობ, რომ ვინმემ შესძლოს დაახლოვებით მაინც დააფასოს ის თავბრუს დამხვევი სიამოვნება, რომელიც წილად მხვდა ამ ცოტა ხნის განმავლობაში. გარდა არხეოლოგისა, რომელიც ძლივს სულ რაღაც მცირე განსხვავებას ჯღაბნის ახლანდელსა და მეცხრამეტე საუკუნის ბოსტონს შორის. მართალია, წინა დღითაც უცნაურად მეჩვენა მე სახლის აივნიდამ ეს ქალაქი, მაგრამ ეს მარტო მისს საერთო ცვლილებას ეხებოდა. ამ ქალაქის სრული გადახალისება-კი ქუჩებში ხეტიალის დროს შევნიშნე. აქა-იქ დარჩენილი ძველი მოსაზღვრე ნიშნები კიდევ უფრო მიძლიერებდა ამ შთაბეჭდილებას, და უამათოდ-კი სულ ჯეხო ქალაქში მეგონებოდა ჩემი თავი. ხომ შეიძლება, რომ ბავშობისას მოსცილდე შენს სამშობლო ქალაქს და ორმოცდა ათის წლის შემდეგ ისევ დაბრუნებულმა ბევრგვარად გადასხვაფერებული ნახო ის. გაჭკვირდები, მაგრამ არ დაიბნევი—იცი, რომ მას უკან დიდი დრო გავდა, რომ შენც იგივე აღარა ხარ, რაც იყავი; შეგიძლია, თუმცა ბუნდად, მაგრამ მაინც მოიგონო ის ისეთად, როგორაც მას ბავშობისას იცნობდი. ნუ დაივიწყებთ, რომ მე წარმოდგენაც-კი არ შემეძლო გავლილი დროს შესახებ. ჩემი პირადი თვითგრძნობიერებით ჯერ კიდევ გუშინ, ამ რამდენიმე საათის წინად დავდიოდი ამ ქუჩებში, სადაც ახლა ყველაფერი სრულს გარეაქმნა-გადახალისებას მისცემია. ჩემს გონებაში ძველი ქალაქის ხეზე იმდენად ნათელი და ცხოველი იყო, რომ არ უვარდებოდა იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა ჩემზე ახალმა ბოსტონმა, თითქმის ებრძოდა კიდევაც, ასე რომ რიგ-რიგად ხან

ძველი ბოსტონი მეჩვენებოდა უფრო ზღაპრულად. ყველაფერი, როგორც ვხედავდი, ისე ბუნდად მიჩდებოდა, როგორც ერთსა და იმავე ქაღალდზე ერთი-ერთმანეთზე გადაღებული სახეები.

ბოლოს მივაღწიე ძლივს ისევ იმ სახლის კარებს, საიდამაც გამოვედი. ფეხებმა ინსტიქტურად მიმიყვანეს ჩემ ძველ ნამოსახლზე, თორემ იქ მიბრუნების ნათლად შეგნებული ფიქრი სრულებით არ მქონია. ეს სახლი იმდენადვე მეკუთვნოდა მე, რამდენადაც რომელიმე უბანი ამ ჩემ უცნობი შთამომავლობის კუთვნილი ქალაქისა. არც ამ ქალაქის მკვიდრნი იყვნენ მასზე მეტად ნაცნობნი ჩემთვის, რამდენადაც ნაცნობნი იყვნენ მთელი ხმელეთის მამაკაც-დედაკაცნი. სახლის კარები რომ დაკეტილი დამხვედროდა და მის გასაღებად ცდას ამაოდ ჩაეფლო ჩემთვის, ვიფიქრებდი, არ მქონია მასში შესვლის უფლება თქო და დამშვიდებული გამოვბრუნდებოდი უკანვე. მაგრამ კარები შეხებისათანავე დამემორჩილნენ და გაუბედავის ნაბიჯით გავიარე დერეფანი და შევედი ერთს მახლობელს ოთახში.

შესვლისათანავე ჩავეცი სავარძელში და დავიფარე ხელებით ცეცხლ-შემონთებული თვალები, რომ დავმალოდი ამ სიმარტოვის გრძნობის საშინელებას. ძლიერმა სულიერმა ღელვატოკვამ გამოიწვია ჩემი სხეულის მოშლილობა და ნამდვილი ავადმყოფობა. არ შემიძლია ავწერო ამ წუთებში გამოვლილი ტანჯვა-წვალება, როცა, მეგონა, აუცილებელი იყო ტვინის გამოფუყება—გალაყება ან ის საშინელი უნუგეშობის გრძნობა, რომელმაც ერთიან მომიცო! სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ხმა-მაღლა ამოვიკვნესე და თითქმის ვიგრძენი, რომ თუ ამ წამში არსაიდამ მშველელი არ გამიჩდებოდა, ჭკვიდამ უნდა შევშლილიყავი. მაგრამ ბედზე მშველელიც მეწვია. ფარდის შრიალმა მოძახედა. ჩემ წინ იდგა იუდიფ ლიტი. მისი ტურფა სახე სავსე იყო ჩემდამი სიბრალულითა და თანაგრძნობით.

— ახ, რა ამბაკია, ბ. ვესტ?—მკითხა მან.—მე აქ ვიყავი, როცა თქვენ შემოდით, შევამჩნიე თქვენი აღელვებული მდგომარეობა, და როგორც კი თქვენი კვნესა შემომესმა, ველარ

შევიძელი წაყრუება. რა შეგემთხვათ? სად იყავით დღეს? არ შემიძლია რამე შემწეობა მოგცეთ?

შეიძლება მან, თანაგრძნობით გატაცებულმა, უნებლიეთ გამოიწვადა ჩემკენ ხელი ამ ლაპარაკის დროს. როგორც უნდა ყოფილიყო მე იმ თავ-დაცვის ინსტიქტიურის გრძნობით მივარდი და ჩამოვეკიდე მისს ხელებს, რა გრძნობითაც წყალში ჩავარდნილი ებღაუჭება მისს სახსნელად გადასროლილს თოკს. ხოლო როდესაც მისს აღმძვრელ სახესა და ნამიანს თვალებს შევხედე, გონება დამიმშვიდდა. ადამიანურ სიბრალულის სიტკბოებამ, რომელიც მის თითების ნაზ შეხებაში ვიგრძენი, მომანიჭა მე საჭირო ძალა. მისი დამამშვიდებელი და მონანავე გავლენა ემსგავსებოდა სასწაულ-მომქმედს „ელექსირს“.

— ღმერთმა გაკურთხოთ,—ამოვილაპარაკე რამოდენიმე წუთის უკან,—თვით უფალმა გამომიგზავნა თქვენი თავი სწორედ ამ წამში. თქვენ რომ არ გამომჩენოდით, აუცილებელი იყო ჩემი ჭკვიდამ შეშლა.

მის თვალებს ცრემლი მოადგა.

— ~ ხ, ბ. ვილტ,—წარმოიძახა ქალმა.—რა გულ-ქვა ადამიანება უნდა ვიყოთ ჩვენ თქვენი აზრით! რად დაგტოვეთ მარტოდ-მარტო ამდენის ხნით! მაგრამ აწი ხომ•აღარაფრის შიშია? თქვენ ხომ უკეთა ხართ ახლა, არა?

— დიახ,—წარმოვიძახე მე,—თქვენი შემწეობით. ცოტა ხანს რომ კიდევ დაჰყოფდეთ ჩემთან, მალე სრულიად განვიკურნები.

— რასაკვირველია, დავრჩები,—მითხრა მან სახის იმ ნაზი შეკრთომით, რომელიც ბევრად უფრო ნათლად ხატავდა მის ჩემდამი სიმპატიას, ვინემ ეს შეეძლო გამოეხატა მთელს ასკეცა ყმედობას.—ჩვენ ისე გულ-ქვა არსებად არ უნდა ჩაგვთვალოთ, როგორც ეს პირველად ეჩვენება კაცს, იმისთვის, რომ მარტოკა დაგაგდეთ. მე თითქმის მთელი ღამე არ მიძინებია და იმაზე ვფიქრობდი, თუ რა საოცრება იქნებოდა თქვენთვის ამ დილინდელი გამოღვიძება; მამა არ ფიქრობდა, თუ

თქვენ ასე ადრე გაიღვიძებდათ. მან გვირჩია, პირველად არ გვეჩვენებინა თქვენთვის გადამეტებული თანაგრძნობა, არამედ აღმოგვეფხრა როგორმე თქვენი შავი ფიქრები და გვეგრძნობინებინა, რომ მეგობრებში ხართ.

— რაც თქვენ სისწორით აღასრულეთ, – მივუგე მე, — მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ ასის წლის თავს გადახტომა ხუმრობა არ არის. მართალია, გუშინ საღამოს როგორღაც კარგად თითქო ვერ ვამჩნევდი ჩემი მდგომარეობის უცნაურობას, მაგრამ დღეს დილით-კი მეტად უსიამოვნო გრძნობებმა შემიპყრეს.

ჩვენ ვ-დექით ხელი-ხელს ჩაკიდულნი და არ ვაშორებდი თვალებს მის სახეს. ამ გარემოებაში თითქმის ხუმრობაც კი დავიწყე და დავცინოდი ჩემს მდგომარეობას.

—არვის ფიქრადაც არ მოგვსვლია, რომ თქვენ მარტო წახვიდოდით ქალაქში ასე ადრე, — განაგრძო მან. — სად იარეთ, ბ. ვესტ?

აქ მოვყევი და ავუწერე მას ჩემგან ამ დილას გამოვლილი შთაბეჭდილება — მღელვარებანი გამოღვიძების წამიდამ დაწყებული იმ წამამდე, როცა ავიხედე და დავინახე ის ჩემ წინ მდგარი, — ყველა რაც უკვე იცის მკითხველმა.

იუდიფმა დიდის ყურადღებით მოისმინა ჩემი ნაამბობი და, მიუხედავად მისა, რომ მისი ერთი ხელი უკვე განვათავისუფლე, მას არც უფიქრია მეორე ხელიც გაენთავისუფლებინა ჩემგან; უეჭველია, ესმოდა, თუ რა კეთილად მოქმედებდა ჩემზე მისი ხელის შეხება.

— რამოდენიმედ შემიძლია წარმოვიდგინო, რა სახისაა ეს გრძნობა, — შემნიშნა მან, — ის ალბათ ამაზრზენებელი რამ იყო, და თქვენ-კი მარტო უმკლავდებოდით მას! მოგვეტევება ოდესმე თქვენგან ეს ბრალი?

რაც იყო, ის გაჰქრა. ამ ხანად თქვენის შემწეობით სრულიად თავისუფალი ვარ მისგან, — მიუგე მე.

— მაშ ეცდებით მეტად არასოდეს არ განმეორდეს ეს — ? სისწრაფით მკითხა მან.

— სიტყვას ვერ მოგცემთ, —მივუგე მე, —ამაზე ლაპარაკი ჯერ მეტად ადრეა, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩემთვის აქ ყველაფერი საოცრებას უნდა შეადგენდეს.

— კი, მაგრამ ნუ ეცდებით მარტოობაში დახშოთ ეს გრძნობა, —დაიჟინა მან. —სიტყვა მომეცით, რომ ჩვენ მოგვმართავთ და არ კრავთ ხელს ჩვენს თანაგრძნობას და შეწევნის სურვილს. შეიძლება, ბევრი ვერა გარგოთ რა, მაგრამ ეჭვი არ არის, ეს მაინც უკეთესი იქნება, ვინემ მარტომ ებრძოლოთ ამ აფორიაქებულ მდგომარეობას.

— თუ თქვენი დასტური მექნება, მოვალ თქვენთან, — გავუცხადე მე.

— კი, კი, გევედრებით, —აღტაცებით წამოიძახა მან. — მე არაფერს ჩემგან შესაძლებელს არ დავიშურებ, ოღონდ თქვენი რგება შევიძლო.

— თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ შემიბრალოთ მე, რასაც, ვგონებ, ამ წუთშიაც ასრულებთ. —მივუგე მე.

— მაშ ასე, გადაწვეტილია, —ცრემლ-მორეულის ღიმილით მითხრა მან, —მეორედ თქვენ ჩემთან შემოხვალთ და გულ-ახდილად გამოსთქვამთ ყველაფერს. ბოსტონის ქუჩებში და უცხო ხალხში ხეტიალს-კი თავს დაანებებთ.

ჩემმა ტანჯვამ და მისმა ცრემლებმა ისე დაგვაახლოვეს ჩვენ ერთმანეთს ამ რამოდენიმე წუთის განმავლობაში, რომ სრულებით არ გავუოცებივარ იმ აზრს, რომ ჩვენ ერთმანეთისათვის უცხონი აღარ ვიყავით.

— როცა თქვენ ჩემთან შემოხვალთ, —დაუმატა მან იმ მომხიბლველი ცბიერების გამომეტყველებით, რომელიც ლაპარაკის დროს თან-და-თან აღმტაცს სიცხოველეზე გადადიოდა; —სიტყვას გაძლევთ, ისე გაჩვენოთ თავი, რომ ვითომ საშინლად მებრალებოდეთ, რა-კი თქვენ ასე ისურვეთ. მაგრამ ერთს წუთსაც ნუ წარმოიდგენთ, რომ მე რამოდენიმედ მაინც მართლა ვწუხდე თქვენზე ან ვფიქრობდე, რომ თქვენ თითონ დიდხანს ინაღვლებთ თქვენს ასეთს ხვედრს. სრულიადაც არა. მე

ეს ისე კარგად ვიცი, როგორც იმაში-კი ვარ დარწმუნებული, რომ ახლანდელი ქვეყანა სამოთხეა თქვენი დროის ქვეყანაზე; გაივლის სულ მოკლე დრო და თქვენი ერთად-ერთი გრძნობა ღვთისადმი მადლობის გრძნობა იქნება, რომ მან ასე უცნაურად შესწყვიტა თქვენი იმ საუკუნეში ცხოვრება, რომ დაებრუნებინა ის თქვენთვის ამ საუკუნეში.

თავი IX

არა ნაკლებ გააოცა ჩემმა მარტოდ-მარტო ამ დილით ქალაქში ხეტიალმა უფ. ლიტი და მისი მეუღლე და, ჩემი გარეგანი სახის შედარებითმა მშვიდობიანობამ ასეთი შემთხვევის უკან-კი, სასიამოვნო გაოცება გამოიწვია მათში,

— ეს თქვენი სეირნობა მეტად საყურადღებო იქნებოდა ალბათ,—მითხრა ლიტის მეუღლემ, როცა მოვუსხედით სუფრას.—უთუოდ ბევრს ახალს ნახავდით.

— თითქმის ყველა, რაც ვნახე, ჩემთვის ახალი იყო,— მივუგე მე, მაგრამ სხვაზე მეტად იმან გამაოცა, რომ ვერც ერთი მაღაზია ვაშინგტონის ქუჩაზე, ვერც ერთი ბანკი ქალაქში ვერსად ვნახე. რა უყავით თქვენ ამ ვაჭრებსა და ბანკირებს? ხომ არ ჩამოუხჩვიათ ისინი, როგორც ანარხისტები უპირობდნენ მათ ჩემს დროში?

— რატომ ასე საზარლად ხატავთ,—შემნიშნა უფ. ლიტმა, —ჩვენ მხოლოდ აღარ ვსაჭიროებთ მათ. ამ ახალს ქვეყანაში მათი მოქმედება შეწყდა.

— ვისგან ყიდულობთ მაშ საქონელს საჭიროების დროს? —ვკითხე მე.

— ჩვენს დროში ყიდვა-გაყიდვა არ არსებობს; საქონლის განაწილება სხვა წესით ხდება. რაც შეეხება ბანკირებს, ა

უფულობის დროში უიმათოდაც კარგად გამოვდივართ.

— ბატონო იუდიფ! მგონი, მამა თქვენი მასხარად მიღებს, —მივუბრუნდი მე ლიტის ქალს.—არ ვესაყვედურები მას ამისათვის, რადგან ჩემს გულ-უბრიყველობას შეეძლო უთუოდ შეეცდინა ის. მაგრამ, რაც უნდა იყოს, ჩემს რწმენასაც აქვს საზღვარი საზოგადო წესების შესაძლო ცვლილებათა შესახებ.

— დარწმუნებული ვარ, მამას ფიქრადაც არ მოსვლია თქვენი მსხარად აღება—მიპასუხა მან დამამშვიდებელი ღიმილით.

საუბარმა ხასიათი შეიცვალა. ლიტის მეუღლემ, როგორც მახსოვს, მეცხრამეტე საუკუნის ქალების „მოდაზე“ ჩამოაგდო ლაპარაკი. ჩაის შემდეგ, როცა სახლის ზედა აივანზე ავედით მე და უფ. ლიტი სადაც ეტყობოდა მისი საყვარელი სამყოფი იყო, ლიტი, დაუბრუნდა ჩვენს საბაასო საგანს.

— თქვენ გაგაოცათ ჩემმა განცხადებამ,—დაიწყო მან,— რომ ჩვენ არ ვსაჭიროებთ მეტად არც ფულებს და არც აღებ-მიცემობას. მაგრამ, ერთს წუთს თუ დაუფიქრდებით, მიხვდებით, რომ ფულები და ვაჭრობა იმიტომ იყო საჭირო თქვენს დროში, რომ წარმოება კერძო პირების ხელში იყო; ახლა ერთიცა და მეორეც, მეტია.

— არ მესმის, საიდამ?—შევნიშნე მე.

— სულ ადვილად,—იყო პასუხი.—როცა ცხოვრებისათვის და სიამოვნებისათვის საჭირო სხვა-და-სხვა გვარი ნივთების წარმოებას ხალხის ურიცხვი უმრავლესობა მისდევდა, რომელთა შორისაც არა გვარი თანხმობა არ იყო და დამოუკიდებელნი იყვნენ ერთი-მეორისაგან, აუცილებელი იყო ეს დაუბოლოვებელი გაცვლა-გამოცვლის საჭიროება კერძო პირთა შორის არსებული მოთხოვნილების (спросъ) თანახმად, რომ ერთმანეთისათვის ხელი გაემართათ. აი ამ გაცვლაში იხატებოდა ვაჭრობა, ხოლო ფულები-კი საჭირო იყო შუამავლობის გასაწევად ამ გაცვლა—გამოცვლის დროს. მას უკან, რაც ერი გახდა ყოველგვარი საქონლის ერთად ერთი მაწარმოებე-

ლი, კერძო პირნი სახმარ საგნების მოსაპოებლად მეტად აღარ საჭიროებენ გაცვლა-გამოცვლას. ყველაფერი ერთი წყაროდამ მიიღება, რის გარეშეც არსად არაფრის შოვნა არ შეიძლება, საქონლის საზოგადო საწყობებში პირდა-პირ განაწილების წესმა უარ ჰყო ვაჭრობა და მოსპო ფულები.

— რა სახით ხდება ეს განაწილება?

— სულ ადვილად,—იყო პასუხი,—თვითეულს მოქალაქეს ეხსნება ერის წლიურ ნაწარმოებისაგან მისი ხვედრი ნდობა (კრედიტი), რომელიც ყოველ წლის დამდეგს ჩაიწერება ხოლმე საზოგადო წიგნებში. ხელში კი თვითეულ მათგანს ეძლევა ბარათი (ჩეკი) ამ „ნდობის“ მისაღებად. ამ ბარათს ის წარადგენს, რომელ უბანშიც უნდა, ამისათვის დაარსებულ საზოგადო მაღაზიებში. საქმის ამ გვარი წყობილება, როგორც ხედავთ, არ საჭიროებს არავითარ ვაჭრულ მორიგებას „მხმარებელთა“ (потребитель) და მწარმოებლებს შორის. იქნება გსურთ ნახოთ, როგორია ეს ბარათი?—და მან ამ სიტყვებით გადმოცა სქელი ქაღალდის პატარა ნაჭერი. რომელსაც მე ცნობის-მოყვარეობით დავუწყე თვალიერება.—ხედავთ,—განაგრძო მან ამ დროს,—ბარათზე აღნიშნულია გადაჭრილი რაოდენობა დოლლარისა. ჩვენ დავიტოვეთ ძველი მხოლოდ სახელი და არა ამ სახელით აღნიშნული საგანი. ეს ტერმინი, რა აზრითაც ჩვენ მას ვხმარობთ, ნამდვილს საგანს კი არ ესაბამება, არამედ იხმარება, ალგებრაული ნიშანი სხვა-და-სხვა ნაყოფის შედარებითი ფასოვნობის გამომხატველად. ამ აზრით ყოველგვარი ნაყოფი ფასდადებულია დოლლარებით და ცენტებით ისე, როგორც თქვენს დროშიდაც იყო; წამოღებული საქონლის ღირებულობა შეიტანება დავთარში კლერკისაგან (მაღაზიაში საქმის გამგე-ნოქარი), რომელიც ბარათზე აღნიშნული ოთხ-კუთხი წყეებიდამ ამოსჭრის ჩემგან შეკვეთილი საქონლის საფასურს.

— მეზობლიდამ რომ რისამე ყიდვა გინდოდესთ, იმ შემ-

თხვევაში შეგიძლიათ თუ არა გადასცეთ მას საფასურად თქვენი ნდობის რამოდენიმე ნაწილი?— ვკითხე მე.

— ჯერ ერთი,—მიპასუხა ლიტმა,—რომ ჩვენს მეზობლებს არაფერი აქვთ ჩვენთვის გასაყიდი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ნდობის ბარათი მკაცრი საპირადოა და ნება არა გვაქვს სხვას გადავსცეთ. სანამ ამ გვარი გადაცემის უფლება მიეცემოდეს, ერმა უნდა მსგავსი მორიგების ყველა გარემოება გამოიწვლილოს, რომ რიგიანად შეამოწმოს მისი სრული სისწორე; ჯერ მარტო ისა, რომ ფულის ქონება სრულებით არ ამტკიცებდა მასზე კანონიერ უფლების მექონეობას, საკმაო საბუთი იქნებოდა ამ გვარ მორიგებათა აღმოსაფხვრელად, სხვა რამ საბაბიც რომ არა ჰქონებოდათ. თქვენს დროში ერთგვარად უყურებდით ფულებს იმ კაცის ხელში, რომელსაც ის მოეპარა ან კაცის—კვლით შეეძინა და მის ხელშიდაც, ვისაც პატიოსანი შრომით მოეპოვებინა ის. ხალხი ახლა მხოლოდ მეგობრულად აწოდებს ერთი-მეორეს საჩუქრის სახით ნივთს და ყიდვა-გაყიდვა-კი სრულებით ვერ მოეკარება ხალის გამამხნევებელი ურთიერთად დამოკიდებულებას, უანგარო გრძნობას და გრძნობას იმ საერთო ინტერესებისას, რომელზეც დამყარებულია მთელი ჩვენი საზოგადო წეს-წყობილება. ჩვენი აზრით, ყიდვა-გაყიდვა თავის-თავად, მთელი თავისი შედეგებით, საზოგადო ცხოვრების წინააღმდეგი მოვლენაა. ეს აძლიერებს ეგოიზმს ადამიანის სხვა თვისებათა საზიანოდ. არც ერთს საზოგადოებას, რომლის წევრნიც მსგავსს სკოლებში აღზრდილან, არ შეუძლია თვით უმდაბლესი განათლების ხარისხზე მაღლა აიწიოს.

— რა უნდა ჰქნათ მაშინ, როცა თქვენს ბარათზე გადაჭრილი წილი არ ფარავს ყველა ხარჯს?

— ამ წილის რაოდენობა იმდენია, რომ ჩვენ მას სრულად ვერც-კი დავხარჯავთ; მაგრამ თუ რაიმე არა ჩვეულებრივმა ხარჯმა დააცალიერა ის, იმ შემთხვევაში შეიძლება მომავალი წლის ნდობიდამ გადმოვისესხოთ მცირე ნაწილი, თუმცა ასეთს ჩვეუ-

ლებას არ აქეზებენ და ამ შეღავათისათვის, ბოროტების აღ-
მოფხვრის მიზნით, საკმაო დიდი გამორიცხვა ხვდება მომავალ
ნდობის ბარათიდამ. ცხადია, ვისაც გარეწარ მფლანგველად
ცნობენ, თავის სახარჯოს თვის თავზე ან კვირის-კვირაზე მი-
იღებს და, საჭიროების დროს, სრულიადაც ჰკარგავს თვითონ
ხმარების უფლებას.

— როცა ვერ ხარჯავთ თქვენს წილს ის ალბათ იზრდე-
ბა?

— ესეც შეიძლება განსაზღვრულს პირობებში, როცა
რაიმე უსაჭიროესი ხარჯის მოლოდინია. მაგრამ- თუ წინ-და-წინ-
ვე არ განაცხადა ეს, პირი, რომელიც მთლად არ იხმარს თავის
ნდობას, უნდა ვიფიქროთ არ საჭიროებს მას და მონარჩენი
მიდის საერთო კუთვნილებად.

— ამ გვარი წესი მზოგველობას არ ავრცელებს ხალხში—
შევნიშნე მე.

— ეს არც საჭიროა,—მიპასუხა ლიტმა.—ერი მდიდარია
და არა სურს, რომ ვინმემ მცირედაც არის კმაყოფილება მო-
იკლოს. თქვენს დროში ფულებსა და ნივთებს ინახავდნენ გა-
ჭირებიმ დღისათვის და შვილების უზრუნველ-საყოფად. ამან
მონათლა ყაირათობა სათნოების სახელით. ჩვენს დროში კი
არ შეიძლება ასეთს მზოგველობას რაიმე საქები განზრახვა მი-
უძღოდეს წინ და რაკი ურგები შეიძინა, აღარც სათნოებად
ითვლება. ხვალინდელს დღეზე ახლა არვინ არ ზრუნავს არც
თავისათვის, არც შვილებისათვის, რადგან სახელმწიფოა თავ-
დები იზრუნოს, რომ ჭამა-სმა, აღზრდა და ყოველგვარი სრუ-
ლი კმაყოფილება მოუპოვოს თვითეულ მოქალაქეს აკვნიდან
დაწყებული ვიდრე სამარის კარამდე.

— ეს მეტად დიდი მოვალეობაა,—წამოვიძახე მე.—რა
იმის თავდები, რომ რომელიმე კაცის შრომა აღადგენს ერისა
გან მასზე დანახარჯს? საერთოდ შესაძლოა დაარჩინოს საზო
გადოებამ ყველა თავისი წევრი; მაგრამ ერთი ნაკლებს მო
მუშავებს იმაზე, რაც საჭიროა მისს გამოსაკვებად, მეორე-კი-

მეტს, და ეს ისევ იმ ჯამაგირის კითხვას სძრავს, რაზედაც თქვენ ჯერ სიტყვაც არ გითქვამთ. თუ გახსოვთ, ჩვენი გუშინდელი საუბარი შესწყდა სწორედ ამ ადგილზე და მე ერთხელ კიდევ გავიმეორებ, რასაც გუშინ ვამბობდი:—ჩემი აზრით აი სწორედ აქ შეხვდება თქვენს საერო სამრეწველო სისტემას უძლიერესი დაბრკოლება. როგორ შეგიძლიათ, კიდევ ვიკითხავ, სამართლიანი ჯილდო და ხელფასი დაადგინოთ ამდენ სხვა-და-სხვა და აურაცხველ სახის შრომათათვის, რომლებიც საზოგადოებას ესაჭიროება? ჩვენ დროში ბაზარი ადებდა მაზანდას (рыночная цѣна), როგორც სხვა-და-სხვა სახის შრომას, აგრედვე საქონელსაც. საქმის პატრონი რაც შეიძლებოდა ნაკლებს აძლევდა, მუშები კი ილებდნენ იმდენს, რამდენიც შეეძლოთ. ცხადია—ზნეობრივის მხრით ეს წესი არ არის დამაკმაყოფილებელი; მაგრამ რაც უნდა იყოს, ის, თუმცა უხეშსა, მაგრამ მზა ფორმულას მაინც იძლეოდა იმ კითხვის გადასაწყვეტად, რომელიც მუდამ-დღე ათი-ათასჯერ თხოულობდა გარკვევას მსოფლიო წარმატების პირობებში. ჩვენ გვეგონა რომ სხვა შესაბამი რამ საშუალება არ არსებობდა.

— მართალია, დამეთანხმა უფ. ლიტი,—სხვა რიგად მოუხერხებელიც იყო თქვენებურს წესებში, როცა თვითეულის ცალკე ინტერესი ეწინააღმდეგებოდა ყველა სხვა დანარჩენთა ინტერესებს. მაგრამ სამწუხარო იქნებოდა, რომ კაცობრიობას უკეთესი რამ მეთოდი რომ არ მოეგონა, რადგან თქვენი მეთოდი მხოლოდ შეფარდება იყო ხალხის ურთიერთულ დამოკიდებულებაში ამ საზიზღარის თქმულებისა: «შენი ჭირი, ჩემი ლხინიო». რომელისამე შრომის ხელფასი იმაზე-კი არ იყო დამოკიდებული რამდენად საძნელო, საშიში, ან მომსხლეტი იყო ეს შრომა, რადგან მთელს ხმელეთზე ყველაზე სახიფათო, საძნელო და უსიამოვნო შრომა ბევრად ნაკლებად ჯილდოვდებოდა,—და ეს-კი წარმოდგებოდა სამუშაოს მაძიებელთა ერთადერთ შეიწროებულ მდგომარეობისა გამო.

— ყველა ეს შესაძლებელია,—დავემოწმე მე.—მაგრამ

რაც უნდა უვარგისი იყოს ეს „მოთხოვნილებაზე“ (спросъ) და „შეძლევაზე“ (предложеніе) დამოკიდებული ფასის დადება, პრაქტიკაში მაინც იყო, და ვერ წარმომიდგენია, რა უნდა მოგვგონებიათ თქვენ მის ნაცვლად რა-კი სახელმწიფოა ერთადერთი მწარმოებელი, უეჭველია, არც «მუშათა ბაზარი“ არსებობს არც მაზანდა. ყოველნაირი ჯამაგირების დანიშვნა მართებლობის ნებაზე იქმნება. ვერ წარმომიდგენია ამაზე ვრცელი და თავ-სამტკრევი მოვალეობა, რომელიც, უეჭველად, რა კარგადაც უნდა შესრულდეს, მაინც ვერ აცდება საერთო უკმაყოფილებას.

— მომიტევეთ, ბატონო,—შემესიტყვა ლიტი—ჩემი ფიქრით, თქვენ ნამეტანს აზვიადებთ გარემოების სიძნელეს. წარმოვიდგინოთ, რომ ადმინისტრაცია, რომელიც გონიერი ხალხისაგან შესდგება, დავალებულია ყოველ გვარ სამუშაოზე ჯამაგირები დანიშნოს ისეთს წესებში, როგორშიაც ჩვენ ვართ, რომელიც ანიჭებს რა ადამიანს ხელობის თავისუფალ არჩევანს, ამასთანავე მოვალეა თვითეულს უეჭველად სამუშაო მისცეს. ნუ თუ ვერ ხედავთ, რომ რაც უნდა უჯეროვანო იყოს პირველი დაფასება, შეცდომა მალე თავის-თავად გასწორდება? მფარველობაში მყოფი ხელობა მეტად ბევრს მსურველებს მიიზიდავდა და საფარველს მოკლებული-კი ძლიერ ცოტას, და ეს გასტანდა იმ დრომდე, სანამ შეცდომას არ აიცილებდნენ. მაგრამ ამას მე მხოლოდ გაკვრით მივაქციე ყურადღება, რადგან ასეთი დაფასება, რაც უნდა პრაქტიკული იყოს ის, ჩვენს წესწყობილებაში არ შედის.

— მაშ როგორ-ღა აწესებ ჯამაგირებს?—ვკითხე კიდევ.

— მე, ცხადია, იმდენად ვიცნობ თქვენს ძველს წეს-წყობილებას, რომ მივხვდე, რას იგულისხმებთ ამ კითხვაში; მაგრამ ახლანდელი საზოგადოებრივი წეს-წყობილება იმდენად განსხვავებულია ძველისაგან, რომ რამოდენიმედ მიძნელდება ნათელი პასუხის მოცემა თქვენს კითხვაზე. თქვენ მეკითხებით, როგორ ვახერხებთ ჯამაგირების გაწეს-რიგიანებას? ამაზე შემი

ლია მოგიგოთ,რომ ახალს საზოგადოებრივ ეკონომიაში არ არ-
სებობს თქვენს დროში ხმარებული სიტყვის „ჯამაგირის“ შე-
საბამი აზრი.

— თქვენ გინდათ მითხრათ, რომ არა გაქვთ ფულები
ჯამაგირების მისაცემად? მაგრამ საზოგადო საწყობებიდამ საჭი-
რო საქონლის სარგებლობის უფლება ხომ იგივეა, რასაც ჩვენს
დროში ჯამაგირს ვეძახდით. რა გვარად უნდა გაირკვეს ამ
სხვა-და-სხვა დარგთა მუშების «ნდობის“ რაოდენობა? რა უფ-
ლების ძალით თხოულობს თითეული ცალკე თავის განსაკუთ-
რებულს წილს? რით ხელმძღვანელობთ წილის გადაჭრის დროს?

— უფლება მისი,—მომიგო დოქტორმა ლიტმა,—ადამია-
ნობაა. მისგან წილის მოთხოვნა იმ ფაქტზე მყარდება, რომ ის
კაცია.

— რომ ის კაცია?—უნდოთ შეეკითხე—ის ხომ არ გინ-
დათ თქვათ ამით, რომ ყველას თანაბარი წილი ეძლევა?

— სწორედ.

ამ წიგნის მკითხველებს, რომელთაც არ უნახავთ სხვა
ყვარი წეს-წყობილება და მხოლოდ ისტორიის მეოხებით იც-
ობენ ძველ დროს, როცა სულ სხვაწესები არსებობდა, რასა-
ვირველია, გაუძნელდებათ იმის წარმოდგენა, თუ რა გოც�b
ში ჩამაგდო ჩემი მასპინძლის უბრალო ახსნამ.

— ხომ ხედავთ,—მითხრა მან ღიმილით,—გარდა მისა, რომ
ენ ფულები არა გვაქვს ჯამაგირების დასარიგებლად, ამ თქვე-
ნაცნობი სიტყვის ჯამაგირის მსგავსიც-კი მოგვეპოვება,
ოგორც უკვე აგიხსენით.

აქ მე იმდენად გამოვერკვიე გოცებისაგან, რომ შევიძელი
მოდენიმე კრიტიკული შენიშვნა მიმეცა, რაც, როგორც
ცხამეტე საუკუნის კაცს, ენაზე მეკერა.

— ზოგი კაცი ორჯერ უფრო ჩქარა მუშაობს მეორეზე!—
ოვიძახე მე. ნუთუ ეს მცოდნე მუშა კმაყოფილია იმ წესისა,
მელიც მას საშვალ ნიჭის მუშასთან ერთად აყენებს სასწორ-

ჩვენ მცირეოდენ საჩივრის საბაბსაც არავის ვაძლევთ იმითი, რომ ყველასათვის თანაბარი შრომის საზომი გვაქვს მიღებული.

სასურველია, გავიგო, როგორ ახერხებთ ამას, როცა რომ ორი კაციც არ მოიპოვება, მგონი, თანაბრის ძალისანი?

— სულ ადვილად,—მიპასუხა მან,—ჩვენ ვთხოულობთ თვითეულისაგან თანასწორს ჯაფას, ე. ი. ჩვენ გვინდა უკეთესი ნამუშევარი, რამდენადაც შესაძლებელია ეს მისგან.

— ვთქვათ, თუნდა ყველა უკეთესს აკეთებს იმისაგან, რის გაკეთებაც შეუძლია, მაგრამ ერთს მაინც ორჯერ მეტის გაკეთება შეუძლია მეორეზე.

— ნამდვილია,—მითხრა მან,—მაგრამ მუშაობის რაოდენობას არავითარი კავშირი არა აქვს ჩვენი საკითხავის ახსნასთან. აქ ლაპარაკი დამსახურებაზეა. დამსახურება-კი ზნეობრივი კითხვაა, ხოლო შრომის ნაყოფის სიდიდე—ქონებრივი. სასაცილოა ის ლოღიკა, რომელიც ცდილობს ზნეობრივი კითხვები ქონებრივი საზომით გაარჩიოს. ნამსახურობის დაფასების დროს სახეში მიიღება მხოლოდ. გულმოდგინეობა. ყველა, ვინც თავის ძალ-ღონის შესაფერად საუკეთესოს შეჰქმნის, ის თანაბრად ჰქმნის. ადამიანის ნიჭი, თუნდა რომ ღვთაებრივიც იყოს, იგი არკვევს მხოლოდ მისი მოვალეობის ზომას. დიდად ნიჭიერი კაცი, რომელიც არ აკეთებს ყველა იმას, რაც შეუძლია, თუნდა რომ მეტიც გააკეთოს იმ ნიჭით მდარე კაცზე, რომელიც თავის სამუშაოს საუკეთესოდ ასრულებს, ამ უკანასკნელზე ნაკლები ღირსებისად ითვლება და კვდება თავის თანამოძმეების მოვალედ. შემოქმედი აძლევს ხალხს გამოცანას მათდამი მიმადლებულის ნიჭის შესაფერად. ჩვენ-კი ვთხოულობთ ამ გამოცანის სისრულეში მოყვანას.

— უეჭველია, ეს მეტად კეთილშობილური ფილოსოფიაა,—წარმოვთქვი მე,—მაგრამ მიუხედავად ამისა სისასტიკედ მიმაჩნია, რომ ის, ვინც ორჯერ მეტს აკეთებს მეორეზე, თუნდა ეს უკანასკნელი საუკეთესოდ აკეთებდეს, ყოველ ჯერ შემ

თხვევაში შემოსავლის თანაბარს წილსა უნდა დაკმაყოფილდეს.

— ნუ თუ მართლა ასე მიგაჩნიათ? —მომიგო ჩემმა მ ასა-უბრემ, —მე კი სწორედ ეს მოაცებს. ახლა ხალხი აი ასე ფიქ-რობს: ყველა, ვისაც ერთგვარ პირობეებში ორჯერ მეტის გა-კეთება შეუძლია, ვინემ მეორეს, ჯილდოს ნაცვლად სასჯე-ლის ღირსი იქმნება, თუ არ აკეთებს ყველა იმას, რაც შეუძ-ლია. განა XIX საუკუნეში თქვენ ცხენს აჯილდოებდით იმი-სათვის, რომ მას თხაზე მეტი ტვირთი მიჰქონდა? ჩვენ ახლა მათრახით ავაჭრელებდით მას, რაც სრული სამართლიანი იქ-ნება, რომ იგივე ტვირთი არ წაიღოს: მან უნდა ჰქნას ეს, რად-გან ულონიერესია. საოცარია, როგორ იცვლება ზნეობრივი საზომი!

ამ სიტყვებზე ჩემმა მოსაუბრემ ისეთ ნაირად მოწკურა თვა-ლები, რომ გამეცინა.

— ჩემის ფიქრით, —დაიწყე მე, —კაცებს თუ ვაჯილდოე-ბდით მათი ნიჭისათვის და ცხენებისა და თხებისაგან ცალ-ცალკე იმ შრომას ვითხოვდით, რისთვისაც ისინი დანიშნულ-ი არიან, ამის ნამდვილი მიზეზი ის არის, რომ პირუტყვნი, როგორც უგონო ქმნილებანი ბუნებითად, შრომობდენ იმდენს ამდენი, შეეძლოთ, როცა რომ ადამიანისათვის სასყიდლით ვალდებულიანება იყო საჭირო შრომის რაოდენობის მიხედვით. აი ს მაიძულებს გკითხოთ: ნუ თუ თქვენ ასე ემორჩილებით ბგაკსსავე საჭიროებას, თუ რომ ადამიანის ბუნება არ გარდა-ქმნილა სრულად ამ ასის წლის განმავლობაში?

— ვემორჩილებით, —მომიგო მან, —არ ვფიქრობ, რომ) მხრით რაიმე ცვლილება მომხდარიყოს ადამიანის ბუნებაში) ისევ ისეა აგებული, რომ საჭიროა განსაკუთრებული წამა-ლისებელი საშვალებანი გამხნევებით და ჯილდოებით, რომ მოვიწვიოთ საშვალი ნიჭის კაცისაგან უმაღლესი ძალ-ღონის მოჩენა, რამხრითაც უნდა იყოს ის მიმართული.

— კი, მაგრამ რაღა წაახალისებს კაცს იმაზე, რომ რაც ბგნით შესაძლებელია, გააკეთოს, თუ კი მისი შემოსავალი

ერთი და იგივე იქნება, რაც უნდა ეცადოს? კეთილშობილური-ნი ბუნებანი ყველა საზოგადო საქმეში შეიძლება გატაცებულ-ნი იყვნენ საერთო კეთილ დღეობისადმი ერთგულობით, მაგ-რამ საშვალი ღირსების კაცი არ ისირცხვებს თავის მოქმედების შემცირებას, როცა დარწმუნებულია, რომ ამაოა მეცადინეო-ბის გამოჩენა, რომ არავითარი გულმომჭირნეობა არც მოუმა-ტებს და არც მოუკლებს მის შემოსავალს.

— ნუ თუ მართლა გგონიათ თქვენ, რომ ადამიანის ბუ-ნებას მარტო თავის საჭიროების შიში და ტკბილი ცხოვრების სიყვარული ამოქმედებს და არ თანაუგრძნობს არავითარს სხვა რასმე ლტოლვა-ძრახვებს? ნუ თუ გგონიათ, რომ კმაყოფილე-ბისა და თანასწორობის მოპოებით შესახებ საარსებო სახსრისა, ძალას ჰკარგავდეს სხვა მისწრაფებანი გულმოდგინეობისადმი? თქვენი თანამედროვენი ნამდვილად ასე არ ფიქრობდენ, თუმ-ცა შესაძლოა ეგონათ, რომ ასე ვფიქრობთო. როცა საქმე მოითხოვდა თავ-განწირულებას, უმაღლესი ძალის გამოჩენას, მაშინ ისინი სულ განძრახვით ხელმძღანელობდნენ, სახელი, ხალ-ხისაგან მადლობის დამსახურების იმედი, მამულის-მოყვარეობა და მოვალეობის გრძნობა გქონდათ დედა აზრად, რაზედაც უთი-თებდით თქვენ ჯარის კაცებს, როცა მამულისათვის ომში თავ-დადება იყო საჭირო, და არა თქვენი დიდი ჯამაგირები არასოდეს არ ყოფილა ჯერ ქვეყნად ისეთი ხანა, რომ ამ მო-ტივებს არ გამოეწვიოს სამოძრავოდ ყოველივე, რაც-კი საუკე-თესო და კეთილშობილურია ადამიანში; და ეს კიდევ რაა, თუ თქვენ დაწვრილებით გამოიკვლევთ იმ ვერცხლ-მეყარეო-ბას, რომელიც თქვენს დროში შრომისადმი აგულიანებდა კაცს, დაინახავთ, რომ ერთად—ერთი სიღარიბის შიში და გამდიდრე-ბის სურვილი-კი არ ჰქონია აზრად ფულის შეძენის მიმდევარს ბევრ მათგანზე უფრო ძლიერად მოქმედებდენ სულ სხვა მო-ტივები, სახელდობ—უფლების მოპოვება, საზოგადოებაშ-თვალსაჩინი მდგომარეობა და სახელი. როგორც ხედავთ, ჩვენ მართალია, მოვიშორეთ სიღარიბე და მისი საშიშროება, წრე

გადასული ფუფუნება და მისი ნუგეში, მაგრამ ხელ-უხლებლად დავტოვეთ იმ შინაგანი მისწრაფების მეტი ნაწილი, რომელიც ძველ დროში სარჩულად ედო ვერცხლ-მოყვარეობას და აგრეთვე ყველა ის თვისებანი ადამიანისა, რომელნიც ამოძრავებენ მას უწმინდესს მოქმედებისაკენ. ბევრი ბრიყული ლტოლვა-მისწრაფება, რომელსაც ჩვენზე უკვე აღარა აქვს გავლენა, ახლა შეიცვალა უუწმინდესს მისწრაფებად, რაც სრულიად უცნობი იყო თქვენი დროის ჯამაგირისათვის მომუშავე პირთათვის. ახლა, როცა ყოველ გვარი შრომა, შენი თავისთვის შრომა კი არ არის, არამედ მთელი ერისათვის, მუშა კაცი, როგორც თქვენი დროის ჯარის კაცი, გამსჭვალულია სამოქმედოდ მამულისა და კაცობრიობის სიყვარულით. მშრომელი ჯარი მარტო იმიტომ-კი არ წარმოადგენს ჯარს, რომ შესანიშნავი წესიერება აქვს, არამედ იმიტომაც, რ[illegible]ზად არის სამსხვერპლოდ, რაც თითეული ამ ჯარის წევრ[illegible]თვის გამამხნევებელია. მაგრამ, როგორც თქვენ მამულის-მოყვარეობის გარდა სარგებლობდით კიდევ დიდების მოყვარეობით, როცა ჯარის კაცთა იწვევდით გამარჯვებისაკენ, ჩვენაც სწორედ ისე ვიქცევით. რაკი ჩვენი სამრეწველო წესი დამყარებულია შრომის თანასწორ ძალ-ღონის პრინციპზე თითეულისა და ყველასათვის, ე. ი. ყველასაგან უკეთესის გაკეთებაზე, რაც-კი შესაძლებელია მისგან გამოვიდეს, აქედამ ცხადია, რომ ამ მოთხოვნილების შესასრულებლად წამახალისებელნი საშვალებანი ჩვენი წეს-წყობილების უპირველესს არსებითს ნაწილს შეადგენენ. ჩვენში საერო სამსახურში გულ-მომჭირნეობა ერთად-ერთი და ჭეშმარიტი გზაა, რომლითაც მოიპოვება ერის მადლობა, სოციალური უაღრესობა და საზოგადოებრივი უფლება. ადამიანის ადგილი, მდგომარეობა საზოგადოებაში ირკვევა მითი, თუ რა ღირსებისაა მისი ამ საზოგადოებისათვის ნამსახური. თქვენი მეტადი დარიგებისა მწარე სიღარიბით და გარყვნილ ფუფუნებით, შედარებით ჩვენი ხალხის გულ-მოდგინე მოქმედებისადმი წამაქეზებელ

საშვალებებთან, იმდენად უვარგისი და ყალბია, რამდენადაც მხეცური და ბარბაროსული.

— ჩემთვის დიდად სასიამოვნო იქნებოდა, — უთხარი მე, — რამოდენიმედ უფრო დაწვრილებით გამეცნო თქვენი საზოგადო დაწესებულებანი.

— ჩვენი წესები, რასაკვირველია, უნაკლულოდაა შემუშავებული, რადგან ის უდევს საძირკვლად მთელს ჩვენს მუშათა ჯარის ორგანიზაციას; მაგრამ თქვენ რამოდნიმე სიტყვებიდამაც შეგიძლიათ შეადგინოთ ერთი საზოგადო აზრი.

— ამ წამში ჩვენი საუბარი შესწყვიტა იუდიფის გამოჩენამ. ის გასვლას აპირებდა სახლიდამ და მოვიდა მამასთან მონდობილ საქმეების გამო მოსალაპარაკებლად.

— სხვათა შორის, იუდიფ, — შეაჩერა მამამ, — მე ვფიქრობ, უფ. ვესტისათვის საინტერესო იქნება შენთან მაღაზიაში წამოსვლა. მე მას ვუამბე ჩვენებური ყიდვა-გაყიდვის წესები და შეიძლება მას საქმით უნდოდეს მისი ნახვა გაცნობა. ჩემი ქალი, მომიბრუნდა ლიტი და დაუმატა, — დაუცხრომელი მოსიარულეა მაღაზიებში და შეუძლია ჩემზედ უკეთ გაგაცნოსთ ისინი.

ეს წინადადება, რასაკვირველია, მომეწონა და რადგან იუდიფმაც გამოიჩინა იმდენი გულ-კეთილობა, რომ სასიამოვნოდ ნახა ჩემი ამხანაგობა გზაში, ჩვენ ერთად გამოვედით სახლიდამ.

თავი X

მე გიამბობ, როგორ ვყიდულობთ ჩვენ, — მითხრა ჩემ თანამგზავრმა, როცა ქუჩაში გავედით, — თქვენ-კი უნდა ამბნათ, როგორ ყიდულობდით თქვენს დროში. ყველა იმისგან, რაც წამიკითხავს ამ საგნის შესახებ, ვერა გზით ვერ გაგგე თქვენი ჩვეულებები. მაგალითად, თქვენს დროში იმდ

ეთვალავი მაღაზიები იყო და თითეულ მათგანში სხვა-და სხვა გვარი საქონელი. როგორ შეეძლო ქალს ეყიდა რაიმე ნივთი, სანამ ყველა მაღაზიებს არ ჩამოივლიდა? თუ ასე არ მოიქცეოდა, არ ეცოდინებოდა, სად რა უნდა აერჩია.

— ასეც იყო; მხოლოდ ამ გზით გებულობდნენ, რის სად ყიდვა შეიძლებოდა,—მივუგე მე.

— მამა მაღაზიებში დაუცხრომელი მოსიარულეს მეძახის, მაგრამ, გარწმუნებთ, მეც მალე დავიქანცებოდი, მსგავსი რამე რომ შეხვედროდა, —ღიმილით შემნიშნა იუდიფმა.

— მაღაზიებში სიარულით დროს კარგვას მარტო მოსაქმე ქალები უჩიოდნენ,—მივუგე მე;—თორემ უქმი ქალებისათვის ასეთი წესი ბედნიერება იყო, რადგან ეს მათთვის დროს ტარებას შეადგენდა.

— კარგი, მაგრამ ვთქვათ, ქალაქში ათასამდე მაღაზიაა და მათში ასი ერთ გვარი; რა უქმი და ზარმაციც უნდა იყოს ქალი, რა გული გაუძლებს ამ ასი მაღაზიის ჩამოვლას?

— რასაკვირველია, ყველა მაღაზიების დავლა არ შეეძლოთ,—ვუპასუხე მე.—ვინც ბევრს ყიდულობდა, ის დროს განმავლობაში ეჩვეოდა სად რა იყიდებოდა. ასეთი ქალებისათვის მაღაზიების გაცნობა ერთგვარს მეცნიერებას შეიცავდა. მათ შეეძლოთ ნაკლებ ფასშიაც ეყიდათ, მეტიც და კარგიც. მაგრამ ასეთს ცოდნას დიდხნის გამოცდილება იძლეოდა. იმათი კი, ვისაც მოცლა არ ჰქონდა, ან იშვიათად ყიდულობდა, შემთხვევაზე იყო დამოკიდებული და ხშირად წასაგებში იყვნენ. ეტ ფასად მდარე საქონლის ყიდვით. მაღაზიების იშვიათი სტუმარი მხოლოდ შემთხვევით თუ იყიდდა ნამდვილ ღირებულობაზე.

— კარგი და როგორ ითმენდით ასეთს უმსგავსო წესებს, ოცა ცხადათ ხედავდით მათს უვარგისობას?

— რა გვექნა? ჩვენი საზოგადო დაწესებულებანიც აგრევე წეს-რიგონი იყვნენ, არა ნაკლებად ვხედავდით მათს ნაკლსაც, გრამ ვერსად მიგვეგნო კი ამ ნაკლთა მოსასპობი საშუალებანი.

— აი ჩვენი უბნის მაღაზიაც, — მითხრა იუდიფმა, როცა ჩვენ გავჩერდით ერთს მშვენიერს საზოგადო შენობის უმთავრესს შესავალ კარებთან. ამ შენობებმა დიდის სეირნობის დროს მიიპყრეს ჩემი ყურადღება.

შენობის გარეგანი შეხედულობა არაფრით მაღაზიას არ მოაგონებდა მეცხრამეტე საუკუნის კაცს. აქ არსად ჩნდა ფანჯრებში გამოფენილი საქონელი, არც არაფერი მუშტრების მისაზიდი რამე საგანი. შენობაზე არც განცხადება და არც არავითარი წარწერა არ იყო გამოკიდებული, რომელსაც ეცნობებინა რა გვარი საქონლის აღებ-მიცემობა ტრიალებდა შიგ; მათ ნაცვლად უმთავრესს შესავალ კარს ზემოდამ გამოქანდაკებული იყო კაცის სიმაღლე ჩინებული ჯგუფი, რომლის უმთავრესი სახე წარმოადგენდა ალეგორიულს მხატვრობას ნაყოფიერებისა და ბარაქისას. შიგ შემსვლელ გამოსვლელებზე შეატყობდით, რომ სქესთა შორის რაოდენობის განსხვავება იგივე იყო, რაც მეცხრამეტე საუკუნეში.

შიგ შესვლისას იუდიფმა მითხრა, რომ თითო ასეთი შენობა ქალაქის ყველა უბანშია თითეულ მკვიდრთა ბინიდან ხუთის ანუ ათი წუთის სავალზე. აქ პირველად ვნახე მეოცე საუკუნის საზოგადო შენობის შინაგანობა, რამაც ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ეს იყო ვეებერთელა დარბაზი ფანჯრებით განათებული არა მარტო გვერდებიდამ, არამედ ზედამოდამაც, სადაც 15 საჟენის სიმაღლეზე თავს გვადგა გუმბათი. გუმბათის პირდაპირ, დარბაზის შუაგულში, ზხეფდა მშვენიერი შადრევანი და სასიამოვნოდ აგრილებდა და სწმენდდა ჰაერს. კედლებზე და ჭერში თვალს იტაცებდნენ ქორფა მხატვრობანი საღებავებით შეფერადებულნი იმ განძრახვით, რომ გაეფერ-ბილ-ნაზებინა შიგ შემოსული სინათლე და არა ჩაექრო ის. შადრევანის გარშემო გამწკრივებულს სავარძლებსა და ტახტებზედ ისხდნენ მუშტრები და ბაასობდნენ. კედლებზე წარწერა ლობა აჩვენებდა, რა გვარი საქონლებისათვის იყო დანიშნული თაროები. ერთს მათგანს, სადაც ათასი სხვა და სხვა გვა-

ქსოვილების ნიმუშები ეწყო, მიუახლოვდა იუდიფი და დაუწო
თვალიერება.

— ნოქარი სადღაა?—ვკითხე მე,—რაკი დახლში არვის
ვხედავდი და ეტყობოდა, არც ვინმე მოდიოდა მუშტარის
სასამსახუროდ.

— ნოქარი რა საჭიროა, როცა ჯერ არც კი ამირჩევია,—
მითხრა იუდიფმა.

— ჩვენს დროში ნოქარის უმთავრესი მოვალეობა ის იყო,
რომ საქონლის არჩევაში დახმარებოდა მუშტრებს—შევნიშნე მე.

— როგორ! ესწავლებინა ის რაც მათთვის საჭირო იყო?

— დიახ, და უფრო ხშირად ეყიდვინებინა ის, რის ყიდ-
ვაც მუშტარს არ უნდოდა.

— მერე და ქალები დიდ უზრდელობად არ თვლიდნენ
ამას?—გაკვირვებით ეკითხა იუდიფმა.—რა საინტერესოა ნოქ-
რისათვის, მისგან იყიდიან, თუ სხვისგან?

— მთელი მათი ინტერესიც ამაში იყო,—მივუგე მე:—
ნოქრებს ქირაობდნენ საქონლის გასანაღდებლად, და ამ მიზ-
ნის მისაღწევად მათ უნდა ყოველი ღონე ეღონათ, გარდა
ძალადობისა, რასაკვირველია.

— ახ, ვიცი! აღარ მომაგონდა, რომ თქვენს დროში
ალაზიების პატრონთა და მათ ნოქართა საცხოვრებელი სახსარი
საქონლის გაყიდვაზე იყო დამოკიდებული. დიახ! ახლა სულ
სხვაა. საქონელი ეკუთვნის ერს- ეს საქონელი იმათთვის არის,
ისაც სჭირია, და ნოქრის მოვალეობაა—ემსახუროს მუშტრებს
და შეასრულოს მათი სურვილი; მაგრამ არც ნოქარს და არც
ერს არავითარი ინტერესი არა აქვს უთუოთ დააკლოს ან მოუ-
ლოს ან მოუმატოს არშინი ან გირვანქა იმას, ვისთვისაც სა-
ჭირო არ არის.—მითხრა და ღიმილით დაუმატა:—რა საოცა-
ი სამზერი იქნებოდა ეს ნოქრის მეცადინეობა აყიდვინო-
მუშტარს ის, რაც მას არ უნდა, ან როცა მყიდველი ყოყმანს
ია, აიღოს თუ არა ეს ძალად მიჩეჩებული ნივთი!

— რატომ, ნოქარს მეოცე საუკუნეშიაც შეუძლია დახმა-

რება გაგიწიოსთ საქონლის ცნობით, ყიდვაზე ძალ-დატანებას რომ თავი დავანებოთ.—უთხარი მე.

—არა, ეს ნოქრის საქმე არ არის. ყველა საჭირო ცნობებმა ამ შემთხვევაში იძლევა აი ეს დაბეჭდილი ბარათები, რომლის სინამდვილეში პასუხის მგებელია მთავრობა.

აქ შევნიშნე, რომ თითეულს ნიმუშს თან ახლდა პაწია წარწერა, სადაც მოკლედ და გარკვევით იყო ნაჩვენები: ქარხანა, მასალა, ღირსება და საქონლის ფასი; ასე რომ ყოველგვარი კითხვა ამის შესახებ მართლაც მეტი იყო.

—მაშ ნოქარს არაფერი აქვს სათქმელი გასაყიდ ნივთზე? —ვკითხე მე.

—სრულიად არაფერი. საჭირო არ არის მან რამე იცოდეს ამაზე ან ეჩრებოდეს თავის ცოდნით. ზრდილობიანი ქცევა და საქმეში წეს-რიგი—აი რას თხოულობენ მისგან.

—რამდენი ტყუილებისგან იხსნის კაცს ეს უბრალო დაწესებულება! – წამოვიძახე მე.

—რა გინდათ ამით თქვათ? ნუ თუ თქვენი დროის ყველა ნოქრები ყალბი სინათლით ჰმოსავდნენ გასასყიდ საქონელს?

—ღმერთმა დაიფაროს! მივუგე მე.—ბევრი არ იქცეოდა ასე და ამითი მუშტრების განსაკუთრებულ ყურადღებასაც იპყრობდა. მაგრამ, როცა, როგორც თავის-თავის და აგრეთვე ცოლშვილის არსებითი სახსარის მოპოება დამოკიდებულია გაყიდული საქონლის რაოდენობაზე, მაშინ მუშტრის მოტყუება ან შეცდომის არ ჩვენება აუცილებელია. მართლა, ბ. იუდიფ, ჩემი უბედობა თქვენ ხელს გიშლისთ საქმეში!

—სრულიადაც არა. მე ავირჩიე კიდეც.

ამ წამში ის შეეხო ხელით პაწია მარჭვალს და სწრაფად გაჩნდა ნოქარი. მან კარანდაშით ანიშნა დაფაზე იუდიფისაგან არჩეული ნივთები, შემდეგ გადაიღო აქედამ ორი პირი—ერთი დაუბრუნა იუდიფს და მეორე ჩასდო რა პატარა კოლოფში, ჩაუშვა ის „გადამცემს მილში.“

—არჩეულ ნიმუშთა სიის პირი იმიტომ ეძლევა მყიდ-

ველს, რომ ყოველგვარი შეცდომა აქავე ადვილად შეინიშნოს და გასწორდეს.—მითხრა იუდიფმა, როგორც კი მოშორდა დახლს და ნოქარმა ანიშნა მის ნდობის ბარათზე ნაყიდი საქონლის ფასი.

— თქვენ ნამეტანი აჩქარდით საქონლის არჩევაში, —ვუთხარი მე,—და ამიტომ ნება მომეცით გკითხოთ, საიდან იცით, რომ სხვა მაღაზიებში უფრო მოსაწონს და სასურველს რასმეს არ შეხვდებოდით? ან იქნება ვალდებული ხართ, რომ თქვენი უბნის მაღაზიაში იყიდოთ?

— ოჰ, არა!—მიპასუხა მან.—ვიყიდით იქ, საცა გვინდა, თუმცა ხშირად ჩვენი ბინის სიახლოვეს ვყიდულობთ. მაგრამ მაინც ვერაფერს მოვიგებდი თუნდა მთელი მაღაზიები შემომევლო. არჩევა ყველგან ერთ და იმავესი შეიძლება, რადგან ერთი და იგივე ნიმუშებია იმისი, რაც კი შეერთებულ შტატებში კეთდება ან სხვაგნიდან შემოდის. აი რისთვის შეიძლება ასე ჩქარა არჩევა და რატომ საჭირო არ არის სხვა მაღაზიების დავლაც.

— კარგი და, ეს ხომ მარტო ნიმუშების საწყობია! აქ ვერსად ვხედავ, რომ ნოქრები ზომავდნენ ან ახვევდნენ საქონელს.

— ზოგ ნივთებს გარდა ყველა ჩვენს მაღაზიებში მარტო ნიმუშებია. საქონელი აწყვია ქალაქის დიდ საშუალ საწყობში, სადაც პირდაპირ ფაბრიკებიდამ მოაქვთ. ჩვენ ვირჩევთ საქონელს ნიმუშებით და იმ ნაბეჭდი ზედ-წარწერის შემწეობით, რომლითაც ნაჩვენებია საქონლის შემადგენი მასალა, ფაბრიკა და ღირსება. ამ შეკვეთილ ნივთების სიას გზავნიან საწყობში და იქიდამ მოგვიდის მოთხოვნილი საქონელი.

— ეს უნდა საოცრად ამცირებდეს შრომას.—შევნიშნე მე.—ჩვენს დროში მეფაბრიკისგან ყიდულობდა ნარდად მოვაჭრე, ნარდად მოვაჭრისაგან—წვრილმანი მოვაჭრე და ამ უკანასკნელისაგან კი—„მხმარებელი“; ამ ნაირად ერთსა და იმავე ნივთს ათასის ხელში უნდა გაევლო. თქვენ ამ საქონლის

გადაცემ-გადმოცემას აღარ საჭიროებთ და სრულიად იშორებთ თავიდამ ამ ნოქრების მთელს ჯარს და წვრილად მოვაჭრეებს, რომელთა ხელშიაც ორჯელ მატულობდა საქონლის ფასი. ეს შენობა საწყობია სანაღდო წარმოების ნიმუშთა, და ამაზე მეტს მოსამსახურეებს არ საჭიროებს, რამდენსაც საჭიროებდა ნარდად მოვაჭრე. ჩვენებურ ყიდვა-გაყიდვის წესებში, როცა იმდენი ჩიჩინი, გაზომვა და შეხვევა იყო საჭირო, ათი ნოქარი ვერ გააკეთებდა იმას, რასაც აქ ახლა ერთი ასწრებს. ცხადია, დიდი შემცირება გექნებათ ხარჯის.

— ასე უნდა იყოს-კი, —მიპასუხა იუდიფმა, —მაგრამ ჩვენ სხვა გვარი წესი აზრადაც არ მოგვსვლია. აი რა, უფ. ვესტ! თქვენ უნდა უთუოდ სთხოვოთ მამას გაჩვენოთ ოდესმე საშვალი საწყობი, სადაც ღებულობენ ქალაქის ყველა სანიმუშო განყოფილებიდამ სხვა-და-სხვა შეკვეთილი ნივთების სიებს და საიდამაც შეხვეული ნივთები ეგზავნებათ დანიშნულებისამებრ. ამას წინაზე მე ვახლდი მამას იქ. უნდა გაგიტყდეთ, საოცარი სანახავია. ჩემი აზრით, ეს საქმე უაღრესად გაუმჯობესებულია; მაგალითად, აი იქ—იმ შემოფარგლულში ზის ნოქარი, რომლის საქმეც შეკვეთილი ნივთების გზავნაა, იმისდა მიხედვით თუ როგორ ღებულობენ შეკვეთილი ნივთების სიას მაღაზიის სხვა-და-სხვა განყოფილებებში და მოდის შემდეგ მასთან გადამცემი მილების საშვალებით. მისი თანაშემწეები თითეულ ცალკე გვარის ნიმუშებს არჩევენ და აწყობენ ერთად; შემდეგ ალაგებენ მათ ნიმუშებისათვის დანიშნულ გადამცემ კოლოფებში ნოქარ—ეკსპედიტორის წინ, რომელიც საქონლის კუთვნილებისამებრ გამგზავნელია. არის რამოდენიმე გადამცემი მილი, თითეული ამ მილთაგანი შეერთებულია მის შესაბამ საწყობის ვანყოფილებასთან. ეს ნოქარი —ეკსპედიტორი უშვებს კოლოფს მისთვის დანიშნულს მილში და რამოდენიმე წუთის უკან კოლოფი ვარდება საწყობში სწორედ იმ თაროზე, სადაც თავს იყრის ყველა სანიმუშო მაღაზიებში შეკვეთილი ერთგვარი საქონლის ნიმუშები. აქ ამოწმებენ დაკვეთილს საქონელს, სწერენ და ხვევენ საოცარის

სისწრაფით. ყველაზე უფრო ჩემი ყურადღება ამ შეხვევა-ჩაღლაგებამ მიიქცია. ტილოს, მაგალითად, ახვევენ მურგვალ მაშინის შემწეობით. მუშა, რომელიც მაშინათვე ზომავს ტილოს ნაჭრებს-ნაჭრებზე ჰხევს შეუწყვეტლივ, ვიდრე სხვა არ შეეცვლება. ამ გვარადვე სრულდება ყოველგვარი საქმე. შემდეგ ეს მოკრული საქონელი დიდრონი მილებით იგზავნება ქალაქის სხვა-და-სხვა უბნებში და ამ უბნებიდამ ურიგდებათ სახლებში. ყველა ეს რომ შესანიშნავი სისწრაფით კეთდება იქიდამ გაიგებთ, რომ ჩემს შეკვეთილს ნივთებს უთუოდ იმაზე უფრო ადრე მოიტანებენ ჩვენსას, ვინემ მე თითონ მივიტანდი აქედამ.

— კარგი, მაგრამ როგორ-და ახერხებთ ამასვე მეჩხრად დასახლებულს სოფლებში? —ვკითხე მე.

— სისტემა სოფელშიაც ისეთივეა, როგორც აქ. —ამიხსნა იუდიფმა—სოფლის სანიმუშო მაღაზიები შეერთებულია მაზრის საშუალ საწყობთან გადამცემი მილების საშუალებით. საწყობი შეიძლება რამოდენიმე მილის სიშორეზე იქნას, მაგრამ გადაცემა მაინც ისე ცქაფად ხდება, რომ სიშორით დაკარგული დრო სრულიად უმნიშვნელოა. ბევრს მაზრებში, ხარჯის შესამცირებლად, მრავალ სოფლებს ერთი და ივგივე მილი აერთებს საწყობთან. ზოგჯერ ორი-სამი საათიც უნდება შეკვეთილი საქონლის მიღებას. სწორედ ეგ შემემთხვა მე იმ ადგილებში, სადაც შარშანდელი ზაფხული გავატარე და უნდა გამოვტყდე არ მომეწონა ამ გვარი უხერხულობა. *)

— უეჭველია, სხვა ბევრ შემთხვევაშიაც დაბლა იდგომება სოფლის მაღაზიები ქალაქისაზე, —შევნიშნე მე.

— არა, —მოშიგო იუდიფმა, —ყველა დანარჩენში ისინი ისეთივე უნაკლულონი არიან. პაწაწა სოფლის სანიმუშო მაღაზიაშიაც სწორედ ისეთივე სხვა-და-სხვაობაა საქონლის ნიმუშე-

---

(* ეს უკვე დაწერილი მქონდა, როცა მაცნობეს, რომ ამ გადაცემის აკლსაც მოიღება ბოლო, რადგანაც მალე ყველა სოფლისათვის თავისი ანსაკუთრებული მილები გაიყვანებაო.

ბისა, როგორიც-კი იშოვება მთელს სახელმწიფოში, რადგან სოფლის საწყობსაც ივავე წყაროდან მოსდის საქონელი, საიდამაც ქალაქისას.

გზაზე ჩემი ყურადღება მიიქცია სახლების ერთი-მეორისაგან განსხვავებამ სიდიდითა და ძვირფასობით.

— რითი აიხსნება, — ვკითხე მე, — ეს განსხვავება, როცა რომ ყველას ერთი და იგივე შემოსავალი აქვს.

— თუმცა შემოსავალი ყველას თანაბარი აქვს, ამიხსნა იუდიფმა, — მაგრამ ამ შემოსავლის მოხმარა თითეულის პირად გემოვნებაზე ჰკიდია. ზოგს უყვარს კარგი ცხენები; ზოგს ჩემსავით ლამაზი ტანსაცმელი; არიან ისეთებიც, რომელთაც ყველაფერს კარგი სუფრა ურჩევნიათ. ქირა, რომელსაც სახელმწიფო იხდევინება ამ სახლებში სხვა-და-სხვა ზომისა, იმის მიხედვით, თუ რა სიდიდის ან როგორს ადგილზე დგას სახლი, ასე რომ ყველას თავისი ხასიათის ბინა შეუძლია მოიპოვოს. დიდს სახლებში ჩვეულებრივ ბევრი სულისაგან შემდგარი ოჯახები დგებიან და ბევრნიც არიან ქირის გადამხდელნი; ჩვენსავით პაწია ოჯახი-კი უფრო იაფ-ფასიანსა და მოთავსებულს ბინას ეძებს. ეს დამოკიდებულია მთელად საკუთარს გემოვნებაზე. მე წამიკითხავს, რომ წინანდელ დროში ბევრს ბინა ჰქონდა და ათას სხვა ხარჯს ეწეოდა-კი ქონების შეუფერებელს და თურმე სულ იმიტომ, რომ ხალხში უფრო მეტი მდიდრის სახელი ჰქონოდა, ვინემ საქმით იყო. მართლა ხდებოდა ასეთი რამ, ბ. ვესტ?

— უნდა გამოვტყდე, სრული ჭეშმარიტებაა, — მივუგე მე.

— ახლა ასეთი რამ შეუძლებელია, რადგან ყველამ იცის ვის რა შემოსავალი აქვს და იციან აგრეთვე, თუ ვინმე ერთ რამეში მეტს ხარჯავს, უთუოდ მეორეში დაზოგვით უნდა შეაჯამოს.

თავი XI

როცა სალხში მოვედით დოქტორი ლიტი ჯერ არ დაბრუნებულიყო და არც მისი მეუღლე გამოსულიყო თავის ოთახიდამ.

— მუსიკა გიყვართ, უფ. ვესტ? — მკითხა იუდიფმა.

მე მივუგე, რომ მუსიკა, ჩემი აზრით, მთელი ნახევარ სიცოცხლეს შეადგენს ადამიანისათვის.

— მე უნდა ბოდიში მოვითხოვო ასეთი კითხვისათვის, ახლანდელს დროში ამ საგანზე ჩვენ ერთმანეთს არ ვეკითხებით ხოლმე. მაგრამ მე წამიკითხავს, რომ თქვენს დროში განათლებულ წრეებშიაც ერივნენ ისეთები, რომელთაც მუსიკა არ უყვარდათ.

— ჩვენს გასამართლებლად უადგილო არ იქნება მოგაგონოთ, — მივუგე მე, — ხშირად ჩვენ უცნაური რამ მუსიკა გვქონდა.

— დიახ, მართალია, — მიპასუხა მან, — ვიცი. ასე მგონია, ის მეც არ მომეწონებოდა. არ გსურთ მოისმინოთ ჩვენი მუსიკა, ბატონო ვესტ?

— ჩემთვის დიდად სასიამოვნო იქნება მოვისმინო თქვენი მუსიკაზე დაკვრა.

— როგორ! — კისკისით წამოიძახა მან, — თქვენ გგონიათ ჩე ვიმღერებ ან დავუკრავ თქვენთვის?

ამ მოულოდნელმა კითხვამ კოტათი ამრია.

— რასაკვირველია მე ამის იმედი მქონდა, — მივუგე მას.

შენიშნა რა ჩემი არეული მდგომარეობა იუდიფმა შეიკავა მხიარულება და მითხრა:

— ეხლანდელს დროში ჩვენ ყველანი ვმღერით ხმის შესაუშავებლად და ზოგნი საკრავებზე დაკვრას სწავლობენ მხოლოდ საკუთარის სიამოვნებისათვის. ნამდვილი მუსიკა-კი უმაღლესი და უნაკლულო რამ არის, ვინმე რომელიმე ჩვენგან

წარმომდგარი. და ამ ნამდვილი მუსიკის მოსმენა ისე ადვილი მოსაპოვებელია ჩვენთვის, რომ საკუთარს სიმღერებსა და დაკვრის მუსიკასაც არ ვეძახით. ის კაცები, რომლებიც მართლა შესანიშნავად მღერიან და უკვრენ სახელმწიფო სამუსიკო სამსახურში იმყოფებიან. სხვები მომეტებულად არცა მღერიან და არც უკრავენ. მართლა გსურთ მოისმინოთ მუსიკა?

ერთხელ კიდევ დავარწმუნე ის, რომ ძლიერ მსურდა.

— მაშ წავიდეთ სამუსიკო ოთახში,—მითხრა მან.

მე გავყევი მას და შევედით ერთს უფარდო, მშვენიერ ოთახში, რომლის იატაკს ლაპლაპი გაჰქონდა, ისიც იყო მოვემზადე საკრავების დასათვალიერებლად, მაგრამ სადაა— ისეთიც-კი ვერაფერი ვნახე ოთახში, რაც ძლიერი ფანტაზიის გავლენის ქვეშ მაინც მიმეღო სამუსიკო იარაღად. ჩემი განცვიფრებული სახე უთუოდ ძალიან ართობდა იუდიფს.

— გთხოვთ გადაავლოთ თვალი დღიურ სიას და მითხრათ, რომელი უფრო მოგწონთ? ნუ დაივიწყებთ-კი რომ ახლა 5 საათია.—მითხრა მან და მომცა ხელში რაღაცა ქარტა.

ქარტაზე აღნიშნული იყო 12 სექტემბერი 2000 წელი, და ქვევით გრძელი საკონცერტო პროგრამა, როგორიც-კი ოდესმე მინახავს. ის იყო ვრცელი, სხვა და სხვა გვარი, შესდგებოდა ურიცხვ სასიმღერო პიესებისაგან. ამ საკვირველმა სიამ ისე დამაბნია, რომ ვერაფერი გავიგე, სანამ იუდიფმა თითით არ მანიშნა ცალკე განყოფილება, სადაც დანიშნული იყო: „ნაშვადღევის 5 საათი.“

მხოლოდ ახლა შევნიშნე, რომ ეს ამოდენა სია მთელი დღისათვის იყო დანიშნული და გაიყოფებოდა 24 ნაწილად ე. ი. მთელი დღე-ღამის საათებზე. „ნაშუადღევის 5 საათის“ განყოფილებაში რამდენიმე პიესა იყო მოქცეული და მე ავირჩიე საარღანო პიესა.

— ძლიერ მოხარული ვარ, რომ თქვენც არღანი გყვარებიათ. არც ერთი სხვა მუსიკა ისე არ ესაბამება ჩემს ხასიათს, როგორც არღანი.

იუდიფის რჩევით მე მოვთავსდი იქავე თავისუფლად და თითონ კი მივიდა ოთახის ბოლოზე. აქ მან ხელი შეახო ერთსა თუ ორს მარჭვალს და ოთახი გაივსო არღანის სასიამოვნო ხმებით—გაივსო, მაგრამ არ გადადენილა კი, რადგან მელოდია სრულიად ეთანხმებოდა ოთახის სივრცე სიგანეს. სულ გაკმენდილი ერთიან სმენად ვიქეცი. ასეთი მუსიკა და ასე საუცხოოდ შესრულებული მოულოდნელი იყო ჩემთვის.

— შესანიშნავია,—წამოვიწახე მე,—როცა ისიც იყო ნელ-ნელა ჰქრებოდა უკანასკნელი ტალღა ხმებისა.—თითქო თითონ ბახი უკრავდეს ამ არღანზე; მაგრამ არღანი სადღაა?

— მოიკმინეთ ცოტა,—მითხრა იუდიფმა,—მე მინდა ეს ვალსი მოისმინოთ კიდევ, სანამ რაიმე კითხვას მომცემდეთ, მე ის ძლიერ მომწონს.

ძლივს დაასრულა ეს სიტყვები, რომ სკრიპკის ხმებზე ოთახი მოიცო ზაფხულის ღამის გრძნეულებამ.

მიწყდა თუ არა ვალსის ხმა იუდიფი მომიბრუნდა მე:

— აქ არაფერია ისეთი საიდუმლოებრივი, როგორც თქვენ ფიქრობთ.—მითხრა მან.—ამ მუსიკას ფეერია ან ელფები კი არ უკვრენ, არამედ საუცხოოდ დახელოვნებული კაცის ხელები. ჩვენ რომ საერთო მონაწილეობა მივიღეთ საქმეში, მუსიკას შევუფარდეთ შრომის დაზოგვის იდეია. ქალაქში რამდენიმე სამუსიკო დარბაზია, რომელიც აკუსტიკირის მხრით სრულიად ესაბამება სხვა-და-სხვა გვარ მუსიკას. ეს დარბაზები შეერთებულია ტელეფონით ქალაქის ყველა იმ სახლებთან, რომელთა მდგურნიც თანახმა არიან შეიტანონ მცირე გადასახადი. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ რომ ამის წინააღმდეგი ერთიც არვინ არის. თითეული დარბაზისათვის ისე ბევრია დანიშნული მემუსიკეთა რიცხვი, რომ, თუმცა თითეულ დამკვრელს ან მთელს კრებას ცალკე ცოტასი შესრულება უწევს მთელი პროგრამიდამ, პროგრამა დაყოფილია ყველა 24 საათზე. თუ დაუკვირდებით დღევანდელ-

ქარტას, შენიშნავთ, რომ ახლა ერთსა და იმავე დროს ოთხი სხვა-და-სხვა კონცერტი სრულდება, სულ სხვა-და-სხვა გვარი მუსიკისაგან შემდგარი; როცა ერთ-ერთი ამ პიესის მოსმენა მოგესურვებათ, საკმაოა ხელი შეახოთ მარჯვალს, რომელიც მავთულით აერთებს თქვენს სახლს სამუსიკო დარბაზთან, სადაც ეს პიესები იკვრება. პროგრამები ისეა შემდგარი, რომ ერთსა და იმავე დროს სხვა-და-სხვა დარბაზში შესრულებულ პიესებიდამ შეგიძლიათ არჩევანი ჰქნათ სხვა-და-სხვა სასაკრაო და სასიმღერო მუსიკის; ამასთან დაყოფილია კილოებზე: არის როგორც სერიოზული, ისე სამხიარულო, ასე რომ შეიძლება ყოველგვარი გემოვნება და ხასიათი დაკმაყოფილოს.

— ჩემის აზრით, ბ. იუდიფ,—უთხარი მე,—ჩვენ რომ შეგვძლებოდა ისეთი დაწესებულების მოგონება, რომლის საშუალებითაც ყველას შესძლებოდა თავის სახლში მოესმინა ასეთი საუცხოო მუსიკა, დროს განუსაზღვრელად, ყოველგვარი გუნების შესაბამი და სურვილით გამოწვეული და დაბოლოებული, ჩვენ ამას საკაკობრიო ბედნიერების საზღვრად ჩავთვლიდით და ხელს ავიღებდით მეტს გაუჭობესობას.

— ჩემთვის წარმოუდგენელია, როგორ ითმენდენ ამ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელს ძველებურს წესს ისინი, რომელთათვისაც მუსიკა მოთხოვნილებად ითვლებოდა,—შენიშნა იუდიფმა,—ნამდვილი კარგი მუსიკა თქვენს დროში უმრავლესობისათვის, ვგონებ, სრულიად მიუწდომელი იყო; მარტო რჩეულნი სტკბებოდნენ მითი და ისიც შემთხვევით, დიდის გაჭირვებით, ბევრი ხარჯით და მოკლე დროებით, ამასთან გამოწვეული იყო სხვისი ნებით და ყოველგვარ არა სასურველს პირობებში. ავიღოთ თქვენი კონცერტები და ოპერები. განა საშინელება არ არის, რომ ერთი ან ორი სამუსიკო პიესის გამო, რომლის მოსმენაცა გსურთ, მთელი საათობით იჯდე და ისმინო ის, რაც თქვენ არ მოგწონთ! სადილზე, მაგალითად შეგიძლიათ აიშოროთ თქვენი საწუნელი საჭ

მელი. რომელი მშიერი მოიწადინებს ისადილოს იმ უეჭველ პირობებში, რომ, რასაც სუფრაზე მოიტანებენ, უთუოდ სჭამოს? მე დარწმუნებული ვარ, ადამიანის სმენაც ისეთივე გრძნობიერია, როგორც გემოვნება; ჩემი ფიქრით, სწორედ აი ეს კარგი მუსიკის მოპოვების სიძნელე გაიძულებდათ მოგესმინათ თქვენსავე სახლში იმათი დაკვრა ან სიმღერები, რომელნიც მხოლოდ გარე-გარე გასცნობოდენ ამ ხელოვნებას.

— მართალია, დავემოწმე მე, — მომეტებულ ჩვენგანისათვის ასეთი მუსიკა არ არსებობდა, ანა და სრულიად არავითარი.

— დიახ — შემნიშნა იუდიფმა. — თუ დაუკვირდები ადამიანი არც კი გეოცება მაშინდელ ხალხის სიგულგრილე მუსიკისადმი. უეჭველია, მეც შემძულდებოდა ის.

— თუ არ ვცდები, — ვკითხე მე, — ეს სამუსიკო პროგრამა დღე და ღამის მთელს 24-ს საათს ეკუთვნის. ქარტაზე კი ასეა მაინც, მაგრამ ვის უნდა სურდეს ნაშვალმევს მუსიკის მოსმენა?

— ოჰ, ბევრს, — მიპასუხა იუდიფმა. — ყოველს საათზე ფხიზლობს ვინმე; მაგრამ თუნდა იმათ თავ- დავანებოთ, არიან უძილოდ ტანჯულნი, ავადმყოფნი და მომაკვდავნი. ყველა ჩვენს საწოლ ოთახებში ლოგინის თავებში ტელეფონია მოწყობილი და მათი შემწეობით ყველა უძილოდ ტანჯულთ შეუძლიათ მოისმინონ მათი გუნების შესაფერი მუსიკა?

— ჩემს ოთახშიაც არის ასეთი მოწყობილება?

— რასაკვირველია. ახ! როგორ დამავიწყდა გუშინ საღამოს მეთქვა ეს თქვენთვის. მარა დღეს გიჩვენებსთ მამა ამ მოწყობილებას, როცა მოსასვენებლად წახვალთ და დარწმუნებული ვარ, მუსიკის შემწეობით თქვენ დასძლევთ ყოველ გვარ უსიამოვნო გრძნობებს თუ მათ ისევ დაგიწყეს ქენჯნა.

საღამოს ლიტმა იკითხა ჩვენი მაღაზიაში სტუმრობის ამბავი. შემდეგ გაკვრით შევადარეთ XIX და XX საუკუნეთა პირობები. და გადავედით მემკვიდრეობის კითხვებზე.

ვფიქრობ, — დავიწყე მე, — რომ მემკვიდრეობით ქონების გადაცემა ახლა უარყოფილი უნდა იქნას.

— პირიქით, — მიპასუხა მან — ამის დამშლელი არა არი
რა. თქვენც მიხვდებით, როცა დაახლოვებით გაგვეცნობით
რომ ჩვენს დროში პიროვნების თავისუფლება უფრო ნაკლება
დაა შეზღუდული, ვინემ თქვენს დროში იყო. რასაკვირველია
კანონი თხოულობს, რომ ყველა ემსახუროს ერს დადებულ
ვადის განმავლობაში, ნაცვლად იმისა, რომ, რაც თქვენ
დროში იყო შემოღებული, არჩევანში შეიყვანონ ის: იმუშაო
მან, იქურდოს, თუ მშიერი დარჩეს, ამ ძირეულ კანონ
გარდა, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ უფრო გარკვეულ
ფორმას ბუნებით კანონისას — სამოთხეში მიცემული მცნებისას,
რომლის ვალდებულება ყველასათვის თანაბარია; — ჩვენი საზო
გადო წეს წყობილება არაფერს სხვაში არ არის დანდობილ
დაკანონებულს იძულებაზე, არამედ შეიცავს სრულად თავი
სუფალსა და ლოღიკურს შედეგს კაცთა ბუნების მოქმედები
სას გონივრულს პირობეებში. სამემკვიდრეო კითხვა ხსნის სა
ხელდობ ამ მდგომარეობას ის ჰეშმარიტება, რომ ერი არ
ერთად-ერთი კაპიტალისტი და უძრავ საკუთრებათა პატრონ
სრულიად სამართლიანად საზღვრავს თითეულის ცალკე საკუთ
რებას მისი წლიური „ნდობით“ და ამ ნდობის მეოხებით ოჯ
ხისათვის საჭირო ნივთებით. თითეულის „ნდობა“ (კრედიტ
თქვენი დროის წლიური შემოსავლის მსგავსად, იმითი ისპო
პატრონის სიკვდილის შემდეგ, რომ მიეცემა მარტო დამარხვ
ხარჯათ გადაჭრილი წილი მაგრამ თავის ქონებას-კი, ვისა
უნდა იმას დაუტოვებს.

— რა უშლის, რომ ფასიან ნივთების კერძო პირთა ხელ
შემოკრებამ დროს განმავლობაში ცუდად იმოქმედოს მკვიდ
თა ქონებრივს თანასწორობაზე? — ვკითხე მე.

— ეს თავის-თავად წყდება, სულ უბრალოდ, — იყო პასუ
ხი. — ახლანდელს საზოგადო წეს-წყობილებაში ეს ყოველგვა
კერძო საკუთრების შემოკრება მხოლოდ ტვირთად ხდება, თ
ის საჭირო მოთხოვნილების საზღვარს გადაცდა. თქვენს დრ
ში ის იჯვლებოდა მდიდრად, ვინც ოქრო-ვერცხლის, იშვ

ის ძვირფასის მორთულობით და სხვა ამ გვარ საგანით ავსებ-
და სახლს, რადგან ესენი ფასად ღირდნენ და მუდამ ჟამს
შეიძლებოდა მათი ფულად ქცევა. ხოლო ახლა რომ ვინ-
ე მსგავსს გარემოებაში ჩაიჭრეს მემკვიდრეობის გამო ასი
ახვა და სხვა ნათესავების სიკვდილით, ასეთი მემკვიდრე უბე-
ღურად შერაცხდა თავს, რადგან მყიდველი არვინ ეყოლებოდა
ნივთებს; მათ იმდენად ექმნებათ ფასი, რამდენადაც ისინი საჭი-
რონი იქმნებიან ან კმაყოფილების მომგვრელნი თავიანთი სი-
ლამაზით. მეორეს მხრით, რაკი ყველას შემოსავალი მაინც
ავივე დარჩება, უნდა დაიხარჯოს „ნდობიდამ“ ამ ნივ-
თების შესანახავი სახლის ქირა და აგრედვე სასყიდელი იმას,
ინც ნივთების მოვლა-შენახვას იკისრებს და ეს კი არვისთვის
ელ-საყრელი არ არის. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ამ გვა-
ი მემკვიდრე უფრო ეცდება ნაცნობებს გაუნაწილოს მემკვიდ-
ეობით დარჩენილი ნივთები, რადგან მათი პატრონობა მხო-
ლოდ გაალარიბებს მას; ნაცნობებიც იშვიათად აიღებენ ამ ნივ-
თებიდამ იმაზე მეტს, რის ნებასაც ადგილი და მოვლის დრო
რ აძლევს. აქედამ ცხადია, რომ აკრძალვა კერძო საკუთრების
ემკვიდრეობით გადაცემისა იმ განძრახვით, რომ ხელი შეუშა-
ოს მისს ძლიერს შემოკრებას კერძო პირების ხელში, მეტი
ა არაფრად საჭირო სიფრთხილე იქმნებოდა სახელმწიფოს
ერით. ყველა მოქალაქე უფალია თვითონვე განაგოს მათი
ქმე იმ ზომაზე, რომ მეტ ტვირთად არ აწვებოდეს მას კერძო
კუთრება; ამის გამო ხშირადაა, რომ ნათესავები უარს ამბო-
ნ გადაცვალებულის ქონების მეტ წილზე და იტოვებენ მხო-
ოდ ზოგ-ზოგ საჭირო ნივთებს. დანარჩენი ქონება უბრუნ-
ება ერს, რომელიც საერო სალაროს ჰმატებს ყველა იმას,
ასაც კი ფასი ადევს.

— თქვენ მოიხსენეთ ოჯახში მეთვალყურის სასყიდელი,
უთხარი მე,— და ამან მიმიყვანა იმ საკითხზე, რომელიც რამ-
ნჯერმე მომადგა ენაზე, როგორ გადაწყვიტეთ შინა-მოსამ-
ურეების საქმე? ვინლა კისრულობს სამსახურს იმ საზოგა-
ოებლაში.

დოებაში, სადაკ სოციალურად ყველა თანასწორია? ჩვენსა ქალბატონებს იმ დროშაც უჭირდათ მოსამსახურეების შოვნა. ვინ ასრულებს თქვენს საოჯახო საქმეებს?

— ამ გვარი საქმეები ჩვენ არა გვაქვს, — მიპასუხა ლიტის მეუღლემ, რომელსაც მივმართე ამ კითხვებით. — სარეცხი საზოგადო სამრეცხველოებში ირეცხება სულ იაფად და საქმელი კი საზოგადო სუფრარეულოებში მზადდება. ყოველგვარი სამუშაო სრულდება ოჯახს გარეთ, საზოგადო სახელოსნოებში. ელექტრონი გვაძლევს საჭირო სინათლეს და სითბოს. სახლებს ვირჩევთ იმ ზომისას, რა ზომითაც საჭიროა ჩვენთვის და ვრთავთ იმდენად, რომ მისმა მილაგ-მოლაგებამ სულ მცირე დრო მოინდომოს — ამ სახით, შინაური მოსამსახურე ჩვენთვის არ საჭიროებს.

— იმის გამო, — დაიწყო უფ. ლიტმა, — რომ ღატაკთა წოდებაში მუდამ შეგეძლოთ გეშოვათ აუარებელი რიცხვი ხალხის, რომელსაც აკისრებდით ყოველგვარ სამძიმო და უსიამოვნო სამუშაოს, თქვენ გულ-გრილად უცქეროდით ამას და არ ეძიებდით საშვალებას, რომელსაც შეეძლებოდა აეკილებინა თქვენთვის მოსამსახურის საჭიროება. მაგრამ ეხლა, როცა ყველა რიგ-რიგად ასრულებს ყოველგვარ საზოგადოებისთვის საჭირო სამუშაოს, თითეულის პირადი ინტერესია გამოძებნოს და მოაგონოს შრომის შემამსუბუქებელი რამ საშვალება. ამაზ ძლიერად წასწია წინ იმ საშუალებათა მოგონებანი, რომელნიც ამცირებენ შრომას ყოველნაირ მოქმედებაში. ამის მეოხებითაა დღეს, რომ შესაძლებელია მცირე შრომით უმაღლეს ოჯახური კმაყოფილების მოპოება. იმ შემთხვევებში კი, როგორც მაგალითად: განსაკუთრებული წმენდა და მილაგება საჭირო ან ოჯახის რომელიმე წევრის ავადმყოფობის დროს, რაიმე არა ჩვეულებრივი მოვლენის დროს, მუდამ შეგვიძლია მოვიპოვოთ საჭირო შემწეობა.

— რიღათი აჯილდოებთ ამ თანაშემწეებს, ფული ხომ არა გაქვთ?

— ჩვენ ვუხდით სამაგიეროს არა მათ, არამედ ერს. მათი დახმარების მიღება შეიძლება სათანადო დაწესებულებიდამ, სადაც ამოშლიან ამის ღირებულობას იმის „ნდობის ბარათიდამ“, ვინც ასეთს შემწეობას საჭიროებს.

— სწორედ სამოთხედ გადაქცეულა ახლანდელი ქალებისათვის ეს ქვეყანა! — შეეძახე მე, — ჩემს დროში ვერც სიმდიდრე, ვერც აუარებელი რიცხვი მსახურთა ვერ იხსნიდა ქალებს ოჯახურ ზრუნვისაგან; და საშუალ შეძლებისა და ღარიბ-ღატაკი წრის ქალები ხომ ამგვარ ზრუნვის წამებაში ცოცხლობდნენ და კვდებოდნენ.

— დიახ, — წარმოთქვა ლიტის მეუღლემ, — ცოტა რამ წამიკითხავს ამის შესახებ და დარწმუნებული ვარ, რომ რა გაჭირებული ცხოვრებაც არ ჰქონდათ თქვენს დროში მამაკაცებს, მაგრამ ესენი მაინც კიდევ უბედნიერესნი იყვნენ მათს კოლებსა და დედებზე.

— იმ ტვირთ, რომელიც წელის მომწყვეტი იყო თქვენი დროის ქალებისათვის, — დაიწყო უფალმა ლიტმა, — ბურტყლის იმჩატით ეზიდება ახლა ერის ბრგე ბეჭები. ქალების უბედურებაც, როგორც სხვა ყველა თქვენი გაჭირება, იქიდამ წარმოსდგებოდა თქვენს დროში, რომ ვერ შეეგნოთ ერთობით ოქმედება, რაც იმ მკაცრი პირადობის (ინდივიდუალიზმის) ედეგი იყო, რომელზედაც მყარდებოდა მთელი თქვენი საზოადოებრივი წეს-წყობილება; ამასთან მიზეზი იყო აგრეთვე ქვენგან გაუგებლობა იმისი, რომ თქვენს მოძმეებთან შეერებით ათჯერ მეტს სარგებლობას მოიპოვებდით, ვინემ მათთან ძოლით. საოცარი ის კი არ არის, რომ თქვენი ცხოვრება უწყობელი იყო, არამედ ისა, რომ თქვენ საზოგადოდ შეგეოთ აგეტანათ თანაზიარი ცხოვრება, როცა თითეული ქვენგანი მზად იყო დაეჩაგრა მეორე და მიეთვისებინა მოძმის ონება.

— კმარა, მამა, კმარა! შენ ისე ცხარდები, რომ უფალ ლიტს ეგონება, მას ლანძღავ, — სიცილით ჩამოერია იუდიფი.

— როცა ექიმი გჭირდებათ, თქვენც უნდა იმავე სათანადო დაწესებულებაში მიიქცეთ და ის წამოიყვანოთ, ვისაც გამოგატანენ?

— ამავე წესებს ექიმებს ვერ შეუსაბამებთ, მიპასუხა ლიტმა,—ექიმი მაშინ უფრო მოუტანს სარგებლობას ავადმყოფს, როცა გაცნობილია მისი ბუნების თვისებებთან და მდგომარეობასთან; ამიტომ, ცხადია, ავადმყოფს საჭიროა შეეძლოს მისი ნაცნობი მკურნალის მოყვანა; ეს ხდება იმავე წესით, როგორც თქვენს დროში. ეროვნულ-ერთი განსხვავება იმაშია, რომ მკურნალი სასყიდელს იღებს არა თავისთვის, არამედ მთელი ერისათვის და ამ აზრით ამოშლილ ავადმყოფის „ნდობის“ ბარათიდამ, სამკურნალო დახმარებისათვის დადგენილს ფასს.

— თუ სასყიდელი ყოველთვის ერთი და იგივეა და მკურნალს არ შეუძლია უარი უთხრას ავადმყოფს, ცხადია, კაი ექიმები მუდამ საქმეში იქნებიან და ცუდები-კი ალბათ უქმად რჩებიან?

— ყველაზე წინ,—ტრაბახობად-კი ნუ ჩამომართმევთ ამ მოხუცს მკურნალს,—ღიმილით შემნიშნა ლიტმა,—ჩვენ არა გვყვანან ცუდი ექიმები. ჩვენს დროში მოქალაქის სხეულსა და სიცოცხლეზე ვარჯიშობის უფლება ყველას როდი ეძლევა, ვისაც კი ორიოდ სამკურნალო ტერმინები გაუზეპირებია, როგორც იყო თქვენს დროში. მკურნალობის უფლებას მხოლოდ ის ღებულობს, ვისაც მკაცრი გამოცდა გამოუვლია სკოლებში და ნათლად დაუმტკიცებია მისი მკურნალობისადმი მიწოდება. ამასთან მხედველობაში უნდა მიიღოთ ისიც, რომ ახლანდელს დროში არც ერთი მკურნალი არ ფიქრობს გაიმდლიეროს პრაქტიკა სხვა მკურნალთა დაჩაგვრით. მას ამისადმი არაფერი იზიდავს. დასასრული, მკურნალები ვალდებულნი არიან წარადგინონ სამკურნალო დაწესებულებაში წეს-რიგზე მათ მოქმედების ანგარიში და თუ პრაქტიკა ნაკლები ამოუჩდათ სხვა საქმეზე მიასწავლიან.

თავი XII

რიცხვი არ ჰქონდა ჩემს კითხვებს, რომლებზედაც მსურ-
და პასუხი მიმეღო, რომ ზერე-ქვერე მაინც გავცნობოდი მეო-
კე საუკუნის დაწესებულებებს; მაგრამ სამაგიეროდ ჩემი მასპინ-
ძლის გულკეთილობაც დაუსრულებელი იყო. ამის გამო ჩვენ
კიდევ დიდ ხანს ვსაუბრობდით მას შემდეგაც, რაც ქალებმა
დაგვტოვეს მარტონი. მოვაგონე რა ჩემს მოსაუბრეს, თუ რა-
ზე შეწყდა ჩვენი დილინდელი ბაასი, მოვინდომე გამეგო, რა
იყო შრომის ჯარის ორგანიზაციაში ისეთი, რომელიც აგულია-
ნებდა მუშას ერთგულებისადმი, რა-კი ის, მუშა, თავისუფალი
გახდა თავისს არსებობის ზრუნვაში.

— ყველაზე წინ საჭიროა იცოდეთ,—დაიწყო მან,—რომ
ჩვენი ჯარის წყობილებაში წასაქეზებელ საშვალებათა მოპო-
�sება მხოლოდ ერთი მიზანთაგანია. მეორე, ამაზე არა ნაკ-
ლები მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ვიყოლიოთ დაბალისა
და მაღალის საერო თანამდებობებზე გამოცდილი ნიჭის კაცე-
ბი, რომლებიც თავიანთ მოვალეობად თვლიდნენ, გამოაჩენი-
ონ მათს ხელქვეითებს უმაღლესი ძალა მოქმედებისა და დაი-
ცვარონ გარეწრობისაგან. აი ამ ორს მიზანზეა დამყარებული
ორგანიზაცია მუშათა ჯარისა. პირველ ალაგზე დგას ყოველ-
ვარ ხელობათა ჩვეულებრივი მუშების წყება; ამ წყებას სხვა
ანყოფილება არ აქვს. ამას ეკუთვნიან ყველა ახლად მოკრე-
ული პირველ სამ-წლიანი ვადის მუშები. ეს ნაწილი მუშათა
ჯარისა წარმოადგენს თავისებურს სკოლას და სკოლას მეტად
ფაცრს, რომელიც აჩვევს ახალგაზდობას გაგონებას, მორჩილე-
ბს და მოვალეობისადმი ერთგულებას. თუმცა ამ ძალისგან
ორმომდგარი მუშაობის სხვა-და-სხვაობის გამო მოუხერხებელია
შრომელთა სისტემატიური ამაღლება, რაც შესაძლებელია
ოლოდ დაბოლოს, მაგრამ თითეული მუშის ცოდნა—ნიჭიე-
ების შესახებ-კი ანგარიში სდგება და თვალსაჩენი ნიჭი იმსა-

ხურებს დაწინაურებას, როცა რომ გარეწრობა არ რჩება დაუსჯელი.

— ჩვენ დიდ შეცდომად მიგვაჩნია, ნება მივცეთ, რომ ყმაწვილურმა უზრუნველობამ ან წინდაუხედაობამ, რომელნიც არ შეიცავენ საგრძნობელს ბრალს, ავნოს რითიმე ახალგაზდობის მომავალ ცხოვრების ასპარეზს; ამიტომ ყველა, ვისაც-კი ისე გაუვლია ეს პირველი საფეხური, რომ არავითარი სერიოზული დანაშაულობა არ მიუძღვის; თანაბარის უფლებისაა იმ ხელობის არჩევაში, რომლისაკენაც იჩენს უმეტესს მიდრეკილებას, როცა ასეთს საქმეს აიჩენს, შედის ამ ხელობაში მოწაფედ. სწავლის დრო სხვა და სხვა ხელობაში სხვა და სხვაა. ამ ვადის გასულს მოწაფე ხდება მუშაკად და თავის ხელობის დამოუკიდებელ წევრად. სწავლის განმავლობაში თითეული მოწაფის შესახებ სდგება ცალკე ანგარიში, ინიშნება მისი ნიჭი და ბეჯითობა, თვალსაჩინს ნიჭს ეძლევა შესაფერი დაწინაურება; მაგრამ დაბოლოს მისი მუშათა შორის ალაგის ხარისხოვნება დამოკიდებულია ამ ნიშნების საშვალ ჯამზე.

თუმცა შინაგანი ორგანიზაცია მრეწველობისა და ხვნა-თესვის სხვა და სხვა დარგებში განსხვავებულია პირობათა თავისებურობით, მაგრამ მაინც კიდევ ყველა წარმოების მუშებს განიყოფებიან მათი ნიჭის მიხედვით: პირველ, მეორე და მესამე ხარისხებად. ბევრს შემთხვევებში ეს ხარისხნი თავის მხრივ განიყოფებიან პირველ და მეორე რიგად. თავის ნამუშევრის მიხედვით მოწაფეობის დროს, ყმაწვილი კაცი იქნება როგორც ხელოსანი, პირველის, მეორის ან მესამე ხარისხის ალაგს. ეჭვი არ უნდა, მხოლოდ შესანიშნავი ნიჭის ყმაწვილები გადადიან შეგირდობის მდგომარეობიდამ პირდაპირ პირველ ხარისხზე. უმრავლესობა-კი პირველად დაბალ ხარისხზე იცდენ და მხოლოდ ამის შემდეგ იწევს რიგ-რიგად მაღალ ხარისხებამდე წინ-წინვე დაწესებულ ვადაში. ეს ვადა უდრის ამა თ[illegible] იმ წარმოების სამოსწავლო ვადას, ასე რომ ვინც ნიჭს იჩენ[illegible] არასოდეს არ ალოდინებენ მის წინ-წაწევას, ხოლო მეორ[illegible]

მხრით, არვის არ შეუძლია უშრომლად დარჩეს მის წინანდელ სამოქმედო ალაგზე ისე, რომ ხარისხზე არ ჩამოქვეითდეს. უმაღლესი ხარისხის განსაკუთრებული უპირატესობა იმაში ‹ხატება, რომ ამ ხარისხზე უფლება ეძლევა თითეულს სპეციალობა თავის წარმოების ამა თუ იმ დარგთა და განყოფილებათა შორის. ეს, რასაკვირველია იმას არ ნიშნავს, რომ წარმოების რომელიმე განყოფილება ვითომ უეჭველ სიძნელეს რასმეს წარმოადგენდეს. მიუხედავად ამისა განყოფილებას შორის დიდი განსხვავებაა და უფლება არჩევანისა მათს შორის მაღლა ფასდება.

სამუშაოს განაწილების დროს, რამდენადაც შესაძლებელია, სახეში მიიღება თვით უმდარეს მუშაკთა მისწრაფებაც-კი, რადგან ამით გავაძლიერებთ მათს წინ-მსვლელობის უნარს და აგრეთვე სარგებლობის ხარისხსაც, რომლის მოტანაც მათგან შესაძლო იქნება. თუმცა დაბალ ხარისხის მუშების წადილი მიიღება სახეში, რამდენადაც ეს შეეთანხმება საქმის მოთხოვნილებას, მაგრამ უმეტესად სისრულეში შედის ეს მხოლოდ მაშინ, როცა საზრუნავად ჰყავთ უმაღლესი ხარისხის მუშები. ეს უფლება არჩევანისა ძალაში შედის ყოველ ახალ სამუშაო ხარისხის დადგენის დროს, და, თუ ვინმე ჰკარგავს თავის ხარისხს, ის ჰკარგავს ამასთან იმ სამუშაოსაც, რომელიც უფრო მისი ‹ემოვნებისა იყო, და იძულებული ხდება გადაცვალოს მისი ‹ურვილი საწინააღმდეგო შრომაზე. ყველა ამ ხარისხიდამ ‹არისხზე შეცვლა-გადაცვლის შედეგი იბეჭდება საზოგადო ორ‹ანოებში ყველას საყურადღებოდ, და ის, ვისაც თავი უჩენია ‹უკითობით უმაღლეს ხარისხზე გადაყვანის დროს, მთელი ერის ‹ღლობას იმსახურებს და საჯაროდ აჯილდოებენ მას ახალი ‹არისხის ნიშნით.

— ეს რა ნიშნებია?—ვკითხე მე.

— თითეულ წარმოებას აქვს თავისი განსხვავებული ‹ამოლიური ნიშნები,—მიპასუხა ლიტმა,—მედალის მსგავსი; ‹ომელიც ისეთი პატარაა, რომ ვერც-კი შეამჩნევთ, თუ არ

იცით, სად უნდა ეძიოთ. ეს ნიშანიღაა ერთად-ერთი, რომელსაც მუშათა ჯარის მამაკაცნი ატარებენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფორმას, რასაც საზოგადო სარგებლობა თხოულობს. ეს ნიშანი წარმოების ყველა ხარისხისათვის ერთ ნაირია, მხოლოდ მესამე ხარისხის ნიშანი რკინისაა, მეორე ვერცხლის და პირველი კი, —ოქროსი.

ძლიერი მიმბაძველობის იმ წასაქეზებელ საშუალებათა გარდა, რომელიც იხატება მასში, რომ მაღალი სახელმწიფო თანამდებობანი მისაღწევნი არიან მხოლოდ პირველ ხარისხზე მომქმედთათვის და რომ ურიცხვ უმრავლესობისათვის, რომელიც არ შრომობს ხელოვნების, მწერლობის და სხვა სამეცნიერო სარბიელზე, მისი ჯარში გარკვეული მდგომარეობა შეადგენს ერთად-ერთს ღონეს თავის გამოჩენისათვის საზოგადო საქმეში. კიდევ ბევრი სხვა და სხვა წამახალისებელი ღონის ძიება გვაქვს, მართალია უფრო დაბალი ღირსებისა, მაგრამ არა ნაკლებ ჭეშმარიტი, —ეს—განსაკუთრებული შეღავათი და თვით-ნებობა, რომლებითაც სარგებლობენ ისინი, ვინც მაღალ კლასებს ეკუთვნიან. ამ შეღავათის მნიშვნელობა იმაში იხატება, რომ ყველა საკუთარის თვალით ხედავს თუ რა სარგებლობაა უმაღლესი ხარისხის მოპოება.

უეჭველია, ძლიერ საჭიროა, რომ წინ-წაწევის იმედი შეუძლიათ იქონიონ არა მარტო კარგებმა. არამედ საშუალ და თითქმის მდარე მუშაკთაც-კი ნამდვილად ბევრად უმცირესია, მდარე მუშაკთა სიმრავლისა გამო. ჩვენი სახარისხოვნო წესი ამ უკანასკნელთა გამხნევებას უფრო მისდევს, ვინემ კარგების შეგულიანებას. და აი ამ განძრახვით ხარისხნი განიყოფებიან კლასებად. რადგან ხარისხნი და კლასები ყოველ ახლად დაწინაურების დროს თანაბარ რიცხვისაგან შესდგებიან, ამის გამო აფიცრების, კლას გარე მუშებისა და მოსწავლეთა გამორიცხვის უკან, უმცროსს კლასში არასოდეს არ ითვლება მუშათა ჯარის ერთი მეცხრედის მეტი. მომეტებულ ამათგანსაც ამ დროს დამთავრებული აქვთ სწავლის ვადა და დაწინაურე-

ბას მოელიან. უმცროსს კლასში დარჩენილთა რიცხვი მთელი
ამმსახურის ვადის განმავლობაში სულ უმნიშვნელო პროცენტს
შეადგენს მუშათა ჯარისას და შემიძლია დამტკიცებით ვთქვა,
რომ სიმდაბლეს თავიანთი მდგომარეობისას ისინიც ვერ
ამჩნევენ და შეცვლაც არ შეუძლიათ ამ მდგომარეობისა. თუ
ჯუშას შეძლება-კი აქვს შეიგნოს სახელის მნიშვნელობა, საჭი-
რო არ არის იმის დასაწინაურებლად რაიმე განსაკუთრებული
ფაველობა; ამისათვის ითხოვენ მისგან მხოლოდ კეთილ-საი-
ქედო ატტესტაციას და კარგს მოწმობებს; მაგრამ მარტო ესეც
არ ითვლება საკმაოდ მუშის დაწინაურებისათვის და ამ აზრით
თვალსაჩენი შრომა და სამაგალითო ბეჯითობა წარმოების სხვა
და სხვა დარგებში ჯილდოვდებიან საპატიო ქების შეძღვნით
და სხვა და სხვა გვარის საჩუქრებით. საზოგადოდ იმას ესწრა-
ფვიან, რომ დამსახურება არ დარჩეს შეუწყნარებლად, რაც უნ-
და მცირე ან უმნიშვნელო იყოს იგი.

რაც შეეხება შრომაში სიზარმაცის აცილებას, ან
ნამუშევრის უეჭველ სიცუდეს და ცხადს გარეწრობას იმ
პირთაგან, რომელნიც მოკლებულნი არიან კეთილშობილურ
კრძნობებს, ჩვენს მუშათა ჯარში ისეთი სასტიკი წეს რიგობაა,
რომ შეუძლებელია მსგავსი რამ მოხდეს. იმ კაცს, რომელსაც
შრომა შეუძლია და მხოლოდ ჯიუტობათ გაურბის მას, იმითი
ჯიდნენ რომ მარტო პურსა და წყალზე აცხოვრებდნენ იმ
დრომდე, სანამ მუშაობის სურვილს არ განაცხადებდნენ.

ჩვენს მუშათა ჯარში თანამდებობა აფიცერთა თანაშემ-
ბეთა ან „პორუჩიკთა“ ეძლევათ იმ პირებს, რომელთაც ორი
ელი დაუყვიათ პირველ ხარისხის პირველ კლასში. თუ ამათ-
ში ბევრი გამოჩნდება ასარჩევი, მაშინ არჩევანში შედის მხო-
ლოდ ამ კლასის პირველი გუნდი, არვის არ შეუძლია უფრო-
ობა მიიღოს სხვებზე, სანამ ოცდა ათის წლის არ შეიქმნება.
ფიცრობიდამ თვითეულს შეუძლია აიწიოს მაღლა არა საკუ-
�არის შრომის ნაწარმოების მიხედვით, არამედ მის ქვეშევრ-
ომთა ნამუშევარით. უფროსებს ნიშნენ თანაშემწეთა წრიდან

და აქაც ბეჯითი არჩევანი ხდება მათ განსაზღვრულ რიცხვიდამ. კიდევ უფრო მაღალი ხარისხის მიცემაზე კი ხელმძღვანელობენ სხვა პრინციპებით, რომელთა ახსნაც აქ დიდ დროს მოითხოვს.

რასაკვირველია, მსგავსი დაყოფის წესი თქვენი დროის წვრილმან წარმოებაში მოუხერხებელი იყო. ზოგს მათგანში, ვგონებ არც მოინახებოდა იმდენი მუშა, რომ თითეულ კლასს თითო მაინც რგებოდა. ნუ დაივიწყებთ, რომ შრომის საერო ორგანიზიციის დროს, ყოველგვარი წარმოება დიდი კორპორაციებით ხდება. ჩვენ თუ მუშების ერთი ადგილიდამ მეორეზე გადაყვან-გადმოყვანით შეგვიძლია თითეულს მათგანს იმ გვარი და იმ ზომის სამუშაო მოვუპოვოთ, რომლის შესრულებაც მას უკეთესად შეუძლია, ეს სულ იმ დიდი „მასშტაბის“ მოწყალებით, რომელსაც წეს-რიგში მოჰყავს მთელი ჩვენი მრეწველობა და აგრეთვე იმის მეოხებით, რომ ქვეყნის ყველა მხარეებში კეთილ-საიმედო დაწესებულებანი გვაქვს. ახლა კი, ბატონო ვესტ, ამ ჩემგან ანუსხულის წეს-წყობილების ძალით, თქვენ თითონ შეგიძლიათ გადასჭრათ, საკმაოა თუ არა ჩვენი ჯარის ორგანიზიციაში შეძლების და გვარად სამუშაოს უკეთესად შესრულებისათვის საშვალებანი მათთვის, ვინც ამათ საჭიროებს.

მე მივუგე, რომ ჩემი აზრით, შეიძლება მხოლოდ ერთი შენიშვნა მივცე სახელდობ, რომ ზემოხსენებული შემაგულიანებელი საშუალებანი მეტად ძლიერნი არიან და ჰბადებენ ცხარე მიმბაძველობას. შემეძლო აგრეთვე დამემატებინა, რომ ასევე თვეა ჩემი აზრი ახლაც, როცა უფრო მეტ ხანს დავყავი ამ ახალ ქვეყანაში და დაახლოებით გავეცანი საქმეთა მსვლელობას.

ლიტმა ამიხსნა, რომ მუშის რჩენა სრულებით არ ჰკიდია მის ჩინზე და ამიტომ არსებობისათვის ზრუნვა არასოდეს არ უმატებს მწუხარებას მისს წარუმართებლობას; რომ სამუშაო დრო მოკლეა, რომ შრომისაგან დასვენება წეს-რიგზე მიდის და ყოველგვარი მიმბაძველობა კი ისპობა მეორმოც და ხუთ წელზე.

— შეცდომის ასაცილებლად,—დაუმატა მან,—უნდა მოვიხსენო კიდევ ორი-სამი მუხლი. ყველაზე წინ ჩვენი წესი, რომელიც პატივსა სდებს კარგს მუშას მდარე მუშასთან შედარებით, სრულებით არ ეწინააღმდეგება ჩვენს საზოგადო წყობილების ძირითად იდეას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ყველა, ვინც-კი უკეთესს ჰქმნის თავის შრომისაგან, თანასწორ სამსახურს უწევს საზოგადოებას, რაც უნდა დიდი ან მცირე იყოს ეს ნაწარმოები. მე უკვე გითხარით, რომ ჩვენი წესები თანაბრად აგულიანებენ როგორც სუსტებს, ისე ძლიერებს, დაწინაურების იმედით. ის გარემოება, რომ ძლიერებს თვალსაჩინი ადგილი უჭირავთ, სრულიად შეურაცხყოფა არ არის სუსტებისათვის. ეს ზომაა, რომელსაც ითხოვს საზოგადო კეთილდღეობა.

ნუ იფიქრებთ, რომ რა-კი მიმბაძველობას ასეთს ფართო ასპარეზს ვაძლევთ ჩვენ, ვითომ აუცილებელ საჭიროებად და ღირსად მიგვაჩნდეს ეს კეთილშობილ გვამთათვის. ასეთი პირები თავიანთთავშივე ჰპოულობენ საჭირო მოტივებს და არა თავის გარე; და თავიანთ მოვალეობას საკუთარის გონებით ზომვენ და არა სხვების ჭკუით. სანამ-კი შეუძლიათ შრომის ატანა, ისინი სიბრიყვედ ჩათვლიდნენ სხვისგან ქებისა ან ძაგების მოლოდინს იმისათვის, რომ მათ წილად ხვდათ ბევრისა ან მცირეს გაკეთება. ასეთს პირებს მიმბაძველობა ფილოსოფიურად შეუსაბამოდ მიაჩნიათ და ზნეობრივად-კი—სიმდაბლედ, რადგან ეს მიმბაძველობა იმ დამოკიდებულებაში, რა დამოკიდებულებაც ჩვენა გვაქვს, სხვების გამარჯვებასთან თუ წარუმართებლობასთან უპირველესად იწვევს გაკვირვების ნაცვლად—შურს და თანამგრძნობის სიბრალულის მაგიერ, ეგოისტურ ბოროტ—სიამეს.

მაგრამ ამ მეოცე საუკუნის უკანასკნელ წლებშიაც-კი არა დგას ყველა ასეთს ზნეობრივი განვითარების სიმაღლეზე და, ვისთვისაც საჭიროა წამაქეზებელი საშუალება, ეს უნდა შეესაბამოს მათს უმდაბლეს თვისებიანს ბუნებას. მაშასადამე მათი მამოძრავებელი უნდა იქმნას მუდამ ცხარე ბაძიობა. ვინც

წაქეზებას საჭიროებს, ის თვითონვე გრძნობს ამას. იმათთვის-კი, ვინც უკვე გასცილდა მისი ზედგავლენის საზღვარს, ის მეტად ალარ საჭიროებს მას.

— აქვე უნდა მოვიხსენო,—განაგრძო მან,—რომ ჩვენ გვაქვს ერთგვარი სხვებთან დამოუკიდებელი წრე მათთვის, ვინც სულიერად ან ხორციელად იმდენად სუსტია, რომ შეუძლებელია მისი მუშების უმთავრესს ჯარში შერიცხვა. ეს იგივე საინვალიდო ინსტიტუტია (შრომის შეუძლოთა დაწესებულება) რომლის წევრთაც ეძლევათ უფრო სუბუქი სამუშაო მათი შეძლების შესაფერი. ყველა ჩვენი ყრუ—მუნჯი, კოჭლნი, ბრმანი და სახიჩარნი, ჩვენი შეშლილებიც კი ინსტიტუტს ეკუთვნიან და ატარებენ მის ნიშანს. უღონიერესნი მათში ხშირად ისეთს სამუშაოს ასრულებენ, როგორსაც მთელი კაცები; უფრო სუსტები-კი არაფერს აკეთებენ, მაგრამ ისეთი-კი ერთიც არვინაა, რომ შეეძლოს რისიმე გაკეთება და არ მუშაობდეს. ჩვენი შეშლილებიც-კი ცდილობენ გაკეთონ რამე გონების ნათელ წამებში.

— საინვალიდო ინსტიტუტის იდეა მართლაც მშვენიერია, — ვუთხარი მე. —მეცხრამეტე საუკუნის ველურიც კი უნდა აფასებდეს მას. ეს შესანიშნავი საშუალებაა მოწყალების დასაფარავად და უეჭველია მას სასიკეთო ზედმოქმედება აქვს იმათს გრძნობებზე, ვინც ამ ქველმოქმედებით სარგებლობს.

— მოწყალების! —გაიოცა-ლიტმა.—ნუ თუ თქვენ გგონიათ რომ ამ შრომისათვის უვარგისთა გამოკვება, რომლებზედაც ამ წამში მოვიხსენე, ჩვენ ქველმოქმედების საქმედ მიგვაჩნია?!

— დიახ, უთუოდ,—მივუგე მე.—იმათ ხომ თითონ არ შეუძლიათ თავის რჩენა.

აქ კი უღალატა ლიტს მოთმინებამ.

— და სხვას ვის შეუძლია ეს? —იკითხა მან.—საზოგადოების ველურ მდგომარეობაში, როცა მას არა სწამს ოჯახის ერთობით მოქმედება, ყველას შეუძლია დაირჩინოს თავი და ისიც არა მუდამ, არა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ხოლო

ს უკან, რაც განათლებამ იმატა და ფესვები მოიდგა შრომის
ნაწილებამ, მრავალ-მხრივი ურთიერთული დამოკიდებულება
ება საზოგადო წესად. თითეული, რაგინდ განკერძოებულად
დეს მისი ხელობა, წევრთა ვაება დაუბოლოვებელ საწარმოო
სოციაციისა, ისეთის ძლიერისა, როგორიც არის ერი, გინდ
ელი კაცობრიობა. ურთიერთულ დამოკიდებულების აუცი-
ებლობას თან სდევს ურთიერთულ შემწეობის მოვალეო-
თა ასრულება. აი, მსგავსი წესიერების უქონლობა-ღა შეად-
ნდა თქვენს დროში საგრძნობელ სისასტიკეს და თქვენი
ს წყობილების უგუნურებას.

— ყველა ეს შეიძლება მართალი იყოს,—შევნიშნე მე,—
კრამ ეს არ ეხება იმათ, რომელნიც საზოგადოდ უღონონი
�ან გაერიონ საწარმოო შრომაში.

— როგორც უკვე გითხარით დღეს დილით,—და მე კი
ონია, რომ გითხარით,—კაცის უფლება საზოგადო მეჯ-
ისზე მონაწილეობისა იმ უბრალო ჭეშმარიტებაზეა დამ-
რებული, რომ ის კაცია და არა მისს სიმთელესა და ღონე-
ს, რომლის მქონეც ის არის,—ის აკეთებს იმას, რაც შეუძ-
ია.

— მართალია, მითხარით,—მივუგე მე.—მაგრამ ეს პრინ-
ციპი, ჩემის აზრით, ეხება მხოლოდ შრომის შემძლებელ მუშებს.
ეუთვნის ის მათ, რომელნიც არაფერს აკეთებენ?

— განა ისინი კი კაცები არ არიან?

— ნუ თუ კოჭლნი, ბრმანი, სნეულნი და სახიჩარნი ისე-
ვე კეთილდღეობით სარგებლობენ, როგორც თვით შემძლე
უშები?

— რასაკვირველია,—მიპასუხა მან.

— მარტო წარმოდგენა ამ სიფართოვე მოწყალების, საო-
რებაში მოიყვანდა ჩვენი დროის თვით უცხარესს კაცთმოყვა-
ეებსაც კი—შევნიშნე მე.

— წარმოიდგინეთ, რომ თქვენ სახლში გყავთ სნეული
ბა, რომელსაც მუშაობა არ შეუძლია,—მიპასუხა ლიტმა,—

ნუ თუ მას თქვენს თავზე უმდარესს საჴმელს, ტანსაცმელს, ბინას მისცემთ? უნდა ვიფიქროთ, რომ თქვენ მას მეტს პატივს სცემთ და გონებაშიც არ გაგივლისო ის აზრი, რომ ამას მოწყალება უწოდოთ. ნუ თუ ეს სიტყვა ზიზღს არ გამოიწვევს თქვენში ამ შემთხვევაში?

— ცხადია,—მივუგე მე,—მაგრამ ეს შედარება შეცდომაა. მართალია, ერთის მხრით ყველა ადამიანები ძმები არიან, მაგრამ საერთო აზრი ძმობაზე, თუ მშვენიერს, მაგრამ რიტორიკულს მიზანს არ მივხედავთ, სრულებით არ შეედრება სისხლითი ძმობას; ის არ შეიცავს არც ერთგვარ ძმობას, არც ერთს კავშირს.

— თქვენ გალაპარაკებს მეცხრამეტე საუკუნე!—წამოიძახა ლიტმა.—ეჰ, ბატონო ვესტ, ყოველ ეპეს გარეშეა, რომ ძლიერ დიდხანს გძინებიათ. ჩემგან რომ საჴირო იყოს ნამდვილი გასაღების გადმოცემა იმ საიდუმლოების ასახსნელად, რომელიც ასე გაოცებს თქვენ ჩვენი განათლების შესახებ, მე გეტყოდით: ამ გასაღებს შეიცავს ის ჭეშმარიტება, რომ თქვენ დროში მარტო ლამაზ ფრაზებად ქცეული ხალხთა ურთიერთული სალიდარობა და საკაცობრიო ძმობა, ჩვენი აზრით ისეთივე სინამდვილეა და ისეთსავე ძლიერს კავშირს შეიცავს, როგორც თვით სისხლითი ნათესაობა. მაგრამ თუნდა ამ მოსაზრებასაც თავი დავანებოთ, ვერ გამიგია, რატომ გაოცებს თქვენ ის, რომ შრომის შეუძლოთა სრული უფლება ეძლევათ ისარგებლონ იმათი შრომის ნაყოფით, ვისაც მუშაობა შეუძლია, თქვენს დროშიაც იყო, რომ ერის დასაცველი სამხედრო ბეგარა, რომელიც ჩვენს სამრეწველო ბეგარას უდრის, სავალდებულო იყო ყველა ამისათვის გამოსადეგ პირთათვის, მაგრამ სამხედრო სამსახურისათვის უვარგისებს კი არ ართმევდა მოქალაქობრიულს უფლებას. ეს უკანასკნელნი სახლში რჩებოდნენ და იკვებებოდნენ იმათგან, ვინც ომში მიდიოდა და არვინ კითხვას არ სძრავდა მათს უფლებაზე, არვინ იხსენიებდა მათ ცუდად მარტო იმისათვის, რომ უვარგისნი არიან სამხედ-

რო სამსახურისათვისაო. სწორედ აგრეთვე არ შეუძლია სამ-
ხედველო სამსახურს, რომელიც შრომას თხოულობს ყველა
ამისათვის ვარგისს პირთაგან, მოუსპოს შრომის უვარგისებს
მათი მოქალაქობრიული უფლება, რომელშიც ახლა მოქალა-
ქის საზრდოც შედის. მუშა იმიტომ-კი არ არის მოქალაქე, რომ
მუშაობს, არამედ მუშაობს იმიტომ, რომ მოქალაქეა. რო-
გორც თქვენ მიგაჩდათ ძლიერის მოვალეობად სუსტის მაგი-
ერ ბრძოლა, ახლაც ასე, რა-კი ომი მოისპო, ჩვენ ძლიერის
მოვალეობად მიგვაჩნია სუსტისათვის მუშაობა.

საზოგადოდ ის ახსნა, რომელიც აუხსნელს სტოვებს რასმეს,
ახსნა არ არის; სწორედ აგრეთვე, ჩვენი საკაცობრიო გამოცა-
ნის ახსნაც არ იქნებოდა დამაკმაყოფილებელი, თუ მას კოპლ-
ნი, ბრმანი და სნეულნი არ შეევრდომებინა და მიეგდო ისი-
ნი ბრმა ბედისათვის ნადირთა მსგავსად. ბევრად უმჯობესია,
ძლიერნი და ჯან-საღნი მივანებოთ მათს ნებას, ვინემ ეს მაშ-
ვრალნი და ტვირთ-მძიმენი, რომელთათვისაც უნდა იტანჯე-
ბოდეს თითეულის გული, და ან სხვა ვინ საჭიროებს მათზე მე-
ტად სულიერსა და ხორციელს კეთილ-დღეობას. აქედამ წარ-
მოსდგება როგორც უკვე გითხარით დღეს დილით, რომ თი-
თეულის მამაკაცის, დედაკაცის და ბავშის უფლება საარსებო
სახსარზე იმ მტკიცე, ფართო და უბრალო ჭეშმარიტებაზეა
დამყარებული, რომ ისინი წევრნი არიან ერთი და იმავე კაცო-
ბრიობის ოჯახისა. ერთად-ერთი საარსებო სახსრის მომპოვებე-
ლი ღვთის მსგავსებაა. ვისაც ეს მსგავსება აქვს, მას ვუნა-
წილებთ ყველაფერს, რაცა გვაქვს.

ჩემის ფიქრით, არც ერთი მხარე თქვენის დროის განათ-
ლებისა ისე საზიზღარი არ ყოფილა, როგორც თქვენზე დამო-
კიდებული წოდების ხალხის სიძულილი, თუნდა ვთქვათ, რომ
თქვენ მოკლებული იყავით ყოველგვარ სიბრალულისა და ძმო-
ბის გრძნობას, მაგრამ ნუ თუ ვერ ხედავდით, რომ, რა-კი
თქვენ ხელი ააღეთ ამ სუსტებზე ზრუნველობას, ამით დაუ-
კარგეთ ამ სჯოდავებს მათი კანონიერი უფლება?

— მე არა ვარ სრულად თქვენი თანახმა,—მივუგე მას,—მრწამს, რომ ამ წოდებას შეეძლო ჩვენგან შებრალების იმედი ჰქონოდა: მაგრამ, როგორ შეიძლება, ვინც არაფერს აკეთებს, იმან უფლებით მონაწილეობა მოითხოვოს სხვების შრომის ნაყოფში?

— რისაგან იყო,—მომიგო ჩემმა მოსაუბრემ,—რომ თქვენს მუშებს მეტის მომუშავება შეეძლოთ, ვინემ ველური ხალხის ამდენსავე რიცხვს? განა არა იმისგან, რომ მათ მემკვიდრეობით გადმოეცათ ცოდნა და გამოცდილება მათი წინაპრებისაგან? განა არა იმისაგან, რომ იმათ მთელი მეხანიზმი საზოგადოებისა მზამზარეულად ჩაიბარეს, რომლის მოწყობასაც ათასი წლები მოუნდა? საიდამ შეიქენით თქვენ მფლობელი ამ ცოდნისა და იმ მეხანიზმისა, რომლის მეოხებითაც არის შემდგარი თქვენი საწარმოო შრომის ცხრა-მეათედი ღირებულობა? თქვენ მემკვიდრეობით გადმოგეცათ ხომ ისინი? განა თანასწორი უფლების თანამემკვიდრენი არ იყვნენ ეს სხვები, ეს საბრალონი, ეს ბედისაგან ჩაგრული ძმები, რომელნიც თქვენ უარ-ჰყავით? სად არის მათი სამემკვიდრეო წილი?

ეჰ, უფ. ვესტ,—განაგრძო ლიტმა, როცა მე არა ვუპასუხე რა:—თუნდა ყველა ამ სუსტთა და დაჩაგრულთადმი სამართლიანობასა და ძმურს სიყვარულს თავი დავანებოთ, ვერაფერით გამიგია მაინც, რა გული უძლებდათ თქვენი დროის მუშებს ხელი მოეკიდნათ სამუშაოსათვის, როცა იცოდნენ, რომ მათი შვილები ან შვილის შვილები,რომელიმე უბედური შემთხვევის გამო, დაჰკარგავდნენ არა თუ კმაყოფილებას, არამედ თვით უსაჭიროესს სახსარს ცხოვრებისათვის.

დოქტორმა ლიტმა გუშინ საღამოს ნათლად განმარტა თავის საუბარში, თუ ახლა რა მზრუნველობით ცდილობენ საშუალება აღმოუჩინონ თითეულს მისი ბუნებითი მიდრეკილე-

ბის გამოსაცნობად, რომელსაც უნდა გაჰყვეს ის ასპარეზის არჩევის დროს. მაგრამ, როცა კი გავიგე, რომ მუშის შემოსავალი ერთი და იგივე რჩებოდა ყოველგვარ პროფესიაში, ნათლად დავრწმუნდი, რომ ის ნამდ ილ ასეც მოიქცევა და თავისთვის უკეთესი გუთნის არჩევის დროს, გამოსძებნის უთუოდ ისეთს, რომლითაც უფრო გაუადვილდება მას ცხოვრების უღელის წევა.

ჩემს საუკუნეში ვერაგვარი სისტემატიურის და ვერავითარი სინამდვილის სახით ვერ ახერხებდნენ განვითარებინათ და სასარგებლოდ ექციათ ადამიანის ბუნებითი მიდრეკილებანი ხელოსნობისა და გონებრივის მოღვაწეობისადმი და ეს-კი ერთი უდიდესი ნაკლი იყო ჩვენი დროისა. ჩემი თანამედროვენი თითქო თავისუფალნი იყვნენ ხელობის არჩევაში, მაგრამ საქმით-კი სულ წინააღმდეგი ხდებოდა და იძულებულნი იყვნენ აერჩიათ ისეთი შრომა, რომელშიაც ისინი შედარებით ძლიერ ცოტას მუშაობდნენ. მდიდრების უპირატესობა ამ მხრით ძალიანი მკირე იყო ღარიბებთან შედარებით. ღარიბებს, რომელნიც თითქმის მუდამ მოკლებულნი იყვნენ სწავლა-განათლებას, არ ეძლეოდათ შემთხვევა გამოეჩინათ მათი ბუნებითი ნიჭი, რომელიც შესაძლებელი იყო მათში; და თუნდა გამოეჩინათ კიდეც, სიღარიბე ნებას არ აძლევდა მათ განვითარების ასპარეზს, რომელიც საჭიროებდა უმაღლეს განათლების მქონე პირს, თუ რაიმე არა კეთილ-შემთხვევით, ღარიბებისათვის მიუწდომელი იყო ის საზარალოდ მათდა და მთელი ერისა. მეორე მხრით, იმათ, რომელთაც საკმაო სიმდიდრე ჰქონდათ, თუმცა მათ განათლებაც მიეღოთ და პირობებებიც ხელს უწყობდნენ, მაგრამ საზოგადოებრივი ცრუ მორწმუნეობანი, არ ანებებდენ ხელი მოეკიდათ ხელოსნობისათვის, თუნდა რომ მისდამი მიდრეკილებაც ჰქონოდა; ასეთს პირებს მაღალ პროფესიებისათვის ნიშნავდნენ, მიუხედავად იმისა ვარგოდნენ ამ თანამდებობაზე თუ არა, და ამ ნაირად საზოგადოება აკლდებოდა ბევრს კარგს ხელოსანს. ამას გარდა ფულის

სიხარბეც მეტად ასახიჩრებდა ჩვენში ნიჭიერებას; ცდილობდნენ ეშოვნათ ისეთი ხელობა, რომელიც მათთვის შეუსაბამო იყო, მაგრამ სადაც თავის ნებაზე იქნებოდნენ; და ისეთს საქმეს-კი, სადაც შრომა ნაკლებად ჯილდოვდებოდა, ახლოს არ ეკარებოდნენ, თუნდა რომ ეს საქმე მათი ბუნებითი მიდრეკილების თანახმა ყოფილიყო.

თავი XIII

იუდიფის დაპირებისამებრ, დოქტორი ლიტი წამომყვა ჩემ საწოლ ოთახში, სამუსიკო ტელეფონის საჩვენებლად. მან ამიხსნა, რომ საკმაოა მარჯვალზე თითის დაჭირება და ოთახს მოიცავს მშვენიერი მუსიკის ხმები, ან ისე მკრთალად, სუსტად და შორეულ ხმასავით გაიგონებთ, რომ ძნელი გასარჩევი იქნება, მართლა ისმიან ეს ხმები, თუ ეს მხოლოდ წარმოდგენის ნაყოფიაო. ორი ერთმანეთის გვერდით მწოლარე კაცისაგან ერთს რომ მუსიკის მოსმენა სურდეს და მეორეს ძილი, ისე შეიძლება მოეწყოს ტელეფონი, რომ ის მხოლოდ ერთისათვის იყოს გასაგონი და მეორეს სმენამდის არ მიაღწიოს.

— მე კი გირჩევთ, უფალო ვესტ, თუ შეიძლება ამაღამ ძილი ამჯობინოთ ყველა საუკეთესო ხმებს ქვეყანაზე.—მითხრა მან, როცა ამიხსნა ტელეფონის მოწყობილება.—თქვენებრ აღელვებულ მდგომარეობაში ძილი უკეთესი საშვალებაა ნერვების დასამშვიდებლად.

მე მომაგონდა იმ დილინდელი ჩემი თავ-გადასავალი და შევპირდი მის რჩევაზე გამეცლო.

— კარგი,—მითხრა მან,—მაშ ტელეფონს მოვაწყობ რვა საათისათვის.

— რა გსურთ ამითი თქვათ?—ვკითხე მე.

მან ამიხსნა, რომ ტელეფონის მოწყობილება ისეთია, ვისაც რომელ საათზე უნდა, მაშინ გაიღვიძებს მუსიკითაო.

მე დავრწმუნდი, როგორც დაბოლოსაც დამტკიცდა, რომ ჩემი უძილობა ყველა სხვა ნაკლთან ერთად მივატოვე უკან, მეცხრამეტე საუკუნეში; თუმცა არავითარი საშუალება არ მიხმარია ამ ჟამად დასაძინებლად, მაგრამ წინა ღამის მსგავსად იმ წამსვე მიმეძინა, როგორც-კი მივდევი თავი ბალიშზე. ამ ძილში მესიზმრა, ვითომ აბენსერაგების ტახტზე ვზივარ, ალგაბრის სადღესასწაულო დარბაზში, სადაც ლხინს უმართავდი ჩემს ვეზირებსა და ფაშებს, რომლებიც თათრის ჯარით უნდა თავს დასხმოდნენ მეორე დღეს ისპანელთა ძალებს—ქრისტიანებს. შადრევნის წინწელებით გაგრილებული ჰაერი ყნოსვას ატკბობდა ყვავილთა სურნელებით. რამოდენიმე გარგვალებული და მგრძნობიერ ტუჩების პატრონი ქალები, ვნებათაღელვის აღმგზნელ ტან-რხევით ცეკვას უვლიდნენ წინწილებისა და სხვა სიმებიან საკრავთა ხმებზე. ავიხედავდი რა მაღლა მოაჯირზე, იქ ვჭრეტდი ჰარემის მამშვენებლის ცქრიალა თვალებს, რომლებიც ქორივით დაცქეროდნენ დაბლა მავრიტანელ გმირთა. წინწილანი თან-და-თან მაღლა-და-მაღლა ჰქუხდნენ; ტკბილი სასიამოვნო ხმა თან-და-თან გადადიოდა ველურს ღრიალზე; სანამ ბოლოს ამ ველურ შვილთა სისხლმა ველარ შესძლო აეტანა ეს ბრძოლის მომგვრელი აღტაცება. უეცრივ ეს შავნი რაინდნი წამოიჭრნენ ზეზე, ათასმა შიშველმა დაშნამ გაიკრიალა ჰაერში; „ალლახ! ალლახის!“ ყვირილმა შესძრა მთელი სახლი და მე გამეღვიძა. გათენებულიყო კიდევაც და ელეკტრონული მუსიკა უკრავდა თათრულს საგანთიადო ნაღარას.

საუზმეზე მათ უამბე ჩემი დილის თავ-გადასავალი და მათგან გავიგე, რომ ეს არა უბრალო შემთხვევა იყო, არამედ ჩემი გამაღვიძებელი პიესა, სახელდობ განთიადის ნაღარა იყო და არა სხვა რამე, რომ გასაღვიძებელი მელოდიები შესდგებიან ცხოველი და გამამხნევებელი ხმებისაგან.

— მართლა,—შევნიშნე ლიტს,—აი ჩვენ ვლაპარაკობთ ისპანიაზე და ჯერ არ მიკითხავს, რამდენად შეიცვალნენ ევროპაში ცხოვრების პირობები. მოხდა თუ არა ასეთივე ცვლილება ამ ძველი ქვეყნის საზოგადო ურთიერთობაში?

— რასაკვირველია,—მითხრა მან,—ევროპის ყველა უდიდესი ერნი და აგრეთვე ავსტრალია, მექსიკა და სამხრეთი ამერიკა ამ ჟამად წარმოადგენენ სამრეწველო რესპუბლიკებს, შეერთებული შტატების მსგავსად. ეს უკანასკნელი წინამძღოლი იყო ამ მოძრაობისა. ყველა ამ ერთა შორის მშვიდობიანი დამოკიდებულება გამტკიცებულია თავისუფალი ფედერალური კავშირით, რომელიც მოფენილია მთელი დედამიწის ზურგზე. საერთა-შორის რჩევას რიგში მოჰყავს საურთიერთო დამოკიდებულება და ვაჭრობა მოკავშირე წევრთა შორის და მათი საერთო პოლიტიკა ჩამორჩენილ ტომთა შესახებ, რომლებიც უნდა თან-და-თან გადვიდნენ უმაღლეს განვითარებაზე. შინაობაში-კი თითეული ერი სრული თვით-მმართველია.

— კარგი, მაგრამ როგორ-ღა ახერხებთ უფულოდ ვაჭრობას?—ვკითხე.—ვთქვათ, შინაურ საქმეებში გამოდიხართ უფულოდ, მაგრამ სხვა ერებთან დამოკიდებულებისათვის ხომ უნდა უთუოდ იქონიოთ თუნდა რაიმე ფულის მსგავსი?

— ოჰ, არა! ფული უმნიშვნელოა საერთაშორის დამოკიდებულებაშიაც. სანამ სახელმწიფოთა შორის ვაჭრობა კერძო აღებ-მიცემობას ჰქონდა ხელში, ფულები მაშინ იყო საჭირო სხვა-და-სხვა დაბრკოლებათა ასაცილებლად; ახლა კი ვაჭრული ურთიერთობა ერების საქმეა, როგორც ერთი ცალკე პიროვნების. ახლა მთელს ხმელეთზე სულ ათ-თორმეტამდე ძლიეს მოინახება ვაჭრების რიცხვი და რადგან ამათი ვაჭრობა მოკავშირეთა რჩევის ზედამხედველობაშია, მათი სავაჭრო მორიგებისათვის სრულიად საკმაოა უბრალო საბუხგალტერიო და საანგარიშო წესი, ცხადია, ახლა არავითარი ბაჟი არ არსებობს. ერს შემოაქვს მხოლოდ ის საქონელი, რომელსაც საჭიროდ სცნობს მისი მთავრობა საზოგადო სარგებლობის მიზნით. თი-

თეულ ერს ყველა დანარჩენ ერებთან აქვს გამცვლელ-გამომ-ცვლელი დაწესებულება (ბიურო). მაგალითად, თუ ამერიკის ბიურო საჭიროდ ცნობს ამერიკისათვის ამდენსა და ამდენს რიცხვებს საფრანგეთის საქონლისას ამა და ამ წლისათვის, ამის შესახებ აგზავნის მიწერილობას (ორდერს) საფრანგეთის დაწე-სებულებაში (ბიუროში), რომელიც თავის მხრით უკვეთავს ჩვენს ბიუროს მისთვის საჭირო საქონელს. აგრეკვე ხდება ყვე-ლა დანარჩენ ერთა შორისაც.

— როგორ ადებთ ფასს უცხოეთიდამ შემოტანილ საქო-ნელს, თუ კი მეტოქეობა არ არსებობს? — ვკითხე მე.

— შეკვეთილს საქონელს თითეული ერი იმ ფასად უგ-ზავნის სხვა ერს, რამდენსაც თვით მისი მკვიდრნი იხდიან. ამით იცილებენ თავიდამ ყოველგვარ უკმაყოფილებას. რასაკვირვე-ლია, თეორიულად არც ერთი ერი არ არის ვალდებული საკუ-თარი შრომის ნაყოფი მიაწვდინოს სხვა ერს, მაგრამ ეს საქონ-ლის გაცვლა-გამოცვლა საზოგადო ინტერესების გულისათვის ხდება. იმ შემთხვევაში, თუ ერთი ერი წესიერად აწვდის საქო-ნელს მეორეს, საურთიერთო საქმეში ყოველგვარი საყურად-ღებო ცვლილების ცნობება ერთმანეთისათვის სავალდებულოა ორივეს მხრით.

— როგორ-და იქცევით მაშინ, როცა ის ერი, რომელ-საც მონოპოლია დაუდევს თავის ქვეყნის ბუნებრივ ნაწარმო-ებზე, უარს ამბობს მიაწვდინოს ეს ნაწარმოები ყველა სხვა ერებს ან რომელიმე მათგანს?

— ასეთი შემთხვევა ჯერ არასოდეს არ მომხდარა, მაგ-რამ ეს უარმყოფელ მხარეს უფრო აზიანებს, ვინემ სხვას. ჯერ ერთი, რომ აკრძალულია მცირეოდე მეტი პატივი და ყურად-ღება მიექცეს ვისმეს განკერძოებით. კანონი თხოულობს, რომ თითეულ ერს თანასწორს უფლებებზე ჰქონდეს ყოველგვარი ვაჭრული დამოკიდებულება ყველა სხვა ხალხებთან. იმ გვარი მოქმედებით, როგორიც თქვენ მოიხსენიეთ, დამნაშავე ერი

მოკლებული იქმნება ყოველგვარ დამოკიდებულებას სხვა ქვეყნებთან, ესე რომ ამ მხრით არაფერია საშიში.

— კარგი, მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ იმ ერმა, რომლის ხელშიაც მონოპოლიაა ისეთს ნაწარმოებზე, რომელიც მას მეტი გააქვს სხვა მხარეში, ვინემ თითონ ხმარობს, აუწია ფასი ასეთს ნაყოფს და, ამ ნაირად არც გატანას აჩერებს და სარგებლობს კიდევაც მეზობლის საჭიროებით. მართალია, მისი საკუთარი მოქალაქენიც იძულებულნი იქმნებიან მეტი ფასი გაიღონ ამ საქონელში, მაგრამ საზოგადოდ საზღვარ-გარედ გატანით, ყოველ შემთხვევაში, იმდენს სარგებლობას ნახავს, რომ უმეტესის მოგებით შეავსებს საკუთარი ჯიბიდამ დანახარჯს.

— როცა გაიგებთ თუ რა რიგად ედება ფასი ჩვენს დროში ყოველგვარ საქონელს, თქვენვე მიხვდებით, რომ ამ ფასების შეცვლა დამოკიდებულია მხოლოდ შედარებითი რაოდენობაზე ან შრომის სიძნელეზე. ეს პრინციპი თავდებია, როგორც ეროვნულს, ისე საერთა-შორის დამოკიდებულებაში. მაგრამ ამას გარდაც, საერთო ინტერესთა შეგნება, როგორიც უნდა იყოს ეს ინტერესები, საერო ან საერთაშორისო და ანგარების უმნიშვნელობა იმდენად ღრმაა ამ დროში, რომ არავითარი შიში არ არის ასეთი უმსგავსო მოქმედებისა; უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ ყველანი მოველით მთელი დედამიწის სახელმწიფოთა უკანასკნელად გაერთიანებას. ეს, უეჭველია, საზოგადოების უკანასკნელი ფორმა იქმნება, რომელიც მოუტანს მას იმ საჭირო სარგებლობას, რაცა დღეს აკლია თანასწორ უფლების მქონე სახელმწიფოების ახლანდელი ფედერატიულ სისტემას. მანამკი ჩვენ იმდენზე კმაყოფილნი ვართ არსებული წეს-წყობილებით, რომ სიამოვნებით უთმობთ ჩვენს ჩამომავლობას ამ მიზნის განხორციელებას. ზოგი იმ აზრისაცაა, რომ ამ მიზნის შესრულებას ვერ მოვესწრებით იმ მოსაზრებით, რომ ფედერალური სისტემა არა თუ კაცობრიობის ნაკლთა მარტო დროებითი განკარგებაა, არამედ მისი უკანასკნელი და საუკეთესო განაჩენიო.

— როგორ იქცევით მაშინ, როცა ერთა საანგარიშო წიგნების ჯამში უთანასწორობა (ბალანსი) აღმოჩნდება? ვთქვათ ჩვენ შემოვიტანეთ საფრანგეთიდამ იმაზე მეტი, რამდენიც იქ შეგვაქვს.

— ყოველ წლის დამლევს იშინჯება თითეული ერის წიგნები. თუ საფრანგეთი ჩვენი მოვალეა, ჩვენაც უთუოდ სხვა რომელიმე ხალხის მოვალე ვიქმნებით, რომელიც მოვალეა საფრანგეთის და ასე ყველა ხალხის შესახებ. შემოსავალსა და გასავალს შორის განსხვავება, საერთაშორის რჩევისგან ანგარიშის შესმის უკან, ჩვენებურს წესებში, ჩვეულებრივ ძლიერ მცირე გამოდის. მაგრამ როგორიც უნდა იყოს განსხვავება, რჩევის მოთხოვნით ყოველს ორს ან სამს წელში უთუოდ უნდა გაქვითდეს; რჩევას შეუძლია სულაც მოსპობა მოითხოვოს ამ განსხვავების თუ ის მეტად დიდდება, რადგან ერთაშორის მეგობრული დამოკიდებულების დაცვის მიზნით, სრულიადაც სასურველი არ არის, რომ ერთი ერი უზომო ვალებში ჩაიჭრეს მეორესაგან. ამ განძრახვითვე შინჯავს საერთაშორისო რჩევა იმ საქონელს, რომელსაც ერნი უცვლიან ერთი-მეორეს, და ყურადღებას აქცევს ამ საქონლების უმაღლესს ღირსებას.

— როგორ ასწორებთ ამ ბალანსს, ფულები რომ არა გაქვთ?

— იმას ათანაბრებენ უმთავრესი საერო ნაწარმოებით.— მთავრობანი წინ-წინვე ეკვრიან ერთმანეთს პირობით, თუ რა ნაყოფის და რამდენის მიღება შეიძლება ანგარიშის გასაწმენდად.

— როგორ-ღა უყურებთ ახლა გადასახლებას (ემიგრაცია), როცა თითეული ერი მჭიდრო სამრეწველო ამხანაგობის ფარგალშია მოქცეული, რომელიც მონაპოლიას ადებს მთელი მხარის ნაწარმოებს, გადასახლების მსურველთ რომ უცხო მხარეში დასახლების, ნება მისცეთ ხომ შიმშილით დაიხოცებიან ალბათ ახლა გადასახლ-გადმოსახლება აღარ არსებობს.

— პირ იქით, ახლა უფროც შესაძლებელია გადასახლ-გადმოსახლება, რაშიაც ვფიქრობ, თქვენ იგულისხმებთ გადასახ-

ლებას უცხო მხარეში მუდმივ საცხოვრებლად. ეს ადვილად წყვება უბრალო საერთაშორის თანხმობით. თუ მაგალითად, 21 წლის კაცი ესახლება ინგლისიდამ ამერიკაში—ინგლისი ჰკარგავს მის აღზდასა დარჩენაზე დანახარჯს ‍ ‍ ‍

— „სპილოს“ ჩვენი უბნის საზოგადო სასადილოს ვეძახით,— ამიხსნა იუდიფის მამამ.—საზოგადო სამზარეულოში არა თუ მხოლოდ მზადდება ყოველგვარი საჭმელი, როგორც უკვე გითხარით გუშინ, არამედ სუფრის მოწყობილება და საჭმელების ღირსებაც საზოგადო სასადილოში უფრო დამაკმაყოფილებელია, ვინემ ოჯახში. საუზმეს და ვახშამს ჩვეულებრივ შინ ვიმზადებთ, რადგან ამისათვის გარეთ სიარული არა ღირს, ხოლო ვსადილობთ-კი ოჯახს გარეთ. მას უკან, რაც თქვენ შემოგვემატეთ, ეს ჩვეულება შევშალეთ, რომ ამით საშუალება მოგვეცა თქვენთვის დაახლოებით გაცნობოდით ჩვენს წეს-წყობილებას. როგორ ფიქრობთ? არ წავიდეთ დღეს სადილად საზოგადო სასადილოში?

მე სიამოვნებით დავეთანხმე. ცოტა ხნის შემდეგ იუდიფმა ღიმილით მითხრა:

— გუშინ საღამოს, როცა ვფიქრობდი, თუ როგორ მომეხერხებინა, რომ თქვენ საკუთარ ოჯახსავით მიგეჩნიათ ჩვენი სახლი, სანამ სრულიად შეგვეჩვეოდით ჩვენა და ჩვენს წესებს, ერთი ბედნიერი ფიქრი დამებადა. რას იტყვით, რომ თქვენი დროის სასურველ პირებს შეგყაროთ, რომლებთანაც, დარწმუნებული ვარ, გაცნობილი იქმნებით?

მე რაღაც საკმაო გაუგებრად ვუპასუხე, რომ ეს, ცხადია, სასიამოვნო იქმნებოდა, მხოლოდ ვერ გამიგია-კი საიდამ შეეძლო ეს მას.

— მომყევით და გაიგებთ, შემძლებია თუ არა ჩემი სიტყვის შესრულება,—ღიმილით მიპასუხა მან.

— ამდენს სულ სხვა და სხვა უცხო ამბებისაგან მრავალ მღელვარებას გამოვლილი ჩემი აგებულება რამოდენიმედ მოდუნებული იყო, მაგრამ მაინც რაღაც გაოცებით გავყევი მას ოთახში, სადაც მეტად არასოდეს არ ვყოფილვარ. ეს იყო პაწია, მყუდრო ოთახი, რომლის კედლებშიაც წიგნებით სავსე შკაფები იყო ჩატანებული.

— აი თქვენი მეგობრები,—მითხრა იუდიფმა და მიმითი-

თა ერთს შაფზე. მე სწრაფად ჩავათვალიერე წიგნებზე წარ-
წერილი მწერალთა გვარები: შექსპირი, მილტონი, უორდ-
სვორტი, შელლი, ტენნისონი, დეფოე, დიკკენსი, ტეკკერეი,
ჰიუგო, გაუტორნი, ჰირვინგი და ჩემისა და სხვა დროის ოცამ-
დე გამოჩენილი მწერლები. აქ მივუხვდი იუდიფს. მან მართ-
ლაც აასრულა თავისი სიტყვა იმ სახით, რა სახითაც ჩემთვის
სასიამოვნო შეიქმნა, თორემ მისი სიტყვის პირჯაპირი მნიშვ-
ნელობით ასრულება, ამასთან შედარებით ჩემთვის სატანჯველი
იქმნებოდა. იუდიფმა გამრია მე იმ მეგობართა წრეს, რომელნიც
მას უკან, რაც მე უკანასკნელად ვსაუბრობდი მათთან, ამ მთე-
ლი ასის წლის განმავლობაში, ისე არ შეცვლილან, როგორც
თვით მე. მათი ტვინი ძველებურადვე მაღალი იყო, მოსწრე-
ბული ენა—გესლიანი, სიცილი და ტირილი ისევე გადამდები,
როგორც იმ დროს, როცა ჩვენს საუბარში ისე სწრაფად გარ-
ბოდნენ წასულ საუკუნის საათები. ამ კეთილსა და მხიარულს
მეგობრებში მე უკვე აღარ ვგრძნობდი თავს განლტოლვილად,
რაც უნდა უფსკრული დებულიყო ჩემსა და ჩემს წინანდელ
ცხოვრებას შორის.

— თქვენ კმაყოფილი ხართ აქ შემოსვლით! — წამოიძახა
სიხარულით გაბრწყინვებულმა იუდიფმა, რა-კი ამოიკითხა ჩემს
სახეზე მისი ასეთი ქცევის სასიკეთო გავლენა.—ხომ ბედნიერი
აზრია ეს ბ. ვესტ? რა მწყინს, რომ ადრევე ვერ მოვიგონე; აწი
დაგტოვებთ თქვენს ძველ მეგობრებში, რადგან ვიცი, რომ ამ
ჟამად უკეთესს წრეს ვერ იპოვით, მაგრამ გახსოვდეთ, რომ
ძველმა მეგობრებმა ახლები როდი უნდა დაგავიწყოსთ.

ამ საყვარელი დარიგებით ის გავიდა ოთახიდამ. ჩემი ყუ-
რადღება მიიპყრო უფრო ჩემმა ახლო ნაცნობმა გვარმა—ეს
იყო დიკკენსის თხზულებები. ეს მწერალი მუდამ პირველი სა-
ყვარელი იყო ჩემი ყველა მწერლებში, ე. ი. მე მინდა ვსთქვა
მეცხრამეტე საუკუნის მწერლებში; ჩემს წინანდელ ცხოვრება-
ში იშვიათად გაუვლია ისეთს კვირას, რომ რომელიმე მისი
თხზულებათაგანი არ ამეღო ხელში და არ გამეზიარებინა მის-

თვის თავ-სუფალი საათები. სხვა რომელიმე ჩემთვის ადრევე ცნობილი თხზულების კითხვა ახლანდელს მდგომარეობაში მეტად დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩემზე. მაგრამ დიკკენსთან განსაკუთრებით ახლო ნაცნობობამ და აქედამ გამომდინარე ძალამ, რომლითაც მან გამოიწვია ჩემში იდეათა ასოციაცია (ერთობა), ჩემს წინანდელ ცხოვრებაზე, ისე იმოქმედეს, რომ მისმა თხზულებებმა უფრო ძლიერად ამაღელვეს, ვინემ შეეძლო ეგეევ რომელიმე სხვა მწერლის ნაწარმოებს, რადგან მით, რომ მისი ნაწერები შესამჩნევად განსხვავდებოდნენ, აორკეცებდნენ ჩემში საოცრების შთაბეჭდილებას ყველა იმის შესახებ, რაც ამ ჟამად გარს მერტყა. რა გინდ ახალი და საკვირველება იყოს კაცის გარემოცულობა, მას ისე უეცრივ ეგაჯება მიზიდულება ამ გარემოცულობის ერთ ნაწილათ იქცეს, რომ თითქმის მყისვე ეკარგება მისი „აბეექტიურად“ განსჯისა და უცნაურობის სრულად შეგრების ნიჭი. ეს ნიჭი ჩემი მდგომარეობით უკვე დახშული, გააცოცხლა დიკკენსის ნაწერებმა; მისგან აწერილი სურათებისაგან ჩემზე მომხდარი შთაბეჭდილებით მან ისევ დამაბრუნა ჩემს წინანდელ ცხოვრებაში. დღემდე მიუწდომელის სიცხადით წარმომიდგა მე ახლა წარსული და აწმყო, როგორც ორი ერთი-მეორის მოწინააღმდეგე სურათი. როგორც ჰომერის ნიჭისათვის, ისე XIX საუკუნის შესანიშნავ რომანისტის ნიჭისათვისაც დროს არავითარი მნიშვნელობა არ შეეძლო ჰქონებოდა. მაგრამ მისი შესანიშნავი მოთხრობების საგანმა—ღარიბთა ტანჯვამ, ძლიერთა უმართლო მოქმედებამ, საზოგადო წეს-წყობილების შეუბრალებელმა სისასტიკემ, ყველა ამან დასძირა საუკუნო უფსკრულში ისე, როგორც წარიხოცნენ ქვეყნის პირიდამ „ცირცეა“ და „სირენები“ „ხარიბდა“ და „ციკლოპები.“ (ძველი მითოლოგიური შესანიშნავი არსებანი)

თუმცა ერთი თუ ორი საათი მედო წინ გაშლილი დიკკენსის თხზულება, მაგრამ ორი გვერდიც არ წამიკითხავს. ყოველი თავი, ყოველი სტრიქონი, რაღაც ახალს სინათლეს ჰფენდა

ამ გადახალისებულს ქვეყანას, აყენებდა ჩემს აზრებს იმ გზაზე, რომელსაც დიდხანს შორ-შორს ვუვლიდი. ამ გვარის ფიქრებით ცოტ-ცოტა უფრო ნათლად და საბუთიანად დავინახე ის სანახავი, რომლის მოწამეც ასე უცნაურად შევიქენი. როგორ საკვირველი არ არის ეს თითქო ჟინიანობა ბედის-წერის, რომელმაც ყველა მის თანამედროვეებში ამდენად უღირსი და ერთად-ერთი მოუმზადებელი შვილი გამომარჩია და მომანიჭა ამ უკანასკნელს ხანებში ცხოვრება. მე წარმოდგენაც არ მქონია ამ ახალს ქვეყანაზე, არ მიშრომნია მისს სასარგებლოდ, როგორც შრომობდნენ ბევრნი ჩემს გარშემო, რომლებიც არავითარს ყურადღებას არ აქცევდნენ სულელთაგან კიცხვაკილვას და კეთილთა უგუნურებას. თქმა არ უნდა, უფრო რიგიანი იქმნებოდა ერთ-ერთი ამ თამამ წინასწარმეტყველთაგანი მოსწრებოდა მის შრომის ნაყოფს და დამტკბარიყო მითი. აი თუნდა ტენნისონი, რომელმაც წინ-წინვე გასჭვრიტა და შეამკო ეს ჩემ თვალწინ მდებარე ქვეყანა, რომელსაც უგალობდა ის და რომლის ხმაც დაუცხრომლად გამწიოდა ყურებში ამ უკანასკნელ საოცარ დღეებში. მან, ცხადია, ათასჯერ მეტად დაიმსახურა ეცქირა ამ ახალ ქვეყნისათვის. ის ამბობდა: „მე გავჭვრიტე მომავალში იმდენად შორს, რამდენადაც ეს შეუძლია კაცის თვალს, და დავინახე აჩრდილი ქვეყნისა, ყველა მოსალოდნელი სასწაულებით შემკობილი; როცა აღარ მოესმის მეტად ყურებს დაფ-ნაღარის ხმა და საომარი დროშა შეიცვლება ქვეყნის გამაერთიანებელის პარლამენტის მაშვენებელად. საღი გონება მოამდორებს ადამიანთა გულის-თქმათა, მყუდრო ქვეყანა განცხრომით მოისვენებს მსოფლიო კანონის ჩეროში, რადგან, ცხადია, რომ ყველა საუკუნეთა შორის მიმდინარეობს ერთი ამაღორძინებელი განგებულება, და გამოცანები კაცობრიობისა თანდათან რთულდებიან დროს განმავლობაში!“

თუმცა მხცოვანებაში ხშირად ეკარგებოდა მას რწმუნება თავისავე წინასწარმეტყველობისა, რაც არა იშვიათია მათში, წინასწარმეტყველებში, ჭმუნვარებისა და ეჭვიანობის ჟამს,

მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი სიტყვები მაინც კიდევ შეიქმნა მოწამედ პოეტურის წინასწარ-გრძნობისა, გამჭრიახობისა, რაც მისაწვდენია მხოლოდ მორწმუნეთათვის.

მე ისევ წიგნთსაცავში ვიჯექი, რომ რამოდენიმე საათის შემდეგ შემოვიდა ჩემთან ჩემი მასპინძელი.

— იუდიფმა მაცნობა მისი მოგონილი საშუალება და ვხედავ ეს მშვენიერი აზრია. — მითხრა მან. — ძლიერ საინტერესოა რომელი მწერალი აირჩიეთ ყველაზე წინ. ახ, დიკკენსი! მაშ თქვენც აღტაცებაში მოჰყავხართ მას! ამაში ჩვენი ახლანდელი თაობა გეთანხმებათ. ჩვენი აზრით, ის ყველა თავის დროის მწერლებზე მაღლა სდგას, არა იმიტომ, რომ მისი ლიტერატურული ნიჭი ყველაზე მაღალი იყოს, არამედ იმიტომ, რომ მისი სულგრძელი გული ღარიბთათვის ძგერდა; იმიტომ, რომ ესარჩლებოდა ყველა დაჩაგრულთა და არცხვენდა თავის კალმით ცხოვრების სიმკაცრესა და თვალ-მაქცობას. არც ერთს მისი დროის კაცს არ უმოღვაწნია იმდენი, რამდენიც მან იშრომა მასზედ, რომ მიექცია ხალხის ყურადღება მაშინდელ წეს-წყობილების უსამართლობასა და სისასტიკეზე და დაენახვებინა მათთვის საჭიროება მოსალოდნელ შესამჩნევ ცვლილებათა, თუმცა მასაც არ ჰქონდა ის ნათლად დანახული.

თავი XIV

ამ დღეს ისეთი ისხარი წვიმა წამოვიდა, რომ მეგონა, ჩემი მასპინძლები უარს იტყოდნენ ქუჩების ატალახების გამო საზოგადო სასადილოში სადილობაზე, მიუხედავად მისა, რომ ეს სასადილო, როგორც გავიგე ძლიერ ახლო იყო. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა სადილობის დროს ქალები

რომ გავედით, ყველაფერი ცხადი შეიქმნა,—სქელი წყალ-შეუ-ვალი ფარდები ხურავდა ყველა ქვაფენილებს, რომლებიც მშვ-ნიერად განათებულსა და მშრალს დერეფანს ემსგავსებოდნენ. ამ დერეფანში მიდიოდნენ სასადილოდ მორთულნი კაცნი და ქალ-ნი. ყელა ქუჩების მოსახვევები ამ გვარადვე დახურული ქვაფე-ნილებით იყვნენ შეერთებულნი. მე ჩამოვაგდე ლაპარაკი იმა-ზე, თუ როგორ გასაჭირი იყო ჩემს დროში, ბოსტონის ქუჩებ-ში გავლა წვიმიან დღეში, თუ მგზავრს არ ჰქონდა კალოშები, საწვიმარი ტანსაცმელი და ქოლგა. იუდიფი გოაცებით ისმენ-და ამ ახალს ამბავს.

— განა ქვაფენილები დაუხურავი იყო?—იკითხა მან.

— იყო დახურული აქა-იქ და არა მთელს სიგძეზე, რად-გან ეს კერძო პირთა სურვილზე იყო დამოკიდებული.

იუდიფისაგან გავიგე, რომ ახლა ავდრის დროს ყველა ქუჩები დახურულია და ფარდა მხოლოდ მაშინ აიხდება, თუ საჭირო აღარ იქნება. ამასთან შემნიშნა, რომ ახლანდელს დრო-ში დიდ უგნურებად მიიჩნევენ, რომ დარ-ავდარმა რაიმე გავ-ლენა იქონიოს საზოგადო საქმეებზედაო.

იუდიფის მამა, რომელიც ჩვენზე წინ მიდიოდა და გაეგო-ნა ჩვენი ლაპარაკი, მომიბრუნდა და მითხრა, რომ სასტიკი პი-რადობის (ინდივიდუალიზმი) საუკუნისა და „სალიდარობის“ საუ-კუნეს შორის განსხვავებას მშვენივრად ახასიათებს ის მაგალი-თი, რომ XIX საუკუნეში წვიმიანს დღეს ბოსტონელები სამასი ათასს ქოლგას გაშლიდნენ ხოლმე ამდენივე თავების წვიმისაგან დასაფარავად, როცა რომ მეოცე საუკუნეში ყველა ერთად-ერთს ქოლგას ქვეშ აფარებს თავსაო.

გზაში იუდიფმა მითხრა:

— თითეულისათვის ცალკე ქოლგა მამა ჩემის საყვარელი საგანია ძველი წეს-წყობილების გამოსახატავად, როდესაც თი-თეული მხოლოდ თავის თავზე და თავის ოჯახზე ზრუნავდა. ჩვენს სამხატვრო საწყობში XIX საუკუნის სურათია, რომელ-ზედაც გამოხატულია ხალხის ბრბოა წვიმიან დროში. ყველას

თითო ქოლგა უჭირავს თავისა და ცოლის დასაფარავად და არავინ ყურადღებას არ აქცევს, რომ ქოლგისაგან ჩამონაყ-ღვენთი წვეთები მეზობლის ტანს ეცემა. მამას ჰგონია, მხატ-ვარს თავის საუკუნის დასაცინად გადაეღოს ეს სურათი.

ამასობაში შევედით ერთს დიდს შენობაში, სადაც აუა-რებელი ხალხი შედიოდა. შენობის წინა მალის დანახვა დამი-შალა ფარდამ, მაგრამ თუ შინაგან მორთულობას დავეფუძნე-ბით—რაც წინ დღით ნახულს მაღაზიასაც-კი წარჩინებით სჯობ-და,—წინა მალიც შესანიშნავი უნდა ყოფილიყო. იუდიფმა მითხრა, რომ შესავალ კარს ზემოდამ მოთავსებული ქანდაკება საუცხოო რამედ ითვლებაო. ავიარეთ ჯერ მშვენიერი კიბე, შემდეგ ფართო დერეფანი, რომლის გვერდებზედაც -მრავალი კარები იყო და შევედით ერთს მათგანში, რომელსაც ჩემი მასპინძლის სახელი და გვარი ეწერა. ეს იყო საუცხოოდ მორ-თული სასადილო ოთახი, სადაც ოთხი სულისათვის გაეწყოთ სუფრა. ფანჯრები ეზოს გადასცქეროდა, სადაც თხრაშანი გაჰ-ქონდა მაღალ შადრევანს და ჰაერს ძრავდა მუსიკის მომხიბლ-ველი ხმები.

— თქვენ აქ, გეტყობათ, შინაურსავით ხართ,—ვუთხარი მე, როცა სუფრას მიუსხედით და უფ. ლიტმა ხელი დაუჭირა პაწია მარჯვალს.

— მართალია, მაგრამ ეს ხომ ერთი ნაწილია ჩვენი ბინის, თუმცა რამოდენიმედ განცალკევებულია კი,—მიპასუხა მან. უბნის თითოეულ ოჯახს ცალკე ოთახი აქვს ამ დიდს შენო-ბაში, მის მუდამსა და განსაკუთრებულს უფლებაში და იხდის ამისათვის მცირე წლიურ გადასახადს. მომსვლელთა და მარ-ტო ხელა კაცებისათვის მეორე სართულშია განყოფილება. როცა აქ სადილობას დავაპირებთ, წინა დღით საღამოს უნდა შეუკვეთოთ ხოლმე სადილი; საჭმელებს-კი სურვილასამებრ ვირჩევთ ყოველ დღიური გაზეთების აწერილობიდამ. სადილი ძვირფასიც შეიძლება და უბრალოც, ვინც რომელს ირჩევს. აქ მომზადებული მუდამ უფრო იაფად ჯდება და უკეთესიცაა

ოჯახში გაკეთებულზე. სწორე გითხრათ, არაფერი ისე არ გვაინტერესებს ჩვენ, როგორც სამზარეულო ხელოვნების გაუმჯობესობა და გამოვტყდები, რამოდენიმედ ვამაყობთ კიდევაც იმ უაღრესობით, რომელიც ამ შრომის დარგში მოვიპოვეთ. ეხ, ჩემო ძვირფასო ვესტ, თუმცა სხვა შემთხვევებში თქვენი განათლება კიდევ უფრო ამაზრზენებელი რამ იყო, მაგრამ იმაზე საშინელებას ვერას წარმოვიდგენ, როგორიც იყო ეს თქვენი უხეირო სადილი, რომლითაც თქვენი დროის ხელმოკლენი იკვებებოდნენ.

— ამაზე ყველა ჩვენგანი დაგეთანხმებოდათ, — შევნიშნე მე.

ამ ხანში გამოჩდა „კელნერიც“ (მსახური), ლამაზი ახალგაზდა ყმაწვილი, რომლის ტანისამოსი მცირეოდნად-ღა განსხვავდებოდა საზოგადოდ მიღებულ ტანსაცმელისაგან. მთელი ჩემი ყურადღება მას მივაპყარი, რომ, რა-კი შემთხვევა მომეცა ბეჯითად დამეთვალიერებინა ამ სამრეწველო ჯარში მოსამსახურის ქცევა. ეს ყმაწვილი, როგორც ნაამბობიდამ გავიგე, უმაღლესი განათლებით იყო და სრულიად თანასწორ უფლების მქონედ ითვლებოდა ყოველ სხვა შემთხვევაში იმ ხალხთან ერთად, რომელსაც ემსახურებოდა. ეტყობოდათ-კი, რომ არც ერთი მხარე არ გრძნობდა არავითარს უხერხულობას თავის მდგომარეობაში. ჩემი მასპინძელი ისე ექცეოდა ამ ყმაწვილ კაცს, როგორც შეეფერება კარგი ოჯახის შვილს, უმედიდურად, ჩაუქინებლად; ხოლო ყმაწვილს-კი ისე ეჭირა თავი, როგორც კაცს, რომელიც ცდილობს წესზე შეასრულოს თავისი მოვალეობა და რომელსაც არავითარი მანჭვა-გრეხა და მორჩილური თავ-დახრა არ ეტყობა. ეს იყო სწორედ მორიგი ჯარის კაცის მიხრა-მოხრა, აკლდა მხოლოდ რასაკვირველია, მხედრული მეტიჩრობა. როცა კელნერი გავიდა ოთახიდამ, წამოვიძახე:

— შეუძლებელია საოცრებამ არ მომიცოს ამ ყმაწვილის

დანახვაზე, რომელიც ასე მორჩილად ეზიდება ამ ფარეშის მოვალეობას.

— ეს „ფარეში“ რაღა სიტყვაა? ჩემთვის ეს პირველი გაგონებაა. იკითხა იუდიფმა.

— ის ახლა გამოსულია ხმარებიდამ.—აუხსნა მამამ.—თუ არ ვცდები, ეს სახელი ეკუთვნოდა, მგონი იმათ, რომელნიც მეტად საძნელო და უსიამოვნო შრომას კისრულობდნენ სხვებისათვის და ამისგამო მათ ზიზღით უცქეროდნენ. მგონი ასეა, უფალო ვესტ?

— თითქმის,—მივუგე მე.

— იმ გვარი კერძო სამსახური, როგორც სუფრაზე სამსახურია, ფარეშობად ითვლებოდა და ისეთ საზიზღარ რამედ მიაჩნდათ იმ დროში, რომ ყველაფრის ნაკლებობას აიტანდნენ და ასეთს დამცირებამდის კი ვერ დავიდოდნენ მაშინდელი დაწინაურებული კაცები.

— რა ველური, ბრიყვული აზრია!—გაკვირვებით წამოიძახა ლიტის ცოლმა.

— ვინმეს ხომ უნდა შეესრულებინა ეს სამსახური?—შენიშნა იუდიფმა.

— რასაკვირველია, – მივუგე მე.—მაგრამ ჩვენ ამ სამსახურს ღარიბებსა და ისეთს კაცებს ვავალებდით, რომელთაც სხვა გზა არ გააჩნდათ—ან უნდა სამსახური ეკისრათ ან შიმშილით სიკვდილი.

— და უფრო უმძიმებდით კიდევ ამ ტვირთს, როცა ზედ ამატებდით ამას, ზიზღს.—სთქვა დოქტორმა ლიტმა.

— მე მგონი, კარგად ვერ მიგიხვდით.—დაიწყო ისევ იუდიფმა.—ნუ თუ ამითი იმის თქმა გინდათ, რომ თქვენ აკეთებიებდით მათ ისეთს საქმეებს, რომლისათვისაც თქვენვე გძაგდათ ისინი; თუ ისა გსურთ თქვათ, რომ ღებულობდით მათგან ისეთს სამსახურს, რომლის სანაცვლო გადახდას თქვენ ვერ იკისრებდით? არა, ჩემი აზრით, თქვენ ეს არ გინდოდათ გეთქვათ, უფ. ვესტ!

მე იძულებული გავხდი გამოვეტეხილიყავ, რომ ყოველივე ეს სრული სიმართლე იყო. დოქტორი ლიტიც დროზე მომეშველა.

— იუდიფის გაოცებას რომ მიუხვდეთ, — დაიწყო მან, — საჭიროა იცოდეთ, რომ ახლანდელს დროში სხვისაგან ისეთი სამსახურის მიღება, რომლის გადახდას საჭიროების დროს ჩვენ ვერ ვიკისრებთ, იმას ედარება, რომ ვალი ავიღოთ და არ გადავიხადოთ — ასეთია ჩვენი ნზეობრივი ჭეშმარიტება; მსგავსი სამსახურის მოთხოვნა მაშინ, როცა კაცს უკიდურეს საჭიროებას ხედავ, ისეთსაკე ძალ-მომრეობად ჩაითვლება, როგორც მძარცველობა. უსაზიღროესი საგანი იმ წეს-წყობილებისა, რომელიც ჰყოფს ხალხს ან თუნდა ნებას აძლევს დაიყოს ის კლასებად და კასტებად, იმაში მდგომარეობს, რომ ის ძირს უხრის გრძნობებს კაცობრიულ სალიდარობისას (ერთობა — თანხმობა). სიმდიდრის უსწორ-მასწოროდ დანაწილებამ და განსაკუთრებით განათლებისა და კულტურის უთანაბროდ მიღწევის საშუალებამ, დაჰყო თქვენს დროში საზოგადოება ისეთ კლასებად, რომლებიც ბევრს შემთხვევაში სხვა-და-სხვა ტომის ხალხსავით უყურებდნენ ერთმანეთს. ნამდვილად-კი სრულებით არ არის ისეთი განსხვავება თქვენის დროისა და ეხლანდელს აზრებში ურთიერთული სამსახურის შესახებ, როგოც ეს პირველად ეჩვენება კაცს. თქვენი დროის დაწინაურებულ წოდების ქალბატონები და ვაჟბატონები აგრეგე. არ მიიღებდნენ თავის წრის წევრთაგან იმ გვარს სამსახურს, რომლის სამაგიერო გადახდაც მათ არ შეეძლოთ; ღარიბი და გაუნათლებელი ხალხი-კი მათ რაღაც სულ სხვა არსებათ მიაჩნდათ. ახლანდელი დროის თანასწორობამ სიმდიდრისა და კულტურის გზაზე, რაც ყველასათვის თანაბრად მისაღწევია, შეგვრიცხა ყველა ერთ საზოგადოების წევრებად, რომელიც ედარება თქვენი დროის უბედნიერეს კლასს. ამ ცხოვრების პირობათა გათანასწორებამდი, საკაცობრიო სალიდარობის იდეას და მთელი ხალხის ძმობას, შეუძლებელი იყო ჰქონებოდა ისეთი ჭეშმარიტი რწმენა და პრაქ-

ტიკული ნიადაგი, როგორიც ახლა აქვს. თქვენს დროშიაც ხომ იყო ასეთი აზრების გამოხატვა, მაგრამ მარტო სიტყვებადღა რჩებოდნენ ეს აზრები.

— კელნერები თავის ნებით ირჩევენ ამ მოხელეობას?

— არა, ეს ის ახალგაზდა კაცებია, რომლებიც სამრეწველო ჯარის კლასებად დაყოფილს ხარისხოვნებას არ ეკუთვნიან და ინიშნებიან სხვა-და-სხვა უბრალო სამსახურზე. სუფრაზე სამსახურიც ერთი იმათგანია და თითეულმა სამრეწველო ჯარში ახლად გამოსულმა უნდა გამოვლოს ის. ამ ორმოცის წლის წინად მე თითონ ვიყავი მოსამსახურედ ამავე საზოგადო სასადილოში რამდენიმე თვეს. კიდევ მოგაგონებთ, რომ საერო საჭიროებისათვის შრომაში არავითარი ღირსებითი განსხვავება არ არსებობს. ამ გვარს მშრომელს, არვინ არ უყურებს ისე, როგორც კერძო პირის მსახურს; თვითონაც არ მიაჩნია თავი ასეთად; ის ემსახურება მუდამ მხოლოდ ერს... არავითარი დადგენილი განსხვავება არ არის მოსამსახურის საქმეებსა და სხვა რომელიმე მუშაკის საქმეებს შორის. ის ფაქტი, რომ ვისიმე საქმე საპირადო სამსახურია, ჩვენის შეხედულებით სულ ერთია. არაფრით უკეთესი არ არის მკურნალის ხელობა. უფრო საფიქრალია, რომ მსახურმა დამიწყოს მედიდურად ყურება, როცა მას მკურნალობას ვუწევ, ვინემ ის, რომ მე დავუწყომ ას მაღლიდამ ბღვერა იმიტომ, რომ ის კელნერობას მიწევს.

ნასადილევს დავიარეთ მთელი შენობა, რომლის სიდიდემ, შესანიშნავმა ხელოვნურმა ნაშენობამ და მდიდრულმა მორთულობამ, საოცრებაში მომიყვანეს. ეს სახლი საზოგადო სასადილოც იყო და მთელი უბნის საზოგადო შესაკრებელი ადგილიც, ეს სახლივე წარმოადგენდა გასართობსა და მოსასვენებელ ადგილს.

— აქ თქვენი თვალით ხედავთ იმას,—მითხრა ლიტმა, რაკი გაკვირვება შემამჩნია,—რასაც პირველ საუბარში გიამბობდით, როცა თქვენ ზემოდამ დაცქეროდით ქალაქს და სახელდობ: რომ ჩვენი საკრებულო, საზოგადო ცხოვრების სიმდიდ-

რე-ფუფუნება, ჩვენს კერძო ცხოვრების უბრალოებასთან შედარებით, არის ის კონტრასტი, რომელსაც წარმოადგენენ ამ მხრით მეცხრამეტე და მეოცე საუკუნოები. ზედ-მეტი ჯაფის ასაცილებლად ოჯახში ჩვენ მხოლოდ იმას ვიტოვებთ, რაც საჭიროა, რომ ნაკლებობას არ ვგრძნობდეთ; ხოლო საზოგადო ცხოვრებაში-კი ისეთს მორთულობასა და სიმდიდრეს ნახავთ, რომლის მსგავსი ქვეყანას არასოდეს არ სჩვენებია. ყველა სამრეწველო და პროფესიონალურ საზოგადოებებს ამ შენობის სიდიდეში, თავ-თავისი „კლუბებიც" (საზოგადო სახლი) აქვთ; აგრეთვე გაშენებულია სახლები ქალაქს გარეთ, მთებში, ზღვის პირებზე, თავისუფალ დროს სანადიროდ და დასასვენებლად.

შენიშვნა. XIX საუკუნის დამლევს, ზოგ ადგილობრივ უმაღლეს სასწავლებელთა ახალგაზდა მოწაფეებმა, სწავლისათვის გადასახად ფულის საშოვნელად, ჩვეულებად შემოიღეს სასტუმროებში კელნერებად შესვლა, ზაფხულში თავისუფლების დროს. მათ დასაცველად იმ კიცხვა-ლანძღვისაგან. რაც თანამედროვე ცრუ-მორწმუნეობათა გამომხატველი იყო, რომლის გამო ფიქრობდნენ, რომ ვითომ ის, „ვინც ნებით კისრულობდა ასეთს შრომას, პატივ-საცემ პირებად არ ჩაირიცხებიანო; ამტკიცებდნენ, რომ პირიქით ესენი უფრო საქებნი არიან, რადგან ასეთი მაგალითებით ისინი ღირსებას აძლევენ ყოველგვარ პატიოსანსა და საჭირო შრომას. ასეთი საბუთები ცხადად ამტკიცებენ ზოგს ჩემს თანამედროვეთა შემცდარს აზრს. კელნერების სასტუმროებში სამსახური სრულიადაც არ საჭიროებდა მაზე მეტს დაცვას, რამდენსაც სხვა რაიმე თავის რჩენის საშუალების გამოძებნა; მაგრამ რომელსამე შრომის ღირსებაზე სჯა—იმ წესებში, რომელიც მაშინ მეფობდა—სიბრიყვე იყო. შრომის უდიდეს ფასად გაყიდვა, რამდენადაც-კი შესაძლო იყო, არა შემთხვევაში არ ჩაითვლებოდა რომელსამე ნივთის ამ გვარსავე უმაღლეს ფასად გაყიდვაზე უფრო ღირსეულად. ერთიცა და მეორეც ეაჭრული მორიგება იყო, ეაჭრულისავე საზომით გაზომილი. როცა მუშა ფულად ფასს სდებდა თავის შრომას, მას სახეში ჰქონდა ამ შრომი-

თავი XV

სახლის თვალიერების დროს, მოგვიხდა წიგნთ-საცავში შესვლა, სადაც მოუთმენლად მოუსხედით ტყავის მშვენიერ სავარძლებში წიგნებით სავსე თაროს, რომ დაგვესვენა და გავრთობოდით *)

— იუდიფის სიტყვით, თქვენ მთელი დილა წიგნთ-საცავში დაგიყვიათ.—დაიწყო ლიტის მეუღლემ.—იცით უფ. ვესტ, რომ თქვენ უბედნიერესი ხართ, ჩემი აზრით, მამაკვდავთა შორის, რაც სწორედ შესაშურებელია!

— მსურს გავიგო, რითი?—ვკითხე მე.

სათვის ფულის ზომაც და ამ ნაირად უარსა ჰყოფდა სხვა ყოველგვარ შეფასებას მისი შრომისას. ის საზიზღარი ჩირქი, რომელსაც მსგავსი საჭიროება ცხებდა უკეთილშობილესსა და უმაღლეს სამსახურს, ბევრს მწუხარებას ჰგვრიდა პატიოსან სულის პატრონებს, მაგრამ ბოროტება აუცილებელი იყო, რაც უნდა მაღლა მდგარიყო ღირსებით რომელიმე შრომა, მისი სავაჭრო ბაზარზე გატანის საჭიროება აუცილებელი იყო. მკურნალს სხვებსავით უნდა გაეყიდა თავისი წამლობა. მე რომ ვინმემ მომთხოვოს იმ განსაკუთრებული ბედნიერების აღნიშვნა, რომლითაც განსხვავდებოდა ეს საუკუნე ჩემი ძველი საუკუნისაგან, ვიტყოდი, რომ ჩემი აზრით, ამ ბედნიერებას შეიცავს ის ღირსება, რა ღირსებასაც შრომას აძლევენ ახლა; უარი ჰყვეს რა მასზე ფასის დადებას და მოსპეს რა სამუდამოდ ბაზარი, ესენი თხოულობენ ყველასაგან მხოლოდ საუკეთესოს და ყოველივე დანარჩენი ღვთის მართლ-მსაჯულებას მიაწერეს. ყოველგვარ საუკეთესო შრომისათვის მათ ერთად-ერთ ჯილდოდ მიიჩნიეს პატივი და ყოველსავე დამსახურებას იმ ნიშნებით აღნიშვნენ ხოლმე, რა ნიშნებითაც ჩემს დროში მხოლოდ სამხედრო სამსახურს აჯილდოებდნენ.

*) შეუძლებელია იმ თავისუფლების აწერა, რომელიც მეოცე საუკუნის საჯარო წიგნთ-საცავში სუფევს, შედარებით მეცხრამეტე საუკუნის წიგნ-საცავთა იმ აუტანელ უწესოებასთან, როცა წიგნებს ისე ფრთხილად იძლეოდნენ და მათს მოპოვებას დიდი დროს კარგვა და ათასი ჩვეულებრივი დაბრკოლება სდევდა თან მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველ გვარი კითხვის სურვილი დაეკარგათ გულ-მოდგინე მკითხველთათვის.

— იმითი, რომ ამ უკანასკნელი საუკუნის წიგნები თქვენთვის ახალი იქმნება.—მიპასუხა მან.—თქვენ იმდენი წარმტაცი საგნები გექნებათ კითხვის დროს, რომ ხუთი წლის განმავლობაში ჭამის დროსაც-კი ვერ იშოვით. ოჰ, რას არ მივცემდი, რომ ახლა მქონდეს წასაკითხად ბერრიანის რომანები!

— ან ნესმიტის, დედა,—დაუმატა იუდიფმა.

— დიახ, ან ოატსის პოემა, ან „წარსული და აწმყო“, ან „დასაბამში“, ანუ...მე შემიძლია რამდენიმე წიგნი დავასახელო, რომელთაგან თითეულისათვის თითო წლის სიცოცხლე შეიძლება მივცეთ,—აღტაცებით დააბოლოვა ლიტის ცოლმა.

— თქვენი სიტყვებიდამ სჩანა, რომ ამ საუკუნეში ბევრი კარგი ლიტერატურული წიგნები შეთხზულა.

— დიახ,—მომიგო ლიტმა,—ეს იყო სამაგალითო გონებითი აყვავების ხანა. უეჭვოა, კაცობრიობას მეტად არასოდეს არ გამოუვლია ასეთი ზნეობრივი და ქონებრივი სიმაღლე, ასეთი უზარმაზარი სიდიდით და განსაზღვრული დროით, როგორიც გამოვლო ამ საუკუნის დამდეგს ძველ წესებიდამ ახალზე გადასვლის ჟამს. როცა-კი ხალხმა შეიგნო მათ წილად ნარგუნები ბედნიერების სიდიადე და დარწმუნდა, რომ ეს მათგან გამოვლილი ცვლილების ხანა მარტო კერძოდ მათი მდგომარეობის გაუმჯობესობას-კი არ ნიშნავს, არამედ მთელი კაცობრიობის არსებობის უმაღლეს საფეხურამდე აყვანასაც საზღვარ დაუდებელ „პროგრესის“ (წარმატების) გზაზე, მაშინ ამათმა ნიჭმა ისეთი ყოველმხრივი სიფართოვე გამოიჩინა, რომელზედაც საშუალ საუკუნის ქმნილებას მხოლოდ სუსტი წარმოდგენა-ღა შეუძლია. ამის შემდეგ, დადგა ხანა მეხანიკურ მოგონებათა, მეცნიერულ აღმოჩინებათა, ხანა ქმნილებათა ხელოვნების დარგში, მუსიკაში, ლიტერატურაში; ერთი სიტყვით ისეთი დრო, რომლის მაგალითიც ქვეყნის დასაბამიდამ არ ყოფილა.

— მართლა, ჩვენ ლიტერატურაზე ჩამოვაგდეთ ბაასი; ვინ არის ახლა წიგნების გამომცემელი? ერი?

— რასაკვირველია.

— კარგი, მაგრამ როგორ ახერხებთ ამას? ყველაფერს ბეჭდავს სახელმწიფო, რასაც-კი მიუტანებენ, რასაკვირველია საზოგადო ხარჯით, თუ ის იტოვებს ცენზურის უფლებას და რაც მოეწონება იმას ბეჭდავს?

— არც ერთია და არც მეორე. ბეჭდვითი საქმე ცენზორის უფლებით არ არის შეზღუდული. ის ვალდებულია ყველაფერი დაბეჭდოს, რასაც მიუტანებენ, მაგრამ ბეჭდავს იმ პირობით, თუ ავტორი გამოცემისათვის საჭირო ხარჯს იკისრებს თავის ნდობიდამ. მან უნდა ზღოს ნაცვლად იმ უპირატესობისა, რომ საზოგადოების წინ ლაპარაკის უფლება ეძლევა და თუ მას რაიმე ღირს-შესანიშნავი აქვს სათქმელი, ეკვი არ უნდა სიამოვნებით დაეთანხმება ამ პირობას. ცხადია, ძველებური ქონებრივი უსწორ-მასწორობა რომ იყოს, მაშინ ავტორობის უფლებას მარტო მდიდრები მოიხვეჭდნენ ასეთს წესებში, მაგრამ ამ ქონებრივ თანასწორობაში ეს წესი მხოლოდ მწერლის ძალის გამომხატველი ზომაა. საშუალ ფორმატის წიგნის გამოცემის ღირებულობა შეიძლება დაიხუროს წლიურ ნდობიდამ დაზოგვით ან რაიმე სხვა ხარჯის მოკლებით. გამოცემულ წიგნს ერი გამოაფენს გასასყიდად.

— როგორც ჩვენს დროს იყო, ავტორის სასარგებლოდ უთუოდ გადაიდება რამოდენიმე პროცენტი,—შევნიშნე მე.

— სულ იმ გვარად არა, როგორც თქვენს დროს,—მიპასუხა ჩემმა მასპინძელმა,—მაგრამ ეძლევა-კი. თითეული წიგნის ღირებულობა ირკვევა მთელი გამოცემის ღირებულობით და ავტორის დასაჯილდოებელ პროცენტებით, რომელსაც ნიშნავს თითონ ავტორი. რამდენადაც მეტ პროცენტს დანიშნავს, იმ. დენად თავის-თავს აავნებს, რადგან წიგნის მყიდველი არ გამოუჩნდება. ამ პროცენტებით შემდგარი თანხა ჩაირიცხება მის ნდობაში და ის თავისუფალია სხვა საკალდებულო საერო სამსამსახურისაგან, სანამ ეს ნდობა აუთავდება იმ წილობით, რამდენიც თიოოეული მოქალაქის შენახვას უწევს. თუ წიგნმა სახელი მოიპოვა, ავტორს ათავისუფლებენ რამდენიმე თვით,

ერთი წლით, ორით ან სამით; თუ ამ ხანში კიდევ რაიმე ღირს შესანიშნავი შეთხზა, თავისუფლება არ მოესპობა მანამ, სანამ მას აკმაყოფილებს გაყიდული წიგნების შემოსავალი. იმ მწერალს, რომელსაც ბევრი მკითხველები ჰყავს, შეუძლია მთელი სამსახურის ვადაში კალმით დაირჩინოს თავი და ავტორის ლიტერატურული ნიჭის ღირსება, რომელსაც საზოგადო აზრი აკუთვნებს მას, უფლებას აძლევს იმოღვაწეოს საკუთრად ლიტერატურულ ასპარეზზე. ამ მხრით ჩვენი წესის საბოლაო შედეგი ნაკლებად განსხვავდება თქვენისგან, მაგრამ ჩვენ ორი თვალსაჩინო უაღრესობა გვაქვს. პირველად, ახლანდელი საერთო განათლების სიმაღლის მეოხებით, „ხმას ერისას“ ლიტერატურულ ნაწარმოების ღირსეულად დაფასებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რაც თქვენ დროში ყოვლად შეუძლებელი იყო. მეორედ, ახლა შეუძლებელია სიმართლის სასწორის გადახრა ვისკენმე, ანუ მიდგომით საქმის გარჩევა-დაფასება, რაც ასე თუ ისე ხელს უშლიდა ჭეშმარიტ დამსახურების დანახვას. თითოეულ ავტორს ერთნაირი საშუალება ეძლევა საზოგადოების მსჯავრს წარუდგინოს თავისი ნაშრომი. თქვენი დროის მწერალთა საჩივრებიდამ სჩანს, რომ ამ გვარი თანასწორობა მათთვის სანეტარო და დაუფასებელი იყო.

— სხვა ასპარეზზე დამსახურებაშიაც, სადაც ბუნებრივს ნიჭს უპირატესობა ეძლევა, როგორც მაგალითად, მუსიკაში, მხატვრობაში, ქანდაკებაში, ტეხნიკურს გამოგონებაში, ამავე პრინციპს ადგიხართ?—ვკითხე მე.

— დიახ,—იყო პასუხი,—თუმცა არის განსხვავება წვრილმანებში. ხელოვნებაში, მაგალითად როგორც ლიტერატურაში, ხალხია ერთად-ერთი მსაჯული; ის ხმის უმეტესობით ღებულობს ანდრიატებსა და სურათებს საზოგადო შენობებისათვის; ხალხის განაჩენი ათავისუფლებს მხატვარს სხვა სამუშაოებისაგან და შეძლებას აძლევს ხელოვნებას მოახმაროს მთელი თავისი შრომა. მისი ნახატიდამ გადაღებულის პირის გაყიდვით მას იგივე შემოსავალი აქვს, რაც მწერალს გაყიდული წიგნე-

ბიდამ. ყოველგვარ ხელობაში, სადაც-კი ბუნებრივი ნიჭია საჭირო, ერთსა და იმავე მიზანს მისდევენ—თავისუფალი გზა მისცენ ყველა მსურველებს და განსაკუთრებული ნიჭის პირველსავე გამოჩენაზე, ჩამოაშორონ მას ყოველი ხელ-შემშლელი გარემოება და მიანიჭონ სრული თავისუფლება. ამ შემთხვევაში სხვა საქმეებიდამ განთავისუფლება ჯილდოდ-კი არ ითვლება, არა, ეს არის უმაღლეს საზოგადო სამსახურში უმეტესი ნაყოფიერების გამომღები საშუალება. ჩვენა გვაქვს, რასაკვირველია, სხვა-და-სხვა სალიტერატურო, სამხატვრო და სამეცნიერო დაწესებულებანი, სადაც წევრობა დიდად მოსაწონი საქმეა და მიიღებიან იშვიათი ნიჭის პატრონნი. საერო ჯილდოთა შორის ყველაზე უმჯობესი, თითქმის პრეზიდენტობაზე მეტიც-კი, რომლის მიღწევაც შესაძლოა მხოლოდ საღი გონებით და ერთგული სამსახურით,—წითელი ლენტია, რომლითაც ხალხის ხმის უმეტესობით აჯილდოებენ დიდებულ მწერლებს, მხატვრებს, გამომგონთა და მეცნიერთა. ერთსა და იმავე დროს მთელს მხარეში მას ატარებს სულ ასიოდე კაცი, თუმცა თითეული ნიჭიერი ახალგაზდა ბევრ ღამეებს უძილოდ ათენებს ამ გვარ პატივის ოცნებაში. მეც ვეოცნებობდი ერთს დროს მასზე.

— თითქო მე და დედას თვალში, მისი ქონებით, შენ ღირსება მოგემატებოდა!—წამოიძახა იუდიფმა.—თუმცა მართალია, სასიამოვნო იქნებოდა-კი.

— რომ შენ, ჩემო სიცოცხლევ, რაღა დაგრჩენოდა მის მეტი, როგორიც ვიყავი, იმას დამყაბულებოდი, და რამდენადაც შესაძლო იყო, გესარგებლებინა მით,—მიუგო ლიტმა.—მაგრამ დედაშენი-კი არასოდეს არ დათანხმდებოდა ჩემს ცოლობაზე, თუ არ დამერწმუნებინა, რომ მეც შემეძლო წითელის ან ლურჯი ლენტის მიღება მაინც.

ლიტის მეუღლემ ამ სიტყვებზე მხოლოდ გაიღიმა.

— როგორღა იქცევით ღრო-გამოშვებით გამოცემათა და გაზეთების შესახებ?—ვკითხე შე.—თქვენი წიგნების გამოცემის

წესი რომ ბევრად უმჯობეს-ა ჩვენსაზე, როგორც ჭეშმარიტ ნიჭის წამახალისებელ ტენდენციით, აგრეთვე იმ მკვეხარა ვაჟ ბატონების ასალაგმავად, რომლებიც მარტო ჩხირკედელა მწერ ლებად თუ იკარგებდნენ, ამას უარს ვერა ვყოფ. მაგრამ ვერ გამიგია, რა ნაირად შეიძლება ეგეთ წესი შევუსაბამოთ ჟურ ნალ-გაზეთებს. ცხადია, ადვილია წიგნის გამოცემას ხარჯი გა აღებინო კაცს, რადგან ხარჯი ამ შემთხვევაში დროებითია მაგრამ ვის შეუძლია ისეთი ხარჯი იტვირთოს, როგორიც უნ და ყოველ-დღიურ გაზეთის გამოცემას მთელი წლის განმავლო ბაში? ამას ჩვენი დროის კაპიტალისტთა სქელი ჯიბეებიც ვერ გაუძლებდა და დაცალიერდებოდა, სანამ დანახარჯს დაიბ რუნებდნენ. თუ თქვენ საზოგადოდ, გაზეთები-კი გაქვთ, მე ვფიქრობ, იმას მთავრობა უნდა სცემდეს საზოგადო ხარჯით, მთავრობისავე რედაქტორობით, როგორც მართებლობის აზ რის გამომხატველი. მაშ თუ თქვენი წეს-წყობილება იმდენად უნაკლულოა, რომ გასაკიცხ-გასასჯელი არა მოეპოება რა, მსგავსი გაზეთი სწორედ შესაფერი იქნებოდა. სხვაფრივ, ვფიქ რობ, დამოუკიდებელი არა ოფიციალური საზოგადო აზრის გამომეტყველი გაზეთის უქონლობას მეტად უსიამოვნო შედე გი უნდა მოჰყვეს. დამეთანხმეთ, რომ თავისუფალი ჟურნალ-გაზეთობა მთელი თვისი შინაარსით, როცა კაპიტალი კერძო პირთა ხელში იყო, რამოდენიმედ ჩრდილავდა ძველი წეს-წყო ბილების ნაკლს და რომ ამ სიკეთის დაკარგვა სხვა შემთხვე ვებში თქვენს გაუმჯობესებულს მდგომარეობაში ძლიერ დიდი დასაკლისია.

— ვწუხვარ, რომ ეს ნუგეში მაინც არ შემიძლია გარ გუნოთ,—სიცილით მომიგო ლიტმა.—პირველად, უფ. ვესტ, გაზეთი სრულებით არ არის ერთად ერთი ანუ, როგორც თქვენ გგონიათ, საუკეთესო ჯეროვანად გამსჯელი საზოგადო კითხვებისა. ჩვენ ახლა თქვენი გაზეთების მსჯელობა მიგვაჩნია მკვახედ, მჩატედ, ძლიერის წინასწარ-რწმენით და გესლით აღ სილად. რამდენადაც ისინი საზოგადო აზრის გამომხატველნი

ყვნენ, ვერაფერს სანუკვარს ცნობებს იძლეოდნენ ხალხის განკითარებაზე; რამდენადაც თითონ ცდილობდნენ შეექნათ საზოგადო აზრი, ამ შემთხვევაშიაც ერს არაფერი ჰქონდა სანეტარო. ახლანდელს დროში თუ რომელიმე მოქალაქეს სურს საზოგადო საქმის შესახებ გავლენა იქონიოს საზოგადოების აზრზე, ის გამოდის საჯაროდ წიგნით ან პაწია წიგნაკით, რომელიც მიღებული წესით იცემა. მაგრამ ეს იმიტომ-კი არა, რომ ვითომ გაზეთები ან ჟურნალები არ გვქონდეს ან მოკლებულნი იყვნენ ისინი სრულს თავისუფლებას. გაზეთის საქმე ისეა მოწყობილი ამ ჟამად, რომ ის საზოგადო აზრის უფრო ვრცლად გამომხატველია, ვინემ ეს შეეძლო მას თქვენს დროში, როცა კაპიტალის გავლენაში იყო და არსებობდა ყველაზე წინ, როგორც ვაჭრული წარმოება და შემდეგ-კი ხალხის შეხედულობის გამომეტყველი.

— მაგრამ თუ-კი მართებლობა სცემს გაზეთს საზოგადო ხარჯით, როგორ შეიძლება თვალ-ყური არ ადევნოს მისს მიმართულებას? ვინ-ღა ნიშნავს რედაქტორებს, თუ არ მთავრობა?

მთავრობა სრულებით არ იხდის გაზეთის გამოსაცემ ხარჯს, არასოდეს არ ნიშნავს რედაქტორს და რასაკვირველია, არავითარი გავლენა არა აქვს გაზეთის მიმართულებაზე,—მიპასუხა ლიტმა.—მკითხველები თითონ ზღავენ მისი გამოცემის ხარჯს, ირჩევენ რედაქტორს და ითხოვენ კიდევაც, თუ მათი გემოვნების არ დარჩა. მე ვფიქრობ, არ შეგიძლიათ თქვათ, რომ ასეთი გაზეთი საზოგადო აზრის თავისუფალი გამომეტყველი არ იყო!

— ცხადია,—მივუგე მე,—მაგრამ როგორ ახერხებთ ამას?

— სულ ადვილად. წარმოიდგინეთ, რომ მე და რამდენიმე ჩემს მეზობლებს გვინდა გავიჩინოთ გაზეთი, რომელიც ჩვენი აზრების გამომეტყველი უნდა იქმნას და ემსახურებოდეს უმეტესად ჩვენი კუთხის ინტერესებს, ჩვენს ხელოსნობას ან სამსახურს. მაშინ ჩვენ ვკრებავთ იმდენ ხელის მომწერლებს, რომ წლიურმა შემოსავალმა დაფაროს გაზეთის გამოცემის ხარ-

ჯი, რომლის რაოდენობაც ხელის მომწერთა რიცხვზეა დამ-
კიდებული. ხელ-მოსაწერი ფული ამოიშლება მოქალაქეთა ნდ-
ბიდამ და ამ ნაირად ერი დაცულია გაზეთის გამოცემის ზარ-
ლისაგან, რაც საჭიროა, რადგან გამომცემელი ერია და არ
შეუძლია ამაზე უარის თქმა. ამის შემდეგ ხელის-მომწერნი ირ-
ჩევენ რედაქტორს, რომელიც მთელ მის რედაქტორობაზ
თავისუფალია ყველა სხვა მოვალეობისაგან. ნაცვლად იმისა
რომ მას თქვენი დროის მსგავსად ჯამაგირი მივცეთ, ხელის-მო-
მწერნი უხდიან ერს მისი შენახვის ხარჯს, რადგან მოაშორე
ის საზოგადო-სამსახურს. მას ისე მიჰყავს გაზეთის საქმე, რო
გორც თქვენ დროში შვრებოდნენ ამას რედაქტორები, მხო-
ლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს არ ემორჩილება ფულის სიხარ-
ბეს, არ იცავს კერძო კაპიტალის ინტერესებს, საზოგადო კე-
თილ-დღეობის საზარალოდ. პირველი წლის დამლევს ხელის
მომწერნი ან მასვე ირჩევენ მომავლისათვის რედაქტორად, ან
სხვა ვისმეს. ნიჭიერი რედაქტორი, რასაკვირველია, დიდის ხნით
დაირჩენს ადგილს. ხელის-მომწერთა გამრავლებით ემატება გა-
ზეთს შემოსავალი და ამით აუმჯობესებენ მას უკეთესი თანა-
მშრომლების მოწვევით სწორედ ისე, როგორც თქვენს დრო-
ში შვრებოდნენ.

— რითი-ღა აჯილდოებთ თანამშრომლებს, ფული რო
არ გაქვთ?

— რედაქტორი მოილაპარაკებს მათთან მათი საქონლის
ფასის შესახებ. ეს ფასი გაზეთის გამოსაცემ ხარჯის ნდობიდან
გადაირიცხება მათს პირადს ნდობაზე და თანამშრომელიც, სხვა
მწერლებსავით, მისი ნდობის რაოდენობის მიხედვით, თავისუ-
ფალია რამოდენიმე ვადით სამსახურისაგან. ჟურნალების შესა-
ხებაც ეგევე წესი გვაქვს. ის პირები, რომელთა ყურადღება-
საც მიიპყრობს რომელიმე ახალი ჟურნალის პროგრამა, უ-
ზრუნველ ყოფენ მისი გამოცემის ხარჯს ხელ-მომწერლების საკ-
მაო რიცხვით და ირჩევენ რედაქტორს, რომელიც აჯილდოებს
თანამშრომლებს სწორედ ისე, როგორც ეს გაზეთის საქმე-

ია. საჭირო მუშის ძალასა და გამოცემის მასალას, რასაკვირ-
ველია, ბეჭდვითი დაწესებულება იძლევა. თუ რედაქტორის სამ-
ახური საჭირო აღარ იქმნება და, თუ ამასთან მას არ შეუძლია
აიმსახუროს ის უფლება, რომ თავისი დრო სხვა რაიმე ლი-
ტერატურულს შრომას მოანდომოს, ის უბრუნდება ისევე თა-
ს ალაგს სამრეწველო ჯარში. საჭიროა დავსძინო რომ, თუმ-
ცა ჩვეულებრივ რედაქტორი ერთის წლით ირჩევა, მაგრამ
თუ მან უეცრივ შესცვალა გაზეთის კილო და მის მარწმუნე-
ელთა აზრის წინააღმდეგ წაიყვანა, ამ შემთხვევებისათვის მზა-
ა ჰყავთ სათადარიგო რედაქტორები და ხელის მომწერთა სურ-
ილით ის თვით-ნება მოაზრე შეიძლება საჭიროებაზე დაით-
ოვონ სრულიად.

საღამოს გამომშვიდობებისას, იუდიფმა წიგნი მიმცა ხელ-
ი და მითხრა:

— ამაღამ თუ ძილი გაგიტყდესთ, შეიძლება სასიამოვნო
�ჩეს თქვენთვის ამ ბერრიანის მოთხრობის გადახედვა, რომე-
ლიც საუკეთესოდ ითვლება მის ნაწერებში; ყოველ შემთხვე-
ვაში ამით შეგიძლიათ აზრი შეადგინოთ ახლანდელი მწერ-
ლობის შესახებ.

მთელი ეს ღამე „პენტესილიის“ კითხვაში გავატარე, არც
ოვეშვი, სანამ ბოლომდის არ ჩავიკითხე. მაგრამ ბოდიშს ვიხ-
ი, მეოცე საუკუნის შესანიშნავ რომანასტის თაყვანის-მცემ-
ების წინაშე, რადგან უნდა ვთქვა, რომ კითხვის დაწყებისა-
ანავე მე გამოაცა არა იმან, რაც წიგნში იყო, არამედ იმან,
აც არ იყო შიგ. ჩემი დროის მწერლებისათვის შეუძლებელი
ქმნებოდა ისეთი რომანის შეთხზვა, რომელიც მოკლებული
ოფილიყო ყველა იმ ეფფექტებს, რომელიც შენდებოდა სიმ-
ალლისა და სიღარიბის, განათლებისა და უმეცრების, სიტლან-
ისა და სინაზის, ზნეობრივი სიმაღლისა და სიმდაბლის განსხვა-
ებებზე; მოკლებული ყოფილიყო ყველა მოტივებს, გამო-
ვეულს საზოგადო სიამაყისა, პატივ-მოყვარეობისა, გამდიდ-
ების სურვილისა ან გაღარიბების შიშისაგან; მოკლებული ყო-

ფილიყო ყოველ გვარ შენის თავის ან სხვის გულისათვის კრთომა-ცახცახს. ერთი სიტყვით, შეეთხზათ რომანი, რომელში დაც სიყვარულის ტბა დაედინათ, მაგრამ სიყვარული ყოველ გვარ ხელოვნურ დაბრკოლებას აცილებული, შეუფერხებელი, მაგალითად, მდგომარეობისა ან სიმდიდრის განსხვავებით; სიყვარული, რომელიც გარდა გულის-თქმათა, არავითარს ძალას არ ემორჩილება?! ეს შეუძლებელი იყო. „პენტესილიის“ კითხვამ ყველაზე მეტად მიშველა მეოცე საუკუნის საზოგადო მდგომარეობის გაცნობაში. ჩემი მასპინძლის ფაქტიკური ცნობანი, ეჭვი არ უნდა, ძლიერ საფუძვლიანნი იყვნენ, მაგრამ ისინი ჩემს ტვინზე მხოლოდ ნაწყვეტ შთაბეჭდილებას ახდენდა, ასე რომ მათი ერთად შეკრება ჯერ კიდევ ვერ მომეხერხებინა. ბერრიანმა-კი გადაიღო ისინი ერთს მთელს სურათად.

თავი XVI

მეორე ღლის დილით თითქმის საუზმის დროს ავდექი. კიბეზე რომ ჩავდიოდი, დერეფანში იუდიფი დავინახე. ის იმ ოთახიდამ გამოდიოდა, სადაც წინად აწერილ დილას შევხვდით ერთმანეთს.

— ახ,—შეჰკივლა მან მომხიბლველის ცბიერებით—თქვენ უთუოდ კიდევ აპირებდით მარტო სასეირნოდ გაპარვას, რაც ისე კეთილად მოქმედობს თქვენზე! მაგრამ განძრახვა ჩაგეშალათ; დღეს მოგასწარით ადგომა და ველარც წამიხვალთ!

— ვერაფერი რწმენა გქონიათ თქვენი წამლობის,—მივუგე მე,—თუ გგონიათ, რომ ასეთი სეირნობა ჩემზე ცუდ გავლენას იქონიებს.

— ძლიერ მოხარული ვარ თქვენგან ამის გაგონებით,—მიპასუხა მან.—ოთახში თაიგულს ვამზადებდი სასაუზმე სუფრისათვის, რომ უეცრივ თქვენი ნელი ფეხის ხმა შემომესმა,

ყისვე წარმომიდგა, რომ თქვენს ნაბიჯში თითქო რაღაც იდუ-
ალობა იხატებოდა.

— ტყუილი ეჭვი შეგიტანიათ ჩემზე, ფიქრადაც არ მომსვ-
ლია ქუჩაში გასვლა.

ბევრს ეცადა იუდიფი დავერწმუნებინე, რომ მისი აქ შე-
ვედრა მხოლოდ უბრალო შემთხვევა იყო, მაგრამ ამაოდ. მე
ვამბადა ახალი ეჭვი, რაც შემდეგში კიდევაც გამართლდა,
რომ ეს ტურფა ქმნილება ჩემზე ზრუნვის მიზეზით, მეტად ად-
ვე დგებოდა თურმე ეს უკანასკნელი ორი-სამი დღე ზედი-
ზედ, რომ აეცილებინა ჩემთვის ის შესაძლო განმარტოებული
�etიალი, რომელსაც წინა სეირნობის მსგავსად შეეძლო ავე-
ელევებინე. მისი ნება-რთვით ჩვენ ერთად დავკრიბეთ თაიგუ-
ლისათვის ყვავილები და შემდეგ დავბრუნდით იმ ოთახში, საი-
დამაც ის გამოვიდა.

— გრწამსთ, რომ თავისუფალი ხართ იმ საშინელ მღელ-
ვარებისაგან, რომელიც იმ დილით გამოვლეთ?—მკითხა მან.

— არ შეიძლება ითქვას, რომ ხან-და.ხან მაინც კიდევ არ
ჰყრობდნენ რაღაც უცნაური გრძნობები,—მივუგე მე,—სახელ-
ლობ იმ წამებში, როცა ჩემი ვინაობის შემოწმება, რაღაც ახს-
ენილი საკითხავივით დამიდგება ხოლმე თვალ-წინ. რასაკვირვე-
ლია, ამაო იმედი იქნებოდა, ჩემს მდგომარეობაში მყოფმა,
ეშვიათად მაინც არ გამოსცადოს მსგავსი მღელვარება, მაგრამ
ფასახიჩრების შიში-კი, რომელსაც ბეწვზე გადავრჩი ამ დილას,
ეფიქრობ, სრულებით გაჰქრა.

— არასოდეს არ დამავიწყდება თქვენი მაშინდელი სახე,—
ჰითხრა მან.

— მარტო სიკოცხლე რომ მოგვნიჭებიათ თქვენ ჩემთვის,
შეიძლება კიდევ მომენახა სამადლობელი სიტყვები; მაგრამ
თქვენ იხსენით ჩემი გონება და ამისათვის არ არის სიტყვა,
რომლითაც შეიძლებოდეს სრულად იმის გამოხატვა, თუ რამდე-
ნად ვარ თქვენგნით დავალებული.—მივუგე მე.

ჩემმა აღელვებულმა ლაპარაკმა იუდიფს თვალები აუ-
ცრემლიანა.

— ეს სიცრუეა, — მიპასუხა მან, — ხოლო თქვენგან ამის გაგონება
ჩემთვის მაინც სასიამოვნოა. მე თითქმის არაფერი გამიკეთებია
თქვენთვის, მაგრამ თქვენი მდგომარეობა რომ მაწუხებდა, მარ-
თალია. მამა ამბობს, არაფერმა არ უნდა გაგვაოცოს, რა-კი
მეცნიერულს გამოკვლევას ემორჩილებაო. ერთი ამ გვარ მოვლე-
ნათაგანია თქვენი ამდენი ხნის ძილიც; მაგრამ ის ფიქრი, რომ
შესაძლებელი იყო მე ვყოფილიყავ თქვენს ალაგზე და იგივე
გადამხედოდა, საშინლად მირეტიანებს გონებას. ამას უთუოდ
ვერ ავიტანდი.

— ატანა ადვილი იქმნებოდა, თუ ისეთი მცველი ანგელო-
ზი გაგიჩნდებოდათ გაღვიძების ხანს, როგორიც მე მომევლინა,
რომლის თანაგრძნობასაც გამეხნევებინეთ.

თუ-კი ცოტათი მაინც მეჩნეოდა ის გრძნობები, რომელ-
საც იწვევდა ჩემში ეს ტურფა, მშვენიერი ახალგაზდა ქალი,
ვინც ანგელოზობას მიწევდა ამ წამში, შეგეძლოთ წაგეკითხათ
ჩემს სახეზე მარტო ერთი კრძალულება და პატივის ცემა. ჩე-
მი სახის გამომეტყველებამ, თუ არ ვიცი კარგად, ჩემმა სიტ-
ყვებმა, შეიძლება ერთმაც და მეორემაც — მომხიბლველი სი-
წითლე მიჰგვარეს მის სახეს და თვალები დააშვებინეს.

— მართალია, — განვაგრძე მე, — თქვენ არაფერი გადაგხე-
დიათ ისეთი, რაც მე მხედა წილად, მაგრამ მაინც ამაზრზენე-
ბელი სანახავი უნდა იყოს უთუოდ წარსული თაობის კაცის ყუ-
რება, რომელიც ასის წლის წინად გადაცვლილა და ისევ მო-
ბრუნებულა სიცოცხლისაკენ.

— პირველად მართლაც აუწერელი იყო ჩვენი გაოცება, —
მომიგო მან. — მაგრამ, როცა თქვენს ადგილზე ჩვენი თავი წარ-
მოვიდგინეთ და განვსაჯეთ, თუ რამდენად მეტი საოცრება იქ-
მნებოდა ეს თქვენთვის, თითქმის დაგვავიწყდა საკუთარი შთაბეჭ-
დილება; ჩემზე მაინც ასე შემიძლია ვთქვა. მაშინ ეს ჩემთვის
იმდენად შემაძრწუნებელი არ ყოფილა, რამდენადაც საყურად-

ღებო და საგრძნობელი იყო; არაფერი მსგავსი ჩემს სიცოცხლეში მეტად არ გამეგონა.

— განა არ გაოცებთ თქვენ, რომ იცით ვინა ვარ და მაინც კიდევ ზიხართ ჩემთან ერთად სტოლზე?

— უნდა იცოდეთ, რომ თქვენ იმდენს საოცრებას არას შეადგენთ ჩვენთვის, რამდენსაც ჩვენ უნდა შევადგენდეთ თქვენთვის.—მიპასუხა იუდიფმა.—თქვენთვის ჩვენ მომავალს ვეკუთვნით, რომელზედაც არაფერი იცოდით, სანამ არ გვნახეთ. თქვენ კი ჩვენი წინაპრების თაობას ეკუთვნით. ჩვენ მათ კარგად ვიცნობთ და ბევრი მაშინდელი დროის კაცთა სახელები იხსენება ჩვენს ოჯახში. ჩვენ შევისწავლეთ თქვენი აზრთა და ცხოვრების სახეები; როცა რომ ყველა ჩვენი ლაპარაკი ან ქცევა თქვენთვის სულ უცხოა. ასე ბ. ვესტ, თქვენ თუ გრძნობთ, რომ დროს განმავლობაში შეგიძლიათ შემოგვიერთდეთ, ის ნუ გაგაკვირვებთ, რომ თავიდამვე ჩვენ არაფერს უცნაურობას არ ვხედავდით თქვენში.

— ამ მხრით მე არ გამირჩევია ეს საქმე,—შევნიშნე მას.—თქვენს ნაამბობში ბევრი სიმართლეა, უფრო ადვილია ათასი წლით უკან მიხედვა, ვინემ ორმოცდა-ათი წლით წინ გაქვრეტა. ასი წელიწადი არაფერი შორაა მისთვის, ვინც წარსულს შეჰყურებს. მე შესაძლოა ვიცნობდი თქვენს წინაპრებს; შესაძლოა კი არა, უეჭველია ვიცნობდი. ისინი ბოსტონში ცხოვრობდნენ?

— კი, მგონი.

— განა დარწმუნებული არა ხართ ამაში?

— არა,—მიპასუხა მან,—მგონი, რომ ცხოვრობდნენ.

— ქალაქში მე დიდი ნაცნობობა მყავდა,—განვაგრძე ისევ.—ადვილი შესაძლებელია, რომ იმათაც ვიცნობდი ან განაგონი მაინც მექნებოდა რამე მათზე. შეიძლება აგრედვე, რომ დაახლოვებული ნაცნობიც ვიყავი მათი. საინტერესო არ იქმნება, რომ გიამბოთ რამე, თუნდ თქვენის მამის პაპაზე მაინც?

— ძლიერ საინტერესო იქმნება.

— ხომ იცით თქვენი გენეალოგია იმდენად მაინც, რ
მითხრათ, რომელი თქვენი წინაპარი იქმნებოდა ჩემს დროს

— ოჰ, როგორ არა?

— მაშ შეიძლება ვინმე ერთი მათგანი დამისახელოთ?

ამ დროს ის ხელში რაღაც ყვავილის ღეროს ათამაშ
და და ერთბაშად არ მიპასუხა. კიბეზე ფეხის ხმამ გვაცნო
რომ ოჯახის სხვა წევრნიც მოდიოდნენ.

— შეიძლება, ოდესმე, — ჩაილაპარაკა მან.

საუზმის უკან მე და უფ. ლიტი საშუალ საწყობის სა
ხავად წავედით, რომ თვალით მენახა იმ საქონლის გზავ
რომელიც იუდიფმა სიტყვით ამიხსნა. გაუდექით თუ არა გზ
მე დავიწყე:

— აგერ რამდენიმე დღეა, რაც თქვენს ოჯახში ვცხო
რობ და მიპირავს უმაღლეს ხარისხამდე საოცარი მდგომარე
ბა ანუ უკეთ, არავითარი. აქამდე ჩვენს საუბარში ამ საკით
არ შევხებივარ, რადგან სხვა უფრო ბევრი რამ იყო ჩემთვ
გაუგებარი. ხოლო ახლა, როდესაც ვგრძნობ, რომ ნიად
ჩემ ფეხებ ქვეშ ცოტათი მაინც დამკვიდრებულია და მესმი
რომ როგორადაც უნდა მომხდარიყო ჩემი აქ ჩამოვარდნა, მაინ
აქა ვარ და შეძლებისამებრ აუცილებელია შევეჩვიო ჩემს მდგ
მარეობას — ამ საგანზე თქვენთან მოლაპარაკება საჭიროა.

— რაც შეეხება იმას, რომ თქვენ სტუმრად გრძნობთ თ
ჩემს ოჯახში, — მიპასუხა ჩემმა მასპინძელმა, — ამაზე ნუ სწ
ხართ, რადგან ჩვენ სრულებით არ მოგვწყენია ჯერ თქვენი
ყოფნა. ხოლო თქვენი სტუმრობა რომ ჩვენთვის შეძენაა, რ
დაკარგვაც არც ისე ადვილია, თქვენ ამას მიმხდარი ხარ
უთუოდ.

— გმადლობთ, — მივუგე მე, — დროებითი სტუმრობისათვ
დაჟინებული ბოდიში იმ კაცთან, რომლის წყალობაცაა, რ
ისევ-ისე ცოცხლად არ ვწევარ საფლავში ქვეყნის დასასრულ
მომლოდინე, ჩემის მხრით მეტიჩარობა იქმნებოდა. მაგრამ, თ
გადაწყვეტილია, რომ მე ამ საუკუნის მუდმივ მოქალაქ

დავრჩე, ერთს გარკვეულს გზას უნდა ვადგე. ჩემს დროში სულ ერთი იყო, ეს დაქსაქსული ხალხის ბრბო ერთი კაცით მეტი იქმნებოდა თუ ნაკლები. მას საცა უნდოდა იქ შეეძლო გარეოდა ამ ბრბოს და მოწყობილიყო სურვილისამებრ, თუ-კი ამისათვის ღონე შესწევდა. მაგრამ ახლა თითოეული, ასე ვთქვათ, ნაწილია იმ წეს-წყობილებისა, სადაც საჭიროა ჰქონდეს გარკვეული ადგილი და მოქმედება. მე ამ წეს-წყობილების გარე ვიმყოფები და ვერ გამიგია, რა ნაირად მოვექცე მისს რაზმში. როგორც სჩანს, მხოლოდ ორი საშუალებაა: ან უნდა მათშორის დაიბადო, ან გადმოსახლდე რომელიმე სხვა ქვეყნიდამ.

ჩემს მოსაუბრეს სიცილი წასქდა.

— ხედავთ, ჩვენს წეს-წყობილებას შეიძლება ნაკლი მოუნახოთ: მსგავსი შემთხვევის შესახებ, როგორც მაგალითად თქვენია, არავითარი ზომა არ არის მიღებული. მაგრამ იცით, რას გეტყვით: კაცობრიობის სხვა გზით გამრავლებას, თუ არ ბუნებრივად, არვინ მოელოდა. როგორც უნდა იყოს, ნუ შიშობთ, რომ ვითომ ძნელი მოსახერხებელი იყოს თქვენთვის თავის დროზე ადგილისა და სამუშაოს შოვნა. აქამდი თქვენ მარტო ჩვენს ოჯახთან გქონდათ საქმე, მაგრამ არ იფიქროთ, ვითომ თქვენი არსებობა საიდუმლოებით იყოს მოცული სხვებისათვის. პირიქით, თქვენმა მდგომარეობამ გაღვიძებამდისაც და განსაკუთრებით მას უკან, ღრმა ინტერესი აუძრა ყველას. თქვენის ნერვების საშიში მდგომარეობის გამო, ამჯობინეს თქვენზე ზრუნვა ამ თავით ჩემთვის მოენდოთ, იმ განძრახვით, რომ სანამ მოქალაქეებს გაეცნობოდით, ჩემისა და ჩემი ოჯახის შემწეობით გქონებოდათ საზოგადო წარმოდგენა იმ ქვეყნის შესახებ, სადაც ასე მოულოდნელად გაჩნდით. თქვენთვის სულ ადვილია საზოგადოებაში შესაფერი ადგილის არჩევა. ჩვენ შორის ძლიერ იშვიათია ისეთი ვინმე, რომელსაც შეეძლოს იმოდენა სამსახური გაუწიოს ერს, რამდენიც თქვენ შეგიძლიათ, რა-კი ჩვენს ბინას დააგდებთ; მაგრამ ამაზე ფიქრი ჯერ ადრეა.

— რა უნდა გავაკეთო?—ვიკითხე მე.—იქნება გგონიათ, რომ ხელოსნობისა ან ხელოვნების რაიმე გამეგება ან კიდევ რომელიმე განსაკუთრებული ნიჭის პატრონი ვიყო? გარწმუნებთ, არაფერი მსგავსი ჩემში არ იპოვება. მთელს ჩემს სიცოცხლეში ერთი დოლლარიც რაა არ დამიმუშავებია და ერთი საათის დროც-კი არ შემიწირავს შრომისათვის. მე ფიზიკური ძალა მაქვს და, თუ შევიძლებ ისევ მიწის მუშაობას, თორემ სხვა ჩემგან არა გამოვა-რა.

— მარტო ესეც რომ იყოს თქვენგან შესაძლებელი სამსახური ერისადმი, შეიტყობთ, რომ ეს შრომაც იმდენადვე პატივდებულია, რამდენადაც სხვა რომელიმე,—მიპასუხა ლიტმა;—მაგრამ თქვენ კიდევ უკეთესის რამ შესრულება შეგიძლიათ. ყველა ჩვენს ისტორიკოსებზე უძლიერესი ხართ თქვენ მეცხრამეტე საუკუნის დამლევის სოციალურ მდგომარეობის კითხვებში, რაც ჩვენთვის მეტად საინტერესო ისტორიული ხანაა. როცა თქვენ თავის დროზე საკმაოდ გაეცნობით ჩვენს დაწესებულებებს და მოისურვებთ თქვენის დროის დაწესებულებებთან გაგვაცნოთ, მაშინ თქვენ მოიპოვებთ თავისუფალს კათედრას ერთ-ერთს ჩვენს უნივერსიტეტში.

— ეს სწორედ მშვენიერია!—წამოვიძახე მე, ჩემი სავალალო კითხვის პრაქტიკულად ახსნით დამშვიდებულმა.—თუ თქვენს თანამემამულეებს ასე აინტერესებს მეცხრამეტე საუკუნე, ეს ადგილი მართლაც რომ თითქო განგებ ჩემთვის იყოს დანიშნული. მგონი იშვიათი იქმნებოდა ისეთი საქმე, რომლითაც მე ლუკმა პურის სახსარი მომეპოვა; მაგრამ თავის თავადაც ცხადია, თქვენგან ნაჩვენებს ადგილზე თამამად შემიძლია ჭეშმარიტი ცოდნა დავიჩემო და ვერც ვერვინ ტრაბახობაში ვერ ჩამომართმევს ამას.

თავი XVII

საწყობში ნახულმა დიდი ყურადღება მიიქცია ჩემი. ამ ვეებერთელა საწარმოო ძალამ, რომელსაც იძლეოდა უმაღლესად შემუშავებული შრომის ორგანიზაცია, საოცარს აღტაცებაში მომიყვანა. მანქანა ემსგავსებოდა უზარ-მაზარს წისქვილს, რომლის ყუთში ერთის თავით განუწყვეტლივ შედიოდა საქონელი რკინის გზებიდამ და გემებიდამ და გამოდიოდა მეორე თავიდამ ცალობით: გირვანქებად, უნცებად, არშინებად, ვედროებად და ლიტრებად დანაწილებული და აკმაყოფილებდა ამ ნახევარ მილიონ მკვიდრთა აურიცხველს პირადს საჭიროებას.

იმ მაგალითებიდამ, რომელიც მე წარვუდგინე ლიტს ჩვენი დროის საქონლის აღებ-მიცემობის შესახებ, მან საოცარი „ეკონომიის“ შედეგი დამიყენა წინ, რომელსაც ახალი წესწყობილება იძლეოდა.

როცა შინისკენ მივდიოდით, მე მივუბრუნდი მას:

— იმისაგან, რაც დღეს ვნახე, იმის დამატებით, რაც თქვენ მიამბეთ და რაც სანიმუშო მაღაზიაში გავიგონე თქვენი ქალისაგან, მე საკმაო ნათელი აზრი შევადგინე დღევანდელ თქვენს გაყიდვის წესებზე და მესმის, როგორ გამოდიხართ მისი მეოხებით უფულოდ. მაგრამ მინდოდა კიდევ მეტი რამ მცოდნოდა თქვენებურ წარმოების წესების შესახებ. თქვენ მიამბეთ საზოგადოდ თუ როგორ იკრიბება და სდგება თქვენი სამრეწველო ჯარი; მაგრამ ვინ უხელმძღვანელებს მათს მოქმედებას? რომელი მაღალი ავტორიტეტი განაგებს, რომელს განყოფილებაში რა უნდა გაკეთდეს, რომ ყველაფრის მხოლოდ საჭირო რაოდენობა დამუშავდეს? ჩემი აზრით, ეს ისეთი ძნელი და რთული გამოცანაა, რომლის ახსნაც უპირველეს ნიჭს ითხოვს.

— ნუ თუ მართლა ასე გგონიათ?—მიპასუხა მან,—გარწმუნებთ არაფერი ისეთი არაა საჭირო; პირიქით, გამოცანა ისე საადვილოა, ისეთს სათვალ-და-თვალო და საიაფო პრინციპზეა

აშენებული, რომ ამ საქმის აღმასრულებელნი, ვაშინგტონში მოსამსახურენი, შეიძლება სულ ჩვეულებრივი ნიჭის პატრონნი იყვნენ, რომ ერის საკმაყოფილოდ შეასრულონ თავიანთი მოვალეობა. მანქანა, რომელსაც ისინი ამოძრავებენ, რასაკვირველია, უზარ-მაზარია, მაგრამ ის იმდენზე ლოდიკურია თავის პრინციპებში, იმდენად მტკიცე და უბრალოა მოძრაობაში, რომ თითქმის თავის-თავად ტრიალებს და ბრიყვის მეტი არვინ არ აშლის; ამაზე თქვენც დამეთანხმებით, რა-კი ცოტა უფრო ნათლად აგიხსნით. რადგან თქვენ ახლა საკმაო გარკვეულად გესმისთ გაყიდვის წესები, დავიწყოთ იქიდამ. სტატისტიკას თქვენს დროშიაც შეეძლო აენიშნა ერის წლიური საჭიროება, თუ რამდენი არშინი ჩითი, ხავერდი, შალი, რამდენი ფქვილი, ქართობილი, ზეთი, რამდენი წყვილი წაღები, შლიაპები და ქოლგები უნდებოდათ. რადგან წარმოება კერძო პირებს ჰქონდათ ხელში, შეუძლებელი იყო გაყიდულის შეუცთომლად აღნიშვნა. ამიტომ მათი ანგარიში მხოლოდ დაახლოვებულს რიცხვს იძლეოდა. ახლა, როცა საერო საწყობიდამ გამოტანილი ქინძისთავიც-კი იწერება,—ერთის კვირის, თვის და წლის საჭიროების აღრიცხვა, რაც თითეული ამ ვადების ბოლოს ხდება გაყიდვის განყოფილებაში, სრული სინამდვილეა. ამ ციფრების ძალით სდგება ნუსხა ერთის წლის წინადაც-კი. რასაკვირველია, ამასთან სახეში აქვთ შესაძლო მოსამატებელი და მოსაკლები ხარჯი და განსაკუთრებული შემთხვევები, რომელთაც-კი გავლენა აქვთ „მოთხოვნილებაზე". ამ ნუსხას, სხვა-და-სხვა მოსალოდნელ ცვლილებების აღნიშვნით, ამტკიცებს შემდეგ საერთო ადმინისტრაცია. მე გითხარით, რომ ანუსხვა სდგება მთელი წლით წინაც თქო, მაგრამ ნამდვილად-კი ასე დიდი ხნით წინ, უმთავრეს წარმოების საგნების ანუსხვა სდგება, რომლის „მოთხოვნილების" სწორი ანგარიშის გაგებაც შესაძლებელია.

მომეტებულს შემთხვევაში წვრილმან საგნების შესახებ ხშირად იცვლება მემოვნება და მუდამ რაიმე ახალი საჭიროება გამოტყვ-

ჩება; აქ წარმოება თითქმის უდრის ხმარებას და სავაჭრო განყოფილება ხშირად ერთის კვირის მოთხოვნილების ნუსხას ადგენს.

მთელი წარმოება და მრეწველობა იყოფა ათ დიდრონ ნაწილებად; თითოეული მათგანი შეადგენს ერთ სახიანი წარმოების გუნდს; თითეულს ამ წარმოების გუნდს აქვს თავისი განყოფილების მორჩილი დაწესებულება (ბიურო), რომელიც აკვლევს და შინჯავს ყველაფერს, რაც ამ წარმოების დარგს კუთვნის—მუშების რიცხვს, წარმოების რაოდენობას და მის განსაძლიერებელ საშუალებას. სავაჭრო განყოფილების ნუსხა, ადმინისტრაციისაგან დამტკიცების შემდეგ, იგზავნება მიწერილობის მსგავსად ყველა ამ ათს განყოფილებებში, სადამაც ერიგდება ის თითოეული წარმოების ხელ-ქვევით დაწესებულებებს და ეს უკანასკნელნი-კი უნიშვნენ ხალხს საშუშაოს. თითოეული დაწესებულება პასუხის მგებელია მისდამი რწმუნებულ წარმოების დარგში; მათს მოქმედებას თვალ-ყურს ადევნებს შესაბამი პროფესიონალური გუნდი და უმთავრესი ადმინისტრაცია; ამას გარდა, სავაჭრო განყოფილება არ ღებულობს ბაქონელს მისი კეთილ-ღირსოვანების შეუმოწმებლად. თუ ბაქონელი უვარგისი აღმოჩნდა, თუნდა კიდევაც გადასული იყოს მყიდველის ხელში; ამ წესით შეიძლება ნამდვილად გამოიცნოთ შეცდომის წარმომშობი სათავე. ერისათვის უსათუო სახმარ ნივთების დამუშავება მთელი მუშების ძალას არ თხოულობს. მას უკან, რაც საპირო მუშების ძალა დანაწილდება სხვა-და-სხვა წარმოებებში, დანარჩენი ძალა ხმარდება შენობების აგებას, მანქანებს და სხვ.

— ერთი მუხლი, ჩემი აზრით, —მივუგე მე,—ვერ არის დამაკმაყოფილებელი. რა-კი კერძო წარმოება აღარ არსებობს, როგორ შეიძლება ვირწმუნოთ, რომ სახეში მიიღება იმ მხმარებელთა მცირე რიცხვის სურვილი, ისეთი ნივთის შესახებ, რომელზედაც დიდი მოთხოვნილება არ არის? უმაღლეს განკარგულებას ყოველ წუთში შეუძლია მოუსპოს მათ ეს კერ-

ძო კმაყოფილება მხოლოდ იმიტომ, რომ მომეტებულის გე-
მოვნებას არ ეთანხმება ის.

— ეს-კი სწორედ წამება იქმნებოდა,—მიპასუხა ლიტმა;—
მაგრამ გარწმუნებთ, რომ ჩვენში ასეთი შემთხვევა შეუძლებე-
ლია, რადგან თავისუფლება ჩვენში იმდენადვე ძვირფასია, რა-
მდენადაც ძმობა-ერთობა. როცა თქვენ დაახლოვებით გაეცნო-
ბით ჩვენს წესებს, დაინახავთ, რომ ჩვენი თანამდებობის პირ-
ნი მარტო სახელით კი არა, არამედ საქმითაც ხალხის დარაჯ-
ნი და მოსამსახურენი არიან. ადმინისტრაციას არავითარი უფ-
ლება არა აქვს შეაჩეროს იმ ნივთის წარმოება, რომელზედაც
მოთხოვნილება არსებობს. მოხდა, ვთქვათ, რომ მოთხოვნი-
ლება რომელსამე ნივთზე იმდენად შემცირდა, რომ მისი და-
მუშავება ძვირად ჯდება. მაშინ ამის შესადარად აიწევს საქონ-
ლის ფასიც, მაგრამ, სანამ-კი მას მხმარებელი ჰყავს, მისი წარ-
მოების შეყენება შეუძლებელია. ვთქვათ კიდევ, რომ გაჩნდა
მოთხოვნილება ისეთს ნივთზე, რომლის წარმოებაც აქამდე არ
ყოფილა. თუ ადმინისტრაციას არ სჯერა ამ მოთხოვნილების
სინამდვილე, სახალხო თხოვნა, რომელიც მისი ხმარების თავ-
დებია, ავალებს ადმინისტრაციას მოთხოვნილი საგნის წარმო-
ებას. იმ გვარი მთავრობა, ან ხალხის მომეტებული ნაწილი,
რომელიც უწესებს ერს ან მისს მცირე ნაწილს: რა ჭამონ, რა
სვან ან რა ჩაიცვან და დაიხურონ, როგორც თქვენს დროში
იყო, ახლა რაღაც უცნაური ანახრონიზმი (დროს შეუფერებე-
ლი) იქმნებოდა. შეიძლება თქვენ საბაბი გკონდათ მოგეთმინათ
ასეთი უმსგავსო შეხუთვა თავისუფლებისა, მაგრამ ჩვენთვის ეს
აუტანელია. მე ძლიერ კმაყოფილი ვარ თქვენი ამ კითხვის
აღძვრისათვის, რადგან შემთხვევა მეძლევა დაგანახოთ, რომ
ახლანდელს დროში თითოეული ცალკე მოქალაქის გავლენა,
ქვეყნის წარმოებაზე უფრო მტკიცე და ხელ-შეუვალია, ვინემ
თქვენს დროში იყო, როცა ბრძანებლობდა, როგორც თქვენ
ეძახით, კერძო წარმოება; თუმცა უფრო რიგიანი იქმნება და-
უძახოთ მას კაპიტალისტის მოთავეობა, იმიტომ რომ ჩვეუ-

ღებრივი მოქალაქე მასში თითქმის არავითარს მონაწილეობას
არ იღებდა.

— თქვენ ამბობთ, იშვიათს ნივთებზე ფასის მომატებას, —
კუთხარი მე, — რანაირად შეიძლება ფასების გაწესრიგიანება იმ
ქვეყანაში, სადაც მეტოქეობა არ არსებობს მყიდველებსა და
ამყიდველებს შორის?

სწორედ ისე, როგორც თქვენს დროში. — მიპასუხა მან. —
ეუ თუ თქვენ ეს არ გესმისთ? — დაუმატა მან, რა-კი გაკვირ-
ება შემამჩნია: — მაშ ამის ახსნაც ადვილია. რომელსამე ნივთის
ნეშმარიტი ფასოვნების საფუძველს, როგორც თქვენს დროში,
ასე ჩვენშიაც შეადგენს იმ შრომის ღირებულობას, რა შრო-
ბაც მისს გაკეთებას მოუნდა. თქვენ დროში შრომის სხვა-და-სხვა
ღირებულობა ირკვეოდა ჯამგირების მეტ-ნაკლებობით; ახლა ეს
ახვა-და-სხვაობა დამოკიდებულია მხოლოდ საათების შედარებითს
რიცხვზე, რომელიც სამუშაო დღეს შეადგენს სხვა-და-სხვა წარ-
მოებაში; მუშის საჩო კი ყოველს შემთხვევაში ერთი და იგი-
ვე რჩება.

თუ საქმე იმდენად ძნელია, რომ მუშების მისაზიდავად
სამუშაო დღის ოთხს საათზე დაყვანაა საჭირო, აქ შრომის ღი-
რებულობა ორჯერ მეტია იმ შრომის ღირებულობაზე, საცა
სამუშაო ვადა დღეში რვა საათია. შრომის ღირებულობის შე-
დეგი ერთი და იგივეა, რაც იმ შემთხვევაში, როცა მუშისა-
თვის თქვენს წესებში ოთხი საათის მუშაობისათვის რომ მიე-
ცათ ორჯერ მეტი ქირა მასზე, რასაც მეორე იღებდა. აი ასე-
თი შრომის ანგარიში, ხმარებული მრეწველობის სხვა-და-სხვა
წარმოებაში, არკვეს მის ფასს სხვა ნივთებთან შედარებით.
გარდა წარმოების და სატრანსპორტო გასავლის ღირებულობი-
სა, ზოგიერთი საქონლის დაფასების დროს, მუდამ სახეში აქვთ
აგრეთვე დასამუშავებელი მასალის სიიშვიათე. ამ ფაქტორს
არავითარი ხელი არა აქვს უმთავრეს საჭირო ფასის დადებაში.
ასეთი საგნები მუდამ მეტი აქვთ და ამ ნაირად „მოთხოვნი-
ლებისა“ და „შეძლევის“ რყევას ცუდ მოსავლიანობის დრო-

საც-კი არ შეუძლია გავლენა იქონიოს. ასეთი ნივთების ფასი უფრო და უფრო ეცემა, თორემ ძალიან იშვიათად და თითქმის არასოდეს არ აიწევს. ხოლო არიან ნივთები, რომელთაგან ზოგი არასოდეს, და ზოგიც დროებით არ ეთანხმებიან მოთხოვნილებას; უკანასკნელს კატეგორიას ეკუთვნიან, მაგალითად, ახალი თევზი და რძეულობა; პირველს-კი—ნივთები, რომელნიც დიდს მზადებასა და ძნელად საშოვნელ მასალას თხოულობენ. ყოველივე, რაც ამ შემთხვევაში შეიძლება მოხერხდეს—ეს დროებით ფასის აწევაა, თუ რომელიმე ნივთის ნაკლებობა დროებითი მოვლინებაა ანა და მაღალი ფასები დაენიშნოს—თუ ეს მუდმივი მოვლინებაა. თქვენს დროში მაღალ ფასებიანი ნივთების მოპოვება მარტო მდიდრებს შეეძლოთ; ახლა-კი, ამ საშუალებათა თანასწორობაში, მაღალ ფასებს ის შედეგი ჰყვება, რომ ასეთს ნივთებს ყიდულობენ ისინი, ვისაც ძლიერი სურვილი აქვს მათი შეძენისა. ახლა მე გაგაკანით თქვენ, საზოგადოდ ჩვენი წარმოებისა და ყიდვა-გაყიდვის წესი. კიდევ ისე რთულად მიგაჩნიათ ის, როგორც წარმოდგენილი გქონდათ?

მე დავეთანხმე, რომ ამაზე ადვილი არაფერი არ შეიძლება.

— დარწმუნებული ვარ,— დაუმატა მან,— შეცდომა არ იქმნება თუ ვიტყვი, რომ თქვენის დროის, რომელიც გინდა აიღე, კერძო წარმოების მოთავეს, რომელსაც-კი გაფაციცებული თვალ-ყური უნდა სჭეროდა ბაზრის ცვლილებებზე, მეტოქეთა ოინებზე, მოვალეთა კოტრობაზე, ბევრად უძნელესი თავ-სამტვრევი ჰქონდა, ვინემ ჩვენის დროის მთელი ერის წარმოების გამგე ხალხის გუნდს ვაშინგტონში. ეს-კი იმას ამტკიცებს, ჩემო ძვირფასო მოსაუბრევ, რომ ბევრად უადვილესია სიმართლით საქმის კეთება, ვინემ უსამართლოდ. ბევრად ადვილია ჰაეროსტატში მჯდომარე გენერლისათვის გამარჯვებით აბრძოლოს მილიონი ხალხი გაშლილ ველზე, ვინემ აფიცრისათვის ერთი მუჭა სალდათების უტეხს ტყეში მართვა-გამგეობა.

— ასეთი ჯარის გენერალი, რომელიც შეადგენს ერის ,ია მაყეს, პირველი უნდა იყოს მთელს მხარეში; თითქმის მთე- ლი შეერთებული შტატების პრეზინდენტის უმაღლესიც-კი. —ვუთხარი მე.

— ისაა კიდეც შეერთებული შტატების პრეზინ დენ- ტი,—მიპასუხა ლიტმა,—ანუ, უკეთ ვთქვათ, პრეზიდენტობის უმთავრესი ფუნკცია სამრეწველო ჯარის უმაღლესი მთავრო- ბაა.

— როგორ ირჩევენ მას?—ვკითხე მე.

— როცა ის აგიწერეთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მბაძ- ველობის წასაქეზებელს წესებს მუშა ჯარის ყველა ხარისხებზე,— მომიგო ლიტმა,—იქავე აგიხსენ.ით, თუ მან, ვისაც თავი გამო- უჩენია ერთგულის სამსახურით, როგორ უნდა განვლოს ჯერ სამი დაბალი საფეხური, რომ აფიცრის ხარისხს მიაღწიოს და შემდეგ ლეიტენანტობიდამ კაპიტნობა ეძლევა და ბოლოს პო- ლკოვნიკობა; მას შემდეგ, უფრო სხვილს წარმოებაში არის კიდევ საშუალო ხარისხი-ჩინი გილდიის გენერლის ანუ ცალ- კე წარმოებისა; ასეთი გენერლის ზედამხედველობაშია ამ წა- რმოების ყველა ოპერაცია. ეს აფიცერი, რომელიც შესაბამი საერო დაწესებულების მოთავე და წარმომადგ ენელია, პასუ- ხის მგებელია ადმინისტრაციის წინაშე ამ დაწესებულების საქ- მეებში. გილდიის გენერლობა შესახარბელია და შეუძლია სრუ- ლიად დააკმაყოფილოს უმეტესობის თავ-მოყვარეობა; მაგრამ ამაზე მაღალ ჩინად, რომელიც თქვენის დროის სამხედრო იერარხიასთან შედარებით, დივიზიის გენერლის ჩინს ანუ გე- ნერალ მაიორს უდრის, ითვლება ათი დიდი განყოფილების ანუ წარმოების გუნდთა უფროსობა. ამ სამრეწველო ჯარის დიდ დივიზიათა უფროსები შეიძლება შევადაროთ თქვენის კორპუ- სის მმართველებს ანუ გენერალ-ლეიტენანტებს; თითოეულ მათგანს თორმეტიდამ ოცამდე გილდიის გენერლები ჰყავს მორ- ჩილებაში. აი ამ ათს აფიცრებს, რომლებიც რჩევის კრებას წარმოადგენენ, ჰყავთ ერთი მთავარ-მართებელი და ის არის

მთელი შეერთებული შტატების პრეზიდენტიც.

— ამ სამრეწველო ჯარის მთავარ-მართებელმა ყველა მასზე დაბალი ხარისხები უნდა გამოვლოს უბრალო მუშიდამ დაწყებული?

— აი ახლავე დაინახავთ, როგორ მაღლდება ის. უკვე გითხარით, რომ მხოლოდ უაღრესის ნიჭის მეოხებით მუშად ყოფნის დროს თითეული გაივლის მორიგეთა ხარისხებს და გახდება ლეიტენანტის კანდიდატი. ლეიტენანტობიდამ ის, უმაღლესის განკარგულებით, გადადის პოლკოვნიკის ჩინზე; მაგრამ ამ შემთხვევაში მარტო იმათ შეუძლიათ ამაღლების ძიება, ვინც თავის ნიჭიერების საუკეთესო მოწმობას წარადგენს. რომელიმე წარმოების გენერალს შეუძლია მის უმდაბლეს სამსახურზე დანიშნოს ვინმე, მაგრამ თითონ-კი არასოდეს არ ინიშნება, არამედ ირჩევა ხმის უმეტესობით.

— ხმის უმეტესობით?—შევყვირე მე.—განა ეს არ არღვევს წარმოების წესიერებას, როცა კანდიდატები ერთმანეთთან ქიშპობით მოიწვევენ თავიანთს გამგეობაში მყოფ მუშებს ხმის მისაცემად?

— ეჭვი არ არის ასე იქმნებოდა,—მიპასუხა მან,—ამომრჩევლები რომ თითონ მუშები ყოფილიყვნენ ან მათი აზრის გამოთქმა შეეძლოთ არჩევნებზე. მაგრამ აი აქა სჩანს ჩვენი წესწყობილების სხვაფერობაც. წარმოების გენერალს ირჩევენ პოლკოვნიკთა წრისაგან კენჭის ყრით ბილდიის საპატიო წევრები. ე. ი. ისინი, რომელთაც დაუმსახურებიათ თავიანთს ბილდიაში ვადა და მიუღიათ თავისუფლება. როგორც იცით, ორმოცდა ხუთის წლის ხნოვანებაზე ჩვენ გამოვდივართ სამრეწველო ჯარიდამ და ჩვენი სიცოცხლის დანარჩენს დროს ვატარებთ ჩვენივე თავის განვითარებაში ან მოსვენებაში. რასაკვირველია, ამასთან ჩვენ მაინც არ ვწყვეტთ კავშირს იმ კორპორაციებთან, რომელთაც ვეკუთვნოდით ჩვენი სახელმწიფო სამსახურის დროს განმავლობაში. იმ დროინდელი ჩვენი ნაცნობობა სიკვდილამდის გასტანს ხოლმე. ჩვენ ვრჩებით ჩვენი წინანდელი

გილდიის საპატიო წევრებად და გულმოდგინეთ ვადევნებთ თვალ-ყურს მისს წარმატებას ჩვენს შემდეგი თაობის ხელში. სხვა-და-სხვა გილდიების საპატიო წევრთა კლუბებში, საცა ერთ-მანეთს შევხვდებით ხოლმე, ყველაზე უფრო გილდიის საქმეებ-ზე გვაქვს ბაასი. რომელი ახალგაზდაც-კი ფიქრობს გილდიის მოთავეობას, ჯერ უნდა სრული მომზადება გამოიჩინოს ამ საქ-მეში, რომ არ ჩავარდეს ძველი კოლლეგიების კრიტიკაში. ერი აკანონებს ამ გვარს წესებს, როცა თითეული გილდიის საპა-ტიო წევრებს უფლებას აძლევს მისი გენერლის არჩევისას; შემიძლია დამტკიცებით ვთქვა, რომ ძველი საზოგადოების არც ერთს ორგანიზაციას არ შეეძლო ისეთი ამომრჩევლები მოემ-ზადებინა, რომელთაც ისე იდეალურად გაგებოდათ თავიანთი მოვალეობა, რომ გამოეჩინათ სრული მიუდგომლობა, კანდი-დატების დაფასების ცოდნა და პირადი ანგარიშების მოშორე-ბით საუკეთესო შედეგის მიღწევა. თითეული ამ ათი გენერალ-ლეიტენანტთაგანი ანუ დეპარტამენტის მოთავეთაგანი ირჩევა დეპარტამენტში თავ-შეყრილ გილდიის გენერალთა რიცხვიდამ ხმის უმეტესობით, რომელშიაც მონაწილეობენ მხოლოდ გილ-დიის საპატიო წევრნი. ცხადია, თითეულის გილდიის სურვი-ლია ხმა მისცეს თავის გენერალს, მაგრამ არც ერთს გილდი-ას საკმაო ხმა არა აქვს აირჩიოს ის, ვისაც მხარს არ უჭერს სხვა გილდიათა უმეტესობა. გავბედავ დაგარწმუნოთ, რომ ეს არჩევანი მეტად საინტერესოა.

— პრეზიდენტი ხომ იმ ათ დიდრონ განყოფილების უფ-როსთა რიცხვიდამ ირჩევა?—ვკითხე მე.

— დიახ, მაგრამ პეზიდენტად არჩევა არ შეიძლება მანამ, სანამ რამოდენიმე ხანს სამსახურ გარე არ დაჰყოფს. ძალიანი იშვიათია, რომ ყველა ასამაღლებელი ხარისხები განვლოს კაც-მა და ორმოც წელზე ადრე მიაღწიოს დეპარტამენტის მოთა-ვეობის ალაგს; ჩვეულებრივ, ის ამ დროს 45 წლისაა. თუ მე-ტის ხნის დარჩა, მაინც იმსახურებს თავის ვადას, თუ ნაკლე-ბისა—ვადის გასულს გამოირიცხება სამრეწველო ჯარიდამ.

ამის შემდეგ აღარ შეუძლია მას ისევ მოუბრუნდეს ჯარში, პრეზიდენტის კანდიდატად არჩევამდის ის ეჩვევა იმ აზრს, რომ ეკუთვნის ერის უმრავლესობას და მისი ინტერესები ყველაზე წინ მთელი ხალხის ინტერესებს ეთანხმება, ვინემ სამრეწველო ჯარისას. ამას გარდა, სასურველია, რომ მან შეისწავლოს ამ ხნის განმავლობაში მთელი ჯარის საზოგადო მდგომარეობა, ნაცვლად იმ გილდიის განკერძოებული გუნდისა, სადაც წინად მსახურებდა. სხვილ გილდიების ძველ ხელმძღვანელთა რიცხვიდამ, რომელიც-კი არჩევას ექვემდებარება, პრეზიდენტი ირჩევა ხმის უმეტესობით მთელ მოქალაქეთა, რომელნიც-კი სამრეწველო ჯარს არ ეკუთვნიან.

— მაშ პრეზიდენტის არჩევაში ჯარს არავითარი ხმა არა აქვს?

— რასაკვირველია, არა. ეს დაარღვევდა წესიერებას, რომლის დამცველადაც თვით პრეზიდენტი გამოდის, როგორც მთელი ერის წარმომადგენელი. მის მარჯვენა ხელს შეადგენს ინსპექცია, ეს ჩვენი წეს-წყობილების მეტად საყურადღებო ფუნქცია. მის განხილვას ექვემდებარებიან ყოველ-გვარი საჩივრები და განცხადებანი ნივთიერს ნაკლებობაზე, მოხელეთა სიმკაცრესა და უყურადღებობაზე, ყოველგვარს საერო სამსახურში აღმოჩენილს ბოროტ-მოქმედებებზე. მაგრამ ინსპექცია საჩივრის შემოტანას არ ელოდება. ის იკვლევს ყოველგვარს ცნობებს სამსახურის ურიგობის შესახებ, მალი-მალ და სისტემატიურად ჩხრეკავს ჯარის თითეულს განყოფილებას და აჩენს ისეთს შეცდომებს, რაც აქამდე არვის შეუმჩნევია. პრეზიდენტი, საზოგადოდ, არჩევის დროს 45 წელზე ნაკლების ხნის არ არის, რაც აღვევს იმ საპატიო განაჩენს, რომლის ძალითაც 45 წლისანი სამსახურისგან უნდა ისვენებდნენ. პრეზიდენტის შესახებ ეს გამონაკლს შეადგენს. სამსახურის ვადის დამლევს შეიყრება საერო კონგრესი (კრება) მოსასმენლად პრეზიდენტის მოქმედების ანგარიშისა და ან იწონებს ან იწუნებს მას, თუ კონგრესმა მოიწონა მისი ანგარიში, მას ირჩევენ კიდევ

ხუთის წლით საერთაშორისო მოკავშირე რჩევის საერო წარმომადგენლად. ამასთან, კონგრესი ასწორებს აგრეთვე ანგარიშს სამსახურიდამ გამსვლელ გილდიის უფროსებისას და ვისაც წუნი აღმოუჩნდება, ის ჰკარგავს პრეზიდენტად არჩევის უფლებას. მაგრამ საქმით იშვიათად მოხდება, რომ ერმა მადლობის მეტი სხვა რამ გრძნობა გამოუცხადოს თავის უმაღლესს მოახლეებს. რაც შეეხება მათს ჩვეულებრივს ნიჭიერებას, ამის დასამტკიცებლად მარტო ის ფაქტი კმარა, რომ ისინი ათასის გზის მკაცრი გამოცდის შემდეგ მაღლდებიან სამსახურში. ხოლო თუ მათს პატიოსნებას შევეხებით, ამ მხრით ჩვენი სოციალური წეს-წყობილება მხოლოდ იმაშია მათი წამხალისებელი, რომ ერის პატივი და სიყვარული დაიმსახურონ და არა სხვა რამე. მექრთამობა შეუძლებელია იმ საზოგადოებაში, სადაც არ არსებობს სიღარიბე, რომლის მოსყიდვაც ადვილია; არცა სიმდიდრე, რომლითაც მოსყიდვა შესაძლებელია, და სადაც თვით სამსახურში ამაღლების პირობები შეუძლებლად ხდიან ვისიმე მომხრეობას და ადგილის სიხარბეს.

— ერთი მუხლი ვერ გამიგია კარგად,—ვუთხარი მე.— შეიძლება თუ არა პრეზიდენტად აირჩეს წევრნი თავისუფალ ხელობათა, მაგალითად მეცნიერებისა ან ხელოვნებისა და, თუ შეიძლება, ამ შემთხვევაში როგორ ედარებიან ისინი ჩინებში მათ, რომელნიც სამრეწველო ჯარში მსახურობენ?

— ისინი არც ედარებიან ერთმანეთს. ტეხნიკურ პროფესიათა წევრებს, როგორიც არიან, მაგალითად, ინჟენრები და ხუროთ-მოძღვარნი (არხიტექტორი) მშენებელთა გილდიაში აქვთ თავიანთი ხარისხები; თავისუფალ ხელობათა წევრნი-კი: მეცნიერნი, მხატვრები, ლიტერატორები, მკურნალები, განთავისუფლებულნი სამრეწველო მუშაობისაგან, სამრეწველო ჯარს არ ეკუთვნიან. ამიტომ ისინი პრეზიდენტის არჩევაში მონაწილეობენ, მაგრამ თვით მათი არჩევა-კი ამ თანამდებობაზე შეუძლებელია; რადგან ამ თანამდებობის ერთ უპირატეს მოვალეობათაგანს შეადგენს სამრეწველო ჯარის წვრთნა-მარ-

თვა; პრეზიდენტმა, სანამ ის თანამდებობას მიიღებდეს, საჭიროა გამოვლოს სამრეწველო ჯარის ყველა ხარისხები, რომ რიგიანად ესმოდეს თავისი დანიშნულება.

— ეს ძალიან გონივრულია,—ვუთხარი მე,—მაგრამ თუ-კი მეცნიერებს არ ესმისთ მრეწველობის საქმე იმდენად, რომ პრეზიდენტად ივარგონ, ჩემი აზრით, ეს უკანასკნელიც არ იქნება იმდენად მცოდნე მკურნალობისა ან აღზრდის ნაწილში, რომ ამათი სიავ-კარგის გაჩხრეკა შეეძლოს.

ეს ასეც არის,—მიპასუხა მან.—პრეზიდენტს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მკურნალობისა და აღზრდის საქმესთან გარდა მისა, რომ ის სრული პასუხის მგებელია, რომ კანონები საზოგადოების ყველა წოდებისათვის სავალდებულო გახადოს. მკურნალები და აღმზრდელნი მათივე დეკანების კოლლეგიათა ზედამხედველობაში არიან, სადაც პრეზიდენტს მხოლოდ მუდმივი თავმჯდომარეობა აქვს გადამწყვეტის ხმით. ეს დეკანები, რასაკვირველია, პასუხის მგებელნი არიან კონგრესის წინაშე და ირჩევენ მათ სპატიო წევრებად იმ მასწავლებელთა ან მკურნალთა წრიდამ, რომელთაც დაუმსახურებიათ თავიანთი ვადა.

— იცით, რომ ეს კორპორაციის ყოფილ წევრთა მიერ კომიტეტის წევრთა არჩევის წესი იგივეა, რაც რამოდენიმედ ჩვენს მაღალს სასწავლებლებში იყო ხმარებაში?!—ვუთხარი მე.

— მართლა?—აღტაცებით წამოიძახა ლიტმა.—ეს ახალი ამბავია არა მარტო ჩემთვის, არამედ ვფიქრობ, ბევრი ჩვენგანისათვისაც და ახალი ამბავი მეტად საინტერესოც. ბევრი დავა იყო ამ აზრის შესახებ და გვეგონა ეს ერთი ახალი მაინც იყო ცის ქვეშეთ. მაშ ასე! თქვენს სასწავლებლებში; მართლაც რომ საინტერესოა. ეს უნდა დაწვრილებით მიამბოთ თქვენ.

— მასზე მეტს მე თქვენ ვერაფერს გაცნობებთ, რაც უკვე ვთქვი,—მივუგე პასუხად.—თუ-კი ჩვენში იყო ჩანასახი ამ თქვენი იდეისა, ის ისევ იმ ჩანასახადვე დარჩა.

თავი XVIII

საღამოს, როცა ქალები გავიდნენ, მე დავრჩი ჩემს მასპინძელთან კიდევ რამოდენიმე ხანს. მისმა ნაამბობმა იმის შესახებ, თუ რა მონაწილეობასაც იღებდნენ ქვეყნის მართვაში ამსახურიდამ გადამდგარნი მოქალაქენი, ასეთი საკითხი გამოიწვია: რა შედეგი უნდა მოჰყვეს ორმოცდა ხუთი წლის სამსახურიდამ გამორიცხვას.

— ორმოცდა ხუთის წლის კაცს,— შევნიშნე მე,— თამამად ეუძლია ათს წელიწადს კიდევ ფიზიკური შრომა და გონებრივი ხომ ოცს წელსაც. ამ ხანში გადაყენება და არხივში ჩაყრება მხნე ხასიათის კაცისათვის უფრო სიმკაცრეა, ვინემ ოწყალება.

— ძვირფასო ვესტ,— მხიარულად წამოიძახა ლიტმა,— ვერ ეპრმოიდგენთ, რამდენად საინტერესოა ჩვენთვის მეცხრამეტე საუკუნის იდეიები, რამდენად უცნაურად გვეჩვენება ჩვენ ისინი! იცოდეთ-კი, რომ შრომა, რომელსაც ჩვენ ვეწევით, როგორც ეკვირთს, რომ მოვუპოვოთ ერს გაუპირველი ფიზიკური არსებობა, არ შეიძლება ჩაითვალოს არც რაიმე საყურადღებოდ, არც ჩვენი ნიჭის ღირსეულ მოხმარად. ჩვენ მას ვუყურებთ ისე, როგორც აუცილებელს სავალდებულო რასმეს, რომლისაგანაც ავის დროზე უნდა გავთავისუფლდეთ, რომ მივაპყროთ მთელი ჩვენი უმაღლესი ძალ-ღონე გონებრივსა და სულიერს ეკმაყოფილებას და ლტოლვილებას, რაშიაც იხატება ნამდვილი ცხოვრება. ყველაფერი შესაძლებელი გაკეთებულია: იზრუნეს ეროს თანაბრად განაწილებაზე, მოიხმარეს ყოველივე საშუალება, რომ ჩვენი შრომა მიმზიდველი და გამამხნევებელი ეყოფილიყო, შეძლებისა-გვარად ჩამოეცალ:ათ მისთვის შემავიწროებელი ხასიათი.

აი ამას მივაღწიეთ ჩვენ; რადგან ამ ჟამად ზოგ შემთხვევებს გარდა, შრომა ჩვეულებრივ-კი არ ჰღლის კაცს, არამედ

ამხნევებს. მაგრამ ეს-შრომა-კი არ შეიცავს ჩვენი არსებობ-ს უ
თავრესს მიზანს, არამედ უმაღლესი და უფართოესი მოქმედ
ბა, რომელსაც შეგვიძლია მივეცეთ მხოლოდ ჩვენს ყოველ
დღიურ მოვალეობის შესრულების უკან. რასაკვ-ველია, ყვ
ლა-კი არა და არც უმეტესობა არ მისდევს ამ მეცნიერულს
სამხატვრო, სალიტერატურო ან განათლების მიზანს, რა
აფასებინებს მოსვენებას, როგორც ცხოვრების ნეტარებას. ბევრ
ნი ისე უყურებენ უკანასკნელი სიცოცხლის ნახევარს, როგორ
სხვა გვარად გართობის ხანას და ატარებენ მას მოგზაურობა
ში, ძველ მეგობრებთან და ნაცნობებთან მისვლა-მოსვლაში
ანდომებენ ამ დროს პირადად მათს მაინტერესებელს მეცად
ნეობას და გამოცანებს, ანა და განსაკუთრებით ყოველ გვ
ზომას ხმარობენ თავიანთი-თავის გასართობად — ერთის სიტყვით
ეს არის ხანა მშვიდობიანად და აუშფოთველად დატკბობის
ყველა იმ სიკეთით, რომლის შექმნაშიაც თითონ მონაწილ
იყვნენ. მაგრამ მიუხედავად განსხვავებისა ჩვენს პირად მიდრ
კილებათა შორის, რომელთა შესაფერადაც გვინდოდა გვესაუ
გებლებინა ჩვენი თავისუფლების დროთი, ყველა ვეთანხმები
ერთმანეთს მასში, რომ ვუყურებთ სამსახურიდამ განთავისუფ
ლებას ისე, როგორც ვადას, როდესაც პირველად გვეძლევ
შემთხვევა დავტკბეთ ჩვენის თანდაყოლილის უფლებით; რო
დესაც ჩვენ მართლაც რომ შევდივართ მოწიფულებაში, ვ
ძენთ სრულს დამოუკიდებლობას; თავისუფალი ვხდებით ყ
ველ-გვარ მეთვალ-ყურეობისაგან, და ვსარგებლობთ ამ დრო
თი, როგორც ჯილდოთი ჩვენი შრომისათვის. როგორც თქვენ
დროში მოელოდნენ ყმაწვილები მოუთმენლად მეოც და ერთ
წელს, ისე ჩვენ შევხარით მე-ორმოცდა ხუთე წელს. 21 წელ
ზე ჩვენ სიჭაბუკის ჰასაკში ვართ, ორმოცდა ხუთზე-კი იწყებ
ჩვენთვის მეორე ახალი ახალგაზდობა. მოწიფულობა და ი
რასაც თქვენ მხცოვანებას დაუძახებდით, ჩვენთვის სახარბი
ლო ცხოვრების ხანაა და თვით ჭაბუკობაზე უმჯობესიც-კ
ახლანდელი ცხოვრების უკეთესი პირობების წყალობით, ფ

უმთავრესად იმის მეოხებით, რომ ხალხი სრულებით თავისუ-
ფალია სალუკმა-პურო ზრუნვისაგან, მოხუცებულობა ბევრად
უფრო გვიან გვიდგება და უფრო ალერსიანი სახეცა აქვს, ვი-
	m ძველს დროში. საშუალი ტანის კაცები ახლა ჩვეულებრივ
ცოცხლობენ 85 ან 90 წლამდე, 45 წელს-კი ჩვენ, მეფ'ვფიქ-
ლობ, ფიზიკურად და ზნეობრივად უფრო ახალგაზდანი ვართ,
ვინემ თქვენ იყავით 35 წელს საოცრებაა ის, რომ იმ ხნო-
ვანებაში, როცა ჩვენ ახლად შევდივართ ცხოვრების უკეთესს
ასაკში, თქვენ უკვე მოხუცებულობა გეპარებოდათ და უკან
ვიიყურებოდით. თქვენთვის, შუადღემდის იყო დრო საუკეთე-
ო სიცოცხლ·ს ნახევრისა, ჩვენთვის-კი ნაშუადღევია ასეთი
დრო.

ამის შემდეგ, რამდენადაც მახსოვს, გადავედით სახალხო
მეტცევებსა და გართობებზე, და ვადარებდით თანამედროვე
ასართობებს მეცხრამეტე საუკუნის გასართობელ საგნებთან.

— ერთის მხრით—მითხრა ლიტმა,—მეტად დიდი განსხვა-
ებაა: ჩვენში არაფერია თქვენი პროფესიონალური სპორტსმე-
ების მსგავსი, ამ თქვენი დროის უცნაური ტიპებისა და ამას-
ან ჯილდოც ფულად·კი არ ეძლევათ ჩვენს ატლეტებს,
ოგორც თქვენს დროში. ამ გვარს ცილობებზე მხოლოდ სა-
ელისათვის ზრუნავენ. კეთილშობილური ჯიბრი სხვა-და-სხვა
ორპორაციათა წარმომადგენლებს შორის და უმაღლესი ერთ-
ულება თითეული მუშისაგან თავის გუნდისადმი—აი ესენი
ედგენენ მუდამ ჟამს წამაქეზებელ სახსარს ყოველ-გვარ თა-
ეშობა—მოცილეობაში წყალზე თუ ხმელეთზე, რომელ-
ია ახალგაზდა კაცებს არაფრით ჩამოურჩებიან ვადა-დამსა-
ურებულნი კორპორაციის წევრნი. იქითა კვირაში იახტების
ერთ-ბანიანი სასეირნო გემი) საგილდიო დოღი იქმნება და თქვენ
ითონ პირადად შეგიძლიათ გაეცნოთ ხალხის აღტაცებას,
ომელსაც მსგავსი შემთხვევა იწვევს ახლანდელს დროში და
ადაროთ ის მას, რაც ამ შემთხვევებში თქვენს დროს ხდე-
ოდა. რომაელების ღაღადი: „პური და თამაშაო“ ახლა ნამ-

დვილ გონივრულადაა ცნობილი. თუ პური პირველი საჭირო-ებაა ცხოვრებაში, გართობა-რიგით მეორეა,—და ერი ზრუნავს ეს ორივე საჭიროება დაიკმაყოფილოს. მეცხრამეტე საუკუნის ხალხი ისეთი უბედური იყო, რომ არც ერთი ამათგანი არ მოეპოვებოდა. მათ რომ კიდევაც ჰქონოდათ მეტი თავისუფალი დრო, მე ვფიქრობ, მაინც ვერ მოახერხებდნენ მის სასიამოვნოდ გატარებას. ჩვენი მდგომარეობა არასოდეს არ არის ასეთი.

თავი XIX

დილის სეირნობაში ვანახულე ჩარლსტოუნი. სხვა მრავალ ცვლილებათა შორის, რის დაწვრილებით აწერაც გასაჭირია, ვეღარსად ვნახე ამ უბანში ძველი ქალაქის სატუსაღო.

— ეს ჩემს მახსოვრობაში არ მომხდარა, მაგრამ გამიგონია-კი მასზე,—მითხრა ლიტმა, როცა ამის შესახებ ლაპარაკი ჩამოვუგდე სუფრაზე.—ახლა ჩვენ სატუსაღოები არა გვაქვს. ყოველ გვარ ატავიზმის შემთხვევებს საავადმყოფოებში წამლობენ.

— ატავიზმის!—გაშტერებით წამოვიძახე მე.

— დიახ, რასაკვირველია;—შემნიშნა მან.—ამ უბედურთა დასჯა-წვალება განდევნეს ჯერ კიდევ ორმოცდა ათის წლის წინად, ანუ ვგონებ, უფრო ადრეც.

— მე თქვენ ვერ მიგიხვდით კარგად;—შევნიშნე მას.—ატავიზმი ჩემს დროში ისეთი მნიშვნელობის სიტყვა იყო, რომელიც იმ კაცს ეხებოდა, ვისშიაც შესამჩნევად იხატებოდა მისი შორეული წინაპრის რაიმე მსგავსება. თქვენ გინდათ თქვათ, რომ ახლანდელ დროში დანაშაულობას ისე უცქერიან, როგორც ჩამომავლობითი ქცევის განმეორებას?

— უკაცრავად,—მითხრა მან ნახევრად დამცინავის და ნა-

ბევრად თავ-გასამართლებელის ღიმილით,—მაგრამ, რადგან თქვენ პირ-და-პირ მეკითხებით, მეც უნდა გულ-ახდით გიპასუხოთ, რომ ეს მართლაც ასეა.

მას უკან, რაც მე გავიგე მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეთა შორის ზნეობრივს განსხვავებაზე, ცხადია, ჩემის მხრით უადგილო იქმნებოდა აღელვება დამტყობოდა ამის შესახებ; ეჭვი არ არის, უფ. ლიტს რომ ეს მოგზიდშებით არ ეთქვა და მის მეუღლესა და ქალს შეკრთომა არ შემჩნეოდათ, არ გავწითლდებოდი, როგორც ახლა დამემართა.

— თუმცა წინაზეც არ მქონია საქები აზრი ჩემის დროის ჩამომავლობაზე, მაგრამ მაინც...

— ახლანდელი ჩამომავლობა იგივე თქვენი ჩამომავლობაა, უფ. ვესტ;—მითხრა იუდიფმა.—ამ ჩამომავლობას, რომელშიაც თქვენ ცხოვრობთ ახლა და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენც ამ ქამად ვცხოვრობთ, ვეძახით მას ჩვენსას.

— გმადლობთ, ვეცდები ის ჩემადაც მივიჩნიო.—მივუგე მე—და იმ დროს, როცა ჩვენი თვალები შეხვდნენ ერთმანეთს, ჩემი ბრიყვული აღელვება გაჰქრა.—ყოველ შემთხვევაში—სიცილით განვაგრძე,—მე კალვინისტად გავიზარდე და არ უნდა შემშინებოდა, როცა დანაშაულობას ისე ახსენებენ, როგორც წინაპართა საქციელის განმეორებას.

— სწორე გითხრათ,—დაიწყო ლიტმა,—ეს სიტყვა ჩვენს ხმარებაში კიდევ არ ნიშნავს თქვენი ჩამომავლობის გაკიცხვას, თუ იუდიფის ნება-დართვით, მას თქვენსას დაუძახებ; ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვითომ თქვენზე უკეთესად მიგვაჩნდეს თავი ცხოვრების პირთა გაუმჯობესობის დამოუკიდებლად. თქვენს დროში, უეჭველად, ცხრამეტი მეოცედი ბოროტ-მოქმედება, ამ სიტყვის უძლიერესი მნიშვნელობით, ქონების კერძო პირთა შორის უსწორ-მასწოროდ განაწილებისაგან წარმოდგებოდა. ღარიბებს აიძულებდა საჭიროება. სიხარბე, გამდიდრების წყურვილი ან იმის შენახვის სურვილი, რაც უკვე ჰქონდათ, აცდუნებდნენ კმაყოფილ კაცებს. ბოროტ-მოქმედების თა-

ვი საბაბი პირდაპირ ან გაკვრით იყო ფული, რაშიაც ი
დროს იხატებოდა ყველაფერი, რაც-კი რამ კარგია; ის იყო
ვეებერთელა გესლიანი ხის უმთავრესი ფესვი, რომელსაც ვერ
კანონები, ვერც სამსაჯულოები, ვერც პოლიცია ვერას შვე
ლოდნენ, რომ არ დაეხშო თქვენი განათლება. მაგრამ როცა
კი ჩვენ ერი გავხადეთ ხალხის სიმდიდრეზე ერთად-ერთ მზრუნ
ველად და მით ყველას კმაყოფილება დავუმკვიდრეთ,—მოვს
პეთ რა ერთის მხრით სიღარიბე და მეორეს მხრით შევაყენეთ
სიმდიდრის შეგროვება,—ჩვენ ამით მოვუპერით ძირი იმ გეს
ლიან ხეს და ის დაჭკნა იმავე დღეს იონას ლეღვის ხის მსგავ
სად. რაიცა შეეხება პირადობის დამამცირებელ სასტიკ ბო
როტ-მოქმედებათა მცირე ნაწილს, რომელსაც არავითარი
კავშირი არა აქვს ანგარებასთან, თქვენს დროშიაც მეტ ნა
წილად უმეცრებისა და სიმხეცისაგან წარმოდგებოდა. ახლა,
როცა სწავლა-განათლება და აღზრდა თითო-ოროლა პირების
უფლებას-კი არ შეადგენს, არამედ საზოგადო საკუთრებას, ამ
გვარს სიმხეცეს ადგილი არა აქვს. თქვენ ახლა მიმიხვდით, რა
ტომ იხმარება ჩვენში სიტყვა ატავიზმი ბოროტ-მოქმედების
ნაცვლად. ეს იმიტომ, რომ ყოველგვარ თქვენგან ცნობილ ბო
როტებას ახლა არავითარი საბაბი არა აქვს, და თუ კიდევ მაინც
მეორდება ეს მხოლოდ მითი აიხსნება, რომ ამ გვარს შემთხვე
ვაში წინაპართა ხასიათების რაიმე თვისებანი იჩენენ თავს. ამ
კაცს, რომელსაც არაფერი გონივრული საბაბი არ მიუძღოდა
ქურდობაში, თქვენ კლეპტომანიაკს ეძახოდით და, რა-კი ეს
აიხსნებოდა, სიბრიყვედ მიგაჩნდათ მისი ქურდის მსგავსად დას
ჯა. თქვენ ეპყრობოდით გამოაშკარავებულს კლეპტომანიაკს
სწორედ ისე, როგორც ახლა ვეპყრობით ჩვენ ატავიზმის სხვერ
პლს—სიბრალულით,—და ამ უბედურთა გასასწორებლად ხელმ
ძღვანელობდით გულ-მტკივნეულობით.

— თქვენი მსაჯულები ალბათ მოსვენებაში არიან,—
შევნიშნე მე.—არც კერძო საკუთრება, არც დავა ვაჭრული ან
გარიშებისა გამო მოქალეთა შორის, არც უძრავ-ქონებათა გა

ყოფა, არც ვალების გადახდევინება—ერთის სიტყვით, არაფერი სამოქალაქო საქმე არ არსებობს; რადგან საკუთრების წინააღმდეგ ბოროტება არ არის და ძლიერ მცირეა სისხლის სამართლის საქმეები. მე ვფიქრობ, თქვენ უმსაჯულოდ და უვექილოთ შეგიძლიათ იცხოვროთ.

— რასაკვირველია, უადვოკატოდ გამოვდივართ,—მომიგო ჩემმა მოსაუბრემ.—ეს სისულელე იქმნებოდა, რომ ამ საქმეში, საცა ერის პირდაპირ ინტერესს შეადგენს სიმართლის აღმოჩენა, ისეთი პირები ეჩრებოდნენ ხოლმე, რომელთ პირდაპირი ინტერესია დაჰფაროს ის.

— ვინ-ღა იცავს ბრალდებულებს?

— თუ ის დამნაშავეა, არ საჭიროებს დაცვას, რადგან უმეტესს შემთხვევაში თითონ აღვიარებს თავის დანაშაულობას. ბრალდებულის ჩვენება—უბრალო ფორმალობა არ არის, როგორც თქვენს დროში იყო, იმაზე მყარდება სამსაჯულოს განაჩენი.

— ამითი ხომ ის არ გინდათ სთქვათ, რომ ვინც თავს დამნაშავედ არ იცნობს, იმას იმ წამსვე ამართლებენ?

— არა, მე ეს არ მქონია აზრად. არვინ არ ისჯება მარტო ეჭვის მიტანით, და თუ ის დანაშაულობას უარსა ჰყოფს, საქმე უფრო ღრმად უნდა გამოიძიონ. მაგრამ ეს იშვიათად მოხდება, ხშირად დამნაშავე სრულებით ტყდება დანაშაულობაში. თუ მან ჩვენებაში სიცრუე ილაპარაკა და შემდეგ დამნაშავე აღმოჩდა, ორ წილ სასჯელში ვარდება. სიცრუე ჩვენში ისეთ საზიზღროებად ითვლება, რომ დამნაშავეც-კი იშვიათად ბედავს მის თქმას თავის დასახსნელად.

— ეს ყველა თქვენს ნაამბობზე უმეტესი საოცრებაა!—შევძახე მე.

— ზოგი მართლაც ასე ფიქრობს,—მიპასუხა მან.—მათ სწამთ, რომ ჩვენ ათასის წლით წინ წავედით და ეს მოსაზრება მათი შეხედულობით არც-კია ჭეშმარიტებას მოკლებული. ხოლო რაც შეეხება თქვენს გაოცებას მასზე, რომ ქვეყანამ თა-

ვი იხსნა სიცრუედამ, სწორე გითხრა, ეს უსაფუძვლოა. სიცრუე თქვენს დროშიაც უნიადაგო იყო რიგიანს კაცებში, რომლებიც-კი თანასწორის უფლებით სარგებლობდნენ საზოგადოებაში. შიშისაგან წამომდგარი სიცრუე ლაჩრების თავ-შესაფარი იყო; სიცრუე შეცდუნების აზრით ავაზაკობის სახსარი იყო. ხალხის უთანასწორობა და გამდიდრების სიხარბე სიცრუეს ფასს სდებდნენ. მაგრამ სიცრუე მაშინაც-კი ეზიზღებოდათ თუ კაცს შიში ან სხვის მოტყუების სურვილი არ აიძულებდა. ჩვენში, როგორც უკვე გითხარით, საზიზღროებად ითვლება ტყუილი, დამნაშავეც-კი იშვიათად მიმართავს ასეთ საღსარს. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის დანაშაულობაში ექვობენ, მსაჯული ნიშნავს ორს კოლლეგას, რომ მათ საქმის ერთმანეთის წინააღმდეგი მუხლები განმარტონ. თუ რამდენად არ გვანან ეს კაცები თქვენს დაქირავებულ ადვოკატებსა და ბრალმდებლებს, რომლებიც იმისათვის ინიშნებოდნენ, რომ გაემართლებიათ ან გაემტყუნებიათ, იქიდამ სჩანს, რომ, თუ ორივე მხარე ვერ შეთანხმდა დადგენილი განაჩენის სისწორეში, საქმეს ხელ-ახლა იკვლევენ, და მთელი ამ ხნის განმავლობაში, რომელიმე საქმის განმამარტებელი მსაჯულის კილოს მცირეოდე შეცვლაც-კი მართლ-მსაჯულების თავისაკენ გადასახრელად, საკმაოა საზარელი უსიამოვნება ასტეხოს.

— თუ არ ვცდები,—ვუთხარი მე,—თქვენში ორივ მხარეზე საქმის განმამარტებელი მსაჯულებია და მომსმენელნიც იგინივე არიან.

— რასაკვირველია მსაჯულებია რიგ-რიგად საქმის გადაწყვეტელნიც და განმამარტებელნიც, მაგრამ მათგან ითხოვენ მუდამ დროს პირუთვნელ მიუდგომლობას, როგორც საქმის განმარტებაში, აგრეგე გადაწყვეტაშიაც. ეს წესი ნამდვილად არსებობს სამოსამართლო გარჩევაზე სამი მსაჯულის ხელში, რომლებიც სხა-და-სხვა შეხედულობისანი არიან საქმეზე. როცა ესენი ერთმანეთში შეთანხმდებიან, განაჩენი იმდენად ხელ-

შეუვალ სიმართლედ მიგვაჩნია, რამდენადაც-კი ეს შესაძლებელია ადამიანისაგან.

— მაშ თქვენ უარი ჰყავით ნაფიც მსაჯულებს?

— ნაფიცთა სამსაჯულო საჭირო იყო როგორც მოპირდაპირე საშუალება ამ დაქირავებულ ადვოკატთა და მსაჯულთა დაშხამულ ძალის წინააღმდეგ, რომლებიც ხშირად ქრთამის გავლენაში ან რომელსამე დამოკიდებულ მდგომარეობაში იყვნენ; მაგრამ ახლა ის საჭირო არაა. ჩვენთვის წარმოუდგენელია, რომ მსაჯულმა მართლ-მსაჯულების გარდა სხვა რითიმე იხელმძღვანელოს.

— როგორ-ღა ირჩევენ ამ მსაჯულებს?

— მათი ამორჩევა საპატიო გამონაკლს შეადგენს იმ წესდებიდამ, რომლის ძალითაც ყველა ორმოცდა ხუთის წლისანი თავისუფალნი არიან სამსახურისაგან. საერო პრეზიდენტი ყოველ წელიწადს ნიშნავს საჭირო მსაჯულებს იმათგან, ვინც ამ წლოვანებას მიაღწია. დანიშნულთა რიცხვი სულ მცირეა, მაგრამ ისეთი დიდი პატივი მიჰყვება თან ამას, რომ არაფრად აგდებენ სამსახურის ვადის გაგრძობას; თუმცა მსაჯულობაზე შეიძლება უარის თქმა, მაგრამ ეს იშვიათად მოხდება. სამსახურის ვადა ხუთი წელიწადია და მის გასულს მეორედ იმავე პირის არჩევა ამ ალაგზე არ შეიძლება. წევრებად „უმაღლეს სამსაჯულოისა“, რომელიც მოვალეა კონსტიტუცია დაიცვას, ნიშვნენ უბრალო მსაჯულებს. როცა ამ სამსაჯულოში ცალიერი ალაგია, მაშინ იმ მსაჯულთათვის, რომელნიც ვადას ასრულებენ, ერთი-ღა განაჩენია შესადგენი — აირჩიონ ამ ალაგზე ერთი ჯერ კიდევ სამსახურში მყოფი ამხანაგთაგანი და აირჩიონ ისეთი, რომელსაც ვარგისად რაცხვენ ამ თანამდებობაზე.

— რადგან თქვენ არავითარი იურიდიული დაწესებულება არა გაქვთ, სადაც ყველას შეეძლოს გამოვლოს იურიდიულს ნაწილზე მომზადება; — შევიშნე მე, — მსაჯულებმა მხოლოდ მას უკან უნდა დაიჭირონ თავიანთი თანამდებობა, როცა იურიდიულს მეცნიერებას შეისწავლიან საკანონმდებლო სასწავლებელში.

— ჩვენ არაფერი არა გვაქვს მსგავსი საკანონმდებლო სა
წავლებლისა;—ღიმილით მომიგო მან.—კანონ-მდებლობა, რო
გორც სპეციალური მეცნიერება, გახუნდა. ეს იყო მხოლო
კაზუისტიკური სისტემა ძველი საზოგადოების წეს-წყობი
ლებისაგან შემუშავებული ოინების გამოსარკვევად; თანამედ
როვე წეს-წყობილებაში-კი ჩვეულებრივი და სულ უბრალო
უფლებითი (правовыя) დებულებანია საკმაო. ყველაფერი, რა
ერთის მეორესთან დამოკიდებულებას ეხება, ახლა ბევრად უმარ
ტივესია, ვინემ თქვენს დროში. ჩვენ საქმე არა გვაქვს თქვენ
ტარტარა იურისტებთან, რომლებიც თავმჯდომარეობდნენ ფ
ჭკუას ებრძოდნენ თქვენს სასამართლოებში. არ იფიქროთ, რო
ჩვენ არავითარი პატივის ცემა არ გვქონდეს ამ ძველად შეს
ნიშნავი პირების, რა-კი საქმე აღარა გვაქვს მათთვის. პირიქი
ჩვენ პირუთვნელს პატივის ცემასა და თითქმის თავაზიანს ში
ვგრძნობთ მათდამი, რომელნიც მარტო-ღა იყვნენ შემძლებ
ლნი შეეგნოთ და გაერკვიათ ეს უთავ-ბოლოდ დაკვანძულ
დახლართული საკითხები საკუთრებათა უფლებაზე და ეს ხელ
შეკრულობის ბარათნი სავაჭრო და საპირადო საქმეთა, რანი
შეადგენდნენ თქვენი ეკონომიურის წეს-წყობილების ხელ-შეკ
ხებელ საკუთრებას. ამ სისტემის დახვანჯულობა—ხელოვნ
რობისა ყველაზე უფრო ნათლად და ძლიერად დამამტკიცებ
ლი ის ფაქტია, რომ თქვენს დროში საჭიროებად ითვლები
და თითეული თაობის უკეთეს განათლებულ პირთა ჩამოში
რება ყოველ გვარ საქმისაგან, რომ შეედგინათ მათგან მსწავ
ლულთა წრე, რომელიც ძლივს, მაგრამ სხვებზე უკეთ მაინ
ახერხებდა აეხსნა სჯულ-მდებლობის მოქმედება მათთვის, ვი
ბედიც ამ სჯულ-მდებლობაზე ეკიდა. თქვენი სახელოვანი ი
რისტების ტრაქტატები ჩვენს წიგნთ-საცავებში სხოლასტიკი
თხზულებებთან ერთად ინახებიან, იმ გასაოცარ მახვილ-გონე
რების სახსოვრად, რომელიც იხარჯებოდა ისეთს საგნებზე, რა
სრულებით არ ეკარება ჩვენი თანამედროვე ხალხის ინტერ

ებს. ჩვენი მსაჯულები უბრალო ხანში შესული პირებია, ცოდ-
ით მდიდარნი, სამართლიანნი და გონიერნი.

ვერ დავივიწყებ აგრეთვე ჩვენი ჩვეულებრივი სამსაჯუ-
ლოების ერთს საყურადღებო მოქმედების საგანს;—დაუმატა
ხან.—ამას შეიცავს ყველა იმ საქმეებზე განაჩენის დადგენა, რო-
კა უბრალო მუშა უჩივის თავის ზედამხედველის ცუდად—მოპ-
ყრობას. ყველა ამ ნაირ საჩივრებს სწყვეტს ერთი მსაჯული
საქმის გადაუტანელად. სამივე მსაჯულები მხოლოდ უფრო
საყურადღებო საქმეებში იღებენ მონაწილეობას.

— თქვენს წეს-წყობილებაში ასეთი სამსაჯულო იქმნება
იმიტომაა საჭირო, რომ მუშას, რომელსაც უსინდისოდ ეპყრო-
ბიან, არ შეუძლია ალაგის მიტოვება, როგორც ჩვენს დრო-
ში იყო?

— რატომ არა?—შემესიტყვა ლიტი.—არა თუ თითეულს შეუ-
ძლია დარწმუნებული იყოს, რომ მას მოუსმენენ და დაიკმაყო-
ფილებენ, თუ მართლა შეიწროებულია, არამედ შეუძლია სხვა
ადგილზედაც გადვიდეს, თუ უფროსთან ცუდს დამოკიდებულე-
ბაშია. თქვენს წეს-წყობილებაში, რასაკვირველია, შეეძლო კაცს
სამუშაოს მიტოვება, თუ არ მოსწონდა, მაგრამ ამავე დროს
ის თავის რჩენის სახსარსაც აკლდებოდა. უსიამოვნებაში ჩაჯ-
რილს ჩვენს მუშას-კი არსაიდამ არ მოელის შიში ცხოვრებაში.
ჩვენი სამრეწველო წესი, იმ აზრით რომ კარგი ნაყოფის გა-
ჩომლები იქნას, სასტიკს წესიერებას თხოულობს მშრომელ
ჯარში; მაგრამ ამასთან სამართლიანად და წესიერად მოპყრო-
ბაზე მთელი ერის საზოგადო აზრია მუშის უფლების დამცველი.
აფიცერი განაგებს, ჯარის კაცი ემორჩილება; მაგრამ არც
ერთი აფიცერი არა სდგას ისე მაღლა, რომ სასტიკობა გაბე-
დოს თუნდ თვით უმდაბლეს კლასის მუშასთან. ყველა დანა-
შაულობაზე უფრო სწრაფად ისჯება რომელიმე მოსამსახურის
ხალხთან ბრიყვული ან უზრდელი ქცევა. ჩვენი მსაჯულები ყო-
ველ გვარს დამოკიდებულებაში ითხოვენ, სამართლიანობას გარ-
და, ზდილობას. რაც უნდა შესამჩნევს ნიკს იჩენდეს კაცი სამ-

სახურში, სახეში არ მიიღება ეს მისი უპირატესობა, თუ სხვებ-
თან დამნაშავეა ბრიყვულსა და დამამდაბლებელს ქცევაში.

უფ. ლიტის ლაპარაკის დროს გამიელვა აზრში, რომ
მთელს ჩვენს საუბარში ბევრი რამ ითქვა ერზე და არაფერი
თქმულა შტატების გამგეობაზე.

— განა სახელმწიფოს გაერთიანებამ (ორგანიზაცია) ერთ
სამრეწველო ერთეულად გააუქმა ცალკე შტატები?—ვკითხე მე.

— რასაკვირველია, გააუქმა; — მიპასუხა მან.—ცალკე გამგე-
ობა ხელს შეუშლიდა თვალ-ყურის დევნებასა და წესიერებას
სამრეწველო ჯარისას, რომელიც საჭიროებს შეთანხმებულსა
და ერთ გვარს ორგანიზაციას. თუნდა რომ ცალკე შტატების
მმართველობა სხვა რამე მიზეზების გამო მოსახერხებელი ყო-
ფილიყო, ასეთს გასაოცებელს მარტივს მართვა-გამგეობაში,
როგორიც ახლაა, ის მეტი იქმნებოდა. საქვეყნო წარმოების მი-
მართულება თითქმის ერთად-ერთ მიზანს შეადგენს ახლანდელ
დროში ადმინისტრაციისათვის. ბევრი მათგანი, რაც წინად სუ-
ფევდა ადმინისტრაციაში, გაუქმებულია სრულიად. ჩვენ არა
გვყავს არც ჯარი, არც საომარი ხომალდები, და არც სამხედ-
რო წყობილება გვაქვს. ჩვენში არ არის არც გარეშე საქმეთა
სამინისტრო, არც სახაზინო დაწესებულება, არც აქციზი, არც
სახელმწიფო ხარკი და არც მისი მომკრები პირები. მართვე-
ლობის ერთად-ერთი ფუნქცია, რომელსაც თქვენც იცნობთ და
რომელმაც დღემდისაც მოატანა, არის სამსაჯულო და საპო-
ლიციო გამგეობა. ის უკვე აგიხსენით, თუ რამდენად მარტ-
ვია ჩვენი სამსაჯულო წესები თქვენს ვაება და რთულს წესებ-
თან შედარებით. ცხადია, რა-კი ბოროტ-მოქმედება და მის-
დამი წამაქეზებელი მიზეზი მოისპო, რაც აადვილებს მსაჯუ-
ლების მოვალეობას, პოლიციასაც მეტად უმცირებს შრომას.

— კი მაგრამ, თუ საკანონ-მდებლო დაწესებულებანი არა
გაქვთ ცალკე შტატებში და კონგრესი მხოლოდ ხუთს წელ-
წადში ერთხელ სდგება, როგორ-ღა სცემთ კანონებს?

— ჩვენ არა გვაქვს კანონ-მდებლობა, ე. ი. თითქმის არა

გვაქვს. კონგრესზედაც-კი იშვიათად ირჩევა რომელიმე მნიშვნელოვანი ახალი კანონი, და ყველა შემთხვევაში, მის დასამტკიცებლად მეორე კონგრესს უნდა მოუცადონ, რომ სიჩქარით საქმე არ წაახდინონ. თუ ცოტას დაუფიქრდებით, უფ. ვესტ, თქვენვე მიხვდებით, რომ ჩვენ არაფერი არა გვაქვს ისეთი, რისთვისაც კანონები გამოიცეს. ძირითად პრინციპებმა, რომლებზეც მყარდება ჩვენი საზოგადოება, ერთხელ და სამუდამოდ მოსპეს ჩვენში ყოველ გვარი დავა და უკმაყოფილება, რისთვისაც თქვენს დროში კანონ-მდებლობა იყო საჭირო. ასში ოთხმოცდა ცხრამეტი თქვენი დროის კანონები მთელად კერძო კუთვნილებათა განსაზღვრა-დაცვას და მყიდველთა და გამყიდველთა შორის დამოკიდებულებას ეხებოდა. ახლა-არ არის არც კერძო კუთვნილება, გარდა რამოდენიმე პირად სახმარ ნივთთა, არც ყიდვა-გაყიდვა; ამის გამო საბაბიც მოისპო, რისთვისაც წინაზე კანონები იცემოდნენ. ძველად საზოგადოება ემსგავსებოდა მაღლობზე წამომდგარს პირამიდას. კაცობრიული ბუნების მცირეოდე რყევა განუწყვეტლივ პირქვე დამხობას ემუქრებოდა მას, და შესაძლებელი იყო მისი სწორად, ანუ უკეთ — მომიტევეთ სიტყვების სუბუქი თამაში — მრუდედ გაჩერება მხოლოდ მაშინ, თუ გონივრული სისტემის ბოძებითა და ბურჯებით გაამაგრებდნენ კანონის სახით, რომელთაც დრო გამოშვებით გამოცვლა და შევსება ესაჭიროებოდათ. ცენტრალური კონგრესი და შტატთა ორმოცი საკანონმდებლონი, რომელთაც წლის განმავლობაში ოცი ათასი კანონების შემუშავება შეეძლოთ, ვერ ასწრებდნენ ახალ ბოძის მიცემას ისე სწრაფად, რომ ის დროიანად შეცვლოდა იმ ბოძებს, რომლებიც უკვე დაიმსხვრნენ ან საჭირო არ იყვნენ დამწოლი ძალის ცვლილებისა გამო. ახლა საზოგადოება მაგრად დგას თავის საფუძველზე და ის არ საჭიროებს ხელოვნურს ბოძებს, როგორც ას წლოვანი მთები.

— კარგი, მაგრამ ცენტრალური სამმართველოს გარდა, საქალაქო გამგეობანი ხომ მაინცა გაქვთ?

— რასაკვირველია, და იმათაც აქვთ დიდი და რთული გამოცანები; ისინი იღვწიან მკვიდრთა კეთილ-დღეობისა და გართობის მოთხოვნილებებზე, ქალაქებისა და სოფლების რიგზე მოწყობასა და გამშვენიერებაზე და სხვა.

— რა შეუძლიათ მათ, როცა არც მოქალაქეთა შრომის მოხმარების უფლება აქვთ და არც სახსარი მუშათა ჯარის საქირავებელად?

— თითეულს ქალაქს უფლება აქვს დაიტოვოს საზოგადო სამუშაოებისათვის შრომის გადაჭრილი კერძი, რომელსაც უნაწილებენ ერს მისნი მოქალაქენი. ეს შრომა, რომლის სახმარადაც ნდობა ეხსნებათ, შეუძლიათ სურვილისამებრ გამოიყენონ.

თავი XX

იმავე დღეს, ნაშუადღევს, იუდიფი მეკითხება სხვათა შორის, რომ ვიყავი თუ არა მე მას უკან ჩემს მიწურს ოთახში, სადაც პირველად ვნახეს.

— არა ჯერ.—მივუგე მე;—გამოგიტყდებით, რომ იქ შესვლა მაშინებდა, რომ არ გამოეწვია ჩემში ძველი მოგონებანი და არ შეერყია ჩემი სულის მშვიდობა.

— მართალია, — მითხრა მან;—კარგი გიქნიათ, რომ არ შესულხართ. ან მე როგორ არ მომივიდა ეს თავში?

— პირ იქით,—ვუპასუხე მე,—მოხარული ვარ, რომ მომაგონეთ. განსაცდელი თუ ოდესმე იყო, ეს მარტო პირველ ორ დღეს. მას უკან უკვე გითხარით, რომ შევეჩვიე ამ ახალს ქვეყანას; ასე რომ, სიამოვნებით წავალ იქ, თუ თქვენ მიწინამძღვრებთ.

იუდიფი უცებ არ დამეთანხმა; მაგრამ რა-კი დარწმუნდა ალარ ვხუმრობდი, გადასწყვიტა გამომყოლოდა.

ხეებს შორის მოჩანდა ამოყრილი მიწის გროვა. წავდგით

რამდენიმე ნაბიჯი და გავჩნდით მასთან. ყოველივე იმავე სახით იყო, როგორც მაშინ, როცა ამ ოთახის პატრონი აღმოაჩინეს და მუშამბა შესწყვიტეს. მარტო კარი იყო ღია და სახურავიდამ ამოღებული ფიქალი ქვაც თავისავე ადგილზე ჩაედოთ. ჩავეშვით ძირს და კარებში შესვლისათანავე მქრალად განათებულს ოთახში გავჩნდით.

ყველაფერი იმ რიგად იყო, როგორც უკანასკნელად ვნახე, ას ცამეტი წლის წინად, როცა საგათას ძალით დავიძინე აქ. რამდენიმე ხანს ხმა-ამოუღებლად ვიდექი და ვათვალიერებდი ირგვლივ. მე შევამჩნიე, რომ ჩემმა თანამგზავრმა მალულად შემომხედა შიშის გამომეტყველებით და სიბრალულის ცნობისმოყვარეობით. მე მას გავუწოდე ხელები და მანაც მომაწოდა თავისი. მისი ნაზი თითები დამამშვიდებლად მოქმედებდნენ ჩემზე. ბოლოს ჩუმად ამოილაპარაკა.

— უმჯობესი არ არის, რომ წავიდეთ აქედამ? თქვენ ხომ დიდად არა გაქვთ თქვენი თავის იმედი. ეს თქვენთვის საოცრება რამ არის ალბათ.

— პირ იქით,—შევნიშნე მე,—მეც ის მაოცებს, რომ ჩემს მდგომარეობაში ეს საოცრებად არ მეჩვენება.

— ნამდვილად-კი ყველაფერი გაოცებსთ.—გაიმეორა მან.

— სრულიადაც არა;—მივუგე მე.—ის სულის მღელვარება, რომელსაც თქვენ მოელოდით ალბათ ჩემგან და რომელიც მეც აუცილებელი მეგონა, ამის ნახვაზე აღარსადა სჩანს. მე ვღებულობ ყველა შთაბეჭდილებებს, რომელთაც-კი იწვევენ ჩემს გარშემო მდებარე საგნები; მაგრამ მღელვარებისაგან თავისუფალი ვარ. ეს მე თქვენზე მეტად მაკვირვებს, იმ საზარელი დილის შემდეგ, როცა თქვენ დამიხსენით; ვცდილობდი არ მეფიქრა ჩემს წინანდელ ცხოვრებაზე და აქ შემოსვლასაც აღელვების შიშის გამო ვერიდებოდი. ყველა ამ გვარ შთაბეჭდილებების შესახებ მე იმ კაცის მდგომარეობაში ვარ, რომელიც ერიდება არ შეეხოს თავის სხეულის დაზიანებულს ასოს იმის შიშით, რომ ძლიერი ტკივილი არ აიტეხოს

და რომელიც მოისურვებს რა მის განძრევას, ამჩნევს, რომ ის გაშეშებულია და დაჰკარგვია გრძნობიერება.

— ამითი ის გინდათ თქვათ, რომ მეხსიერებამ გიღალატათ?

— არა. მე მახსოვს ყველაფერი ჩემს წინანდელ ცხოვრებიდამ. მაგრამ უსიამოვნო გრძნობებისაგან-კი თავისუფალი გავხდი. ყველაფერი ისე ნათლად მიდგია თვალ-წინ, თითქო მას უკან ერთ დღესაც არ გაევლოს, მაგრამ ამ მოგონებებით აღძრული გრძნობები-კი ისე მიმკრთალულა, რომ მას უკან მართლაც გავლილს ას წელს ჩემს შეგნებაშიაც გაევლოს. შეიძლება ეს სულ უბრალოდ აიხსნას. გარემოცულობათა ცვლილებანი ისევე მოქმედებენ, როგორც გრძელი დროს განმავლობა. ერთიცა და მეორეც გვიჩვენებს წარსულს შორიდამ. როცა მე ისიც იყო გამოვიღვიძე საგათას ძილისაგან, ჩემი წინანდელი ცხოვრება გუშინდელ ამბავად მეჩვენებოდა; მაგრამ ახლა, როცა ყველა ახალი გარემოცულობა გავიცანი და შევითვისე ამ ქვეყნის გადამხალისებელი გასაშტერებელი ცვლიბებები, ჩემთვის ძნელი აღარაა და უფროც მეადვილება წარმოვიდგინო ჩემი ასის წლის ძილი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვინმემ ოთხს დღეში იცოცხლოს მთელი საუკუნე? მე კი სწორედ ასე მგონია და ამიტომაც არის, რომ ჩემი წარსული ცხოვრება ასე დაშორებულად და ბუნდად მეჩვენება. შეილება ეს ასე იქმნას?

— დიაღ, შემიძლია წარმოვიდგინო ეს;—დაფიქრებით მიპასუხა იუდიფმა,—და მგონია, ყველა ჩვენგანისათვის სასურველია ეს ასეც იქმნას, რადგან ამით თქვენ ბევრი ტანჯვისაგან იხსნით თავს.

— წარმოიდგინეთ,—ვუთხარი მე, ვცდილობდი რა ამეხსნა ჩემი უცნაური სულის მდგომარეობა როგორც მისთვის, ისე ჩემთვისაც,—რომ ვინმემ ბევრის, ბევრის წლის, თუნდა ნახევარი სიცოცხლის უკან გაიგო თავისი სამწუხარო დანაკარგი. მე მგონი, მისი გრძნობა ჩემი გრძნობის მსგავსი უნდა იქმნას. როცა ამ დროში ჩემთან დაახლოვებულ პირებს მოვიგო-

ნებ და მათს მწუხარებას წარმოვიდგენ, რომელსაც ისინი ჩემი მიზეზით გამოცდიდნენ.

— თქვენ ჯერ არაფერი გითქვამთ ჩვენთვის თქვენს მახლობლებზე,—მითხრა იუდიფმა.—ბევრნი გიგლოვდნენ?

— მადლობა ღმერთს, რომ ძლიერ ცოტა მყავდა ნათესაკები და არც არავინ ბიძაშვილებზე უმახლობელესი,—მივუგე მე.—მაგრამ იყო ერთი, ყველა სისხლითი ნათესავზე უფრო მახლობელი ჩემთვის. ის თქვენს სახელს ატარებდა. იმ დროში ის მალე ჩემი ცოლი უნდა გამხდარიყო. ღმერთო ჩემო!

— ღმერთო ჩემო!—გაიმეორა იუდიფმა.

— წარმოიდგინეთ, რა მწუხარებას გამოივლიდა საბრალო!

ამ საყვარელ ახალგაზდა ქალის ღრმა გრძნობამ ხმა მისცა ჩემს გაყინულ გულს.

ამდენი ხნის მშრალი თვალები, რომელთაც თითქო დაჰკარგოდათ სისველის თვისება, ამიცრემლიანდნენ და, როცა თავი შევიკავე, დავინახე იუდიფსაც გზა მიეცა ცრემლებისათვის.

— ღმერთი იყოს თქვენი მფარველი ასეთი გულ-კეთილობისათვის,—დავლოცე მე.—ხომ არ გსურთ მისი სურათის ნახვა?

პატარა მედალიონმა, რომელშიაც იუდიფ ბარტლეტის სურათი მედო და ოქროს ძეწკვით მეკიდა ყელზე ჩემთან ერთად გამოვლო ამდენი ხნის ძილი. ჩამოვიხსენი ის ყელიდამ, ავაღე და მივაწოდე იუდიფს. მან სისწრაფით ჩამომართვა მედალიონი, დიდხანს დასცქეროდა საყვარელ სახეს და ბოლოს ჰკეთო მას ტუჩებით.

— ვიცი, რომ ის კეთილიც იყო, საყვარელიც და ღირსიც თქვენი ცრემლებისა,—მითხრა მან;—მაგრამ გახსოვდეთ, რომ რაც მან მწუხარება გამოსცადა, მას უკან ბევრი წლები ჰქონდა და თითქმის ასი წელიწადია რაც ის ამ ქვეყანას გამოსალმა.

ეს ასეც იყო. რა ძლიერიც უნდა ყოფილიყო მისი მწუხარება, მთელი საუკუნეა მას შემდეგ, რაც მისი ტირილი შეწ-

ყდა; ჩემი ანაზდეული გრძნობა გაჭრა და ცრემლებიც შემაშ-
რა. ძალიან მიყვარდა ის ჩემ წინანდელ ცხოვრებაში, მაგრამ
მას შემდეგ ხომ ასი წელიწადი გავიდა. შეიძლება, ზოგმა ჩემი
ახსარება გრძნობის ნაკლებობად ჩამომართვას, მაგრამ, ვფიქ-
რობ, არვის არ შეუძლია ჩემზე სჯა, რადგან არვის გამო-
უცდია ჩემი მსგავსი რამ. როცა ჩვენ ისიც იყო ოთახიდამ გა-
მოსვლას ვაპირებდით, ჩემი ყურადღება მიიპყრო კუთხეში მიდ-
გმულმა შკაფმა, რომელსაც ცეცხლი ვერ ეკარებოდა. ჩემი
თანამხლებელი მივახედე მისკენ და ვუთხარი:

— ეს ოთახი საწოლიც იყო ჩემთვის და საკუჭნაოც. აი
ამ შკაფში ინახება რამდენიმე ათასი დოლლარი ოქროთი და
ბევრი ფასიანი ქაღალდები. თუნდა მცოდნოდა კიდევაც იმ და-
ძინების ღამეს, რომ ამდენს ხანს გასტანდა ჩემი ძილი, მაინც
ვერ წარმოვიდგენდი, რომ ოქრო ჩემ მოთხოვნილებათა უტ-
ყუარი დამაკმაყოფილებელი არ იქმნებოდა ყოველ მხარეში და
ყოველ დროს. ის ფიქრი, რომ ოქრო დროს განმავლობაში
თავის ძალას დაჰკარგავდა, ჩემთვის დიდი ველური ოცნება
იყო. დღეს-კი, ამ ხალხში გამოღვიძებული, ვხედავ, რომ მთე-
ლი საპალნე ოქროთიც ვერ იყიდი ერთ ნაჭერ პურს.

იუდიფს მაინც ვერ ვაგრძნობინე, რომ ამ ჭეშმარიტებაში
საოცრება იხატებოდა. მან მარტო ეს-ღა იკითხა:

— რატომ მთელ ქვეყანაზე უთუოდ უნდა ფული ეძლიან
პურში?

თავი XXI

მე და ლიტმა მოვილაპარაკეთ, ამ დილით სკოლები და
ქალაქის კოლლედჟები დაგვეთვალიერებია. მას უნდოდა უფ
რო ნათლად აეხსნა ჩემთვის მეოცე საუკუნის სწავლების სისტემ-

— დიდს განსხვავებას შენიშნავთ ჩვენსა და თქვენი სწავ-
ლების მეთოდში.—მითხრა მან, რა-კი ნასაუზმევს გზას გავუ-
დექით.—მაგრამ თავი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ
ახლანდელ დროში ყველას თანასწორად აქვს გახსნილი გზა
მაღალ განათლების მისაღებად, რომლითაც თქვენს დროში
სარგებლობდა მკვიდრთა სულ პაწაწა ნაწილი. ჩვენ ისე მი-
ვიჩნევდით ამას, თითქო არაფერი ხსოვნის ღირსი არ გაგვეკე-
თებიოს, თუ-კი ხალხის ფიზიკურად კეთილ-დღეობის გათანას-
წორებასთან არ მოგვეხერხებინა მათი თანასწორობა სწავლა-
განათლებაშიაც.

— ალბათ აუარებელი ხარჯი გექმნებათ.—ვუთხარი მე.

— იმას რომ მთელი საერო შემოსავლის ნახევარი-კი არა,—
მითხრა მან,—არამედ მთელი ჩვენი წლიური შემოსავალიც
მოსდომებოდა და ჩვენ რამდენიმე ფარა-ღა დაგვრჩენოდა, რომ
თვით უღარიბესი არსებობა შემოგვენახა, მაშინაც-კი არვის
წამოცდებოდა ამის შესახებ მცირეც არის საყვედური. ნამდვი-
ლად-კი ათი ათასი ყმაწვილის გასაზრდელი ხარჯი ათჯერ-კი
არა, ხუთჯერაც არ აღემატება ათასი ყმაწვილის გასაზრდელ
ხარჯს. ის პრინციპი, რომლითაც ყოველი ფართოდ ფესვებ
ადგმული წარმოება შედარებით უფრო იაფად ჯდება, ვინემ
საწია ზომის წარმოება, განათლების საქმესაც ესაბამება.

— ჩვენს დროში მაღალ სასწავლებლებში სწავლის მიღე-
ა ძლიერ ძვირად ჯდებოდა.—შენიშნე მე.

— თუ თქვენს ისტორიკოსებს დავუჯერებთ,—მიპასუხა ლიტ-
ა—მაღალ სასწავლებლებში სწავლა-კი არ ჯდებოდა ძვირად,
რამდენ იქ არსებული ბედოვლათობა და ფლანგაობა. ნამდვილი
არჯი თქვენს სასწავლებლებს ძლიერ ცოტა ჰქონდათ და კიდევ
უფრო ნაკლები ექმნებოდათ, უფრო რომ გაეფართოვებიათ გა-
ათლების საქმე. მაღალი განათლება ახლა ისე იაფადვე ჯდება,
ოგორც დაბალი, რადგან ყველა ხარისხის მასწავლებლები
ადენსავე შრომის ხარჯს იღებენ, რამდენსაც სხვა მუშაკნი. ჩვენ
ბოლოდ სავალდებულო სწავლების საზოგადო სასკოლო წესს,

როგორიც ასის წლის წინად არსებობდა მასსაჩუსეტში, მიუმატეთ ექვსიოდე უმაღლესი სასწავლებლები, სადაც ჩვენი ახალგაზდა ყმაწვილები მეოცდა ერთე წელს ღებულობენ იმ განათლებას, რომელსაც თქვენს დროში „დჟენტლმენების განათლებას“ ეძახდით. ამ ნაირად თოთხმეტ-თუთხმეტი წლის ყმაწვილებს, რომელთა გონებრივი მომზადება არ გასცილებია წერა-კითხვისა და გამრავლების საქებ-ცოდნას, ქვეყნის ოთხკუთხივ არ ვუშვებთ, როგორც თქვენ შერებოდით.

— თუნდა რომ განათლების მისაღებად ამ დამატებითი წლების ღირებულობას გვერდი ავუაროთ,—შევნიშნე მე,—ჩვენ არ ვრაცხდით თავს იმ უფლების მქონედ, რომ ამდენი დრო წაგვერთმია მათთვის სამრეწველო საქმეებისაგან. თვით უღარიბესი წოდების შვილები ჩვეულებრივ თექვსმეტის ან კიდევ ნაკლები წლისანი ჰკიდებდნენ ხელს მუშაობას და ოცს წელზე-კი ხელოსნობაში უკვე გაწვრთნილნი იყვნენ.

— არ ვფიქრობ, რომ ამითი თქვენ მოსაგები გქონებოდათ ნაყოფთა რაოდენობაში,—მითხრა ჩემმა მასპინძელმა.—ძლიერი საწარმოო ძალა, რომელსაც განათლება აძლევს ყოველგვარ შრომას, გარდა რამდენიმე ტლანქ სამუშაოთა, სულ მოკლე ვადაში ავსებს იმ დანაკლისს დროს, რომელიც მაღალ განათლების მიღებაში გასვლია.

— ჩვენ საგონებელში გვაგდებდა აგრეთვე ისიც,—შევნიშნე მე,—რომ მაღალი განათლება, რომელიც სხვა-და-სხვა პროფესიებისათვის ამზადებდა კაცს, უარს ათქმევინებდა მათ ყოველგვარ ფიზიკურ შრომაზე.

— მართლაც რომ ასეთი იყო თქვენი დროის მაღალ განათლების შედეგი, როგორც წამიკითხავს—მიპასუხა მან.—და სხვა ფრივ შეუძლებელიც იყო, რადგან ფიზიკური შრომა ითხოვდა დამოკიდებულებას მდაბიო და უმეცარ ხალხთან. ახლაკი ეს მდაბიო და უბრალო ხალხის წოდება არ არსებობს. ამას გარდა თქვენი შიში სრული სამართლიანი იყო იმ დროში კიდევ იმიტომ, რომ ყველა მაღალ-განათლებულნი ინიშნებოდნენ

რომელსამე მაღალ თანამდებობაზე ან მდიდართა უზრუნველ ცხოვრებისათვის. თუ მაღალი განათლების კაცი მოკლებული იყო სიმდიდრეს და საზოგადოდ კეთილ-დღეობას, ეს ითვლებოდა დამამტკიცებლად გაცრუებულ იმედთა, წარუმართებლობათა, ირიცხებოდა უფრო შედარებით სისუსტეთ, ვინემ უპირატესობად. ახლანდელ დროში-კი, როცა უმაღლესი სწავლა მხოლოდ იმიტომ ითვლება საჭიროდ, რომ ცხოვრებისათვის მოამზადოს კაცი და სრულიად არავითარი კავშირი არ აქვს ამას მის მომავალ მოქმედებასთან. რასაკვირველია, ცხადია, რომ მაღალი სწავლის მიღება უარ ჰყოფს თქვენგნით წარმოთქმულ დასკვნას.

— ყოველ შემთხვევაში,—შევნიშნე მე,—არაგვარი მაღალი განათლება არ აშორებს კაცს მისი ბუნებრივ გონების სიჩლუნგეს, თუ-კი ამ დროში ხალხის საშუალი, ბუნებრივი გონებითი ნიჭი იმაზე მაღლა არა დგას, რომელზეც ჩვენ დროში იდგა, იმ შემთხვევაში უმრავლესობისათვის მაღალ განათლებაზე ზრუნვა ფუჭი დროს ჰკარგვა იქმნება. ჩვენ ასე ვფიქრობდით: სწავლაში რომ კაცმა წინ წაიწიოს, საჭიროა ჰქონდეს მას, რამოდენიმედ მაიცნ სწავლა-განათლების შემთვისებელი ბუნება, ნიჭი; ისე, როგორც ნიადაგის ბუნებრივი სიკეთე რამდენიმედ საჭირო, რომ შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიაროს.

— ახ, მოხარული ვარ,—მითხრა ლიტმა,—თქვენ რომ საზელდობ ამ მაგალითს შეეხეთ; მე თითონ მინდოდა მომეყვანა ის თქვენთვის, რომ უფრო თვალსაჩინოდ დამეხასიათებია ახალი შეხედულობა განათლებაზე. თქვენ ამბობთ, რომ იმდენად გამოფიტული მიწა, რომლის ნაყოფიც შრომას არ აჯილდოებს, არ იმუშავება. მაგრამ რამდენი მიწა იყო, რომ მისი ნაწარმოები არ აკმაყოფილებდა მასზე დანაკარგს შრომას და მაინც კიდევ ამუშავებდნენ თქვენს დროში და ამუშავებენ ახლაც. მე ვამბობ ბაღებზე, ბუჩქნარებზე, კორდებზე და სიზოგადოდ იმ მიწებზე, რომელთაც ისეთი მდებარეობა ჰქონდათ, რომ თუ

ხელი არ შეგვეშალა ბარდნალისა და ბალახ—ბულახების მათ-ზე აღზდისათვის, უსიამოვნო შთაბეჭდილებას მოჰგვრიდნენ თვალს და ბევრ გვარად დამბრკოლებელნი იქმნებოდნენ მცხო-ვრებთათვის. აი ამიტომ ანაყოფიერებენ ასეთს მიწებს; მართალია, ნაყოფი ცოტა გამოაქვთ, მაგრამ იშვიათია ისეთი მიწა, რომლის დამუშავებაც, უკეთ აჯილდოებდეს შრომას, ვინემ ესენი. ეკვევ შეიძლება ითქვას: მამა-კაცებ-ზე და დედა-კაცებზე, რომლითაც ასეა თუ ისე გაუწყვეტელი კავშირი აქვთ ჩვენთან საზოგადოებაში, რომელთა ხმაც მუდამ გვესმის და ვის ყოფა-ქცევასაც ბევრ გვარი გავლენა აქვს ჩვენს სულიერ მდგომარეობაზე; ისინი სწორედ ისე საჭირონი არიან ჩვენს ცხოვრების პირობებში, როგორც ჰაერი სუნთქვისა-თვის ან როგორც ის ელემენტები, რომლებზედაც ჰკიდია ჩვენი არსებობა. მაგრამ ჩვენ რომ მართლა არ შგვძლებოდა ყველასათვის ჭეშმარიტი განათლების მიცემა, იმ შემთხვევაში ჩვენ უპირატესობას მივცემდით შესანიშნავ ნიჭთა წინაშე ბუნებითად უფრო მოუხეშავებსა და გონება ჩლუნგთა და მათ ვასწავლი-დით, რამდენადაც-კი ჩვენი ძალ-ღონე მიგვიწვდებოდა. ბუნე-ბითად ნიჭიერნი და განვითარებულნი იმდენად არ საჭიროე-ბენ ცივილიზაციის შემწეობას, რამდენადაც უფრო ნაკლებად დაჯილდოებულ ბუნებრივის ნიჭითა. ვისარგებლებ თქვენს დროში ხშირად ხმარებული სიტყვებით: არ ეღირებოდა სიცოცხლე, რომ თქვენი დროის იმ განათლებულთა მცირე რიცხვის მსგავ-სად გვეტარებია ჩვენი დღენი უხეშსა, უმეცარსა და სრულიად გაუნათლებელ მამა-კაცთა და დედა-კაცთა შორის. განა შეიძ-ლება სასიამოვნოდ დაურჩეს სურნელებით ნასხურებს კაცს ისეთ გუნდში ჩარევა, სადაც საძაგელი სუნი ტრიალებს? განა შეიძ-ლება კმაყოფილი იყოს ის, თუნდ მეფურ სასახლეში ცხოვ-რებდეს, როცა ყველა ამ სახლის ფანჯრები პირუტყვთა ბოსელს გადასცქერის? აი ასეთი იყო მათი მდგომარეობა, ვინც თქვენს დროში უფრო ბედნიერად ითვლებოდა კულტურის მხრით, ვისაც უფრო ნებივრული აღზრდა მიეღო. ვიცი, რომ თქვენს

დროში ღარიბსა და გაუნათლებელს ხალხს შურდა მდიდართა და განათლებულთა მდგომარეობა. ჩვენს თვალში-კი ეს უკანასკნელი იმ გვარი ცხოვრებით, როგორადაც ცხოვრობდნენ ამ ბინძურებისა და სიბრიყვეს შუა, არაფრით არ სჯობდნენ პირველებს. თქვენი დროის დაწინაურებული ვაჟბატონი იმ კაცს ემსგავსებოდა, რომელიც ყელამდის საზიზღარ მყრალს ტლაპოში ჩაფლულა და თავს ინუგეშებს სასიამოვნო სასუნველების ყნოსვით. ახლა თქვენ იცით, თუ როგორ ვუცქერით ჩვენ ამ მაღალ განათლების საყოველთაო მისაღწევ საკითხს. არაფერი არაა ისეთი სანუკვარი ადამიანისათვის, როგორც გონიერის, კეთილად აღზრდილ მეზობლების ყოლა. ამიტომაც ერს იმაზე მეტის სიკეთის მოტანა არ შეუძლია შოქალაქეთა ბედნიერებისათვის, როგორიც მათი მეზობლების აღმოზრდაა. თუ მან ის ვერ შეასრულა, ჩვენი საკუთარი აღზრდა ნახევრად მცირდება და განვითარებული, განათლებით განაზებული გემოვნება ბრაზ—მომრევ წყაროდ შეგვეცვლება. უმაღლესი განათლება რომ მხოლოდ ზოგიერთს მივცეთ და უმრავლესობა-კი სიბნელეში მივაგდოთ, როგორც თქვენს დროში იყო, ეს იმას ემსგავსება, რომ ისეთი უფსკრული დავდოთ მათშორის, როგორიც შესაძლებელია მხოლოდ იმ სხვა-და-სხვა ჯიშის არსებათა შორის, რომელთაც არ გააჩნიათ არავითარი საშუალება ერთმანეთთან დაახლოვებისა. ან რაღა იქმნება ამაზე უარესი მხეცობა, რომ ასე შევზღუდოთ განათლების საქმე? ცხადია, საერთო, ყველასავთის თანაბრად მისაწვდენი განათლება, არ მოსპობს კაცთაშორის ბუნებითი ნიჭისაგან წარმომდგარს განსხვავებას, მაგრამ ნაკლები ნიჭიერნი შესამჩნევად აიწევენ და უმეცრება გაჭრება. ყველას დაგბადება ცოდნის სურვილი, საგნის სულიერი მხარის შეგნება და პატივისცემა მაღალ განათლებისადმი, რომლითაც სარგებლობა თითონ ვერ შესძლეს. ცოტად თუ ბევრად ყველა ადვილად მიხვდება მაშინ განათლებულთა წრის მხიარულებას და ლტოლვილებას და თითონაც ეცდებიან შეიტანონ შიგ თავიანთი წვლილი. რისაგან

შედგებოდა მეცხრამეტე საუკუნის კულტურული საზოგადოება, თუ არა ამ მიკროსკოპიული ოაზისებიდამ ფართოსა და დაუბოლოვებელს უდაბნოში. მათი რიცხვი, ვინც ზნეობრივ ინტერესებს ან განათლებულს ერთობას ესწრაფოდა, მათს თანამედროვე უმრავლესობასთან შედარებით, იმდენად მცირე იყო, რომ, თუ კაცობრიობას უფრო ფართოდ შევხედავთ, ხსენებაც კი არ ღირს მათი. ახლანდელი ქვეყნის ერთი თვობა ბევრად უმდიდრესია გონებითი ცხოვრებით, ვინემ ძველი დროის რომელიმე მთელი ხუთი საუკუნის თაობა ერთად. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენი განათლების წესს სამი შემდეგი პრინციპი უდევს საჩრულად: პირველად—უფლება თითოეული კაცისა ყოველმხვრივს განათლებაზე, როგორიც-კი შეუძლია მისცეს მას ერმა და რაც უსაჭიროესი პირობათაგანია მისი პირადი ბედნიერებისათვის; მეორედ—უფლება მის თანამოქალაქეთა, რომ მოუპოვონ მას განათლება, როგორც უსაჭიროესი პირობა იმისათვის, რომ მასთან კავშირის დაჭერა სიამოვნებას ჰგვრიდეს მათ; მესამედ—უფლება მომავალ თაობათა, რომ მათ ჭკვიანი და გონება-განვითარებული მშობლები ჰყავდესთ.

აღარ ავიწერთ დაწვრილებით იმას, რაც იმ დღეს სკოლებში ვნახე. ჩემს წინანდელ ცხოვრებაში ისე ნაკლებად მაინტერესებდა განათლების საქმე, რომ მხოლოდ რამოდენიმე საყურადღებო შედარება-ღა გამოვიყვანე. გარდა მისა, რომ საშინლად გამაოცა, როგორც მაღალის, ისე დაბალის განათლების საყოველთაო მიწდომილებამ, არა ნაკლებ მეუცხოვა ის მნიშვნელობა, როგორსაც ახლა ფიზიკურს აღზრდას აძლევდნენ, და ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა გამოცდის დროს, მათი სხეულის ვარჯიშობა და თამაშობაში მომზადებაც ისე ფასდებოდა, როგორც სხვა საგნებში.

— სასკოლო ადმინისტრაცია,—ამიხსნა ლიტმა,—თანაბრად პასუხის მგებელია თავის გაზრდილების შესახებ, როგორც სულის, ისე სხეულის საქმეში. ჩვენი სასკოლო კურსის ორკეცი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ფიზიკური და გონებრივ

ანვითარება მისცეს თითეულს ექვსი წლიდამ დაწყებული, ვიდრე ოცდა ერთს წლამდე.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ახალგაზდა მოსწავლეების აყვავებულმა სიმრთელემ. ჩემი წინანდელი დაკვირვები

ბუკობის დროთი და არასოდეს არ არის გადაჭარბებული; მუ-
დამ ზრუნვა თავის-თავსა და ოჯახზე, შიში საარსებო სახსრისა-
თვის, მუდმივი თავ-გამეტებული სასიცოცხლო ბრძოლა—ყვე-
ლა ამათი ზედ-მოქმედება, რაც ასე მტანჯველად მოქმედებდა
ერთს დროს მამა-კაცთა და დედა-კაცთა სულსა და ხორცზე,
ახლა სრულებით უცნობია. ცხადია, ასეთს ცვლილებას უთუ-
ოდ უნდა მოჰყოლოდა მოდგმის გაუმჯობესობაც. ჩვენ ვიცით,
რომ ზოგ შემთხვევაში ნამდვილი გაუმჯობესობა მოხდა. სი-
გიჟე, მაგალითად, ეს მეცხრამეტე საუკუნის ბრიყვული ცხოვ-
რების აუცილებელი ნაყოფი, თითქმის სრულიად მოისპო თავი-
სი ერთგული ამხანაგიანად—თვით—მკვლელობასთან ერთად.

თ ა ვ ი XXII

დაპირებისამებრ, ქალები და ჩვენ სადილობისას. ერთად
შევიყარეთ საზოგადო სასადილოში. ნასადილევს ქალები რაღაც
საქმეების გამო დაგვშორდნენ და მე და დოქტორი ლიტ-
შევრჩით სუფრას, სადაც ღვინის სმასა და ციგარების წევაში
ბევრი სხვა-და-სხვა საკითხები გავარჩიეთ.

— დოქტორო,—შევნიშნე მე, სხვათაშორის ბაასის დროს.—
ზნეობრივის მხრით თქვენი საზოგადო წეს-წყობილება ისეთია,
რომ მარტო ბრიყვს არ მოიყვანს აღტაცებაში მისი შედარება
ძველ სოციალურ წესებთან, რომელნიც-კი არსებობდნენ ოდეს-
მე ქვეყნად და განსაკუთრებით ჩემი უბედური საუკუნის განს-
მავლობაში. მე რომ ისევ ჩავარდე ამ ელამ ჩემს საღათას ძილ-
ში და ეს ძილი პირველის ოდენად გაგძელდეს, მხოლოდ
დრო-ჟამის უკან მსვლელობით-კი, და ამ ნაირად ისევ მეცხ-
რამეტე საუკუნეში ამოვყო თავი, თიოეული ჩემი მეგობარი
თქვენს ქვეყანას წესიერების, სიმართლის და ბედნიერების სა-
მოთხედ აღვიარებს, რა-კი ჩემს ნაამბობს მოისმენს. მაგრამ ჩემ-
მნი თანამედროვენი პრაქტიკული ხალხი იყვნენ და როცა გა-

ბოირკვეოდნენ ამ ქვეყნის ზნეობრივ მშვენიერებით და ქონებ-
რივი კეთილ-დღეობით გაოცებულნი, იმ წამსვე ანგარიშს მი-
ბარდებოდნენ და მკითხავდნენ: საიდამ შეიძინეთ იმდენი ფულ-
ი, რომ ასე სრული ბედნიერება მოუპოვეთ ყველას? ეჭვი არ
არის, მთელს ერს რომ ასეთი კმაყოფილება მოუპოვო და თით-
ქმის სიჭარბეც-კი ცხოვრებაში, როგორც მე ახლა. ვხედავ ბევ-
რად მეტი სიმდიდრეა საჭირო, ვინემ ჩემს დროში ჰქონდა
ქვეყანას. თუმცა ერთგვარად მოვახერხებდი ამეხსნა ჩემი მეგო-
ბრებისათვის თქვენი წეს-წყობილების უმთავრესი მუხლები; მაგ-
რამ ზემო მოყვანილს კითხვაზე საპასუხოს ვერას მოვძებნიდი
და უამისოდ ისინი, როგორც დაჩელოვნებული მოანგარიშენი,
ბეტყოდნენ, რომ მე მომჩვენებია ყველა ეს, და არც ერთს და-
ეარჩენს ჩემს ნაამბობს ყურთან არ გაიტარებდნენ. ეს-კი ვიცი,
რომ ჩემს დროში ჩვენი ქვეყნის მთელი წლიური შემოსავლის
ყველაზე თანაბრად დაყოფით, თითეულის წილად სამასი ან
ოთხასის დოლლარის მეტი არ მოვიდოდა; ესე იგი, იმაზე ცო-
ტა მეტი, რაც ცხოვრებისათვის უსაჭიროესი მოთხოვნილებაა
და მკირე რამ ზოგ კმაყოფილების მისაღებად ან სულ არც
ერთის. საიდამაა, რომ თქვენ ამდენად მეტი სიმდიდრე გაქვთ?

— ეს სწორედ საჭირო კითხვაა, უფ. ვესტ, — მიპასუხა
ბემმა მოსაუბრემ, — და ფიქრადაც არ გამოვლიდა თქვენის მე-
ყობრების გაკიცხვა, მათ რომ ყველა თქვენი ნაამბობი უაზ-
რო სიცრუედ მიეღოთ, რა-კი თქვენგან ვერაფერს დამაკმაყო-
ფილებელს პასუხს მიიღებდნენ. ამ კითხვის უცებ განმარტება
ნელია. რაც შეეხება სტატიკურს ციფრებს ჩემი განმარტების
დასამტკიცებლად, გთხოვთ ჩაიხედოთ ჩემი ბიბლიოთეკის წიგ-
ნებში. დიდი შეურაცხება იქმნებოდა, რომ თქვენი ფიქრი გა-
ბართლებულიყო და რაღაც ზოგიერთა ცნობების უქონლობით
ბეთი სირცხვილი გვეუმია თქვენთვის თქვენს ძველ ნაცნობებ-
ან.

— დავიწყოთ წვრილმანებიდამ, რისგანაც ჩვენ თქვენთან
ბედარებით ეკონომიას ვღებულობთ. ჩვენ არა გვაქვს ვალები—

არც საზოგადო, არც სახელმწიფო, არც საქალაქო და ა
პროვინციალური, რაშიაც რაიმე სარგებლის ძლევა იყოს
ჭირო. არა გვაქვს—არც სამხედრო, არც საზღვაო ხარჯი ხა
ზე ან მასალებზე—არც ჯარზე, არც საომარ ხომალდებზე
არც მილიციაზე; არა გვაქვს ხარკის აპკრები თანამდებობა
არა გვყავს ბეგრის გამწერთა და მომკრებთა ბრბო. რაც შ
ხება ჩვენს სამსაჯულოებს, პოლიციას, შერიფებს, საპყრობილ
მცველთ, ესენი თქვენს დროში რომ ერთს უბანს სჭირდებ
და, იმდენი მათი რიცხვი ჩვენს საუკუნეში მთელს მხარეს ჭ
ბად ყოფნის. ჩვენში უკვე აღარ არის თქვენი საზოგადოებ
კეთილ-დღეობის შემრყეველი ავაზაკთა წრე. მათი რიცხ
რომელნიც ცოტად თუ ბევრად გამოკლებულნი იყვნენ შრ
მას ფიზიკურ ნაკლთა გამო—კოჭლნი, ბრმანი, დაუძლურებ
ლნი და ტვირთად—აწვენ თქვენს დროში მშრომელ ხალხს,
ლა, ამ კმაყოფილისა და ჯან-საღ ცხოვრების პირობეებში,
სამჩნევად შემცირდა და ყოველ თაობაში უფრო და უფ
კლებულობს. მეორე ეკონომიის მუხლი ფულის მოსპობ
ამის გამო გაუქმდნენ ათასი ფულის ჭრაზე დამოკიდებულნი ი
ნამდებობანი, რასაც მრავალი ხალხი ესაჭიროებოდა და რ
მიზეზითაც ბევრნი სხვა უფრო საჭირო სასარგებლო საქმეე
აკლდებოდნენ. ამასთან მიიღეთ მხედველობაში, რომ თქვენ
დროის მდიდართა ფლანგაობა უზომო პირადი ჟინის მოსაკ
ვად გაჰქრა, თუმცა, შეიძლება, ამ მუხლის მნიშვნელობა გ
დამეტებული იყოს. ნუ დაივიწყებთ აგრეთვე, რომ ჩვენ
გვყვანან ზარმაცები—არცა მდიდრები, არც ღარიბები; არ გვყ
ნან გარეწარნი და მუქთა-ხორანი. წინანდელ სიღარიბის თვა
საჩინო მიზეზთაგანი იყო დახარჯული უზომო შრომა თეთრ
ულების რეცხაზე, საჭმელების მზადებაზე და აურიცხველ სხ
და სხვა სამუშაოთა განცალკევებით კეთებაზე. ჩვენ-კი ეს შრ
მა კოოპერატიულს წესს მივანდეთ. მაგრამ კიდევ მეტ ეკონ
მიას ვაღწევთ ჩვენ გაყიდვის წესების ორგანიზაციით. ყველა
საქმეებს, რომელთაც ოდესღაც ასრულებდნენ სხ.-და-სხ.-ნაი

ირდათ და წვრილად მოვაჭრენი კომისიონერთა მთელი რაზ-
ით, და ათას ზვარი შუამავლებით ვაება, უზომო შრომის და-
ირგვით უბრალო გაგზავნ-გამოგზავნაში და საქონლის დაუ-
ოლოველელ გადაცემ-გადმოცემაში ერთი ხელიდამ მეორეში—
ველა ამ საქმეებს ჩვენს ჩიდროში წინანდელ ხელთა რიცხვის
რთი მეათედი აკეთებს თითის გაუნძრევლად. საქონლის ჩვე-
ებურ განაწილების წესთან თქვენ რამოდენიმედ გაცნობილი
ართ. სტატისტიკოსების ანგარიშით ჩვენ მუშების ერთი მეოთხ-
ოცედი ნაწილი სრულიად საკმაოა ამ განაწილებისათვის;
ოცა რომ თქვენს დროს მთელ მკვიდრთა ერთი მერვედი უნ-
ებოდა ამასვე და ეს ურიცხვი მუშა უბრალოდ აკლდებოდა
აყოფიერ შრომას.

— მე ახლა შევდივარ აზრში თუ როგორ მოგიპოვებიათ
ქვენ ეს დიადი კეთილ-დღეობა.

უკაცრავად,—გამაწყვეტინა მან—მაგრამ არ ვფიქრობ, ეს
ართალი იყოს. ჩემგან ჩამოთვლილი შრომისა და მასალეების
აზოგვა ერთიანად ნახევარზე თუ გაადიდებს თქვენს წლიურ
ამდიდრეს მეტს არა. ეს მუხლები იმდენად უმნიშვნელოა, რომ
ენებათაც-კი არ ღირს იმ ვაება ზარალთან შედარებით, რომე-
ლიც ახლა არ არსებობს და რაც აუცილებელი შედეგი იყო
მისი, რომ მრეწველობა კერძო მწარმოებლებს ეკუთვნოდა.
აც უნდა ნაყოფთა „ხმარების“ ეკონომია გამოეგონათ თქვენს
ანამედროვეებს, რაც უნდა საოცარი წარმატება მისცემოდა
ათს მეხანიკურ მანქანებს, მაინც ვერ დაახწევდნენ თავს ვერა-
ოდეს სიღარიბის მორევს, სანამ არსებული წეს-წყობილები-
აგან არ იხსნიდნენ თავს ადამიანის ძალ-ღონის სარგებლიანად
ოხმარებისათვის, უკეთესის ფლანგაობის წესის მოგონება შეუ-
ლებელი იყო. მაგრამ კაცობრიობის გონების სასახელოდ უნ-
ა ვთქვა, რომ ეს წესი არასოდეს არ ყოფილა მოგონილი,
რამედ ველურობის საუკუნემ გვიანდერძა ჩვენ, როცა სოცია-
ურის ურთიერთობის უქონლობის გამო, მოუაზრებელი იყო
ანიმე კოოპერაციული წარმოება.

— მზადა ვარ აღვიარო, რომ ჩვენი სამრეწველო წესი ზნეობრივის მხრით ვერ იტანდა კრიტიკას, მაგრამ როგორც მარტივი მანქანა სიმდიდრის შესაძენად, თუ მის ზნეობრივ მხარეს არ შევეხებით, საუკეთესოდ მიგვაჩნდა.

— როგორც უკვე გითხარით,—მომიგო მან,—ეს მეტად რთული საგანია, რომ ასე უცებ გავარჩიოთ ის ბოლომდის; მაგრამ, თუ თქვენთვის მართლა სასურველია იმის ცოდნა, თუ რა გვაქვს ჩვენ, ახალ თაობის კაცებს, უმთავრესად თქვენის სამრეწველო წესების წინააღმდეგ შედარებით ჩვენს წესებთან, შემიძლია მოკლედ შევეხო ზოგ მათგანს. იმის გამო, რომ მრეწველობა ისეთ პირების ხელში იყო, რომელნიც არავითარ პასუხ-გებას არ კისრულობდნენ და რომელთა შორისაც პაწია ურთიერთობის გაგება და არა გვარი სალიდარობა (თანხმობა) არ არსებობდა, წარმოსდგებოდა, პირველად, ზარალი—წარმოებათა გაუქმებისაგან; მეორედ, ზარალი—მრეწველთა შორის მეტოქეობისა და მტრობისაგან; მესამედ, ზარალი—ნაწარმოებთა დრო გამოშვებით ზედ-მეტი დამზადებისაგან და კრიზისთაგან, რომელთაც თან სდევდა ხოლმე სამრეწველო შრომის შეჩერება, უძრაობა; მეოთხედ, ზარალი—რომელიც წარმოდგებოდა კაპიტალისა და შრომის თავისუფლებისაგან. ერთ-ერთი ამ ზარალთაგანი სრულიად საკმაო იყო ერის გასაღატაკებლად, დანარჩენი რომ ყველა ჩამოეცილებიათ. დავიწყოთ წარმართებელ წარმოებათაგან მომხდარ ზარალიდან. თქვენ დროს, როგორც წარმოებაში ისე გაყიდვაში, არავითარი თანხმობა დაწყობილება არ არსებობდა, რის გამო შეუძლებელიც იყო ცნობების შეკრება, თუ რამდენი იყო მოთხოვნილება რომელსამე საქონელზე და რამდენი იყო ის დამზადებული. ამისათვის თითეული კერძო კაპიტალისტის წარმოების სიწაღმართე მუდამ საეჭვო იყო. რადგან არ ჰქონდათ ცნობები მრეწველობისა და ნაწარმოების ხმარების რაოდენობისა იმდენად, რამდენადაც ის მისაწვდენია ახლა ჩვენი მართებლობისათვის, მწარმოებელს არასოდეს არ შეეძლო სინამდვილით შეეტყო რაოდენობა ან

ბოთხოვნილებისა მკვიდრთა მხრით ან „შეძლეულ“ სხვა კაპიტალისტებისაგან ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ასეთს პირობებში არც გასაკვირია, რომ თითეული წარმოების ბედი წარუმართებლობისაკენ იყო გადახრილი და რომ იმ წარმოებელთაც-კი, რომელთაც ბოლოს უღიმოდათ ბედი, პირველად წინ უძღოდათ ხშირი წარუმართებლობა. იმ ხარაზს, რომელიც თითეულ წყვილ ფეხ-საცმელის შეკერვაზე ოთხ ან ხუთ წყვილ ფეხ-საცმლის მასალას აფუჭებს, თუ ამას იმ დარგულ დროსაც მიუმატებთ, რომელიც მუშაობაში გასვლია, წორედ ისეთივე გამდიდრების საფუძველი ექმნება, როგორც ოქვენს თანამედროვეებს მათს კერძო წარმოების წესებში, როცა საშუალი რიცხვით ოთხს ან ხუთ უკუღმართს წარმოებაზე ლივს ერთი წაღმართი მოდიოდა. ამათ შემდეგ საკმაო ზარალს იძლეოდა აგრეთვე მეტოქეობა. მრეწველობის ასპარეზი იყო საომარი ველი, მთელი დედა-მიწის სიფართოვე, საც მშრომელნი ერთი-ერთმანეთთან ბრძოლას ანდომებდნენ ალ-ღონეს; ეს ძალა-კი თანხმობითა და მეგობრულად მოხმარებული საქმეში, როგორც ახლა, ყველას გაამდიდრებდა. უნდა შევნიშნო კიდევ, რომ ამ ბრძოლაში შებრალებას ალაგი არ ჰქონდა.

— გამოვარდნა ამ სამუშაო მოედანზე, განძრახ აოხრება ათ წინაპართა ნამოქმედარისა, რომ საკუთარი წარმოება აეკოთ მათს ნანგრევებზე, ეს ყველასგან მოსაწონ საქმედ ითვლებოდა. ასეთი ბრძოლის შედარება ნამდვილ ბრძოლასთან ერულებით არ იქმნება გაჭიანურებული, თუ სახეში მივიღებთ ისგან წარმომდგარს სულიერს მოუსვენრობასა და ხორციელს ტანჯვას, და აგრეთვე სიღატაკეს, რომელშიაც ცვიოდნენ ბამარცხებულნი და მათი ამყოლნი.

თანამედროვე ადამიანს არა ნაკლებ აოცებს ერთის შეხედ-ით ის უცნაური მოვლენაც, რომ ერთისა და იმავე დარგის ერეწველნი, მეგობრულ დამოკიდებულების ნაცვლად, როგორც შეჰფერის საერთო საქმის ამხანაგებსა და თანამშრომ-

ლებს, მეტოქებათ და მტრებად სახავდნენ ერთმანეთს და მზად იყვნენ დაერჩოთ და გაენადგურებიათ ერთმანეთი. ეს სწორედ ნამდვილ სისულელედ წარმოუდგება კაცს, თითქო საგიჟეთის ამბებიაო.

მაგრამ, როცა გონების თვალით ჩაუკვირდებით, დაინახავთ, რომ ეს ასე არ ყოფილა. თქვენს თანამედროვეებს კარგად ესმოდათ, რასაც ჩადიოდნენ, როცა ერთმანეთს ახჩობდნენ. მეცხრამეტე საუკუნის მრეწველნი საზოგადო კეთილდღეობისათვის-კი არ მუშაობდნენ ჩვენსავით შეერთებულად; პირიქით, თითეული ცდილობდა საკუთარი სიმდიდრე შეეძინა საზოგადოების ხარჯზე. თუ ამ მიზნით შრომას ზოგჯერ თან მოყვებოდა საზოგადო რამ სიკეთე, ეს ისე შემთხვევითი იყო. პირადი ქონების გაძლიერება საზოგადო სიკეთის მეოხებით იმდენადვე შესაძლებელად ითვლებოდა, რამდენადაც ყოველ დღიურ მოვლენად; თითეულის უბოროტესი მტერი ის იყო, ვინც მისივე ხელობის საქმეს აკეთებდა, რადგან თქვენებურს წესებში, როცა მრეწველობის მამოძრავებელად კერძო მოგება ითვლებოდა, თითეულს რომელსამე საგნის სპეციალურს მაწარმოებელს სურდა, რომ მისის სპეციალური საგნის წარმოება რაც შეიძლება მეტი განსაზღრული ყოფილიყო. მის წადილს შეადგენდა, რომ ამ საქონლის წარმოება არ გასცილებოდა იმ რაოდენობას, რამდენის მიწოდებაც თითონ მას შეეძლო. მისი მუდმივი გამოცანა ამ „მაღალის“ მიზნის მიღწევა იყო, რამდენადაც-კი ხელს უწყობდნენ გარემოებანი. ის ყოვლისფრით ცდილობდა გზა გადაეღობა და გაეშხლართა ძირს, ვინც მის მგავს წარმოებას ადგა. როდესაც-კი მრეწველი გადააყენებდა ასპარეზიდამ ყველას, ვისაც შეიძლებდა, მის მერმინდელი პოლიტიკა იმაში იხატებოდა, რომ შეერთებოდა სხვა დანარჩენ, რომელთა დაძლევაც ვერ შეეძლო; შეცვალა თავის საპირადო ურთიერთული ბრძოლა საერთო ომად საზოგადოებასთან, და ამასთან იმდენად მაღლა ასწევდნენ ფასებს, რომლის ატანასაც შეიძლებდნენ მხმარებელნი, სანამ სრულებით უარს არ ჰყოფ-

ენ ძვირად ღირსებულ საქონელზე. მეცხრამეტე საუკუნის
ეწველის აღთქმულ მცნებას შეადგენდა რომელსამე პირველ-
ამარ ნივთთა დამზადების საკუთარ ხელში ჩაგდება, რომ ამით
ვშილის პირად დაეყენებია საზოგადოება ბ მოუსავლობის დროს
ადი ფასები დაენიშნა თავის საქონელზე. აი, უფ. ვესტ, რას ეძახ-
ენ მეცხრამეტე საუკუნეში წარმოების სისტემას. თქვენთვის
ამინდვია გადასაწყვეტად, რამდენად ნაყოფიერია ასეთი წესი.
ღესმე, თავისუფალ დროს, უნდა გთხოვოთ მიიღოთ ჯაფა
ახსნათ და ის, რაც დღემდე ვერ გამიგია, თუმცა ბევრ
არად ვეცადე,—როგორ მოხდა, რომ ისეთ გამჭრიახ კაცებ-
, როგორიც იყვნენ უმეტეს შემთხვევაში თქვენნი თა-
მედროვენი, ყოველგვარი საჭირო ნივთების მოპოვება საზო-
დოებისათვის იმ წოდების ხალხს მიანდვეს, რომლის ინტე-
ესებსაც შეადგენდა ამ საზოგადოების შიმშილით ამოჟლეტა?
რწმუნებთ, ჩვენ გვაოცებს არა ის, რომ ამ გვარს წესებში
ოფლიო სიმდიდრე არ იზრდებოდა, არამედ ისა, რომ სულ ...
ირ გადურჩა ქვეყანა სიღატაკისაგან დაღუპვას? ჩვენს გაკვირ-
ბას კიდევ უფრო ემატება, როცა წარმოვიდგენთ იმ სხვა-და-
ვა ვაება ხარჯებს, რომელნიც მშვენიერად ახასიათებენ მა-
ნდელ წეს-წყობილებებს.

გარდა იმისა, რომ თქვენი ყალბად მიმართული მრეწველო-
და გამუდმებული სისხლ-მღვრელი სამრეწველოში შრომასა
კაპიტალს ღუპავდა, თქვენი წეს-წყობილება დრო-გამოშვე-
თი განსაცდელშიაც იყო ჩავარდნილი, რაც თანაბრად აწიო-
ებდა ბრძენთა თუ ბრიყვთა, გამარჯვებულ მრბეველთა და მათ
ხვერპლთა. მე ვამბობ იმ სამრეწველო კრიზისებზე, რომელიც
ორდებოდა ყოველ ორმოცდა ათს წელში, ღუპავდა საერო
ბდიდრეს, ამხობდა სუსტს წარმოებებს და აუძლურებდა ძლიე-
ებას, და რის შედეგიც იყო მთელი წლობით ეგრედ წოდე-
ული შეჩერება (застой). კაპიტალისტები ცოტ-ცოტათი
ერებდნენ გაბნეულ ძალ-ღონეს და შუშა ხალხი-კი იმშეოდა
ა ახდენდა ამბოხებას. ამის შემდეგ იწყებოდა მოკლე ვადია-

ნი კეთილ-დღეობა, რომელსაც თავის რიგზე ისევ მოსდევ(
მას შემდგომ წელთა საღატაკის მიერ წარმოშობილი ახალ
კრიზისი. რამდენადაც ვაჭრობა ვითარდებოდა, რომლის შედ
გიც იყო ერთაშორის ურთიერთული დამოკიდებულება, იმდ
ნად კრიზისებიც საყოველთაო სენად ხდებოდნენ, და ამასთ
მათგან წამომდგარი დაცემა—სიძაბუნის ხანგრძლიობას უფრ
და უფრო ემატებოდა თითეულ იმ ახალ მხარეში, რომელ
მოეცო სამრეწველო აშლილობას. რამდენადაც პრაპორციო
ნალურად ვითარდებოდა და რთულდებოდა მსოფლიო მრეწვ
ლობა და იზრდებოდა მასში დაბანდული კაპიტალი, იმდენად
სამრეწველო აშლილობანი უფრო და უფრო ხშირდებოდნ
სანამ ბოლოს მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ ნახევარ
იქადე არ მივიდა საქმე, რომ ორს ცუდს, ძლივს ერთი კარ
წელიწადი მოსდევდა, და ეს დიდებული სამრეწველო წეს
დღემდე არ გაგონილის სახით მოდებული ყველგან, თავის ს
კუთარს სიმძიმეს ველარ იტერდა. ამ დროს თქვენი ეკონომი
ტები დაუბოლოვებელ მსჯელობის უკან იმ უიმედო დასკვნ
დის მივიდნენ, რომ ვერავითარი სიფთხილე და ზღვარი ამ კრ
ზისებს ველარ დაიტერს, თითქო ის იყო გოლვა ან კორიო
ტელი. ის-ღა დარჩენოდათ, რომ აეტანათ ეს უბედურება, რ
გორც აუცილებელი ბოროტება, და მუდამ, როგორც-კი კრ
ზისებს მორჩებოდნენ, ისევ აეგოთ მრეწველობის დანგრეულ
შენობა, მიწის ძვრისაგან იმ დაზარალებულ მკვიდრთა მსგ
სად, რომელნიც ისევ აგებენ თავიანთს ქალაქებს შემუსრუ
ადგილებზე. რაც შეეხება იმ შეხედულებას, რომ შეოთის მ
ზეზები თქვენსავე სამრეწველო წესის შინაარსში იფარებოდ
ამ მხრით თქვენი თანამედროვენი მართალნი იყვნენ. ეს მიზ
ზები ამ წესის საფუძველში მდებარეობდნენ და, რამდენადაც-
საფაბრიკო წარმოებანი ვითარდებოდნენ და რთულდებოდნ
იმდენად ისინიც, მიზეზები აუცილებლად დამღუპველნი ხდ
ბოდნენ. ერთი მიზეზთაგანი საერთო მეთვალ-ყურის (კანტრ
ლი) უყოლობა იყო მრეწველობის სხვა-და-სხვა დარგებში

აქედამ გამომდინარე შეუძლებლობა სისწორითა და სითანაბრით მათი განვითარებისა. ამ ნაკლის აუცილებელ შედეგად ის გამოდიოდა, რომ წარმოება მუდამ სცდებოდა თავის სწორე გზიდამ და ივიწყებდა „შეძლევის“ „მოხთოვნილებასთან“ გაერთზომიერებას.

მოთხოვნილების გასაგებად არავითარი სინამდვილე არ არსებობდა ისეთი, რაც ჩვენა გვაქვს წეს-რიგზე განაწილებულ საქონლის წყალობით, და იმის პირველი მანიშნებელი, რომ რომელსამე მრეწველობის დარგში საქონლის რაოდენობა მოთხოვნილებას აღემატებოდა, იყო ფასების დავარდნა, მრეწველთა გაკოტრება, წარმოების შეწყვეტა, ჯამაგირების დაკლება და მუშების დათხოვნა. ეს მუდმივი შემთხვევა იყო მრეწველობის ბევრს დარგში, ეგრედ წოდებულ კარგს წლებშიაც-კი; კრიზისი-კი მხოლოდ მაშინ იწყებოდა, როცა წარმოების დარგთა არსებობის შეწყვეტა მეტად რთული იყო. ამ დროს ბაზარი ივსებოდა საქონლით, რომლის მუქთად ამღებიც არვინ იყო, რაც მის საჭიროებას აღემატებოდა. მოგების შემცირებისა გამო ან ფასების სრულიად დაცემის მიზეზით, ამ ზედ-მეტ საქონლის გამომფენნი ჰკარგავდნენ თავიანთს სავაჭრო ნდობას, როგორც მბმარებელნი იმ სხვა საქონლისა, რომლითაც ჯერ კიდევ არ ავსებულიყო ბაზარი; ასეთი გასავლის შემოკლების გამო ამავე მდგომარეობას ეძლეოდა ის საქონელიც, რომლის წარმოებაც ჯერ არ გასცილებოდა ჩვეულებრივ ზედ-მეტობის საზღვარს; მაგრამ ბაზარი იმითიც ივსებოდა, ფასები ეცემოდა და მისი მაწარმოებელნი აკლდებოდნენ სამუშაოს და შემოსავალს. აი აქ იწყებოდა ნამდვილი კრიზისი, რომლის შეჩერებაც არავითარს ძალას არ შეეძლო, სანამ მთელი საერთო ავლა-დიდება არ დაიღუპებოდა. ასეთი ხშირი და სამძიმო კრიზისების საბაბი იყო ფულები და კრედიტი. სანამ წამოება ბევრის საკუთრებას შეადგენდა, ყიდვა-გაყიდვაც აუცილებელი ხდებოდა ყოველგვარ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, და ფულების საჭიროებასაც ის იწვევდა. ფულის მნიშვნელობა, როგორც უბრალო მიღებუ-

ლი ნიშნისა, რომელსაც საჭმელის, ტანისამოსის და სხვა ნივ-
თებისა ნაცვლად იღებდნენ, შეიძლებოდა სადაო საკითხი
ყოფილიყო. აქედან წარმომდგარმა დაბნეულმა შეხედულობამ
საქონელსა და მის ნიშანს შორის ურთიერთობის შესახებ შემოი-
ღო საკრედიტო სისტემა თავის აღურაცხელ შეცდომებით; რა-
კი ხალხი შეეჩვია საქონლის ნაცვლად ფულების აღებას, ბოლოს
სავალდებულო ხელ-შეკრულობის (денежныя обязательства)
მიღებაც იწყო ფულის ნაცვლად და ამ ნაირად გამოსახულო-
ბაში ველარ არჩევდნენ თვით გამოსახულს საგანს· ფული იყო
ნამდვილ საქონლის ნიშანი, კრედიტი-კი—ნიშნის ნიშანი. ვერ-
ცხლსა და ოქროს, ე. ი, ჭეშმარიტს ფულს, ჰქონდა ჩვეულე-
ბრივი საზღვარი, კრედიტისათვის-კი არავითარი საზღვარი არ
არსებობდა, და ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ კრედიტის რაო-
დენობამ, ე. ი. ხელ-შეკრულობისამ, დაჰკარგა ფულის თანა-
ბარი თვისება, არა თუ ფულის—მზა საქონლისაც-კი. ამ გვარს
წესებეში მუდმივსა და დროგამოშვებითს კრიზისებს იწვევდა
ის უტყუარი კანონი, რომლის ძალითაც ინგრევა შენობა, რო-
ცა სიმძიმის ცენტრი არ აწვება დასაყრდნობს წერტილს. რა-
ღაც სრული თვით-ნებობის ძალით მხოლოდ მართებლობა და
მისი წარმომადგენელი ბანკები სარგებლობდნენ ფულის გამო-
ცემის განსაკუთრებულის უფლებით; მაგრამ ყველა, ვინც-კი
ერთი დოლლარითაც არის კრედიტს იძლეოდა, ამავე ზომით
მონაწილე იყო საკრედიტო ნიშნების გამოშვებაშიაც, რომ-
ლებიც ნამდვილ ფულების თანაბრად აღვივებდნენ ფულთა
მოძრაობის საქმეს მომავალ კრიზისამდის. აი ეს საკრედიტო
წესის გაფართოვება და განვითარება ახასიათებს მეცხრამეტე
საუკუნის უკანასკნელ ნახევარს და თითქმის ამითვე აიხსნება
ის განუწყვეტელი სავაჭრო კრიზისები, რომლითაც სახელ-გან-
თქმულია ეს ხანა. როგორც უნდა ყოფილიყო თქვენი უკრედიტო-
ბა არ შეიძლებოდა, რადგან თქვენ არ გქონდათ არც საერო ტ არ(
სხვა რომელიმე საქვეყნო კაპიტალის ორგანიზაცია; ის-ღა
თქვენი ერთად-ერთი საშუალება კაპიტალის შესაგრო

და სამრეწველო საქმეებისაკენ მისაზიდავად. აქედამ ის გამოდის, რომ კრედიტმა უმაღლეს ხარისხამდე გაამწვავა კერძო მრეწველობათა საშიშროება მითი, რომ ხელს უწყობდა მრეწველობის თითოეულს დარგებს ჩაეყლაპა ის ქვეყნის თავისუფალი კაპიტალი, რომლის რაოდენობაც ვერ უსწორდებოდა ამას და ამნაირად ამზადებდა საზოგადო უბედურებას. სავაჭრო გამოწყობანი, რომელთაც არაფერი აბრკოლებდათ კრედიტის მოპოვებაში, მოქმედებდნენ მუდამ სხვის ხარჯზე, იღებდნენ რა ვალად—ზოგჯერ ერთმანეთშივე და ზოგჯერ ბანკთა და კაპიტალისტთაგან. და აი კრედიტის ანაზდეული შეწყვეტა კრიზისის პირველ ნიშნებზედვე აჩქარებდა მას. თქვენი თანამედროვეთა უბედურობა იმაში მდგომარეობდა, რომ თავის საპრეწველო შენობის დასამაგრებელად ისეთ ცემენტებს ხმარებდნენ, რომელიც ყოველ მარჯვე შემთხვევაში ასაფეთქებელ ნივთიერებად იქცეოდა. ისინი იმ კაცებს წააგავდნენ, რომლებიც საკუთარ სახლების აშენებაზე კირის ნაცვლად, დინამიტს ხმარობდნენ და, სწორე გითხრათ, კრედიტის დასახასიათებლად ეს ზედ გამოჭრილი შედარებაა. თუ თქვენ გსურთ იცოდეთ, რამდენად ადვილია ჩემგნით აწერილ სამრეწველო საქმეებში საშიშროებათა აცილება და რამდენად დამოკიდებული იყო განსაცდელი იმისაგან, რომ მრეწველობა კერძო და უწეს-რიგო გამოწყობებს ეკუთვნოდა, საკმაოა დაუკვირდეთ მხოლოდ ჩვენი წეს-წყობილების პრაქტიკას. ზედ-მეტი საქონლის დამზადება მრეწველობის თავისუფალ ცალკე დარგში, ეს თქვენი დროის საფრთხობელა, ახლა შეუძლებელია, რადგან საქონლის წარმოებასა და გაყიდვას შორის თანხმობის გამო „შეძლევა“ ისე ესაბამება „მოთხოვნილებას“ როგორც მანქანა მის მამოძრავებელ რეგულიატორს. წარმოვიდგინოთ თუნდა, რომ შეცდომით ზედ-მეტი დამუშავდა რომელიმე საქონელი, ამის მიზეზით წარმომდგარი განსაზღვრა ან შეწყვეტა წარმოების ამ დარგისა არვის არ ტოვებს უსაქმოდ. თავისუფალი მუშები იმ წამსვე პოულობენ სამუშაოს ჩვენს უზარ-მაზარ სახელოსნოის სხვა-

და-სხვა განყოფილებებში და მხოლოდ სამუშაოს გამოცვლისათვის საჭირო დრო ეკარგებათ. რაც შეეხება საქონლით ბაზრის ავსებას, ამის შიში არ არის, რადგან საერო საქმე იმდენად ფართოა, რომ ზედ-მეტი დამზადებული თითეული ნივთი ყოველთვის შეიძლება გაჩერდეს მანამ, სანამ მოთხოვნილება გაჩნდებოდეს. ეს ჩემი ნათქვამი საეგებიო შემთხვევა საქონლის ზედ-მეტობისა არასოდეს არ იწვევს ჩვენი რთული მანქანის აშლილობას და არ იმეორებს ერთხელ დაშვებულ შეცდომას, როგორც ეს ხდებოდა თქვენს დროს. ცხადია, რა-კი ჩვენ ფული არა გვაქვს, კრედიტიც აღარ არსებობს. ყველა ჩვენს ბიუჯეტებს პირ-და-პირ ჭეშმარიტ ნივთებთან აქვთ საქმე, როგორიც არიან, მაგ.: ფქვილი, ხე, მატყლი და შრომა, რომელთა წარმომადგენელიც თქვენს დროში იყვნენ ფული და კრედიტი, რაც აგრე რევდა თქვენს საქმეებს. ჩვენს ანგარიშებში შეცდომა შეუძლებელია. წლიურ ნაწარმოებისაგან გადაიდება ხოლმე ერის სარჩენად საჭირო რაოდენობა, და განიგება შრომა ერის მომავალ წელში დასაკმაყოფილებლად. გადანარჩენი მასალა და შრომა იმას მოწმობს, თუ რამდენი შეიძლება უშიშრად დაიხარჯოს გაუმჯობესობისათვის. თუ მოსავალი ცუდია, წლიური ზედ-მეტობა ჩვეულებრივზე ნაკლები იქმნება, სხვა არაფერი. ამ ბუნებრივი მოვლენის უმნიშვნელო შემთხვევითს გავლენას გარდა, არაფერი ჩვენი შრომის შემრყევი არ არის. ერის მატერიალური კეთილ-დღეობა შეუწყვეტლივ სჩქეფს თაობიდამ თაობაში იმ მდინარის მსგავსად, რომელიც თან-და-თან ფართოვდება და ღრმავდება.

— მარტო თქვენი სავაჭრო კრიზისები, უფ. ვესტ,—განაგრძო ჩემმა მასპინძელმა,—ყველა სხვა დიდ დანაკარგთა მსგავსად, რომლებიც წინად მოვიხსენიე, თავის-თავად საკმაო იყვნენ, რომ მუდამ მუხრუჭში ყოლოდით გამოჭერილი. მაგრამ თქვენი სიღარიბის ერთი საყურადღებო მიზეზთაგანი უნდა დაგისახელოთ კიდევ—ეს უქმობა საკმაო დიდი ნაწილის თქვენის კაპიტალისა და შრომისა. ჩვენი ადმინისტრაციის მოვალეობაა,

ერთს წუთსაც არ გააჩეროს უქმად ქვეყნის თავისუფალ კაპიტალისა და შრომის ერთი ნამცეციც-კი. თქვენს დროში არც შრომასა და არც კაპიტალს არ ჰყოლია საერთო მეთვალ-ყურე და ერთისა და მეორისაც მომეტებილი წილი ფუჭედ მიდიოდა. კაპიტალიო, ამბობდით თქვენ, „ბუნებით ფრთხილიაო“ და მართლაც დიდი სიბრიყვე იქმნებოდა, სიფრთხილე არ დაეჭირა ისეთს საეგებიო ხანაში, როცა ყოველ გვარ გამოწყობას წარუმართებლობა მოელოდა. არასოდეს არ მომხდარა, რომ დამაკმაყოფილებელს პირობეებში საწარმოო მრეწველობაში ჩაბანდულს კაპიტალს, შესანიშნავად არ ემატნა. დაბანდული კაპიტალის ერთი ნაწილი მუდამ უზომო რყევაში ვარდებოდა თავის რეპუტაციისა და გვარად, ე. ი. რამოდენადაც სამრეწველო გამოწყება მეტ-ნაკლებ მტკიცე და ფართო საფუძველზე იდგა; ასე რომ, საერო წარმოების შემოსავალი სხვა-და-სხვა წელში სხვა-და-სხვაობდა, მაგრამ იმავე მიზეზითვე, რომლითაც განსაკუთრებით დაუდგრომელს ხანებში საქმეში დაბანდული კაპიტალის რაოდენობა ბევრად მცირე იყო, ვინემ რამოდენიმედ უფრო უშიშარს დროებში, მისი მომეტებული წილი მოუხმარებლად რჩებოდა, რადგან გამოწყების რისკი წარმოებაში საუკეთესო ხანებში მაინც კიდევ თვალსაჩენი იყო.

— ერთიც უნდა შევნიშნო, რომ ის დიდი რაოდენობა კაპიტალისა, რომელიც მუდამ მზად იყო საწარმოოდ, საშინლად ამწვავებდა მეტოქეობას კაპიტალისტებს შორის, როცა იწყებოდა რომელიმე თვალ-საჩენი საქმის გამოწყება. კაპიტალის უქმობა, მისი სიფთხილისა გამო, იწვევდა, რასაკვირველია, შესაფერი ზომით შრომის უქმობასაც; ამას გარდა ყოველი ცვლილება საქმის მოწყობაში, ყოველი პაწია შეცვლა ვაჭრობისა ან მრეწველობის მდგომარეობაში, ამ ურიცხვ სავაჭრო კოტრობას რომ კიდევაც თავი დავანებოთ, რაც ყოველ წლივ ხდებოდა საუკეთესო ხანებში, მთელი კვირაობით, თვეობით და თითქმის წლობითაც-კი უმუშევრად აგდებდნენ მრავალ ხალხს. ეს სამუშაოს მძებნელი მრავალი ხალხი შეუწყვეტლივ დაწან-

წალებდა კუთხიდამ კუთხეში და დროს განმავლობაში კარ-და-კარ მოტანტალე ხელობას ადგებოდა და შემდეგ ხომ ავაზაკებადაც ხდებოდნენ.—„მოგვეცით სამუშაო!“ მაღლად ჰგოდღბდა უსაქმო ხალხის გროვა თითქმის ყოველ ჟამს; მუშაობის შეჩერების ხანებში-კი ეს გროვა უეცრივ უზარ-მაზარ გამძვინვარებულ ლაშქარს ემსგავსებოდა, რომელიც სასტიკად ემუქროდა სახელმწიფოს სიმკვიდრეს. განა შეიძლება იმ ფაკტზე მეტი ჯეროვანი დამამტკიცებელი თქვენი კერძო წარმოების წესთა უძლურებისა, რომელი წარმოებაც ერის გამამდიერებელ საშუალებად ითვლებოდა, რომ ამ მომსეერელ სიღატაკისა და ყველაფრის ნაკლებობის ხანაში, კაპიტალისტები ერთმანეთს ახჩობდნენ, რომ თავიანთი კაპიტალისათვის მტკიცე ბინა ეშოვათ? მუშები-კი ამბოხებდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ ყველაფერს სამუშაოს უქონლობის გამო!

— მე გთხოვთ, უფ. ვესტ,—განაგრძო ჩემმა მოსაუბრემ,—ყურადღება მიაქციოთ, რომ დასახელებული მუხლები ააშკარავებენ მხოლოდ ცუდ მხარეებს მრეწველობის საერო ორგანიზაციის უაღრესობისას, აღნიშნენ რა კერძო წარმოების სისტემის უხეირო ნაკლულევანებეებს და საოცარს უძლურებას, რომელთაც უკვე აღარ აქვთ ალაკი ამ საერო ორგანიზაციაში. თქვენ უნდა დამეთანხმოთ, რომ ეს ერთიც საკმაოდ არკვევს, თუ რისთვის არის ერი ახლა უფრო მდიდარი, ვინ ჭმ თქვენს დროში. მაგრამ ჩვენს უმთავრეს უპირატესობაზე თქვენთან შედარებით მე ჯერ სიტყვაც არ მითქვამს. დავიჯეროთ თუნდა, რომ კერძო მრეწველობათა გამოწყების სისტემა არ იტანჯება ჩემგან ჩამოთვლილ აღურაცხელ ნაკლულევანებეებით; რომ მრუდედ მიმართული ენერგიის კარგვა არ იწვევს სიკოტრეს, რომელიც წარმოსდგება მოთხოვნილებასთან შეუფერებლობისა და იმ უეიცობისგან, რომ არ შეუძლიათ ერთი რამ აზრი შეადგინონ მთელს მრეწველობაზე; დავუშვათ თუნდა, რომ მეტოქეობა არ მოუძლურდა და არ იწვევს უსარგებლო აუტანელს მღელვარებას; დავუშვათ აგრეთვე, რომ განსაცდელნი და კრიზისები

ეპრობაში სიკოტრისა და მრეწველობის ხანგრძლივ „შეჩე-
ბების“ გამო, და აგრეთვე კაპიტალისა და შრომის უქმობა
არ იძლევიან არავითარს ზიანსა და ზარალს; დავუშვათ უკანა-
�, რომ მთელი ეს ბოროტება აუკილებელი კერძო
კაპიტალის მრეწველობაში, რაიმე სასწაულ-მოქმედებით აკი-
ლებულ იქმნა ძველი წესების დაცვით — მაინც კიდევ შეუდა-
ებელი იქმნებოდა უპირატესობა იმ შედეგისა, რომელსაც
ძლევა საერო მეთვალ-ყურეობის ახალი სამრეწველო სისტე-
ბა. თქვენს დროშიაც-კი იყო რამდენიმე კარგა მოზრდილი
ქსოვი ფაბრიკები, თუმცა, ეჭვი არაა, ჩვენი დროის ფაბრი-
კებს ვერ შეედრებოდნენ. უეჭველია შეგხვდებოდათ იმ დიდ
ქსოვ ქარხნებში ყოფნა, რომელთაც რამდენიმე ქცეობით
ბეწები ეჭირათ და ათასობით მუშები ჰყავდათ და ერთ ჭერ
ქვეშ, ერთის მეთვალყურეობით ასრულებდნენ ასამდე სხვა-და-
სხვა წარმოებას; მაგალითად, იმისათვის, რომ საპალნე ბამბი-
დამ გამოეყვანათ საპალნე ბრჭყიალა კალენკორი. თქვენ აღ-
ტაცებაში მოდიოდით თქვენის შრომისა და მეხანიკურის ძალის
დიად ეკონომიით, რომელიც წარმოსდგებოდა ხელებისა და
მანქანების ხელოვნურ ურთიერთობისაგან. თქვენ უთუოდ და-
გებადებოდათ ის აზრი, თუ რამდენად ნაკლებს შექმნიდა ეგე-
ვე მუშის ძალა ფაბრიკაში მოხმარებული დაქსაქსულის მუშაო-
ბით, თითეულ მუშის სრულ დამოუკიდებელ პირობებში. ალ-
ბათ გადაჭარბებულად გეჩვენებათ, როცა გეტყვით, რომ ამ
დაქსაქსულად მომუშავეთა ნაწარმოებმა მუშების შესაძლებელ
თანხმობით ერთმანეთში, მოიმატა არა რამდენიმე პროცენტით,
არამედ რამდენჯერმე, რა-კი შრომის ორგანიზაცია მოექცა
ერთის მეთვალყურის ზედამხედველობაში. როცა ამ ორგანი-
ზაციის ყველა პროცესსები ერთი მეორედამ გამომდინარეობენ,
თვით იმ უდიდეს წარმოებასთან შედარებით, რომელიც ძველ
წესებში იყო შესაძლო, — სახეში რომ არ მივიღოთ ზემოდ
დასახელებული თქვენი ოთხი საკმაოდ საყურადღებო ზარალთა
წყარო, — გააძლიერა საზოგადო წარმოება იმ ხარისხამდე რა

ხარისხამდეც აიწია საფაბრიკო საქმეთა წარმოება შრომის კოოპერატიულს წესებში. საერო მუშათა ძალის ნაყოფიერება კერძო კაპიტალის ათას—თავთა წინამძღოლობით, მტრობაც-კი რომ არ არსებულიყო ამ ხელ-მძღვანელთა შორის, მასთან შედარებით, რასაც ის აღწევს შეერთებული ორგანიზაციის დროს, შეიძლება დავადაროთ სამხედრო ძალას ბარბაროსთა ჯარისას ათასობით წვრილმან მეუფროსეთა წინამძღოლობით, შედარებით გაწვრთნილ ჯარის ძალასთან ერთის გენერლის გამგეობის ქვეშ—თუნდა მაგალითად საომარ წყობილებასთან გერმანელთა ჯარისა მოლტკეს დროს.

— მას შემდეგ, რაც თქვენ მიამბეთ,—მივუგე მე,—ის-კი არ მიკვირს, რომ ერი ახლა უმდიდრესია, არამედ ისა, რომ ყველა კრეზებად *) არ იქცა.

— ცხოვრება ჩვენ ახლა სასიამოვნო გვაქვს,—შემნიშნა დოქტორმა ლიტმა.—ჩვენი ცხოვრების სახე იმდენად მდიდრულია, რამდენადაც ის ჩვენთვის სასურველია. გარეგანს პრან-

---

*) კრეზი იყო ძველის ძველ დროში აღმოსავლეთის მდიდარი მეფე, რომელმაც თავისი სამაგალითო დიდება აჩვენა საბერძნეთის დიდებულს ბრძენს სალონს და ჰკითხა: „ვინ არის ამ ქვეყანაზე უბედნიერესი კაცი?“ კრეზი დარწმუნებული იყო, რომ ბრძენი თვითონ კრეზს უწოდებდა უბედნიერესათ კაცთა შორის, მაგრამ ძლიერ მოსტყუვდა, ბრძენმა სულაც არ მიაქცია ყურადღება, კრეზის აუარებელ სიმდიდრეს და უპასუხა: „სიკვდილამდე ბედნიერი არავინ არ არისო“. ეს სიტყვები მალე აუსრულდა კრეზს ის დაიპირა სპარსეთის დიდებულმა მპყრობელმა კირმა და თავისივე თვალებით დაანახვა თავისი სიმდიდრის არა რაობა. სასიკვდილოთ გამზადებულმა კრეზმა მხოლოდ ჯალათს დანას ქვეშ მოიგონა ბრძენის სიტყვები და გამწვავებულმა შესძახა: „სალონ! სალონო!“ კირმა შეაჩერებია კრეზის დასჯა დ ჰკითხა ამ მისთვის გაუგებარი სიტყვების მნიშვნელობა: კრეზმაც უამბო სალონის სიტყვები. კირმა შეიბრალა კრეზი და სიცოცხლე აჩუქა. აი, ეს აღმოსავლეთის სამაგალითო მდიდარი ყველა ერების ლიტერატურაში არსებითი სახელად გარდაიქცა და როცა კაცის სიმდიდრე უნდა გამოხატონ ამბობენ კრეზიანო და სხვა..

მთარგმნელი.

ჯობაში ერთმანეთთან მეტოქეობას, რასაც თქვენ ფლანგაობამდის მიჰყავდით და რაც ვერაფერს კმაყოფილებას მატებდა თქვენს ცხოვრებას, ალაგი არ აქვს ჩვენს საზოგადოებაში, რომლის თითეული წევრი თანაბარს შემოსავალს იღებს; ჩვენ ჰარტო იმ საგნებით ვკმაყოფილდებით, რომელნიც მართლა სიამოვნებას ჰფენენ ჩვენს ცხოვრებას. შეგვეძლო თითეულ ჩვენკანს მეტი შემოსავალი გვქონოდა, რომ ყველა ზედ-მეტი ნაწარმოები გაგვეყო; მაგრამ ჩვენ უმჯობესად დავინახეთ საზოგადო საქმეებს და სიამოვნებას მოხმარებოდა ის—რაშიაც ყველა ერთნაწილია,—საზოგადო დარბაზებს და შენობებს, სამხატვრო კამოფენებს, ანდრიატეებს, ხიდებს, გზებისა და მისვლა-მოსვლის გაუმჯობესებას, ქალაქების გამშვენიერებას, კონცერტებს და თეატრალურ წარმოდგენებს, რადგან ჩვენი ზრუნვა სახალხო გართობებზე მეტად რთულია. თქვენ ჯერ კიდევ არ იცით, ვესტ, როგორ ვცხოვრობთ ჩვენ. ოჯახური ჩვენი მოწყობილება საკმაო კმაყოფილების საზღვარს არ სცდება, მაგრამ ჩვენი არსებობის ელვარება, რაც ყველასათვის მისაწვდენია, ჰართო საზოგადო ცხოვრებაში ახატება. როცა ყველა ამას დაწვრილებით გაიგებთ, მიხვდებით, თუ „სად მიდის ეს ფულები“, როგორც თქვენს დროში ხმარობდნენ ამ სიტყვებს და, იმედი მაქვს, დაგვეთანხმებით, რომ ჩვენი ქცევა ამ შემთხვევაში სამართლიანია.

— მე ვფიქრობ,—მეუბნებოდა ის, როცა საზოგადო სასადილოდამ შინისაკენ გამოვბრუნდით,—არაფერი არ იყო ისეთი შეურაცხმყოფელი თქვენი დროის იმ კაცთათვის, რომელნიც მუხლებს იდრეკდნენ ფულის წინაშე, როგორც ის შენიშვნა, რომ მათ ფულის შეძენის უნარი არ აქვთ. და აი სწორედ ეს განაჩენი წარმოსთქვა მათ შესახებ ისტორიამ; და ამ დაქსაქსულისა და მეტოქური წარმოების წესი იმდენად ბრიყვული იყო ეკონომიურის მხრით, რამდენადაც საზიზღარი ზნეობრივის მხრით. ანგარება იყო ერთად-ერთი მხსნელი იმ დროში, და საბრეწველო წარმოებისათვის ანგარება—თვით-მკვლე-

ლობაა. მეტოქეობა, რომელიც ანგარების ინსტიქტისაგან გამო-მდინარეობს, მხოლოდ სხვა სახელ-წოდებაა ძალის დაქსაქსულად ხმარებისა, როცა რომ ამ ძალის შეერთებაში მარხია წაღ-მართი წარმოების მთელი საიდუმლოება, და მხოლოდ მას უკან, რაც პირად ქონების მატების აზრმა ადგილი დაუთმო საზოგადო სიკეთურებას გაძლიერების აზრს, მხოლოდ მას უკან გახდა შესაძლო ჭეშმარიტი სამრეწველო გაერთიანება დამკვიდრებულიყო და სიმდიდრის ნამდვილი შეგროვება დაწყებულიყო. თუნდა რომ ყველას ქონებრივად გათანასწორების პრინციპი არ ყოფილიყო საზოგადოების ერთად-ერთი ადამიანური და გონივრული საფუძველი, ჩვენ მაინც დავიცავდით მას, როგორც უფრო სასარგებლო პრინციპს ეროვნულ-ეკონომიურს საქმეში, რადგან ჩვენ ვხედავთ, რომ ჭეშმარიტი თანაზიარი წარმოება შეუძლებელია იმ დრომდე, სანამ არ აღმოფხვრილ გამხრწნელი გავლენა ანგარებისა.

თავი XXIII

საღამოს, როცა მე და იუდიფი საკონცერტო დარბაზში ვისხედით და დღევანდელ სიიდამ ზოგ ჩემთვის საინტერესო სიმღერებს ვისმენდით, ვისარგებლე ერთი ანტრაქტით და მივუბრუნდი იუდიფს:

— თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს, მაგრამ ვშიშობ ვაი თუ უადგილოდ ჩამომართოთ ის.

— დარწმუნებული ვარ ასე არ იქმნება,—გამხნევებით შემნიშნა მან.

— მე სწორედ იმ ადამიანის მდგომარეობაში ვარ, რომელიც იდუმალად ისმენს სხვის საუბარს და რომელიც იმდენად ჰკადნიერდება, რომ სთხოვს მოლაპარაკეს ამ საუბრის განგრძობას.

— იდუმლად ისმენს? — შეცბუნებით შემეკითხა იუდიფი.

— დიახ, მაგრამ, რომელსაც გასამართლებელი მიზეზი ქვს, რაზეც, იმედი მაქვს, თქვენც დამეთანხ ებით.

— ეს მეტის-მეტად ამიცანურია, — შემნიშნა მან.

— მართალია, იმდენად ამიცანურია, რომ მე არა ერთ-ელ შევეკვებულვარ, მართლა გავიგონე ის, რაზეც მინდა კითხოთ, თუ ეს მხოლოდ ასე მგონია, და მეც ამის ახსნას თხოვთ. ი საქმე რაშია: როცა ჩემი ასის წლის ძილისაგან ღვიძებდი, პირველი ჩემი შეგნებული შთაბეჭდილება იყო ემს გვერდით მოლაპარაკე ადამიანთა ხმები, რომლებშიაც მას უკან ვიცანი თქვენი მამის, დედის, და თქვენი საკუთარი ხმე-ი. ყველაზე წინ მამა თქვენის ხმა მახსოვს, რომელიც ამბობ-და: „ის ახლავე გაახელს თვალებს. კარგი იქმნება პირველად ერთი ჩვენგანის მეტს არვის ნახავდეს“. ამაზე, თუ ეს სიზმა-ი არ ყოფილა, თქვენ უთხარით; „მაშ აღმითქვი, რომ არ ეტყვი მას“ მამა თქვენი როგორღაც ყოყმანობდა ამ აღთქმის ბიცემას, მაგრამ რა-კი თქვენ დაიჟინეთ და დედა თქვენიც მო-ეკვეთროთ, მან მოგცათ ის აღთქმა და, როცა თვალი გავახილე, ბარტო ის დავინახე.

მე გულწრფელად ვიქვნეულობდი ჩემგნით გაგონილი ბაა-ის სინამდვილეში — იმდენად საოცარი იყო ჩემთვის ისა, რომ ბათ ისეთი რამ იცოდნენ ჩემზე, ამ მათს წინაპართა თანამედრო-ეზე, რაც თითონ მე არ ვიცოდი. მაგრამ სიტყვების შთაბეჭ-დილებამ იუდიფზე დამარწმუნა, რომ ეს სიზმარი-კი არა, არა-ქედ რაღაც სულ სხვა ახალი საიდუმლოება იყო, კიდევ უფრო ფაფარული, ვინემ ყველა ის, რაც აქამდე გადამხედოდა; ეს გავი-ვე იმისაგან, რომ იუდიფს საშინელი მღელვარების ნიშნები დაეტყო, როგორც-კი ჩემი კითხვის მიზანი აიხსნა. მისი მუდამ ერამს გაბედულად გამომცქერალი, პირ-და-პირ გამომეტყველი თვალები, გაფოცებით დაეშვნენ ძირს ჩემს შეხედვაზე და მთე-ლი მისი სახე-კი მოიცო ნათელმა სიწითლემ.

— მომიტევეთ, — წარმოვთქვი მე, როგორც-კი გამოვერ-

კვიე მღელვარებისაგან, რომელიც გამოიწვია ჩემში ჩემი სიტ
ყვების მოულოდნელ შთაბეჭდილებამ მასზე.—მაშ ეტყობა, ეს
სიზმარი არ ყოფილა? აქ რაღაც ჩემი შესახები, მაგრამ ჩემგან
დაფარული საიდუმლოებაა, მართლაც და, განა ეს რამოდენი
მედ სასტიკობად არ ჩაითვლება, რომ ჩემს მდგომარეობაში
კაცმა ყველა თავის შესახები ცნობები ვერ მიიღოს?

— ის თქვენ არ ეეხებათ, ე. ი. თქვენთან პირ-და-პირ
კავშირი არ აქვს. აქ თქვენი შესახები არაფერია,—ძლივს გასა
გონად მიპასუხა მან.

— მაგრამ რამდენიმედ მაინც მეხება უთუოდ,—დავიჟინ
მე,—ის ალბათ ისეთი რამეა, რის ცოდნა ჩემთვისაც საინტე
რესოა.

— არც ამას ვფიქრობ,—მომიგო მან და შეპარვით გად
მომხედა, მიუხედავად მისა, რომ აშფოთებული იყო და ველან
იკავებდა ღაწვებზე გამომკრთალ რაღაც გამოცანურ ღიმილს.—
არ მწამს, რომ ის თქვენთვის საინტერესო იყოს.

— მამა თქვენი მეტყოდა მას,—დავიჟინე საყვედური
კილოთი,—მაგრამ თქვენ დაუშალეთ. მისი აზრით, ჩემთვის სა
ჭირო იყო ამისი ცოდნა.

მან არა მიპასუხა-რა. ამ შემკრთალს მდგომარეობაში ი
ისეთი მშვენიერება იყო, რომ მოვინდომე განმეგრძო მისი ასე
თი მდგომარეობა და დაჟინებით ვთხოვდი ჩემი ცნობის-მოყვა
რეობის დაკმაყოფილებას.

— მაშ ვერასოდეს ვერ გავიგებ? არასოდეს არ მეტყვით

— ეს დამოკიდებულია.... მიპასუხა მან დიდ ხნის სიჩუმი
უკან.

— რაზე? წამოვიძახე სურვილით აღტაცებულმა,

— ოხ, თქვენ მეტად ბევრს თხოულობთ,—შემნიშნა მან
შემდეგ გამისწორა რა თავისი მომდიმარე სახე, გამოცანური
თვალებით და ანთებულის ლოყებით—ეს შესისხლ-ხორცებუ
ლი მომხიბლველი მშვენიერება—დაუმატა:—რას იტყვით, რო
გითხრათ, ის დამოკიდებულია სახელდობ თქვენზე.

— ჩემზე! როგორ შეიძლება?

— უფ. ვესტ, მშვენიერ მუსიკას ვაკლდებით, — ეს-ღა მიპასუხა მან ამაზე და მიბრუნდა ტელეფონისაკენ, რომელსაც შეეო თუ არა თითით, ჰერი შესძრა ხმათა ღელვამ. ამის შემდეგ ის ყოველსავე ღონეს ხმარობდა, რომ მუსიკას დაეშალა ჩვენ-ოვის საუბრის გაგძელება; გაიბრუნა ჩემგან სახე და მაჩვენებდა ოავს, თითქო არიებითაა გატაცებულიო. მაგრამ ეს რომ უბრალო თვალთ-მაქცობა იყო, ცხადად ამტკიცებდა მის ლოყებზე ნთებული ალმური. დაბოლოს, როცა მან წარმოსთქვა ის აზრი, რომ მე, უეჭველია, საკმაოდ ვისიამოვნე მუსიკით, და ოვდექით დარბაზიდამ გამოსასვლელად, მომიახლოვდა და თავდახრით მითხრა: უფ. ვესტ, თქვენ ამბობთ, რომ ვითომც მე თქვენდამი გულ-კეთილობა გამომეჩინოს. განსაკურებული გულ-კეთილობა ჩემის მხრით არა ყოფილა-რა, მაგრამ თუ თქვენი აზრი ასეთია, ერთი რამ უნდა აღმითქვათ — რაზედაც თქვენ ამ ალამის მთხოვეთ, არ ეცადოთ მის გაგებას არც ჩემგან და არც სხვა ვინმესაგან ჩემს გარდა, მაგალითად მამის ან დედისაგან.

ასეთს თხოვნაზე მხოლოდ ეს-ღა შემეძლო მეპასუხნა:

— მომიტევეთ, რომ გაწყენინეთ. რასაკვირველია, გაძლევთ ამ აღთქმას. — როგორ გავბედავდი მეთხოვა იმ „საიდუმლოს“ გამჟღავნება, თუ მეფიქრა. რომ ეს თქვენი საწყენი იქმნებოდა. მაგრამ ცნობის-მოყვარეობისათვის ხომ არ მიჯავრდებით?

— სრულებითაც არა.

— და ოდესმე-კი, თუ არ დაგიჟინებთ, თქვენ თითონ მეტყვით. შემიძლია ეს იმედი ვიქონიო?

— შესაძლოა, — ჩაიჩურჩულა მან.

— მხოლოდ შესაძლო?

— მან გასწვრივ შემომხედა სახეზე მოკლე, ღრმა გამომეტყველებით.

— დიახ, — მითხრა, — ვფიქრობ, ოდესმე შესაძლოა მოხდეს, რომ გითხრათ.

ამაზე შეწყდა ჩვენი საუბარი, რადგან მეტი არაფერი მათ ქმეკინა.

არ ვფიქრობ, რომ ამ ღამეს თვით პილსბერსაც არ გასჭირებოდა ჩემი დილამდის დაძინება. არა, რამდენი უცნაური გამოცანები არ წარმომიდგა იმ უკანასკნელ ხანებში, მაგრამ ამაზე უფრო გაუგებარი და წამტაცი არა შემხვედრია-რა, რომლის ახსნის ნებაც-კი წამართო იუდიფმა. ეს ორ გვარი გამოცანა იყო. პირველად, არ მესმოდა საიდამ შეეძლო მას ჩემი რაიმე საიდუმლოების ცოდნა, ამ სხვა საუკუნიდამ გამოტყვრენილი კაცის? მეორედ, ვთქვათ თუნდა, რომ მან იცოდა კიდევაც ასეთი საიდუმლო, რითი-ღა აიხსნება ის მღელვარება, რომელსაც, ეტყობოდა, ეს ცოდნა იწვევდა მასში? არიან ისეთი ძნელი გამოცანები, რომ შორეულს კვალსაც ვერ მოუძებნის ადამიანი; სწორედ ესეც ერთი იმათგანი იყო. მე საზოგადოდ მეტად პრაქტიკული კაცი ვარ, რომ გამოცანების ახსნაზე ბევრი დრო დავკარგო. მაგრამ ეს თილისმური გამოცანა, მშვენიერს ახალგაზდა ქალად ხორც-შესხმული, დაუძლეველი გახდა. საზოგადოდ, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ახალგაზდა ქალის სახეზე ავარდნილს სიწითლეს ერთნაირს მნიშვნელობას აძლევდა ყველა დროისა და ხალხის ახალგაზრდობა; მაგრამ იუდიფის გაელვარებულს ლოყებსაც რომ ეგვეე მნიშვნელობა მივცეთ, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩემს მდგომარეობას და ასე მოკლე ხნის ნაცნობობას და უმეტესად-კი იმ ფაქტს, რომ ეს საიდუმლო ეკუთვნოდა იმ დროს, როცა სრულებით არ ვიცნობდი მას, სწორედ უკიდურესი კადნიერება იქმნება. როგორც უნდა იყოს, ის ემსგავსებოდა ციურ ანგელოზს და მე რაღა ახალგაზრდა ვიქმნებოდი, რომ ჩემს გონებასა და სალს მსჯელობას შესძლებოდა ჩემი ამაღამის სიზმრებისათვის ვარდის ფეროვნება გამოეტაცნათ.

თავი XXIV

დილით აღრე ჩავირბინე ძირს იმ იმედით, რომ იუდიფს ბარტოკას ვნახავდი, მაგრამ იმედმა მიმტყუნა. რა-კი სახლში ვერ ვნახე, ბაღში მოვეძებნე, მაგრამ არც იქ იყო. ამ ხეტიალში ვემს მიწურ ოთახში შევედი და დავისვენე. საწერს სტოლზე ეხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთები ეყარნენ. გამოსვლისას თან ეამოვიღე ერთი გაზეთი იმ აზრით, რომ იქმნება ჩემი მასპინ-ძლისათვის საინტერესო ყოფილიყო 1887 წლის ბოსტონის გაზეთის გადახედვა. საუზმეზე იუდიფი ვნახე. ჩემს დანახვაზე ეახე აუპილპილდა, მაგრამ თავი თამამად ეჭირა. სუფრაზე ლიტი ჩემს მიტანილ გაზეთს ათვალიერებდა. მასში, როგორც ყველა იმ დროინდელ გაზეთებში, ხშირი იყო მუშათა ამბოხე-ბის ამბები.

— მართლა,—დავიწყე მე, როცა მან წაგვიკითხა ხმა მაღ-ლა ზოგი წერილები,—ვისი მხარე დაიჭირეს „წითლებმა“ წეს-წყობილების შეცვლის დროს? როგორც დაბოლო ხანებიდამ ეიცი, ესენი შესამჩნევად ღელავდნენ.

— მათ აქ არაფერი შეეძლოთ, რასაც ხელს არ შეუშლი-ღნენ,—მიპასუხა ლიტმა.—მათი მსჯელობა უსიამოვნო შთაბეჭ-დილებას ჰგვრიდა საზოგადოებას. ყველა ქვეყნებსც შორის, მარ-ტო შეერთებულ შტატებში, არც ერთს დასს არ ჰქონია საფუ-ძველი თავის აზრების გასაყვანად, სანამ ეროვნულ უმრავლე-ობას არ მიიმხრობდა ამ აზრებში, როგორც ნამდვილადაც იქცეოდა ეროვნული დასი.

— ეროვნული დასი!—წამოვიძახე მე.—ის ალბათ ჩემს შემ-დეგ შედგა. ეს უთუოდ ერთი მუშათა დასთაგანი იქმნებოდა.

— ოჰ, არა,—გამისწორა მან.—მუშათა დასს არაფრის ეკეთება არ შეეძლო ასე რთულად ან მკვიდრად. ეროვნული ჰორიზონტის გამოსაცნობად მათი ძირითადი კანონი, რომელ-ზეც აზრად ჰქონდა უბრალო ასსოციაციათა ორგანიზაცია, მეტად

ვიწრო იყო. მხოლოდ დაებადათ ნუგეში, რომ ცვლილება შეს-
ძლო იქმნებოდა, როცა სამრეწველო წესის შეცვლა საჭიროო
სცნეს უმაღლეს ზნეობრივ საფუძველზე არა ერთ რომელსაც
წოდებისათვის, არამედ თანაბრად ყველა წოდებათათვის; მდ
დართა და ღარიბთა, ნასწავლთა და უმეცართა, მოხუცთა დ
ყმაწვილთა, სუსტთა და ძლიერთა, მამა-კაცთა და დედა-კაცთ
თვის. მაშინ ეროვნულ დასმა იწყო ამის სისრულეში მოყვან
პოლიტიკის შემწეობით. სახელი ეროვნული ალბათ იქიდ
დაერქვა, რომ მას მიზნად ჰქონდა ეროვნული ხასიათი მიეც
წარმოებისა და შემოსავლის განაწილებისათვის მოქალაქეთ
შორის. მართლაც და სხვა სახელი არც მიუდგებოდა მას, რაც
გან მისი განზრახვა იყო ხორცშესხმა ეროვნულ იდეებისა
თვის დიდებულად და დასრულებულად, რაც დღემდე არასო
დეს არ მომხდარა, არა ხალხის ასოციაციის მსგავსად, რომ
ლიც მარტო პოლიტიკურ მიზანს მისდევდა და რომელსაც
შორეული დამოკიდებულება ჰქონდა მათს ბედნიერებასთან
არამედ მსგავსად ოჯახისა, ორგანიულის გაერთიანებისა, საერ
თო ცხოვრებისა, ცაზე მიბჯენილის მძლავრის ხისა, რომლ
ფოთლებიც წარმოადგენენ ხალხს, რომელიც იკვებება მის
ფესვებით და თავის რიგზე კვებავს მთაც. ის იყო ყველ
დასებზე უპატრიოტესი გრძნობებით აღჭურვილი და საქმე
ცდილობდა დაემტკიცებია თავისი პატრიოტობა და ასწია ი
კიდევაც ინსტიტუტის საფეხურიდამ გონივრულ ერთგულობ
ხარისხამდე, გარდაჰქმნა რა სამშობლო დედა-სამშობლოდ; ე
დედა-სამშობლო შეიქმნა თაყვან-საცემი კერპი ხალხისათვის
რომელიც მზადაა მისთვის სიკვდილს შეეჯახოს; მაგრამ ნაცვ
ლად ისიც სიცოცხლის მომნიჭებელი გახდა ამ ხალხისათვის.

თავი XXV

ცხადია, რომ იუდიფ ლიტს ძლიერი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ჩემზე მას შემდეგ, რაც ასე უცნაურად გავჩნდი მისი მამის ოჯახში. ადვილი მისახვედრია, რომ ყველა ამ უკანასკნელ შემთხვევებს შემდეგ, უფრო ეკუთვნება მას ჩემი ფიქრები, ვინემ აქამდე. ჯერ კიდევ თავიდამვე დამატყვევა მე მისმა უბიწო გულწრფელობამ, მისმა სიწმინდისა და სიმართლის გამომეტყველმა სახემ, რომელიც კეთილსა და უმანკო ბავშვს უფრო მაგონებდა, ვინემ ახალგაზდა ქალს. ცნობის მოყვარეობამ მძლია გამეგო, თუ რამდენად მისი ბუნების პირად თვისებებს შეადგენდნენ ეს მომჯადოებელნი ღირსებანი და რამდენად შესაძლო იყო, რომ ესენი შედეგი ყოფილიყო ჩემის დროის შემდეგ შეცვლილის დედა-კაცთა სოციალურის მდგომარეობისა.

შემთხვევა მომეცა, როცა მე და უფალი ლიტი მარტონი შევრჩით ბაასს, შეეხებოდით ამ საგანს.

— დედა-კაცები ახლა, ალბათ, მთლად თავიანთ მშვენებასა და სილამაზეზე ფიქრობენ, რა-კი განთავისუფლდნენ ოჯახურ მზრუნველობისაგან, — დავიწყე მე.

— რაც შეგვეხება ჩვენ, მამაკაცებს, — შემნიშნა მან, — საყვედურსაც ვერ გაიგონებდით ჩვენგან, ისინი რომ, თქვენი სიტყვებით ვიტყვი, მართლაც მთლად ამაზე ფიქრობდნენ; მაგრამ შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ქალები იმდენად უგნურნი არ არიან, რომ მათ საზოგადოების კეთილ-მოწყალებით ისარგებლონ მარტო იმიტომ, რომ ისინი მისი მამშვენებელია. მართალია, დედა-კაცები დიდის აღტაცებით მიეგებნენ ოჯახურ შრომისაგან განთავისუფლებას, მაგრამ არა მარტო იმიტომ, რომ ეს შრომა თავის-თავად მოსაწყენი იყო, არამედ იმიტომაც, რომ ამ შრომაზე დიდი ჯანი და სიმხნე იღუპებოდა. მათ მაოლოდ იმ პირობით გააცხადეს უარი ასეთს შრომაზე, რომ შეძლებო-

დათ მონაწილეობა მიეღოთ უფრო სასარგებლო, უფრო სასი-
მოვნო სახის შრომაში—საერთო საკეთილ-დღეოდ. ჩვენი დედა-
კაცები მამა-კაცებსავით სამრეწველო ჯარს ეკუთვნიან და გამო-
დიან მისი რაზმიდამ მხოლოდ მაშინ, როცა ამას აიძულებს
მათ მათი დედობრივი მოვალეობა. საშუალი რიცხვით, თითეუ-
ლი დედა-კაცი თავის სიცოცხლის სხვა-და-სხვა დროს, 5—15
წლამდე მსახურებს სამრეწველო ასპარეზზე, უშვილოები-კ
სრულს ვადასაც ასრულებენ.

— ნუ თუ გათხოვების შემდეგაც აღარ ტოვებენ სამსა-
ხურს?—ვკითხე მე.

— მამა-კაცებიც ხომ არ ტოვებენ მას ცოლის შერთვის
უკან,—მიპასუხა მან.—ახლანდელ დროში ქმრიანი ქალები თავი-
სუფალნი არიან ყოველგვარ საოჯახო საქმეებისაგან და ქმარი-
კი არაფერი ძუძუ მწოვარა ბავშვია, რომ განსაკუთრებულ მოვ-
ლას თხოულობდეს.

— ჩვენი დროის განათლების ცუდ მხარედ ჩაითვლებოდ-
ისა, რომ მეტად ბევრ შრომას ვთხოულობდით დედაკაცები-
საგან.—შევნიშნე მე;—მაგრამ, ჩემი აზრით, თქვენ უფრო მეტს
თხოულობთ მათგან.

ჩემს მოსაუბრეს გაეცინა.

— მართალია, ჩვენ მათგან იმასვე ვითხოვთ, რასაც მამა-
კაცებისაგან, მაგრამ მაინც კიდევ მეტად ბედნიერნი არიან, რო-
ცა რომ მეცხრამეტე საუკუნის დედა-კაცები, თუ იმ დროის
ისტორიკოსები არ გვატყუებენ,—ღრმა უბედურნი იყვნენ. თუ
თანამედროვე დედა-კაცი მამა-კაცთან თანასწორი უფლებისა
შრომაში და ამასთან ბედნიერიცაა, ამის მიზეზი ის არის, რომ
საზოგადოდ, როგორც დედა-კაცის, ისე მამა-კაცის შრომის
შესახებ ჩვენ ვადგივართ ერთნაირს პრინციპს—მიეცეს თითეუ-
ულს ის სამუშაო, რომელიც მას უფრო ეადვილება. რადგან
დედა-კაცი უფრო სუსტია ფიზიკურად მამა-კაცზე, ეს მუდამ
სახეში აქვთ, როცა მისთვის სამუშაოს ირჩევენ ან ამ მუშაო-
ბის პირობებს უდებენ. უფრო სამძიმო სამუშაოები მამა-კაცზე

ანდობილი, უადვილესი-კი დედა-კაცზე. არას შემთხვევაში დედა-კაცს უფლება არა აქვს ისეთს საქმეს ჩასჭიდოს ხელი, რომელსაც მისი ძალ-ღონე ვერ გაწვდება, ან რომელიც თავის პირობებით შეუფერებელია მისის სქესისათვის. ამასთან დედა-კაცთათვის სამუშაო საათები ბევრად უმოკლესია. მათ მეტი მოყვენება ეძლევათ. ჩვენი დროის მამა-კაცებს შეგნებული აქვთ, რომ დედა-კაცების სილამაზე და სიკეკლუცე მათი არსებობის მარილია, ყველა მათი მოქმედების ბურჯია, და, თუ ქალებს შრომას არ უშლიან, მხოლოდ იმიტომ, რომ ასატანი შრომა სრულს ჭასაკში სულსაც რგებს და ხორცსაც. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ის შესახარბელი ჯანმთელობა, რომლითაც ჩვენი დედა-კაცები გაირჩევიან თქვენი დროის სნეულ დედა-კაცთა-გან, უნდა მიეწეროს სხეულისა და სულის გამამაგრებელს საღს შრომას.

— თქვენა თქვით,—შევნიშნე მე,—რომ მუშა ქალები ეკუთვნიან სამრეწველო ჯარს; განა შეიძლება შრომის ასეთს სხვა და-სხვა პირობებში ერთნაირი სისტემა წეს-რიგისა (დისციპლინა)?

— დედა-კაცები სულ სხვა წეს-რიგს ექვემდებარებიან,—ვანაგრძო მან,—და მშველელს ჯარს უფრო წარმოადგენენ, ვინემ მამაკაცთა ჯარის განუშორებელს ნაწილს.

მათ ჰყავთ თავიანთი მთავარმართებელი დედა-კაცი და საზოგადოდ დედა-კაცთა გამგეობას ექვემდებარებიან. მთავარ-მართებელს, როგორც აგრევე უფროს აფიცრებს ირჩევენ ვადა-დამსახურებული დედა-კაცები იმ წესზე, რა წესზეც მამა-კაცთა ჯარის უფროსებსა და ერის პრეზიდენტს ირჩევენ.

დედა-კაცთა ჯარის მთავარ-მართებელს პრეზიდენტის კაბინეტში აქვს ალაგი და ეკუთვნის veto (გადამწყვეტელი ხმა) ქალთა შორის შესახებს კითხვებში და კონგრესისაგან გადაუწყვეტელ აპპელაციებში. სამსაჯულო საქმეებში დედა-კაცები

მამა-კაცებსავით მათის მთავარ-მართებლისაგან ეძლევიან პასუხის-გებაში. როცა საქმეში ორივე მხარე დედა-კაცია, მსაჯულებადაც დედა-კაცები გამოდიან; ხოლო თუ საქმე ორივე სქესს ეხება, მაშინ ორივე სქესის მსაჯულები ადგენენ განაჩენს.

— ამ თქვენს ორგანიზაციულს წესებში დედაკაცთა სქესი ისე გამოდის, როგორც სახელმწიფო სახელმწიფოში,— შევნიშნე მე.

— რამოდენიმედ ასეა-კი.—განაგრძო ლიტმა.—მაგრამ უნდა დამეთანხმოთ, რომ ასეთ შინაურ სახელმწიფოსაგან ერს არავითარი განსაცდელი არ მოელის. თქვენი საზოგადოების ერთი შეცდომათაგანი ის იყო, რომ სქესთა შორის პიროვნულს (ინდივიდუალურს) განსხვავებას არ ცნობდა. მამაკაცთა და დედა-კაცთა შორის ურთიერთული მიზიდ-ულება ხშირად უშლიდა მათ გაერჩიათ, თუ რამდენად უცხონი არიან ერთმანეთისათვის ბევრს რასმეში ორივე სქესი; არის ისეთი საგანი, რაშიაც თითეული მათგანი მარტო თავის სქესს თანაუგრძნობს. მხოლოდ მაშინ შეიძლება მივაღწიოთ იმას, რომ ორივე მხარე თავის-თავის კმაყოფილი იყოს და ამასთან გამტკიცდეს ურთიერთული დამოკიდებულების მშვენება; როცა სრულს თავისუფლებას მივანიჭებთ თითეულს სქესს მათი განსაკუთრებული თვისებების გამოსაჩენად და არა მითი, რომ მოუსპოთ ისინი, როგორც თქვენი რეფორმატორები იქცეოდნენ. თქვენს დროში დედა-კაცები მათი ბუნების წინააღმდეგ მიდიოდნენ, როცა მამა-კაცებს ეტოქებოდნენ სამოხელეო ასპარეზზე. ჩვენ-კი მათ საკუთარი ქვეყანა მივანიჭეთ, სადაც თამამად შეუძლიათ გამოვიდნენ სამოქმედო ასპარეზზე და აქ ისინი ბედნიერნი არიან. ჩვენ გვგონია, რომ თქვენი დროის დედა-კაცები ცივილიზაციის (განათლების) მსხვერპლი იყვნენ. ხომ ცოტა დრო გავიდა მას უკან; მაგრამ როცა-კი მომაგონდება მათი მოწყენილი და განუვითარებელი ცხოვრება, რომელიც გათხოვების უკან სრულიად ეხშვებოდათ, მათი ვიწრო გონებითი მხედველობა, ის ოთხი კედელი, რომელთა შორისაც ისინი სხეულით

ტანჯებოდნენ, მათი საპირადო, წვრილმანი ინტერესები,— ეხლესაც კიდევ უნებლიედ ჟრჟოლაში მოვდივარ. მე ვამბობ რა ლარიბ წოდებაზე, რომელიც სამარის კარამდის იძულებული იყო შრომითა და ვარამით ეთრია გამწარებული სიცოცხლე,—არამედ მდიდარსა და კმაყოფილს ხალხზე. დედა-კაცისავის არაფერს ნუგეშს შეადგენდა ოჯახს გარე საზოგადო საქმეებში მონაწილეობა, ეს არ იცავდა მას თვალსაჩინო მწუხარებისა და ცხოვრების უწმაწურობისაგან. ოჯახს გარეთ მისავის არავითარი სხვა ინტერესი არ არსებობდა, გარდა ოჯახურისა. ასეთი ცხოვრება მამა-კაცს-კი უთუოდ ტვინს გამოულაყებდა. ამ დროში ეს არც ერთი არ არსებობს. ახლა ისეთს დედა-კაცს ვერ ნახავთ, რომ მამა კაცობას ნატრობდეს; არ არიან მშობლები, რომელთაც ვაჟის ყოლა ერჩიოსთ ქალის ყოლას. ქალებიც ისეთივე დიდების—მოყვარეობით ესწრაფიან საზოგადოებრივ ასპარეზის მოპოვებას, როგორც ჩვენი ვაჟები. გათხოვება, თუ ეს ვინმეს ხვდება წილად, მისთვის პატიმრობას როდი შეიცავს; ის ბეწვზედაც არ აშორებს დედა-კაცს საზოგადოების რთულ ინტერესებისაგან, საზოგადო ცხოვრების დუღილისგან. მხოლოდ ბავშვის გამოჩენის დღიდამ—სანამ დედა ახალი ინტერესებითაც ავსებული—დროებითი ეთხოვება საქვეყნო მოღვაწეობას. ლოგინობის შემდეგ მას მუდამ ჟამს შეუძლია მიუბრუნდეს თავის წინანდელ ადგილს, თავის თანაამხანაგთა რაზმს, რომელთანაც სამუდამოდ კავშირის შეწყვეტა მას არ უწევს. დედა-კაცი ახლანდელ დროში სწორედ ბედნიერია, თუ შევადარებთ იმას, რაც ძველად იყო ის მსოფლიო ისტორიაში, და ამასთან მას შეძლება მიეცა მამაკაციც გაებედნიერებია.

— განა ქალების მისწრაფება,—შევნიშნე მე,—წარმატებისა და გამოჩენის გზაზე, როგორც სამწერველო ჯარის წევრთა უარს არ ათქმევინებს მათ გათხოვებაზე?

ლიტს გაეცინა.

— ნუ სწუხართ, უფ· ვევსტ, ღმერთმა იზრუნა, რომ სქესთა

შორის ურთიერთული მიზიდულება შეუცვლელად დარჩენილი. ყო, როგორიც უნდა ყოფილიყო ცვლილებანი მამაკაცთა და დედა-კაცთა შორის დამოკიდებულებაში. თქვენს დროშიაც ხომ ირთავდნენ და ათხოვებდნენ ქალებს მამა-კაცები, როცა ისე ჩაფლულნი იყვნენ საარსებო სახსრის ზრუნვაში, რომ იფიქრებდით ამათ სხვა არაფრისათვის დრო არ აქვთო, როცა მომავალი ისეთი ბუნდოვანი იყო, რომ შვილების ყოლაც-კი ზოგჯერ ცოდვად მიაჩნდათ. რაც შეეხება სიყვარულის გრძნობას, ერთის ჩვენის მწერლის აზრით, ყველა ის ფიქრები, რომლებიც წინად არსებობისათვის სახსრის ძებნას უნდებოდა, ახლანდელ დროში სრულად ამ ნაზ გრძნობაზეა მიმართულიო. მართალია, ეს რამოდენიმედ გაზვიადებულია. კიდევ მეტს ვიტყვი — გათხოვება ამ დროში დედაკაცის მოღვაწეობის ხელის შემშლელი არ არის, — პირიქით, უმაღლესი თანამდებობანი დედა-კაცთა სამრეწველო ჯარში სახელდობ ცოლებსა და დედებს ეძლევათ, რადგან მარტო ისინი არიან მათის სქესის სრული წარმომადგენელნი.

— ნუ თუ დედაკაცის შრომა, მამაკაცის შრომის თანაბრად ფასდება?

— ეჭვი არ არის.

— მაგრამ უთუოდ ბევრის გამორიცხვით ოჯახურ გარეგოებათა გამო აუცილებელ გაცდენისათვის.

— გამორიცხვით? — წამოიძახა ლიტმა. — როგორ შეიძლება! სარჩო ყველასი თანაბარია გაურჩევლად; დროს გაცდენის მიზეზით რომ რამე განსხვავება ხდებოდეს, რომელზედაც თქვენ ამბობთ, ეჭვი არ არის ეს იქმნებოდა დედაკაცების სასარგებლოდ. რომელი შრომაა იმაზე უმაღლესი და უჭვირფასესი ერისათვის, როჯორც შვილების ყოლა და ზრდა? ჩვენი შეხედულობით, არავისი ნამსახურობა ისე სადიდებელი არ არის, როგორც კარგის მშობლების. თუ ზნეობრივ დაჯილდოვებას არ შევეხებით, იმაზე უანგარო და მოუბრუნებლად დახარჯული შრომა არც ერთი არ არის, როგორც შვილების აღზრდა; იმ

შვილების, რომელნიც იმ დროს უნდა გამოვიდნენ კაცებად, როცა ჩვენ უკვე აღარც ვიქმნებით.

— თქვენი სიტყვებიდამ შეიძლება ის იფიქროს კაცმა, რომ ყოლები ნივთიერად სრულებით დამოუკიდებელნი იყვნენ ქმრებზე?

— რასაკვირველია, — შემნიშნა მან. — სწორედ ამ გვარადვე შვილებიც არ არიან დამოკიდებულნი ნივთიერად მშობლებზე; ისინი სარგებლობენ მხოლოდ მათის სიყვარულით; ბავშვის შრომა, როცა ის გაიზრდება, მშობლების კაპიტალს-კი არ ჰმატებს, არამედ საზოგადოებისას—მშობლები იმ ხანში აღარცკი იქმნებიან ქვეყნად, და აი რისთვის არის, რომ ბავშვი საზოგადო ხარჯით იზრდება. გაიგეთ, რომ საზოგადოების თითეულ წევრს—მამა-კაცს, დედა-კაცს, ბავშს—პირ-და-პირ სახელმწიფოსთან აქვს ანგარიში უმაშვალოდ, რასაკვირველია, გარდა მშობლებისა, რომლებიც რამოდენიმედ მათის შვილების მზრუნველებად ითვლებიან. როგოც ხედავთ, პიროვნებათა დამოკიდებულება ერზე, მათი ერისადმი კუთვნილება უფლებას აძლევს მათ რჩენისას და ეს უფლება სრულებით არ ჰკიდია სხვა პირებთან დაახლოვებაზე, რომლებიც მთისავით ერის წევრებად ირიცხებიან. სხვის ხელების შემყურეობა სათაკილო იქმნებოდა ზნეობრივად და შეუფერებელი ყველა გონიერ წეს-წყობილებისათვის. რა მოუვიდოდა ასეთს პირობებში პირადს თავისუფლებას და ღირსებას? ვიცი რომ, თქვენ მეცხრამეტე საუკუნეში თავისუფლად რაცხდით თავს, მაგრამ ალბათ მაშინ სიტყვა „თავისუფლებას“ ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია, როგორც ახლა აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ თავისუფალს არ დაუშვებდით იმ საზოგადოებას, სადაც თითეული დამამცირებელი დამოკიდებულებაში იყო მეორისაგან. თვით ცხოვრების პირობებს გარდაც, ღარიბი მდიდარზე იყო დამოკიდებული, მსახური ბატონზე, დედა-კაცი მამა კაცზე და შვილები მშობლებზე. რაც შეეხება თქვენს დროში არსებულს დედა-კაცის მამა-კაცზე ნივთიერად დამოკიდებულებას, ცხადია, ეს მხოლოდ სიყ-

ვარულით შეუღლებაში იყო ასატანი, თუმცა, ვფიქრობ, განვითარებულ დედაკაცებში ის მუდამ ზიზღს გამოიწვევდა. როგორი ღა იყო დედაკაცის ხვედრი იმ აურიცხველს შემთხვევებში, როცა ქორწინებით, თუ არა ქორწინებით ის მამა-კაცს აძლევდა თავს სასყიდლად არსებობის სახსრის გულისათვის? თქვენი თანამედროვენი-კი, რა გულ-გრილადაც არ შეეცქეროდნენ ბევრს ამაზრზენებელ მხარეებს თქვენი საზოგადო წეს-წყობილებისას, რამოდენიმედ მაინც კიდევ გრძნობდნენ, რომ ეს როგორღაც ისე არ არის, როგორც უნდა ყოფილიყო; მაგრამ დედა-კაცის ხვედრის გამო ტირილს არ წასცილებია მათი სიბრალული. ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ ეს ნამდვილი მგლეჯაობაა, რომ უნამუსობაა მთელ ქვეყნის ნაწარმოები შენ ჩაიბჯიღო და დედა-კაცი-კი შენს წინ ლაქუცსა და ვედრებას აიძულო თავის წილის გამოსათხოვრად. მომიტევეთ, უფ. ვესტ, რომ ასე სიცხარით ვეხები ამ საგანს და მავიწყდება, რომ მთელმა საუკუნემ განვლო ამ საბრალო დედა-კაცთა ძარცვის, მწუხარების და შერცხვენის შემდეგ რომ თითქო თქვენ იყოთ პასუხის მგებელი მასზე, რასაც, ეჭვი არ არის, თქვენაც არა ჩემზე ნაკლებ მოსთქვამდით.

— მე ვგრძნობ, რომ ჩემი წილი პასუხის—გება უნდა ვიკისრო მასში, რაც ჩემს დროს იყო,—მივუგე მე,—მაგრამ ჩემდა გასამართლებლად ის-ღა დამრჩენია, რომ სანამ სახელმწიფოს ნიადაგი არ ჰქონდა გამზადებული ახლანდელი წარმოების და განაწილების წესებისათვის, არავითარი ძირეული ცვლილება დედა-კაცთა მდგომარეობისა არ შეიძლებოდა. მათი უბედურების ფესვები, როგორც თქვენა თქვით, მამა-კაცზე ნივთიერად დამოკიდებულებაში იფარებოდა, და მე ვერ წარმომიდგენია სხვა გვარი სოციალური წეს-წყობილება გარდა მისა, როგორიც თქვენა გაქვთ ახლა; მისთვის რომ მარტო ამ გვარს წესებშია დამოკიდებული დედა-კაცი მამა-კაცისაგან სწორედ ისე, როგორც მამა-კაცები არ არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი. უეჭველია, დედაკაცთა მდგომარეობის ასეთი ცვლი-

ლება უგავლენოდ არ ჩაითვლიდა ორივ სქესთა საზოგადო ურთიერთობაზე. ჩემთვის დიდად საინტერესოა ამის დაახლოვებით შესწავლა.

— ცვლილება, რომელსაც თქვენ ნახავთ, — განაგრძო ლიტმა, — იხატება უმთავრესად ორივ სქესთა გულ-ახდილობასა და ძალ-დაუტანლობაში შედარებით იმ სიყალბესთან, რაც თქვენს დროს არსებობდა მათ შორის. ახლა დედა-კაცნი და მამა-კაცნი თანასწორის უფლებისანი არიან და გამოელიან ერთმანეთისაგან მხოლოდ ურთიერთულს სიყვარულს. თქვენს დროში ქალისათვის გათხოვება ერთ გვარს სარგებლობას შეიცავდა იმის გამო, რომ ის ნივთიერად დამოკიდებული იყო მამა-კაცზე. იმ დროის მოწმობით ამ ფაქტს დაბალი წოდება რაღაც ცინიკურის გულ-ახდილობით ღებულობდა. როცა რომ უფრო განათლებულს წოდებაში რაღაც ნაძალადევისა და მოგონილი ზდილობის ნიღაბ ქვეშ ცდილობდნენ დაეჯერებინათ ერთმანეთი სულ წინააღმდეგს აზრებში, ე. ი. რომ ქორწინების ყველა სარფა მამა-კაცის მხარეზეაო. ამ ჩვეულების დასაცველად მამაკაცი შედიოდა სასიძოს როლში და ამიტომ დედა-კაცისაგან ურიგოებად ითვლებოდა თავის გრძნობის გამოაშკარავება მამაკაცისადმი, სანამ მას არ გამოეცხადებია წინადადება. ჩვენს წიგნთსაცავებში ინახება თქვენი დროის მწერლების ნაწერები, სადაც დიდი სჯაა იმაზე, თუ შეუძლია თუ არა დედა-კაცს, რა პირობებშიაც უნდა იყოს, პირველად გაუტყდეს მამაკაცს სიყვარულში უმისოდ, რომ ჩირქი არ მოსცხოს ამით თავის სქესს. ჩვენ ეს დიდ სისულელედ მიგვაჩნია და თქვენთვის კი ის, დიდი თავ-სამტვრევი საკითხი იყო. დედაკაცი გრძნობდა, რომ, რაკი ერთხელვე სიყვარულს გამოუცხადებდა მამკაცს, ის მას ტვირთად აწვებოდა ქონებრივის მხრით, და არც არაფერი გასაკვირია, რომ რიდისა და სიამაყის გრძნობა აყენებდა მისი წადილის გამოაშკარავებას. თუ თქვენ ჩვენს საზოგადოებაში ოფნა მოგიხდესთ სადმე, უფ, ვესტ, დიდი მზადება გმართებსთ ჩვენი ახალგაზდობის ცბიერ კითხვების დასახვედრად. ეს საგა-

ნი, რასაკვირველია, დიდად აინტერესებს მათ, თუ რა გვარად ხდებოდა ყველა ეს ძველ დროში. *)

— მაშ მეოცე საუკუნის ქალი პირველად უცხადებს სიყვარულს?

— დიახ, თუ არჩევანი მისია,—მიპასუხა მან.—ყოველ შემთხვევაში არც ერთი არ მალავს თავიანთ გრძნობებს; პრანჭიობა ერთნაირად საზიზღარია, როგორც მამაკაცის, ისე დედაკაცისაგან. შეთხზული გულ-გრილობა, რაც იშვიათად აბრიყვებდა ვისმეს თქვენს დროში, ახლა უთუოდ სიმართლედ მიიღებოდა, რადგან ფიქრადაც არვის მოუვა ამ საშუალებას მიმართოს.

— ახლა ცხადად ვხედავ დედაკაცთა თავისუფლების აუცილებელ შედეგს—გავაწყვეტინე მას;—თქვენში არ არის სხვა გვარი შეუღლება, გარდა სიყვარულით შეუღლებისა.

— ჭეშმარიტია,—მიპასუხა მან.

— ქვეყანა, სადაც ყველა სიყვარულითაა შეუღლებული! ოხ, დოქტორო, თქვენ, რასაკვირველია, არ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ რა სასწაულად ეჩვენება მსგავსი ქვეყანა მეცხრამეტე საუკუნის კაცს!

— რამოდენიმედ მეც შემიძლია წარმოვიდგინო,—შემნიშნა მან;—მაგრამ ფაქტი, რომელიც თქვენ აგრე გაოცებსთ—განსაკუთრებით სიყვარულით შეუღლება—შეიძლება უფრო საყურადღებოც იყოს, ვინემ ერთის შეხედვით გვგონია. პირველად არის, რომ საკაცობრიო ისტორიაში ხელ-შეუშლელად ხორციელდება „სქესთა შორის არჩევის პრინციპი“ თავის განძრახვებით, რომ დაამკვიდროს და გაამრავლოს საუკეთესო ჯიშის ტიპები და მოსპოს უვარგისნი. აღარ არსებობს მეტად ის

---

*) გამოცდილებამ მიჩვენა, რომ დოქტორი ლიტის გაფრთხილება გამიმართლდა. ყმაწვილ კაცებისა და განსაკუთრებით ახალგაზდა ქალებისთვის მეცხრამეტე საუკუნის უცნაური არშიყობა, როგორც ეძახდნენ ისინი, დაუშრეტელი წყარო იყო მხიარულებისა და სიცილისა,

სიღარიბე, ის საკუთარი ჭერის უქონლობა, რის გულისთვისაც დედაკაცნი იძულებულნი იყვნენ ის მამაკაცნი გაემამებიათ თავიანთი შვილებისათვის. ვისი შეყვარება და პატივისცემაც მათ არ შეეძლოთ. სიმდიდრე და მდგომარეობა ახლანდელ დროში ვერ ჩრდილავს კაცის პირადს ღირსებებს. ოქროთი კაცი არ დაფასდება. ადამიანის საპირადო ღირსებანი—ჭკუა, ნიჭი, სილამაზე, კეთილი გული, სულ-გრძელება, გენიოსობა, სიმამაცე—აი რა გადადის შთამომავლობაზე.

თითეული ახალი თაობა იკრება უფრო და უფრო მტკიცე საცერში. რა თვისებებსაც კაცობრიობა მაღლა აყენებს, ის მკვიდრდება, რაც საზიზღრად მიაჩნია— იფხვრება.

ახლაც არიან, რასაკვირველია, დედაკაცები, რომელთ სიყვარულის გრძნობა თაყვანის ცემის გრძნობას უერთდება და რომლებიც ცდილობენ სახელოვანი წრე გაიჩინონ, მაგრამ ესენი სულ სხვა განძრახვით ხელმძღვანელობენ. ახლანდელს დროში სახელოვან წრეთ მდიდართან, დიდ ხარისხოვანთან შეუღლება კი არ ითვლება, არამედ იმ კაცთან, რომელიც სხვებზე მაღლა დგას კაცობრიობის წინაშე ნამდვილი თვალსაჩინო დამსახურებით. აი ეს გამოჩენილი პირები ითვლებიან თანამედროვე არისტოკრატებად, რომელთან შეუღლებაც სასახელოდ მიაჩნიათ.

ამ ორი დღის წინად მე თქვენ გელაპარაკებოდით ჩვენი თაობის ფიზიკურს უპირატესობაზე თქვენს თაობასთან შედარებით. შეიძლება, ყველა იმ მიზეზებს შორის, რომლებიც მე დავასახელე, როგორც ხელ-შემწყობნი ჯიშის გაუმჯობესობაში,—უმთავრესი ალაგი ეჭიროს „სქესთა შორის თავისუფალ არჩევას“, რომლის მიღწევაც შეიძლება ორ-სამ ზედი-ზედ მიმყოლ თაობაში; თქვენ თუ დაახლოვებით გაეცნობით ჩვენს თაობას, უეჭველად შენიშნავთ, თუ რამდენად წინ წავიდა ის, არა მარტო ფიზიკურად, არამედ გონებრივად და ზნეობრივადაც. საოცარიც იქმნებოდა, რომ სხვა ფრივ მომხდარიყო, რადგან ახლა მოქმედების სრული თავისუფლება ეძლევა ბუნების

ერთს უმთავრესს კანონს—ჯიშის დაცვას—და ამას ზედ-ერთ-ვება აგრეთვე შემწედ ღრმა ზნეობრივი გრძნობა. ინდივიდუ-ლიზმი ეს თქვენი საზოგადოების მაცხოველებელი იდეა, უბე-დურობა იყო არა მარტო ყოველ გვარ ძმურისა და საერთო ინტერესების გრძნობათათვის მკვიდრთა შორის, არამედ ის ამასთან სპობდა ყოველგვარ პასუხის გებას აწმყო ხალხისას მამავალი ხალხის წინაშე. ჩვენს დროში ეს პასუხის გება, რომე-ლსაც არ იწყნარებდა წარსული საუკუნოების ხალხი, ერთი უმაღ-ლესთაგანი შეიქმნა ზნეობრივი იდეათა შორის, რომელიც აძ-ლიერებს მოვალეობის სრულ შეგნებასთან ერთად ბუნებრივ მოთხოვნილებას: შეუერთდეს მეორე სქესის რჩეულ და კეთილ-შობილ წარმომადგენელთა. აქედამ ის შედეგი გამოდის, რომ არავითარი წაქეზება, არც ერთი მამოძრავებელი მანქანა, მოგონილი მრეწველობის გასავითარებლად, არც ნიჭი ან სხვა რამ ღირსებანი—არც ერთი არაფრად სჩანს იმ გავლენასთან შედარე-ბით, რა გავლენაც აქვს ჩვენს ახალგაზდობაზე იმ ფაქტს, რომ ქალე-ბი არიან მათი მსაჯულები ღირსეულთა დასაჩუქრების უფლებე-ბით აღჭურვილნი. მათრახი, დეზი, ათასი საჩუქრები და ჯილ-დოები სრულებით უმნიშვნელოა იმ აზრთან შედარებით, რომ ცქრიალა კოკობი სახე პირს აარიდებს უკან ჩამორჩენილს.

ჩვენს დროში უცოლშვილოდ რჩებიან მხოლოდ ისინი, რომელთაც შრომა არ შეუძლიათ. დიდი გამბედაობა უნდა, ამ სიტყვის ცუდი მნიშვნელობით, დედაკაცს, რომ მან უარ-ჰყოს თავის თაობის შეხედულება და სიბრალულისაგან გაჰყვეს ცოლად, სრულს თავისუფლებაშიაც-კი ვინმე ამ უბედურთა-განს. კიდევ მეტს ვიტყვი, დედაკაცთა პირადი გრძნობა ამ შემ-თხვევაში ყველა საბუთებზე უფრო სასტიკია. ჩვენი დედა-კა-ცები ყველაზე მეტად პასუხის მგებელნი არიან, როგორც დამ-ცველნი მომავალ თაობისა, რომლის ხელშიაც უნდა იქმნას მომავლის გასაღებები. ამ მხრით მათი მოვალეობის გრძნო-ბა რელიგიურს სასოებამდის აღწევს და ამ სასოებაში ზრდიან ისინი თავიანთს ქალებს ბავშობიდამვე.

საღამოს რომ დავბრუნდი ოთახში, ჩემმა მასპინძელმა თან გამომატანა ბერრიანის რომანი, რომლის კითხვაშიაც გავატარე ღამის მომეტებული დრო. ამ რომანის დასკვნა სწორედ ახლანდელს შეხედულობაზე იყო დაფუძნებული შესახებ მშობლების პასუხის გებისა. ეჭვი არ არის, მეცხრამეტე საუკუნის რომანისტი მსგავსს მდგომარეობას ისე გამოხატავდა, რომ მას, რაღაც გულის მწყვლელი სიმპატია აეძრა მკითხველში შეყვარებულთა სანტიმენტალურ თავ-მოყვარეობისადმი და სიბრაზე გამოეწვია იმ დაუწერელ კანონის წინააღმდეგ, რომელიც მათ დაარღვივეს. სიჭირო არ არის მოვიხსენიო ბერრიანის სულ სხვა გვარი თვისება. ვეს არ წაუკითხავს მისი „რუფი ელტონი?“ ვინ არ იცნობს იმ მძლავრ საბუთს, რომლითაც ის ამტკიცებს თვის მიერ გაყვანილს პრინციპს „ჯერ დაუბადებლებზე ჩვენ ყოვლად შემძლებელნი ვართ, ვით ღმერთი და პასუხის მგებელნი მათ წინაშე, როგორც ის ჩვენს წინაშე, როგორიცაა ჩვენი მათდამი ქცევა და იყოს ისეთივე მისი ჩვენდამი ქცევა.“

თავი XXVI

ვფიქრობ, შეიძლება ისეთი გარემოება, რომლის დროსაც საჭიროა სიფრთხილით ვიქცეოდეთ, თუ კაცი ყოველგვარ წარმოდგენას ჰკარგავს ღეებსა და კვირეებზე. მართლაც, ჩემთვის რომ ეთქვათ ახლა დროს კვირაობით არ ითვლიან და არც შვიდი დღე აქვს კვირას, არამედ—5, 10 ან 15 დღეო, ოდნავაც არ გამიკვირდებოდა ყველა მის შემდეგ, რაც ამ მეოცე საუკუნეში ვნახე და გავიგონე. პირველად ვიკითხე, რა დღე იყო დღეს—ამ წიგნის უკანასკნელ თავში საუბრის მეორე დღეს. საუზმეზე დოქტორი ლიტი მეკითხება, წავალთ თუ არა დღეს ქადაგების მოსასმენლად.

— განა დღეს კვირაა?—წამოვიძახე მე.

— დიახ. წარსულ კვირის პარასკევს მოხდა სარდაფის ბედნიერი აღმოჩენა, რომლის მეოხებით თქვენ ჩვენს შორის იმყოფებით. კვირას შუაღამისას თქვენ პირველად გაიღვიძეთ,

კვირასავე შუადღისას მეორედ გაიღვიძეთ და ამ ჟამად უკვე სრულს გონებაზე.

— დიდად საყურადღებოა გავიგო, რამდენად შეეფერება თქვენი საეკკლესიო წესები დანარჩენს თქვენს სოციალურ წესწყობილებას. თქვენ ალბათ საერო ეკკლესია გაქვთ თავის ოფიციალური სულიერი მამებით?

ლიტს გაეცინა და მის მეუღლესა და იუდიფს-კი ეს ჩემი ფიქრი ძლიერ გამართობელ საგნად ეჩვენათ.

— რას ამბობთ, უფ. ვესტ,—დაიწყო იუდიფმა,—რა ისეთი უცნაური ხალხი გვნახეთ ჩვენ? ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეშივე მოუღეთ თქვენ ბოლო ამ სახელმწიფო საეკკლესიო დაწესებულებებს და ნუ თუ ფიქრობთ, რომ ჩვენ ისევ მივუბრუნდით მათ?

— მაშ რა ნაირად შეიძლება კერძო ეკკლესია და არა ოფიციალური სასულიერო პირი, როცა რომ ყველა შენობა სახელმწიფოს კუთვნილებაა და საზოგადოების ყველა წევრმა უთუოდ უნდა მრეწველობას ემსახუროს?-ვკითხე მე.

— სჯულის საქმეში, რასაკვირველია, ბევრი შესამჩნევი ცვლილება მოხდა ამ საუკუნის განმავლობაში,—დაიწყო ლიტმა.—მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ არავითარი ცვლილება არ მომხდარა, გარწმუნებთ მაშინაც მშვენივრად შეეთვისებოდნენ მას ჩვენი წესები. სახელმწიფო ერთს ან რამდენსამე პირს აძლევს ბინას ქირით. ეს პირი მფლობელია სახლისა მანამ, სანამ ამ გადასახადს იხდის. რაც შეეხება საეკკლესიო კრებულს, ის შემდეგს პირობებზეა დაფუძნებული: თუ რამდენიმე პირი მოსურვებს იყოლიონ რომელსამე სპეციალურის საქმის მოსამსახურე, რა საქმეც არ შედის საერთო სახელმწიფო მსახურებაში, მათ ყოველთვის შეუძლიათ უზრუნველი გახადონ ეს პირი ნივთიერად, რასაკვირვილია, მისსავე თანხმობით. ეს სწორედ იმ გვარად ხერხდება, როგორც წიგნების გამომცემელთა დაჯილდოება, როცა ვავსებთ იმ ზარალს, რომელიც ეძლევა სახელმწიფოს „მის გამო, რომ ის აკლდება საერთო სამსახურს. ეს

სახელმწიფოს ზარალის შევსება კერძო პირის ნაცვლად იმას ეფრის, რასაც თქვენს დროში გასამრჯელოს აძლევდით ამ პირს, ხოლო თვით ამ პრინციპის სხვა და სხვა გვარად გამოყენება სრულს თავისუფლებას ანიჭებს კერძო საქმეებს, რომელიც არ ექვემდებარება სახელმწიფოს ზედამხედველობას. რაც შეეხება დღევანდელ ქადაგების მოსმენას, ამისათვის გინდ ეკკლესიაში წახვალთ, გინდ აქავე მოისმენთ.

— როგორ-და გავიგონებ, თუ კი სახლში დავრჩები?

— სულ ადვილად. საჭიროა თავის დროზე გადახვიდეთ ჩვენს საკონცერტო დარბაზში და მოთავსდეთ იქ სავარძელში. ზოგი დდემდე კიდევ ეკკლესიაში რჩეობს ქადაგების მოსმენას, მაგრამ მომეტებულ შემთხვევაში ქადაგება წარმოითქმება ხოლმე განსაკუთრებულს აკუსტიკურს, *) მისთვის საგანგებოდ მორთულს ოთახში, რომელიც სამუსიკო კონცერტებისათვისაც-კი გამოსადეგია. ეს ოთახები შეერთებულია მავთულებით იმათ სახლებთან, ვინც ამის მსურველია. თუ ეკკლესიაში ირჩევთ წასვლას, მეც სიამოვნებით წამოვალ, მაგრამ ყველაზე უკეთ აქ შეგიძლიათ მოისმინოთ. გაზეთებიდამ ვიცი, რომ დღეს უფ. ბარტონი ქადაგებს; ის მუდამ ტელეფონით ქადაგებს. მის მსმენელთა რიცხვი ზოგჯერ 150,000-დე ადის ხოლმე.

— ქადაგების მოსმენის ახალი საშუალება მაიძულებს მეც ბარტონის მსმენელთ შევუერთდე.—მივუგე მე.

ერთი თუ ორი საათის შემდეგ წიგნ-საცავში შემოვიდა ჩემთან იუდიფი და ჩვენ ერთად გავედით საკონცერტო დარბაზში, სადაც უკვე გვიცდიდა უფ. ლიტი თავის მეუღლით. ისიც იყო დავსხედით, რომ მოისმა წკარუნი და რამდენიმე წამის უკან გავიგონეთ კაცის ხმა. ეს უხილავი პირი მოგვიბრუნდა ჩვენ ჩვეულებრივის საუბრის კილოთი.

აი რა გავიგონეთ: „ქადაგება უფალი ბარტონისა.“

„წარსულს კვირას ჩვენში გამოჩნდა მეცხრამეტე საუკუნის კრიტიკოსი; ცოცხალი წარმომადგენელი ჩვენ წინაპართა ეპო-

*) აკუსტიკა არის ხმათა მეცნიერება.

ქისა. საოცარი იქმნებოდა, რომ ამ არა ჩვეულებრივ მოვლენას ასე თუ ისე გავლენა არ ექონია ჩვენს ფიქრებზე; შეიძლება ბევრი თქვენგანი ცდილა დაეხატა თავისთვის იმ დროინდელი საზოგადო ყოფა-ცხოვრების შინაარსი და წყობილება. ამისათვის, თუ მე წარმოგიდგენთ თქვენს გასასჯელად ამ საგნის შესახებ ზოგ ჩემს პირად მოსაზრებებს, ვფიქრობ, ოდნავაც არ დავარღვევ თქვენი საკუთარი აზრების მსვლელობას, არამედ კიდევაც მივყვები მას.*

აქ იუდიფმა რაღაც წაუჩურჩულა მამას, რასაც ეტყობოდა, ისიც დაეთანხმა და მომიბრუნდა მე შემდეგი სიტყვებით:

— ვესტ, იუდიფის ფიქრით, თქვენთვის შეიძლება არაფერად მოსაწონი იყოს ბარტონის ქადაგების მოსმენა, რაკი ის ასეთს საგანს ეხება. თუ გსურთ, მეორე მქადაგებლის უფ. სვიტსერის სიტყვა მოვისმინოთ. იუდიფი ხელათ შეგვაერთებს ჩვენ მისს საქადაგებელ ბინასთან და სიტყვას გაძლევთ, საუცხოო ქადაგებაც იქმნება.

— რას ამბობთ, რისთვის, — წამოვიძახე მე, — გარწმუნებთ, დიდის სიამოვნებით მოვისმენ, რაც სათქმელი აქვს უფალ ბარტონს.

— როგორც გსურდეთ — მიპასუხა ლიტმა.

ამ ლაპარაკის დაწყებამდე იუდიფი შეეხო მარჭვალს და ბარტონის ხმა სწრაფლ მიწყდა. შემდეგ ისევ შეეხო და ისევ მოისმა მიმზიდველი დინჯი ხმა მქადაგებლისა, რომელმაც პირველსავე სიტყვით სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მან განაგრძო.

„წარსულს რომ გადავხედოთ, მგონი, ყველას თანაბრად გაგვაოცებს ის უცნაური ცვლილება, რომელიც ერთის საუკუნის განმავლობაში მოხდა კაცობრიობის ცხოვრების ქონებრივსა და ზნეობრივს პირობებში. განსხვავება მეცხრამეტე საუკუნის სახელმწიფოთა და ხალხთა სიღარიბესა და მათს ახლანდელ სიმდიდრეს შორის, შეიძლება არა უმეტესია მისა, რაც

ულვე ყოფილა საკაცობრიო ისტორიაში—არა უმეტესი, მაგალითად, იმ განსხვავებისა, რაც იყო ამ ქვეყნის მეჩვიდმეტე საუკუნის ადრინდელ ახალშენობის ხანას სიღარიბესა და იმ შედარებითს სიმდიდრეს შორის, სადამდინაც მან მიაღწია მეცხრამეტე საუკუნის დამლევს; ანუ არა იმაზე მეტი, რა განსხვავებაცაა ვილჰგელმ მპყრობელის დროის ინგლისსა და ვიქტორიას დროის ინგლისს შორის. თუმცა მაშინ საერო სიმდიდრე ვერ იყო უმრავლესობის მდგომარეობის გამრკვევი ნამდვილი საშუალება; მაგრამ მიუხედავად მისა, ამ მაგალითების მეოხებით შეგვიძლია ავნუსხოთ განსხვავებანი მე-XIX და მე-XX საუკუნეთა ნივთიერ კეთილდღეობაში. თუ ამ განსხვავებას ზნეობრივის მხრით შევხედავთ, ჩვენ წარმოგვიდგება ისეთი მოვლენა, რის მსგავსი არ ყოფილა არასოდეს ისტორიაში. უნდა მივუტეოთ მაშინ მათ, ვინც უნებლივ წამოიძახებს: „ეს ხომ სასწაულებიაო!“ მაგრამ თუ ფუქე გაკვირვებას თავს დავანებებთ და კრიტიკულად შევხედავთ ამ ვითომ და სასწაულს, დავინახავთ, რომ ამ სასწაულში ნამდვილად არაფერი სასწაულებრივი, არაფერი უჩვეულებრივი არ არის; რისთვის უნდა წარმოვიდგინოთ კაცობრიობის რაღაც ზნეობრივი გადახალისება ან ყოველგვარი ბოროტების აღმოფხვრა და კეთილის გამარჯვება ჩვენი განსახილველი მოვლენის ასახსნელად, როცა ამას ცხადად ხსნის რეაქცია ადამიანის იმ შეცვლილ ბუნებისა, რომელიც ჩვენ გარშემო გვარტყია. სხვაფრივ რომ ვსთქვათ, საზოგადოება აგებული ყალბსა, პიროვნულსა და ეგოისტურს დასაბამზე, ადამიანის ბუნების ველურ მხარეებზე, შეიცვალა იმ დასაბამით, რომლის საფუძველშიაც ინახება ნამდვილი პირადი ინტერესი რაციონალურის უანგარობისა და მოქცევისა ადამიანის საზოგადოებრივ-სულ-გრძელობის ინსტიქტისადმი.

„მეგობრებო, თქვენ რომ მოისურვოთ ხალხის ისევ იმ ველურ მხეცებად ქცევა, როგორიც იყვნენ მეცხრამეტე საუკუნეში, საკმარისია მიუბრუნდეთ მათს ძველ სამრეწველო წესებს, როცა მეზობელს ისე უყურებდნენ, ვით ბუნებრივს ალაფს

ქისა. საოცარი იქმნებოდა, რომ ამ არა ჩვეულებრივ მოვლენას ასე თუ ისე გავლენა არ ექონია ჩვენს ფიქრებზე; შეიძლება ბევრი თქვენგანი ცდილა დაეხატა თავისთვის იმ დროინდელი საზოგადო ყოფა-ცხოვრების შინაარსი და წყობილება. ამისათვის, თუ მე წარმოგიდგენთ თქვენს გასასჯელად ამ საგნის შესახებ ზოგ ჩემს პირად მოსაზრებებს, ვფიქრობ, ოდნავაც არ დავარღვევ თქვენი საკუთარი აზრების მსვლელობას, არამედ კიდევაც მივყვები მას.“

აქ იუდიფმა რაღაც წაუჩურჩულა მამას, რასაც ეტყობოდა, ისიც დაეთანხმა და მომიბრუნდა მე შემდეგი სიტყვებით:

— ვესტ, იუდიფის ფიქრით, თქვენთვის შეიძლება არაფრად მოსაწონი იყოს ბარტონის ქადაგების მოსმენა, რაკი ის ასეთს საგანს ეხება. თუ გსურთ, მეორე მქადაგებლის უფ. სვიტსერის სიტყვა მოვისმინოთ. იუდიფი ხელათ შეგვაერთებს ჩვენ მისს საქადაგებელ ბინასთან და სიტყვას გაძლევთ, საუცხოო ქადაგებაც იქმნება.

— რას ამბობთ, რისთვის, — წამოვიძახე მე, — გარწმუნებთ, დიდის სიამოვნებით მოვისმენ, რაც სათქმელი აქვს უფალ ბარტონს.

— როგორც გსურდეთ — მიპასუხა ლიტმა.

ამ ლაპარაკის დაწყებამდე იუდიფი შეეხო მარჭვალს და ბარტონის ხმა სწრაფლ მიწყდა. შემდეგ ისევ შეეხო და ისევ მოისმა მიმზიდველი დინჯი ხმა მქადაგებლისა, რომელმაც პირველსავე სიტყვით სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მან განაგრძო.

„წარსულს რომ გადავხედოთ, მგონი, ყველას თანაბრად გაგვაოცებს ის უცნაური ცვლილება, რომელიც ერთის საუკუნის განმავლობაში მოხდა კაცობრიობის ცხოვრების ქონებრივსა და ზნეობრივს პირობებში. განსხვავება მეცხრამეტე საუკუნის სახელმწიფოთა და ხალხთა სიღარიბესა და მათს ახლანდელ სიმდიდრეს შორის, შეიძლება არა უმეტესია მისა, რაც

ყველ ყოფილა საკაცობრიო ისტორიაში—არა უმეტესი, მაგალითად, იმ განსხვავებისა, რაც იყო ამ ქვეყნის მეჩვიდმეტე საუკუნის აღორძინდელ ახალშენობის ხანას სიღარიბესა და იმ შედარებითს სიმდიდრეს შორის, სადამდინაც მან მიაღწია მეცხრამეტე საუკუნის დამლევს; ანუ არა იმაზე მეტი, რა განსხვავებაცაა ვილჰგელმ მპყრობელის დროის ინგლისსა და ვიქტორიას დროის ინგლისს შორის. თუმცა მაშინ საერო სიმდიდრე ვერ იყო უმრავლესობის მდგომარეობის გამრკვევი ნამდვილი საშუალება; მაგრამ მიუხედავად მისა, ამ მაგალითების მეოხებით შეგვიძლია ავნუსხოთ განსხვავებანი მე-XIX და მე-XX საუკუნედა ნივთიერ კეთილდღეობაში. თუ ამ განსხვავებას ზნეობრივის მხრით შევხედავთ, ჩვენ წარმოგვიდგება ისეთი მოვლენა, რის მსგავსი არ ყოფილა არასოდეს ისტორიაში. უნდა მივუტეოთ მაშინ მათ, ვინც უნებლივ წამოიძახებს: „ეს ხომ სასწაულებიაო!“ მაგრამ თუ ფუძე გაკვირვებას თავს დავანებებთ და კრიტიკულად შევხედავთ ამ ვითომ და სასწაულს, დავინახავთ, რომ ამ სასწაულში ნამდვილად არაფერი სასწაულებრივი, არაფერი უჩვეულებრივო არ არის; რისთვის უნდა წარმოვიდგინოთ კაცობრიობის რაღაც ზნეობრივი გადახალისება ან ყოველგვარი ბოროტების აღმოფხვრა და კეთილის გამარჯვება ჩვენი განსახილველი მოვლენის ასახსნელად, როცა ამას ცხადად ხსნის რეაქცია ადამიანის იმ შეცვლილ ბუნებისა, რომელიც ჩვენ გარშემო გვარტყია. სხვაფრივ რომ ვსთქვათ, საზოგადოება აგებული ყალბსა, პიროვნულსა და ეგოისტურს დასაბამზე, ადამიანის ბუნების ველურ მხარეებზე, შეიცვალა იმ დასაბამით, რომლის საფუძველშიაც ინახება ნამდვილი პირადი ინტერესი რაციონალურის უანგარობისა და მოქცევისა ადამიანის საზოგადოებრივ-სულ-გრძელობის ინსტიქტისადმი.

„მეგობრებო, თქვენ რომ მოისურვოთ ხალხის ისევ იმ ველურ მხეცებად ქცევა, როგორიც იყვნენ მეცხრამეტე საუკუნეში, საკმარისია მიუბრუნდეთ მათს ძველ სამრეწველო წესებს, როცა მეზობელს ისე უყურებდნენ, ვით ბუნებრივს ალაფს

და ხედავდნენ თავის ბედნიერებას სხვის უბედურებაში. თქვენ უთუოდ ვერ წარმოიდგენთ ისეთს მდგომარეობას, რომელმაც გაიძულოსთ თქვენს გასაძღობად სხვას გამოსტაცოთ ლუკმა პირიდამ. მაგრამ გაითვალისწინეთ ახლა ისეთი მდგომარეობა, როცა ეს ხდება არა თქვენის საუკუნის პირად სიცოცხლის დასაცველად. მე ვიცი ჩვენს წინაპრებში ბევრნი, რომელნიც ირჩევდნენ საკუთარი სიცოცხლე ემსხვერპლათ, ვინემ სხვისგან წანაგლეჯის პურით ეკვებათ თავი. მაგრამ იმათ სიკვდილის ნება არ ჰქონდათ. მათ უკან იდგა სხვისი ძვირფასი სიცოცხლე, მათზე დამოკიდებული. მამა-კაცს, როგორც ახლა, მაშინაც უყვარდა დედაკაცი. ერთმა ღმერთმა იცის, როგორ ბედავდნენ მამაკაცნი მამობას, მაგრამ, როგორც ჩვენ, მათაც ჰყავდათ შვილები, უჭველია, ისეთივე ძვირფასნი მათთვის, როგორც ჩვენთვის არიან ძვირფასნი ჩვენი შვილები. მათ რჩენა უნდოდათ, ჩაცმა, აღზრდა. თვით უმშვიდესი ქმნილებაც ბრაზდება, როცა მას გამოსაკვები შვილები ჰყავს. და აი ამ მგლურს საზოგადოებაში ბრძოლა არსებობისათვის პოულობდა სასოწარკვეთილების ძალას, სახელდობ საუკეთესო, უნაზესს გრძნობებში. ამ თქვენგან დამოკიდებულ პირთა გულისათვის უნდა განურჩევლათ ჩაგეჭიდათ ხელი ყოველ გვარ უწმაწურ ხელობისათვის, როგორც მაგალითად: მოტყუება, ცილის წამება, ქრთამები, ჭორები, ფასოვნებაზე იაფად ყიდვა და მასზე ძვირად გაყიდვა, საქმის შეწყვეტა, რომელიც სხვისი მარჩენალი იყო, სხვისი შეგულიანება იმის ყიდვაზე, რაც მისთვის საჭირო არ იყო და იმის გაყიდვაზე, რაც არ უნდა გაეყიდა; უნდა გეძარცვათ მუშები, გეწამებიათ მოვალეები, გეხრიკნათ მოვახშეებისათვის. მართალია, ზოგჯერ ის დიდის მწუხარებითა და ცრემლით სრულდებოდა,—მაგრამ რა, როცა სხვა გზა არ მოიძებნებოდა ოჯახის გამოსაკვებად, რომ ძალა-უნებურად უნდა შეგეიწროებინა შენზე სუსტი და გეტაცნა ლუკმა პირიდამ. სჯულის წარმომადგენელებიც კი ასეთს გასაჭირს სამძიმო პირობებში იყენენ. სიტყვით, ისინი ქადაგებდნენ ფულის სიძულვილს და

თითონ კი მუდამ სახეში ჰქონდათ თავიანთი ხელფასი, რომ ოჯახი დაერჩინათ! საწყლები, მათი ხელობა არ იყო ადვილი: ისინი ქადაგებდნენ სულგრძელობას და უანგარობას, როცა კარგად ესმოდათ, რომ მაშინდელ წესებში მათი ქადაგების მიმდევართათვის აუცილებელი იყო სიღატაკე. ამ ნაირად თავ-დაცვის კანონისა გამო ირღვეოდნენ ყველა ზნეობრივი კანონები. ხედავდნენ რა საზოგადოების მხეცურს მხარეებს, ეს ღირსეული კაცები ვაებით მოსთქვამდნენ ადამიანის ბუნების ზნე დაცემულობას, რომ ანგელოზიც ყოფილიყო კაცი გაირყვნებოდა ასეთს ეშმაკურს წესებში. მერწმუნეთ, ჩემო მეგობრებო, რომ ახლა, ამ ბედნიერს დროში კი არ დავიწყნია კაცობრიობას ღმერთი. არა, მას უფრო იმ შავს დღეებში არ სწამდა ის, როცა ძმათა მკვლელობის არსებობისათვის ბრძოლაში მისთვის უცხო იყო კეთილი გული; როცა სულგრძელობა და სათნოება გადარეცხილი იყო დედამიწის პირიდამ.

„ადვილი წარმოსადგენია იმ ხალხის თავგანწირულება, რომელიც ერთმანეთს გლეჯდა შეძენის გულისათვის; თუ შევიგნებთ მაშინდელ სიღატაკის მნიშვნელობას, შეიძლება ეგევე კაცები სხვა გვარს პირობებში დიდ-სულოვნობითა და სამართლიანობით ყოფილიყვნენ აღვსილნი. ტანისათვის სიღატაკე ნიშნავდა შიმშილსა და სიცივეს; სნეულებაში—უპატრონობას; სიმრთელეში—სამარადისო სამძიმო შრომას; ადამიანის სულიერს მხარისათვის ის შეადგენდა შევიწროებას, სირცხვილს, შეურაცხების ასატანადად მზა-ყოფას, სიყრმიდგან გარყვნილებას; დაკარგვას ბავშვებში უმანკოებისას, დედაკაცებში დედაკაცობისას, მამა-კაცებში ღირსებისას; ტვინისათვის სიღატაკეს უერთდებოდა ზნეობრივი სიკვდილი უმეცრებისაგან, დახშულობისა გამო იმ თვისებათა, რომლითაც ჩვენ გავირჩევით მხეცებისაგან.

„მეგობრებო, თქვენ ან თქვენს შვილებს რომ ასარჩევად გქონდესთ ორში ერთი: ან სიღატაკის შედეგი და ან სიმდი-

დრის შეძენა, როგორ ფიქრობთ?—დიდხანს შეიმაგრებდით თავს თქვენს ზნეობრივ სიმაღლეზე?

„ამ ორი თუ სამი საუკუნის წინად ინდოეთში ერთი შემაძრწუნებელი შემთხვევა იყო და, თუმცა დაღუპულთა რიცხვი დიდი არ ყოფილა, მაგრამ სიკვდილი ისეთს საზიზღარს პირობებში მოხდა, რომ მასზე მოგონება უკუნითი უკუნისამდე არ გაჰქრება. რამდენიმე ინგლისელი ტყვეები დაუპატიმრეს ისეთს შენობებში, სადაც მათი მეათედი რიცხვისათვისაც კი არ იყო საკმაო ჰაერი. ისინი იყვნენ მამაცნი, ერთმანეთისათვის თავდადებული მეგობრები; მაგრამ, როცა ჰაერის ნაკლებობამ მათ სული შეუხუთა, ყოველივე მივიწყებას მისცეს და გაიმართა თავ-განწირული ბრძოლა. მათ დაივიწყეს ერთმანეთი და თითეული მხოლოდ იმას ცდილობდა, როგორმე პაწია ჭუჭრუტანასთან მიეღწია და ჰაერი ჩაესუნთქა. ამ ბრძოლაში კაცნი მხეცებად იქცნენ, და გადარჩენილთა მცირე რიცხვის ნაამბობმა გამოვლილს საზარელს უბედურობაზე, ისეთი შემზარავი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს წინაპრებზე, რომ მთელი საუკუნის შემდეგ ვხედავთ მათს ლიტერატურაში ამ საგანზე შენახულს დაწვრილებითს ცნობებს, დასამტკიცებლად მისა, თუ სადამდე მიიყვანს კაცს სასოწარკვეთილება ზნეობრივისა და ფიზიკურის მხრით. მაგრამ რა იცოდნენ მათ, რომ ეს კალკუტტის „შავი ჯურღმული“ გამხეცებული ხალხით, ნამცეცი ჰაერის გულისათვის, ჩვენთვის შეიქმნებოდა იმათი დროის საზოგადოების დამახასიათებელი. ნუ დაივიწყებთ კი, რომ ამ „შავს ჯურღმულში“ იტანჯებოდნენ არა ნაზი ქალები, არა პაწია ბავშვები, არც მოხუცნი დედაკაცნი და არც სახიჩარნი, არა—იქ იტანჯებოდნენ მარტო მაჯაგანნი, ჭირგამძლე მამაკაცნი.

თუ წარმოვიდგენთ, რომ ჩემგან მოხსენებული ძველი წესები ეკუთვნის მეცხრამეტე საუკუნის დამლევს, როცა რომ ჩვენთვის მას შემდეგი დროის წეს-წყობილებაც-კი ძველია, რადგან ჩვენი მამებიც მხოლოდ დღევანდელს წესებს იცნობდნენ, მაშინ შეუძლებელია არ გვეოცოს, თუ რა სისწრაფით ხდებოდნენ

ეს ცვლილებანი. მაგრამ, როცა უფრო დაახლოვებით გავეცნობით XIX საუკუნის დამლევის გონებრივ მდგომარეობას, დავინახავთ, რომ ისეთი გასაოცარიც არაფერია. თუმცა ისეთი განვითარება, როგორიც ჩვენ გვესმის ახლა, არაგვარს დროში, არ არსებობდა იმ დროს, მაგრამ წინა თაობასთან შედარებით ერთის საფეხურით მაინც იდგა მაღლა; აუცილებელი შედეგი ამ შედარებითი განვითარებისაც-კი ის იყო, რომ შეიგნეს საზოგადოების ცუდი მხარეები, რაც წინად არ მომხდარა. მართალია, ეს სიცუდე წინაზე უფრო უარესი იყო, მაგრამ უმრავლესობის განვითარების ზრდასთან ერთად ისიც გამოაშკარავდა, როგორც სინათლეში უფრო დასანახი ხდება ყოველივე სიბინძურე, როცა იგივე შეუმჩნეველი რჩება სიბნელეში. მაშინდელი ლიტერატურის უმთავრესი საღაღადო საგანი ღარიბთა და უბედურთა სიბრალული და დრტვინვა იყო, რომ საზოგადო საშუალებანი უძლურნი არიან მოსპონ ადამიანთა ტანჯვებიო. ცხადია, რომ ამ გოდებას გავლენა ჰქონდა მაშინდელ საუკეთესო პირებზე, რომელნიც მოუძლურებულიყვნენ თანაგრძნობის ტვირთს ქვეშ.

„თუმცა მათ არ ესმოდათ ჩვენი ზნეობრივი ჭეშმარიტება, არ ქონდათ შეგნება კაცობრიობის განვითარებისა, ცნობა ძმობა—ერთობის სინამდვილისა, მაგრამ ყოველგვარ გრძნობის დახშულობით ამის ახსნა შეუძლებელია. შემიძლია მოვიყვანო ზოგ მწერალთა მჭევრ-მეტყველური ციტატები მის დასამტკიცებლად, რომ მცირე რიცხვისათვის ეს ცხადზე ცხადი იყო, ხოლო უმრავლესობას, თუმცა ბუნდად, მაგრამ მაინც შეეგნო. ამასთან ნუ დავივიწყებთ, რომ XIX საუკუნე ქრისტიანობის საუკუნედ ითვლებოდა და იმ ფაქტს, რომ მთელი სამრეწველო და სავაჭრო წეს-წყობილება ქრისტიანობის საწინააღმდეგო აზრებით იყო გამსჭვალული, უნდა ჰქონოდა მნიშვნელობა,— თუმცა მე ვფიქრობ ქრისტეს სარწმუნოების ჭეშმარიტი მიმდევარნი ძლიერ ცოტანი იყვნენ. უნებლიეთ ასეთი საკითხი ტყვრება: სად მარხია იმის მიზეზი, რომ თუმცა არსებულ წე-

სებს ბრაზზე მოჰყავდა უმრავლესობა, მაგრამ მაინც მოთმინებით იტანდნენ მას ან კმაყოფილდებოდნენ უმნიშვნელო ცვლილებებით? და აი აქ საოცარს მოვლენას ვაწყდებით თავს. მაშინდელი საუკეთესო პირთაც-კი გულ-წრფელად სწამდათ, რომ ადამიანის ბუნების ერთად-ერთი, შეუცვლელი ელემენტები, რომლებზედაც შეიძლება სოციალური წესების თამამად დამყარება, ეს ადამიანის ცუდი თვისებებიაო. ამათ ეუბნებოდნენ და მათაც სჯეროდათ, მარტო სიხარბე და თვით-მოყვარეობა აკავშირებს ადამიანებს ერთმანეთთან და რომ ყოველგვარი ერთობა კაცობრიობისა, დაუმყარებელი ადამიანთა ბუნების ამ თვისებებზე უთუოდ დაირღვევაო. ერთის სიტყვით, ისინიც-კი, რომელთაც უნდა სხვა გვარად ეფიქრათ, ფიქრობდნენ სრულებით წინააღმდეგს მისას. იმათ ეგონათ, რომ სოციალურს-კი არა, არამედ არა სოციალურს თვისებებს შეუძლია ხალხის შემაერთებელ ძალად შეიქნესო. მათ სრულ ბუნებრივად მიაჩნდათ ხალხის იმისათვის არსებობა, რომ იტყუონ და სწიწკნან ერთმანეთი. ცხადია, ისეთს საზოგადოებას, რომელშიაც მსგავსი მიდრეკილებანი თავისუფლად ნავარდობდნენ და რომელიც მოტყუებულთა და შევიწროებულთაგან შესდგებოდა, არ შეეძლო საერთო საკეთილდღეო მიზანს მისცემოდა. ძნელი დასაჯერია, რომ მსგავსს რწმენას ვინმე მომხრე გამოსჩენოდეს, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს სრულებით დამტკიცებული ისტორიული ფაქტია. ასეთს რწმენებს არა თუ ხელს უწყობდნენ ჩვენი წინაპრები, არამედ მათი წყალობით იყო, რომ იმდენ ხანს გასტანა ძველმა წეს-წყობილებამ, მიუხედავად მისა, რომ ბევრს უკვე დიდხნიდამ ესმოდა მისი ბოროტ-მოქმედება. აი ამით აიხსნება მეცხრამეტე საუკუნის დამლევის ღრმა პესსიმიზმი ლიტერატურაში, ბნელი სევდიანობა პოეზიაში და ცინიზმი მის მხიარულება — დაცინვაში.

„ჩვენს წინაპრებს კარგად ესმოდათ, რომ კაცობრიობა ასეთს პირობებში ვერ ისულდგმულებდა, მაგრამ ამასთან არც უკეთესის მომავლის იმედი ჰქონდათ. მათ ეგონათ, კაცობრიობის გან-

ვითარება უკვე შედგა, მოემწყვდა რა ისეთს კლდე—ღრეში, საიდამაც თავის დაღწევა შეუძლებელი იყო. ჩვენამდე მოღწეულს თხზულებებში ნათლად არის გამოხატული მაშინდელ ჯერთა ტრიალი. ამ ნაწერებში საბუთებ-ა მოყვანილი მის საარგებლოდ, რომ მიუხედავად კაცობრიობის ცუდის მდგომარეობისა, სიცოცხლე უმჯობესია სიკვდილზედაო. თავიანთ თავის შეუგნებლობამ მათ შემომქმედიც დაავიწყა. სარწმუნოება საზოგადოდ დაცემული იყო. მისი ფერმკრთალი სხივები უძლურად მისრიალებდნენ ეჭვიანობისა და შიშის სქელ საფარველით გაკრულს ცაზე და მქრალად ანათებდნენ მიწიურს აურზაურობას. სწორედ შესაბრალისი სიბრიყვეა ეჭვი შევიტანოთ მასზე, ვინაც სიცოცხლე ჩაგვერა, ან გვეშინოდეს მისი, ვინაც შეგვქმნა. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ დღით უშიშარს ბალღებს ღამით ზოგჯერ სულელური ფიქრი იპყრობს. მაგრამ აი დადგა ნათელი. ამ მეოცე საუკუნეში მეტად ადვილია ღვთის რწმენა.

„მე მოკლედ მოვიხსენიე ის მიზეზები, რომელებმაც მოამზადეს ადამიანის გონება ახალი წესების შემოსაღებად სწორედ ისე, როგორც მოვიხსენიე ის სასოწარკვეთილების კონსერვატიზმი, რომელმაც იმ დროს შეაჩერა ეს პროცესსი, როცა ამისი დრო დადგა. ამ ცვლილების სისწრაფე, მიუხედავად მისა, რომ პირველად ძლივს მიზოზინებდა, აიხსნება მითი, რომ იმედები რაღაც დამათრობელად მოქმედებდნენ სასოწარკვეთილების ჩვეულ გონებაზე. ისეთ ხაგრძლივი და ბნელი ღამის შემდეგ, ცხადია, ძნელია მზის სხივების თვალის გამაგრება· იმ წამიდამ, რაც ხალხმა შეიგნო, რომ კაცობრიობის წინ-მსვლელობა დაუსრულებელია, უსაზღვროა, რეაქცია აუცილებელი და საოცარი შეიქმნა. ცხადია, არაფერს არ შეეძლო ამ ძლიერი ენტუზიაზმის შეჩერება, რომელსაც აცხოველებდა ახალი რწმენა.

„ხალხმა შეიგნო, რომ ამ პროცესსთან არც ერთი სხვა ისტორიული პროცესსები არაფეს არ ნიშვნენ. და ალბად მხო-

ლოდ იმიტომ, რომ ამისათვის საჭირო იყო მილლიონი მსხვერპლი, საქმე სულ უმსხვერპლოდ გადაწყდა. ძველი ქვეყნის პაწია სამეფოშიაც კი უბრალო დინასტიის შეცვლა ხშირად იმაზე მეტ მსხვერპლს ითხოვდა, რა მსხვერპლიც დასჭირდა ამ უშველებელ ცვლილებას, რომელმაც ჭეშმარიტ გზაზე დააყენა მთელი კაცობრიობა.

„ცხადია, ვისაც ამ ჩვენს ბრწყინვალე საუკუნეში ხვდა წილად ცხოვრება, მას სხვა ხვედრის ნატვრა არ შეფერის; მაგრამ ბევრჯერ მომსვლია ფიქრად, რომ გადავცვლიდი ამ ნათელს ბედნიერს დღეებს იმ მშფოთვარე, გარდამავალ ხანაზე, როცა იმედწარკვეთილ კაცობრიობის წინ გაიღო მომავლის კარები და ცალიერი კედლების ნაცვლად, რომელნიც გზაზე ეღობებოდნენ, მის ანთებულს თვალებს წარმოუდგა თვალ-წარმტაცი სურათი პროგრესისა, რომლის ელვარებაც ჯერაც კიდევ გვხიბლავს ჩვენ. ეხ, მეგობრებო, ვინ არ დაიჯერებს, რომ იმ დროში ცხოვრება ვერაფერი სახარბიელი იყო, როცა საზოგადო მოქმედების ბურჯად თავს იჩენდნენ უმდარესი მიდრეკილებანი, რომელთა შეხებითაც ძრწოდნენ საუკუნენი!

„რა უნდა ვსვა და ვჭამო მე? რა ჩავიცვა მე? აი მათი მუდმივი საზარელი კითხვა, რაზედაც მყარდებოდა მაშინ თავიცა და ბოლოც. მაგრამ, როცა ამავე საკითხს ძმურად მიმართეს—რა ვსჭამოთ ჩვენ? რა ვსვათ ჩვენ? რა ჩავიცვათ ჩვენ? ყოველგვარი სიძნელე გაჭრა.

„სიღარიბე და მონება უმეტესობისათვის იქიდამ წარმოსდგა, რომ კაცობრიობა ფიქრობდა რჩევის საკითხი, არსებობის გამოცანა, ინდივიდუალური შრომით აეხსნა. მაგრამ, როგორც კი სახელმწიფო შეიქმნა ერთად—ერთი კაპიტალისტი და ამასთან მუშაკიც, სიღატაკე, რასაკვირველია, კეთილ-დღეობად შეიცვალა და მონობა კი სამუდამოდ გადაირეცხა დედამიწის პირიდამ. საარსებო სახსარი მეტად აღარ გამოდის დედაკაცებისათვის მამა-კაცთაგან, არც ერთის მსახურის—მეორისაგან, ღარიბისათვის მდიდარისაგან; ყველანი ერთ და იმავე წყა-

როდამ ღებულობენ მას, თითქო ყველა ერთის დედ-მამის შვილნი იყვნენ და ერთს სუფრას უსხდნენ. შენი თავისათვის სხვისით სარგებლობა შეუძლებელი გახდა. ყველაფერი, რის იმედიც უნდა ვიქონიოთ სხვისაგან, ეს მარტო პატივისცემაა. ხალხთა ურთიერთულმა დამოკიდებულებამ მოსპო სიამაყე და პირმოთნეობა. ეს პირველია ქვეყნის გაჩენიდამ, რომ ადამიანი ურცხვენელად წარსდგა ღვთის წინაშე. რაკი ცხოვრების სახსარი ყვლამ მიიღო, გაჭირების შიში და გამდიდრების წყურვილი დავიწყებულ იქმნა, ხოლო უზომო ქონების შეძენა-კი შეუძლებელი გახდა. მოისპო მათხოვრობა და გაჰქრა მოწყალეობაც. სამართლიანობის მეოხებით ქველმოქმედება გაუქმდა. მცნებებს თითქმის დაეკარგათ მნიშვნელობა, რადგან ქურდობაზე შემაცდუნებელი არაფერია და არც იმის საბაბს იძლევა რამე, რომ იცრუონ შიშით ან დაყვავებით: ადგილი აღარ აქვს შურს, რადგან ყველა თანასწორია; არ არსებობს ძალმომრეობა, რადგან წართმეული აქვსთ ერთმანეთის შეურაცხების უფლება. კაცობრიობის დიდის ხნის ოცნება: თავისუფლება, ძმობა, თანასწორობა, რაც იმდენ საუკუნეთა განმავლობაში სასაცილოდ იყო აღებული, დაბოლოს განხორციელდა.

„ძველ წესებში კეთილი, სულგრძელი და სიმართლით აღჭურვილი კაცები მუდამ დევნაში იყვნენ მათი შესაძჩნევი ღირსებების გამო, როგორც ახლა იდევნებიან საზოგადოებისაგან ბოროტნი, ხარბნი და მოანგარენი. მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, რის შემძლებელია კაცობრიობა, თუ ის გარყვნილი არ არის, როცა ცხოვრების პირობანი ხელს არ უწყობდნენ მეტად ადამიანის ბუნების ცუდ თვისებათა განვითარებას, როცა თვით-მოყვარეობას და ეგოიზმს არავითარი სასყიდელი არ მოელოდა. უმსგავსო მიდრეკილებანი, რომელნიც ისე მრავლდებოდნენ წინად, როგორც სოკოები ბნელსა და ნოტიო სარდაფში, ახლა წმინდა ჰავისა და სინათლის მეოხებით დაიღუპნენ; მათი ალაგი დაიჭირეს კეთილშობილურ თვისებებმა ისეთის ძალით, რომ თვით თავგადადებული ცინიკებიც-კი მაქებ-მადი-

დებლად იქცნენ. ეს პირველად ხდება საკაცობრიო ისტორიაში, რომ ადამიანმა ასე ძლიერად შეიყვარა თავის-თავი. მალე გაირკვა ის, რასაც არას გზით არ ირწმუნებდნენ ძველი დროის ფილოსოფოსნი და სახელდობ: რომ ადამიანის ბუნების უმთავრესი თვისებანი კარგებია და არა ცუდები; რომ ბუნებით ადამიანი კეთილია, სულგრძელი, უანგარო, შემბრალებელი და სათნოებიანი; ის ისწრაფის ღვთის მსგავსებისადმი მისავე შესაფერის გულკეთილობითა და თავგანწირულებით. მიუხედავად მისა, რომ მრავალი ჩამომავლობა ისეთ საზიზღარ მჩაგვრელ პირობებში ცხოვრობდა, როცა ანგელოზიც-კი გაირყვნებოდა, ადამიანის ბუნებისადმი მინიჭებულნი თვისებანი ხელუხლებლად დარჩნენ, იმის მსგავსად, როგორც გადმოღუნული ხე აიმართება მთელი თავის სიმაღლით, როცა-კი მას აუშვებენ. სხვა გვარად რომ ვთქვათ, ძველი დროის კაცობრიობა შეიძლება შევადაროთ ჭაობ ადგილებზე ამოსულს ვარდის ბუჩქს, რომელიც საზრდოობს აყროლებულის წყლითა და ხაშმით და ჭკნება ღამის მომწამვლელ ოხშივარისაგან. მებაღეთა ურიცხვი სხვა და სხვა თაობა ბევრ- გვარად ცდილობდა მცენარე აყვავებულიყო, მაგრამ, გარდა ერთის, ნახევრად გაფურჩქნილის ჭიანის კოკორისა, ვერა ცდამ უკეთესი ვერა გამოაღებია რა, ბევრი იმ აზრს დაადგა, რომ ეს ვარდის ბუჩქი-კი არა, რაღაც მყრალ მყრალა ბალახია, რომელიცუ ნდა მოითხაროს და დაიწვასო. მებაღეთა უმეტესობა კი ამტკიცებდა, რომ, თუმცა მცენარე ვარდის ბუჩქთა ნათესაობას ეკუთვნის, მაგრამ რაღაც უკურნებელი სენით არის შეპყრობილი, რომელიც უშლის აყვავებას და რომელიც საზოგადოდ ასუსტებს და აღრობსო. ისეთებიც გამოჩდნენ,—თუმცა, მართალია, მცირე ნაწილი-რომელნიც ფიქრობდნენ, რომ მთელი ბოროტება ნიადაგისაგან წარმოსდგება, რომ მცენარე, საღია და სხვა გვარ პირობებში მშვენივრად იხარებსო. მაგრამ ესენი ნამდვილი მებაღენი არ იყვნენ, მათ იცნობდნენ როგორც ტეორეტიკებსა და ოცნების-მოყვარულთ. ამათ მოსაზრებას ეთანხმებოდა უმრავლესობაც. ამას გარდა ბევ-

რი შესანიშნავი ფილოსოფოს-მორალისტები ეთანხმებოდნენ რა იმ აზრს, რომ ბუჩქი სხვა პირობებში უკეთ იხეირებდა, ამავე დროს სასარგებლოდ ცნობდნენ კოკრებისათვის, რომ აყვავებულიყო ამ ჭაობში და უვარგისს პირობებში. „ადვილი შესაძლოაო,—ამბობდნენ ისენი—რომ კოკრები მეჩხრად ექმნება და გაფუჩქვნილი ფოთლები ფერ-მიხდილი და სუნ-მიღებულიო, მაგრამ ამისდა ნაცვლად მათი ზნეობრივი—ძალა უფრო მაღლა იდგომება, ვინემ ბაღში ხარების დროსაო.“

„მებაღეებად და ფილოსოფოს—მორალისტთა გაიმარჯვეს. ბუჩქი ისევ-ისე ღრმად დარგული დარჩა ჭაობში და ძველებური მოვლის წესი არ იცვლებოდა. ფესვებს განუწყვეტლივ ურწყავდნენ ახალ—ახალი მიქსტურებით, რომ ობი და ჟანგი ჩამოეცილებიათ. ყველას თავისი საშუალება მოსწონდა. ეს გაგრძელდა დიდხანს. შემთხვევით ვინმე შენიშნავდა, რომ ბუჩქს თითქო სიცოცხლე დაეტყო, მაგრამ სხვების აზრით-კი ის უარესობაში შედიოდა. საზოგადოდ თვალ-საჩენი განკარგება არ ეტყობოდა. დაბოლოს ყველა სასოწარკვეთილებამ შეიპყრო და აქ ისევ იმ აზრს დაადგნენ, რომ ბუჩქი გადაერგათ. ამ ხანად ასეთს წინადადებას თანდათან ყველა დეთანხმა.

—„ვშინჯოთ ერთი!—იყო საერთო ხმა.—შეიძლება სხვა ადგილზე მართლაც იხაროს და აქ ყოველგვარი ცდა ამოო რჩებაო.“

„ამ ნაირად საკაცობრიო ვარდის ბუჩქი გადაირგა თბილს, რბილს და მშრალს მიწაზე; მზის სხივებმა გაათბეს ის და თბილი სამხრეთის ქარი ნაზად უალერსებდა მას. ახლა ნათლად დაინახეს, რომ ეს მართლაც ვარდის ბუჩქი იყო. ობი და ჟანგი შემოეცალა, ბუჩქი შეიმოსა ლამაზ წითლად მოელვარე კოკრებით და მთელს ქვეყანას მოჰფინა კეთილ-სურნელება. შემოქმედმა ჩაუდო კაცს გულში უნაკლულობის უსაზღვრო იდეალი, როგორც ამანათი ჩვენის ბედნიერებისა, რომელთან შედარებით სხვა ყველაფერი, რაც-კი წარსულში შეგვიძენია,

არაფრადა სჩანს, ხოლო მისწრაფება-კი მუდამ მიუღწეველი რჩება. ჩვენს წინაპრებს რომ ისეთი საზოგადო წეს-წყობილების წარმოდგენა შეძლებოდათ, რომლის დროსაც ხალხს ძმურად ეცხოვრა—თანხმობაში, უშფოთველად, უძალ-მომრეოდ, უთვალ-მაქცოდ, როცა ჯილდოთ შენგან არჩეულის იმ ზომის შრომისა, რაც სიმრთელისათვის საჭიროა ხალხი თავისუფალი ყოფილიყო სახვალიო ზრუნვისაგან; როცა მათთვის იმდენად საჭირო ყოფილიყო სარჩოზე ზრუნვა, რამდენადაც იმ მცენარეთათვის, რომელთაც ულეველი წყაროები რწყვენ; ერთის სიტყვით, ასეთს პირობებში რომ მათ ადამიანის ცხოვრების წარმოდგენა შეძლებოდათ—ისინი მას სამოთხეს უწოდებდნენ; მათს გონებაში ის შეუერთდებოდა ზეცას და მათთვის უაზრობა შეიქმნებოდა უმეტესის სურვილი და უკეთესისაკენ მისწრაფება.

„მაგრამ რაღასა ვგრძნობთ ჩვენ, როცა იმ მწვერვალზე მოვექეცით, რომელსაც იგინიც მიჩერებოდნენ? ჩვენ სრულებით დავივიწყეთ, და თუ განსაკუთრებული რამ შემთხვევა არა, მაგალითად, როგორც ახლაა, არც-კი მოგვაგონდებოდა, რომ კაცობრიობას ოდესღაც სხვა გვარად უცხოვრია. ჩვენთვის გასაჭირია წარმოვიდგინოთ ცხოვრების საზოგადოებრივი პირობანი ჩვენს მახლობელ წინაპართა. ის ჩვენთვის რაღაც უცნაური და სასაცილოა. ნივთიერი მდგომარეობის იმ სახით ახსნა, რომ აღმოიფხვრას ზრუნვა და ბოროტება—არ მიგვაჩნია უკანასკნელ მიზნად; ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია კაცობრიობისა ჭეშმარიტ პროგრესისაკენ. ჩვენ მხოლოდ თავი დავიფარეთ იმ სასტიკ და უსარგებლო ტანჯვათაგან, რომელიც ხელს უშლიდა ჩვენს წინაპრებს არსებობის ნამდვილ მიზანს მისცემოდნენ. ჩვენ ვედარებით ბავშვს, რომელიც ესეც არის ფეხზე დგომას და სიარულს იწყებს. ბავშვის შეხედულებით ეს საოცარი შემთხვევაა. ის შეიძლება ფიქრობდეს, რომ ამაზე მეტი წარმატება შეუძლებელია, მაგრამ ერთის წლის უკან დაივიწყებს, რომ მუდამ ფეხზე არ უვლია. რაც ის ფეხზე დადგა— მისი ჰორიზონტი მხოლოდ ჩდა; მისს მოძრაობასთან

ერთად ისიც გაფართოვდა. ვთქვათ, მისი პირველი ნაბიჯი შეანიშნავი შემთხვევაა, მაგრამ მაინც, როგორც დასაწყისი და არა როგორც ბოლო· ის მხოლოდ ავიდა თავის ასპარეზზე. კაცობრიობის განთავისუფლებამ ამ უკანასკნელს საუკუნეში ზნეობრივად და ფიზიკურად ჩაგვრისაგან, რომელიც მან გამოელო, ცხოვრებისათვის საჭირო სახსრის მოპოების მიზნით, უნდა მივიჩნიოთ კაცობრიობის მეორედ დაბადებად. თუ ეს მეორე დაბადება არა, პირველი დაბადება, რომელსაც თან დაყვა არსებობის ისეთი სიმძიმე, უაზრო იქმნებოდა, როცა რომ ახლანდელ დროში კიცობრიობისათვის დადგა ახალი ფაზისი სულიერის განვითარებისა, განვითარებისა იმ უმაღლეს მხარეთა, რომელთაც არც-კი იცნობდნენ ჩვენი წინაპარნი. ნაცვლად მეცხრამეტე საუკუნის უიმედო სასოწარკვეთილებისა და მის ღრმა პესსიმიზმისა კაცობრიობის მომავლის შესახებ, ჩვენის დროის განმაცხოველებელი იდეია იმაში იხატება, რომ ჩვენ შევიგნეთ ამ ქვეყნიური არსებობა, და გაუმჯობესობა ადამიანისა თითეულს თაობაში—ფიზიკურად, ზნეობრივად და გონებრივად—მიჩნეულია ყოველგვარის მეცადინეობისა და სხვერპლის ღირს საქმედ. ჩვენის აზრით, ეს პირველადაა, რომ კაცობრიობა დაუახლოვდა ღვთის იდეალს და თითეული თაობა ახალი ნაბიჯი უნდა იქმნას ამ იდეალის მისაღწევად.

„თქვენ მკითხავთ, რის იმედი-ღა უნდა ვიქონიოთ ჩვენ, როცა ამდენმა ჩამომავლობამ ჩავლოო? მე გიპასუხებთ: ჩვენი გზა გვიჩანს ჩვენ შორიდამ, მაგრამ ბოლო-კი მისი დაფარულია მზის სხივებით. კაცის ღმერთთან მიბრუნება ორ გვარია: ის უბრუნდება მას, როგორც ცალკე პიროვნება სიკვდილის მეოხებით და როგორც მთელი კაცობრიობა, რომელმაც აღასრულა თავის დანიშნულება, როცა ჩანასახში დაფარული ღვთაებრივი საიდუმლო გამოაშკარავდება. ვიტიროთ ბნელი წარსული, შევხედოთ მოელვარე სინათლეს და თავ-დახრით გავსწიოთ წინ. გრძელი და მოსაწყენი ზამთარი დასრულდა კაცო-

ბრიოპისათვის. დაგვიდგა ზაფხული. კაცობრიობა გამოძვრა თავის ძველი ქერქიდან და ხედავს თავის წინაშე პირ-გახსნილს ცას...“

თავი XXVII

ძველ დროში, არ ვიცი რისაგან, ყოველ კვირა ნასადილევს რაღაც უფრო მიპყრობდა ბნელი ფიქრები, არაფერი არ მიზიდავდა, მთელი სიცოცხლე უფერულად მეჩვენებოდა. ამ დროს ოცნების ფრთებით დავქროლავდი სადღაც, მაგრამ დღის მიწურულში-კი კიდევ უფრო ვეკროდი მიწას, და არაფერს არ შეძლო ჩემი ფიქრებისგან გამორკვევა. შეიძლება იდეიათა ასოციაციის ძალის გამო მოხდა, რომ ამ მეოცე საუკუნის პირველ კვირას ნასადილევსაც ჩვეულებრივ ნაღვლიანობაში ჩავვარდი, მიუხედავად მისა, რომ სულ სხვა მორთულობათა შორის ვიმყოფებოდი.

თუმცა ამ ჟამად ჩემი ნაღვლიანობა უმიზეზო არ იყო, მაგრამ მას ახლაც არ დაუკარგავს თავის წინანდელი გაურკვეველი ჭმუნვარების ხასიათი, რადგან გამოწვეული იყო ჩემის მდგომარეობით. ბარტონის ქადაგებამ, მუდამ ერთსა და იმავე ზნეობრივს უფსკრულზე, რომელიც ჰყოფდა იმ საუკუნეს, რომელსაც ვეკუთვნოდი მე და იმას, რომელშიაც შემთხვევით გავჩნდი, განამტკიცა ჩემში მარტოობის გრძნობა, მისი მოფიქრებულსა და ფილოსოფიურს სიტყვას არ შეეძლო შთაბეჭდილება არ მოეხდინა ჩემზე. მე ნათლად ვიგრძენი, რომ ყველანი ჩემ გარშემო შემომცქეროდნენ სიბრალულით, ცნობის მოყვარეობით, ზიზღით, როგორც საზიზღარი ეპოქის წარმომადგენელს.

ის საოცარი გულკეთილობა, რომელსაც ჩემს შესახებ იჩენდნენ დოქტორი ლიტი და მისი ოჯახი, განსაკუთრებითკი იუდიფი, არ მანებებდა მეფიქრა, რომ ისიც უთუოდ ისე

შემომცქეროდა, როგოც მთელი თაობა, რომელსაც ის ეკუთვნოდა. ასეთი ფიქრი უფ. ლიტისა და მის საყვარელ მეუღლეს შესახებ, რასაკვირველია, საწყენი იყო, მაგრამ ის-კი ვერ დამეჯერებია, რომ იუდიფიც თანაუგრძნობდა მათ. ამ ფიქრის ცხადმა შესაძლებელობამ ერთიან მომშალა და ნათლად დაჟინახე,— მკითხველი უეჭველია წინადვე მიხვდა ამას—ნათლად დავინახე, რომ იუდიფი მიყვარდა. განა ეს მოულოდნელი იყო? იმ ამღელვებელმა გარემოებამ, რომელმაც ჩვენს შორის დაახლოებების საფუძველი ჩასდო, როცა მან, ასე ვთქვათ, საკუთარის ძალით წამგლიჯა სიგიჯეს ხელიდამ; მისმა ცხოველ-მყოფელის ძალით საგსე თანაგრძობამ, რომელმაც ახალს ცხოვრებაში შემიყვანა და მიშველა ამ ცხოვრების ატანა; უკანასკნელ იმ ჩემმა ჩვეულებამ, რომ მას ისე ვუცქეროდი, როგორც მოსაშვალეს ჩემსა და ჩემს გარშემო მყოფთაშორის, რის მეოხებითაც ის ჩემთვის მამა მისზე უფრო მახლობელი შეიქმნა, ყველა ამან მხოლოდ დაჩქარა ის შემთხვევა, რომელსაც მაინც ვერ ავცდებოდი მისი ჭკუისა და გულის ღირსებათა გამო. ცხადია, ის მიეაჩნდა მე ერთად-ერთს დედა-კაცად მთელს ხმელეთზე, თუმცა სულ სხვა აზრით, ვინემ ჩვეულებრივ ფიქრობენ შეყვარებულნი. ახლა, როცა უეცრივ მივხვდი ჩემი იმედების ფუჭობას, ვიტანჯებოდი, არა ისე როგორც სხვა შეყვარებულნი, არამედ ჩემს ტანჯვებს ზედ-ერთვებოდა საზარელი გრძნობა მარტოობისა, გრძნობა სასოწარკვეთილებით საგსე, რომელიც ჩემამდე არ უცდია არც ერთს უნუგეშო შეყვარებულს. მასპინძლებმა შენიშნეს ალბათ ჩემი ასეთი მდგომარეობა და ყოვლის ღონით ცდილობდნენ ჩემს გართობას—განსაკუთრებით იუდიფი. ეტყობოდა ის სწუხდა ჩემზე, მაგრამ მე, როგორც საზოგადოდ შეყვარებულნი, უმეტესის მოწადინეს, ვერ მამხიარულებდა მისი ჩემდამი კეთილი განწყობილება—მე ვიცოდი, რომ ეს იყო მხოლოდ თანაგრძნობა.

საღამოზე, დიდ ხნის სახლში ჯდომის უკან, გავედი საseირნოდ ბაღში. ღრუბლიანი დღე იყო: წყნარსა და თბილს ჰაერ-

ში შემოდგომის სუნი ტრიალებდა. სიარულში თავს წავატყდ ჩემს მიწურს ოთახს, სადაც შევედი და დავჯექი.

— აი სად არის ჩემი ბინა,—გავიფიქრე.—აქედამ ფეხსაც არ მოვიცვლი.

მე ვეძიებდი მშველელს ჩემს ნაცნობ მორთულობათა შორის და ვიგრძენ რაღაც სევდიანი ნუგეში, რა-კი წარსული გავიცოცხლე და წარმოვიდგინე იმ ხალხის სახე და აჩრდილი, რომელთა სიახლოვითაც ვტკბებოდი ჩემს წინანდელ ცხოვრებაში. ას წელზე მეტია, რაც ვარსკვლავნი თავის მაღლობიდამ დასცქერიან იუდიფ ბარტლეტის საფლავს და საფლავებს ჩემის დროის თაობისას.

წარსული მკვდარი და განართხული იყო მთელის საუკუნის სიმძიმისაგან, ხოლო აწმყოდამ მე ვიყავ განდევნილი. არსად ჩემთვის არ იპოვებოდა ბინა. ნამდვილად მე არც მკვდრებში ვერიე, არ ცოცხლებში.

— მომიტევეთ, რომ უკან დაგედევნეთ!..

მივიხედე. კარებში იუდიფი იდგა; მან გამიღიმა, ხოლო თვალები-კი თანაგრძნობით ავსებოდა...

— გამაგდეთ თუ გაწუხებთ,—დაიწყო მან;—ჩვენ შევნიშნეთ თქვენი ამღვრეული მდგომარეობა და, ხომ გახსოვთ, შემპირდით ყველაფრის თქმას, რაც-კი აგაღელვებდათ, მაგრამ გასტეხეთ სიტყვა.

მე ავდექი, მივედი კარებთან და ვცდილობდი გამეღიმნა; მაგრამ, უეჭველია, ღიმილი ვერ მომიხერხდა, რადგან ამ მომხიბვლელ მშვენიერების დანახვაზე ახალის ძლიერებით დამიდგა თვალ-წინ ჩემი ნამდვილი სასო-წარკვეთილების მიზეზი.

— ცოტათი მარტოობის სევდამ შემიპყრო მხოლოდ,—დავიწყე მე.—არ მოგვსლიათ თქვენ აზრათ, რომ ჩემი მდგომარეობა იმდენად იშვიათია, რომ მის გამოსახატავად ახალი სიტყვების მოგონებაა საჭირო?

— ნუ ამბობთ ამას, ნუ ფიქრობთ ასე!—წამოიძახა მან თვალცრემლიანმა.—ჩვენ განა მეგობრები არა ვართ თქვენი? და თუ

ჩვენი მეგობრობა არ გინდათ, ეს თქვენი ბრალია. თქვენ მარტოობას არ უნდა გრძნობდეთ.

— ვხედავ თქვენს ჩემდამი უსაზღვრო გულკეთილობას,— განვაგრძე მე,—მაგრამ ნუ თუ გგონიათ არ ვიცი, რომ ამ შემთხვევაში თქვენ მხოლოდ სიბრალული გიწინამძღვრებთ, მართალია, გულითადი სიბრალული, მაგრამ მაინც მხოლოდ სიბრალული. ჩემის მხრით, სისულელე იქმნებოდა ვერ შემეგნო, რომ არასოდეს მე თქვენთვის ისეთი კაცი არ ვიქმნები, როგორიც თქვენნი თანამედროვენია, რომ მე თქვენთვის ერთი გაუგებარი, უცნობ ზღვისაგან გამოტყორცნილი არსება ვარ, ისეთი არსება, რომლის სასოწარკვეთილებაც გაწუხებსთ თქვენ, მიუხედავად ყველა მისი სასაცილო მხარეებისა. მე იმდენად ბრიყვი ვიყავი და თქვენ იმდენად კეთილი, რომ ყველა ამის დავიწყებას ვფიქრობდი და ვიმედოვნებდი, რომ შემეძლო, როგორც იტყვიან, შევსისხლ-ხორცებოდი ახალ საუკუნეს და თანასწორ ჩავერიცხებოდი თქვენი ხალხის გუნდს. მაგრამ ბარტონის ქადაგებამ მომიყვანა გონს და დამანახვა თუ რამდენად უიმედოა ჩემი ასეთი ოცნება, რა უზარ-მაზრად უნდა გეჩვენოსთ თქვენ ჩვენი განმაცალკევებელი ჯურღმული.

— ოხ, ის უბედური ქადაგება!—წამოიძახა მან ცრემლთა ფრქვევით,—იმიტომაც არ მინდოდა მოგესმინათ ის. რა იცის მან თქვენზე? საღლაც ძველს, დახავსებულ წიგნებში ამოუკითხავს თქვენი დროის შესახებ და ის არის. რად აქცევთ მას ყურადღებას, რად აძლევთ მნიშვნელობას მის სიტყვებს? განა თქვენთვის სულ ერთია, რომ ჩვენ, თქვენი სიკვდილისაგან მხსნელნი, სხვა აზრისა ვართ თქვენზე? ნუ თუ იმას, რასაც ის ფიქრობს თქვენზე, რომელსაც არასოდეს არ უნახივხართ, მეტს მნიშვნელობას აძლევთ, ვინემ ჩვენს აზრს თქვენს შესახებ? ოჰ, უფ. ვესტ, თქვენ არ იცით, თქვენ ვერ წარმოიდგენთ რას ვგრძნობ მე თქვენი ასეთი მწუხარების დანახვაზე. არ შეიძლება ამის ასე გაგრძობა. რა გითხრათ? რითი დაგაჯეროთ, რამდე-

ნად შორს არის ჩვენი თქვენდამი გრძნობები იმისაგან, რასაც თქვენ ფიქრობთ?

როგორც წინაზე, ჩემს პირველ უკიდურესს მდგომარეობის დროს, ახლაც ისე უმიდოთ გამოიშვირა მან ხელები ჩემკენ და, როგორც მაშინ, ახლაც ისე მოვეჭიდე მათ; მისი გული მღელვარე ზღვასავით ადიოდ-ჩადიოდა, თითებში წყნარი ჟრჟოლა დაურბოდა, რაც ნათლად ხატავდა მის გრძნობის სიღრმეს. სახის ლმობიერება შეეცვალა, რაღაც ღვთაებრივ სამდურავად გარემოებისადმი, რომელიც მას აუძლურებდა. არ ვფიქრობ, რომ ოდესმე ქალური ლმობიერება უმშვენიერესად გამოხატულიყოს. მისმა სათნოებამ და სილამაზემ ერთიან მომაჯადოვეს და წარმომიდგა,—სწორედ შესაბამი პასუხი იქმნებოდა გამომეცხადებია ყველაფერი. თუმცა იმედის ნამცეციც არ მქონია, მაგრამ არც ამის შიში მქონდა, რომ სწყენოდა. მასში მეტად ძლიერი იყო სიბრალული, რომ ის ვერ გამებედნა და გავბედე კიდევაც.

—ჩემის მხრით, შესაძლოა, უმადურობაა არ მაკმაყოფილებდეს თქვენი ჩემდამი გულ-კეთილობა; მაგრამ ნუ თუ თქვენ ბრმა ხართ და ვერ ხედავთ, რატომ არ კმარა ის ჩემი ბედნიერებისათვის? განა არ იცით რატომ? მიტომ რომ მე, სულელს, მიყვარხართ თქვენ!..

უკანასკნელ სიტყვებზე ის მთლად აეგზნო და თვალები დახარა, მაგრამ ხელების გაშვებინებას კი არ ცდილა; ამ მდგომარეობაში დაყო რამდენიმე წამი, შემდეგ კიდევ უფრო გაწითლდა და ნათლის ღიმილით შემომხედა.

— თქვენ-კი დარწმუნებული ხართ, რომ თითონ ბრმა არა ხართ?—ამოილაპარაკა მან.

აი ყველაფერი, რაც მიპასუხა; მაგრამ ესეც საკმაო იყო: მივხვდი, რა ძნელი დასაჯერიც უნდა ყოფილიყო, რომ ამ ოქროს საუკუნის სხივ-ცისკროვან ქალს არა თუ ვებრალებოდი მხოლოდ, არამედ ვუყვარდი კიდეც. მწამდა, რომ რაღაც

სანეტარო გალიუცინაციის გავლენის ქვეშ ვიმყოფებოდი, თუმცა ცხადად ვეხვეოდი მას.

— თუ შევიშალე, დამტოვეთ ამ მდგომარეობაში.—წამოვიძახე მე.

— თქვენ ჩემზე უნდა იფიქროთ, რომ გონება .დამიკარგავს,—გამაწყვეტინა მან და გაინთავისუფლა თავი ჩემი ხვევნისაგან იმ დროს, როგორც-კი მის ტუჩებს შევეხე.—რას იფიქრებთ თქვენ ჩემზე?—ვეხვევი ისეთს .კაცს, რომელსაც ძლივს ერთი კვირაა ვიცნობ! არ მეგონა თუ ასე ადრე მიხვდებოდით რაშიაც იყო საქმე; მაგრამ მე ისე მებრალებოდით, რომ არც მახსოვდა რას ვლაპარაკობდი. არა, ჩვენ ვერ დავუახლოვდებით ერთმანეთს, სანამ არ გაიგებთ ვინცა ვარ. როცა-კი ამას `იგებთ, მაშინ დაივიწყებთ, რომ ასე უეცრივ შემიყვარდით. ლები ,ჩემს ვინაობას შეიტყობთ,—მიხვდებით, რომ შეუძლებით შევ. არ შემყვარებოდით პირველსავე ნახვით და რომ არც და მეორეთხოვარ ქალს, რაც უნდა საუკეთესო, მაღალ გრძნობში იმ საზ.ს ის აღეჭურვილი, არ შეეძლო ჩემს ადგილზე სხვა მიეოცხლდენთან მოქცევა.

ასე მეგონა, ი მისახვედრია, რომ მე სიამოვნებით მოვისმენდი მის მიცქეროდა ,ღსარებას, მაგრამ იუდიფმა გადასწყვიტა ერთი რი იყო არა თრ იყოს ჩვენს შორის იმ დრომდე, სანამ ის ყოგორიც-კი შერეშე არ იქმნება ასე ანაზდეულად სიყვარულის საც მკვდრად ვსხის შესახებ და მე მომთხოვეს გავყოლოდი სახლნასკენელ მადლვა გამოცანას. როგორც-კი შევედით დედა მისხვიე ამ ტურფა წასჩურჩულა მას რაღაცა და თითონ მსწრაფლ დნენ, შეუსისხლით ოთახში მარტონი მე და ლიტის მეუღლე. ვიძელ მათი გაცა არ დატრიალდა ჩემს თავზე, მაგრამ კიდევ დიფსაც მსგავსი ,ების მოსმენა მომელოდა.ლიტის მეუღლისაგან ახლად შეყვარებულიფი შვილის-შვილის-შვილი იყო ჩემის დაკარრი, როგორიც ჩვ.ის—იუდიფ ბარტლეტისა. ეს უკანასკნელი დიფ ბარტლეტზე ,ს წლის განმავლობაში მგლოვობდა მე და თუ როგორ მიყვარგაჰყვა ქმარს, ისიც ანგარიშით. მას ჰყოლია

ვაჟი და ეს ვაჟი ყოფილა ლიტის მეუღლის მამა. ლიტის მეუღ-
ლეს არასოდეს არ ენახა თავისი ბებია, მაგრამ ბევრი რამ გაე-
გონა მასზე და როცა ქალი შეეძინა, დაარქვა მას იუდიფი.
ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ახალგაზდა ქალი ისეთის ინტე-
რესით ეპყრობოდა, როცა გაიზარდა, ყველაფერს, რაც-კი მისი
დედის ბებიას ეხებოდა, განსაკუთრებით სახლის დაწვის დროს
მის საქმროს საეკვო საზარელ სიკვდილის ამბავს. ამ ამბავს შეუ-
ძლებელი იყო გავლენა არ ექონია ყმაწვილი ქალის მგრძნო-
ბიერსა და რომანტიულს ბუნებაზე, იმის შეგნების გამო, რომ
მასშიაც საბრალო გმირი—ქალის სისხლი ჩქეფს, სრული ბუ-
ნებითი იყო მასში მისდამი ძლიერი თანაგრძნობა. იუდიფ
ბარტლეტის სურათი, ზოგი ქალალდები და სხვათაშორის ჩ-
მი მინაწერი წერილების მთელი კონა ოჯახის სამკვიდრ თა
შორის ინახებოდნენ.

სურათი წამოადგენდა შესანიშნავ ლამაზ ახალგაზდა
ქალს, რომელსაც თითქო ყოველ გვარი რომანიული და პოე-
ტური მდგომარეობა უხდებოდა. ჩემი წერილების მეოხებით
იუდიფმა შეადგინა აზრი ჩემ შესახებ და მოინდომა სურათ-
თან ერთად მთელი ეს სამწუხარო მივიწყებული ამბავი წმინ-
და ჰეშმარიტებად ექცია. მას არა ერთხელ უთქვამს თურმე
მშობლებისათვის ხუმრობის მსგავსი კილოთი, რომ ქმარს არ
შეირთავს მანამ, სანამ იულიან ვესტის მსგავსს კაცს არ შეხვდე-
ბა, მაგრამ ისეთნი ამ დროში არ არიანო. ეს, რასაკვირველია,
ახალგაზდა ქალის ოცნებად-ღა დარჩებოდა, რომელსაც თვის
საკუთარი სიყვარულის ისტორია არ ჰქონდა, შემთხვევით რომ
ჩემს მიწურ ოთახს არ წაწყდომოდნენ თავს ბაღში და მე არ
ალმოვჩენილიყავ ის იულიან ვესტი. როცა სიცოცხლის უნი-
შან-წყლო სახლში გადამიტანეს, მედალიონში შენახული იუ
რათზე, რომელსაც გულზე ვატარებდი, ის მიხვდა, რომ ამ ო
დიფ ბარტლეტი იყო; ამ შემთხვევამ და მრავალმა ფალებოდ
დასკვნამდე მიიყვანეს ახალგაზდა ქალი, რომ მე სწორედ ამ ოდ
ლიან ვესტი ვიყავი. ჩემი გაცოცხლება რომ ვ

ბიათ, ლიტის მეუღლის აზრით, ეს შემთხვევა საშიშ გავლენას იქონიებდა მის ქალზე მთელს სიცოცხლეში. ის ფიქრი, რომ აქ იფარებოდა წინასწარ-განგების ძალა, მომხიბვლელ ზედ-გავლენას მოახდენდა დედა-კაცების უმეტეს ნაწილზე.

როცა რამდენიმე საათის შემდეგ გონება მოვიკრიფე, იუდიფს უკვე განსაკუთრებულის მორჩილებით ვეპყრობოდი და რაღაც სულ სხვა გვარ ნუგეშს ვგრძნობდი მასთან ყოფნით; ვითომ ნაადრევია ჩემი მისგან შეყვარება? მაგრამ დედა მისის სიტყვით, ამაზე თითონ შემიძლია ვსაჯო. მე თუ ასე ვფიქრობ, უნდა მახსოვდეს რომ ახლა მე-**XX** საუკუნეა და არა მე-**XXI**-ე; ახლა სიყვარული სწრაფად იზრდება და მის გამოსათქმელად-კი ხალხში პირ-და-პირობა სუფევს.

ამის შემდეგ შევედი იუდიფთან, დაუჭირე მას ორივ ხელები და დიდხანს, დადუმებით მის წინ მდგომარე, გატაცებით შევცქეროდი მისი სახის გამომეტყველებას. ის მაგონებდა მეორე იუდიფს, რომლის ხსოვნაც დროებით ჩაექრო ჩემში იმ საზარელ შემთხვევას, მაგრამ ახლა ახალის ძალით გაიცოცხლდა და ჩემი გული მოიკლო ნეტარებამ და ნაღველმა. ასე მეგონა, იუდიფ ბარტლეტი ჩემი საყვარლის თვალებით იცქეროდა და ღიმილით უნდოდა ჩემი ნუგეშობა. ჩემი ხვედრი იყო არა თუ გასაოცარი მხოლოდ, არამედ უბედნიერესი, როგორიც-კი შეესაძლებელია ადამიანისათვის. სიყვარული, რომელსაც მკვდრად ვსახავდი, თითქო აღსდგა ჩემ სანუგეშოდ. როცა უკანასკნელ მადლობისა და ალერსის მორევში შეტოპილი მოვეხვიე ამ ტურფა ქალს, ჩემს გონებაში ორივე იუდიფი შეერთდნენ, შეუსისხლ-ხორცდენ ერთმანეთს და მას შემდეგ ველარ შევიძელ მათი გაცალკევება. მალე დავრწმუნდი, რომ თვით იუდიფსაც მსგავსი რამ უტრიალებდა თავში. ცხადია, არც ერთს ახლად შეყვარებულებს შორის არ შეიძლებოდა ისეთი საუბარი, როგორიც ჩვენ გვქონდა დღეს. მას თითქო სურდა იუდიფ ბარტლეტზე მეტი მელაპარაკნა, ვინემ თვით მასზე, ისა, თუ როგორ მიყვარდა ის იუდიფი და არა ეს, და თვალ-ცრემ-

ლიანი ალერსიანის ღიმილით ისმენდა ჩემს საუბარს სხვა ქალის სიყვარულზე.

— თქვენ ძალიან როდი უნდა გიყვარდეთ,—მეუბნებოდა ის,--თორემ ეჭვიანობას დაგიწყებთ მის მაგივრად. მე არ მოვითმენ მის დავიწყებას. მართლა, ერთი რამ უნდა გითხრათ, რაც უეჭველია გაგაოცებსთ. ასე მგონია, რომ სულები ზოგჯერ ბრუნდებიან საიქიოდამ, რომ მათი გულის საწადელი აღასრულონ. ისიც გამივლის ფიქრად, რომ ჩემში მისი სული ფეთქავს, რომ ჩემი ნამდვილი სახელი იუდიფ ბარტლეტია და არა იუდიფ ლიტი. რასაკვირველია, მე-კი არ ვამტკიცებ ამას; არც ერთმა ჩვენგანმა არ იცის, ვინ არის თითონ ის ნამდვილად,—მაგრამ რაღაც ასე ვგრძნობ, ამან არ უნდა გაგაოცოსთ: თქვენ იცით, რომ მთელი ჩემი ცხოვრება, ჯერ კიდევ სანამ გაგიცნობდით მაშინაც-კი თქვენითა და მისით იყო მოცული. ამ ნაირად თქვენ შეგიძლიათ სრულებით არ გიყვარდეთ მე და აზრადაც არ გამივლის თქვენს შესახებ ეჭვიანობა.

უფ. ლიტი არ იყო სახლში და გვიან ვინახულე. ეტყობოდა ის კიდევაც მოელოდა ამას, რაც მოხდა და ალერსიანად მომესალმა.

— სხვა გვარ პირობებში ასე ვიტყოდი, რომ ყოველივე ეს მეტად ნაჩქარევია თქო, მაგრამ აქ პირობანი ჩვეულებრივ წრეს გადაცდნენ. ყოველ შემთხვევაში,—ღიმილით დაუმატა მან,—თავს ჩემს მოვალედ ნუ ჩაითვლი იმისათვის, რომ თქვენს წინადადებას ვეთანხმები; ჩემის აზრით, ეს უბრალო ფორმალისტობაა. იმ წამიდამ, რაც მედალიონის საიდუმლო გამოაშკარავდა ეს თითქო გადაწყვეტილი საქმე იყო და იუდიფს რომ თავისი დიდედის საწინდარი ვერ გამოესყიდა, საფიქრალი იყო, რომ მე და ჩემს მეუღლეს შორის თვისება, სიმტკიცეს დაჰკარგავდა.

საუცხოო ზაფხულის ღამე იყო; მთელი ბაღი მთვარის შუქში ცურავდა; დიდხანს ვხეტიალობდით მე და იუდიფი ხეივნებში, რომ შევჩვეოდით ჩვენს ბედნიერებას.

— რაღა უნდა მექმნა, რომ ყურადღება არ მოგექციათ ჩემთვის?—ამბობდა ის:—ეს ფიქრი საშინლად მაშინებდა. რა მექმნა, როცა ვიცოდი, რომ მე თქვენი დანიშნულება ვიყავი? როგორც-კი თქვენ სიცოცხლე დაგიბრუნდათ, ჩემთვის ცხადი შეიქმნა, თითქო მას ეთქვას ეს, რომ მე უნდა ის შევქმნილიყავ თქვენთვის, რადაც თვით ვერ შეიქმნა, მაგრამ ეს შეიძლებოდა მაშინ, თუ თქვენაც მიშველიდით. ოჰ, რა გულით მინდოდა თქვენთვის ამის თქმა იმ დილით, როცა ისე უნუგეშოდ გრძნობდით თავს ჩვენს შორის, მაგრამ ვერ გადავწყვიტე და არც დედ-მამას მივეცი ნება გაემეღლავნებიათ ჩემი საიდუმლო.

— ჰოო, მაშ ეს იყო, მამა თქვენს რომ აუკრძალეთ ჩემთვის ლამხელა?—შევნიშნე მე, მომაგონდა რა ის პირველი სიტყვები, რომელიც გონს მოსვლისას გავიგონე.

— სწორედ ეს იყო,—სიცილით მომიგო იუდიფმა.—ნუ თუ აქამდის არ მიმხვდარხართ? მამას, როგორც მამა-კაცს, იმედი ჰქონდა, რომ თუ გაგიმხელდათ სადაც იყავით, მაშინვე მეგობრებში იგრძნობდით თავს. მე მას სრულებით არ ვახსოვდი. მაგრამ დედამ იცოდა, რისთვისაც არ მინდოდა გცოდნოდა თქვენ ჩემი ვინაობა და ამიტომ შემისრულა წადილი. მე ვერ შემოგხედავდით პირ-და-პირ, ჩემი ვინაობა რომ გცოდნოდათ. მაშინ ჩემი თქვენდამი ქცევა მეტად თამაში გეჩვენებოდათ,—ვშიშობ, რომ ახლაც ნამეტან თამამად მრაცხთ,—ვიცოდი, რომ თქვენს დროში ქალები ჰფარავდნენ თავიანთს გრძობას, და მეშინოდა თქვენთვის უსიამოვნება არ მომეგვარა ამით. ოჰ, რა საშინელებაა ასეთი სიმკაცრე—მალო უნდა სიყვარული, თითქო რაიმე ბიწიერება იყოს! რატომ იყო სასირცხო შეყვარება, სანამ ამის ნება-რთვა არ აეღოთ? როგორ სასაცილო არ არის—სიყვარული ნება-რთვით! ნუ თუ თქვენს დროში მამა-კაცებს საწყენად ჰქონდათ, როცა მათ ვინმე შეიყვარებდა? ჩვენს დროში, ჩემი აზრით, არც მამა-კაცნი და არც დედა-კაცნი ასე არ ფიქრობენ. არ მესმის სწორედ. ეს თქვე-

ნი დროის დედა-კაცთა ცხოვრების ერთი ს
თაგანია და უნდა ამიხსნათ ის. იმედი მაქვ
ტი არ ემსგავსებოდა სხვებს ამაში.

მდგომარეო-
ბა,
ძილის

დიდხანს ვერ მოვახერხეთ გაშორება, სანამ ბოლ
რით არ მოითხოვა მან გავშორებოდით ერთმანეთს. ის ჩემი
მოვემზადე აღმებეჭდა მის ტუჩებზე ნამდვილად უკანასკ
კოცნა, რომ მან უეცრივ ცბიერად შემნიშნა:

— ერთი მაშფოთებს, მართლა მიუტევეთ თქვენ თუ არა
იუდიფ ბარტლეტს, რომ სხვას მითხოვდა? ძველი წიგნებიდამ
სჩანს, რომ თქვენს დროში შეყვარებულთა შორის სიყვარული
არ იყო იმდენად, რამდენადაც ეჭვიანობა. აი რისათვის
გაძლევთ ამ კითხვას. ჩემთვის დიდად სასიამოვნო იქმნება იმის
გაგონება. რომ თქვენ არაფერი სასაყვედურო არ გექმნებათ ი
ჩემს წინაპართან, რომელიც თქვენ სატრფოს შეგეცილათ. შე
მიძლია თუ არა გადავცე ჩემი დიდედის სურათს, რომ თქვენ
შეუნდეთ მას ღალატი?

დამიჯერებ, მკითხველო?—ეს კეკლუცობით შემოსი-
ლი დაცინვა სწორედ ჩემს წყლულს მოხვდა და გამ-
კურნა იმ სულელურ ეჭვიანობის ტკივილისაგან, რომელსაც
გაურკვეველად ვგრძნობდი გულში მას შემდეგ, რაც იუდიფ
ბარტლეტის გათხოვება გავიგონე ლიტის მეუღლისაგან. რო-
ცა მისი შვილის-შვილის-შვილის ხვევნაში ვიყავ, მაშინაც-კი
ვერ წარმომედგინა ნათლად, რომ უიმჭორწინებოდ იუდიფს
დავკარგავდი. ამ ულოღიკო მდგომარეობის უგუნურება მხო-
ლოდ იმ სიჩქარით მომეტევება, რა სიჩქარითაც ის განიბნა
ნისლის მსგავსად იუდიფის დამცინავ კითხვისაგან. მე გამეცი-
ნა და ვაკოცე მას.

— გადაეცით მას ჩემგან სრული შენდობა —მივუგე მე.—ის
რომ თქვენს პაპას არ მითხოვებოდა, მაშინ შეიძლებოდა საქ-
მე სხვა გვარად დაბოლოვებულიყო.

— როცა ჩემს ოთახში დავბრუნდი, სამუსიკო ტელეფონი,
რომლის ტკბილ ხმაზედაც ძილს ჩვეული ვიყავ, აღარ გამიხ-

შინაური ამბები. შეუწყვეტელი გადამდები ავადმყოფობა.— ნახევარი მილიონის გაფლანგვა ნიუ-ორკში.—ნოქართაგან უკანონოდ მითვისება მარწმუნებელთა კაპიტალისა.—დარბევა ობოლთა.—მახვილ-გონიერი მტაცებლობის წესი ხაზინადართაგან; მოტაცება 50,000 დოლლარისა.—ქვანახშირის მადნების მეპატრონეთა გადაწყვეტილება ნახშირზე ფასის მომატების და წარმოების შემცირების შესახებ. —ხორბლის ძლიერი სპეკულიაცია ჩიკაგოს ბაზარზე. —ყავაზე ფასის მომატების მსურველთა დასი. ურიცხვ—მიწათა დაფლობა დასავლეთ სინდიკატებისაგან.—გამოაშკარავება საზიზღარ მექრთამეობისა ჩიკაგოს მოხელეთა შორის.— სისტემატიური დაქრთამვა.—მოსალოდნელი პროცესი ნიუორკის გამგეობის წევრთა.—ხშირი სიკოტრე სავაჭრო სახლთა.— მუშათა კრიზისის განსაცდელი.—საუცხოო წარმატება ღამით ქურდობისა და ავადმყოფობისა.—გაძარცვის აზრით წინად-განძრახული სიკვდილი დედა-კაცისა ნიუგავენში.—წასულ ღამეს ცეცხლით—მასრულ იარაღით სიკვდილი სახლის პატრონისა ბოროტ გამძრახველთაგან.—მამა-კაცის თვით მკვლელობა მანჩესტერში სამუშაოს უქონლობისა გამო.—სიკვდილის მიზეზით უპატრონოდ დარჩენილი დიდი ოჯახი რჩენის სახსარს მოკლებული.—მოხუც ცოლ-ქმარის: თვით მკვლელობა იმის გამო, რომ ეს არჩიეს ღატაკთა მოწყალების თავ-შესაფარში შესვლას.— საშინელი გასაჭირი მუშა ქალთა დიდ ქალაქებში.—საოცარი განვითარება წერა-კითხვის უვიცობისა მასსაჩუზეტში.—საგიჟე სახლთა მომატების ძლიერი საჭიროება.—სიტყვანი „გამოჩინების დღეს“—პროფესორის ბროუნის სიტყვა მეცხრამეტე საუკუნის განათლების ზნეობრივ სიმაღლის საქებრად?..

დიახ, სწორედ მეცხრამეტე საუკუნეში გავიღვიძე—ეს ყოველ ექვს გარეშეა. ეს დღიურ მოვლენათა ნაწყვეტები სრული მისი „მიკროკოზმი“ გახლდათ უკანასკნელ წერტილამდის— პროფესორის ბროუნის ბრიყვულ კმაყოფილებამდის. ეს კმაყოფილება, რომლითაც მან დაასკვნა უტყუარი გამამტყუნებელი განაჩენი, როგორც იყო ყოველ დღიური ნაწყვეტების ნიმუ-

ში ქვეყნიურ სისხლ-მწოვრობისა, სიხარბისა და მწვალებლობისა, ეს კმაყოფილება სწორედ მეფისტოფელის ღირსს ცინიზმად წარმომიდგა. მაგრამ რა, ამ ნაწყვეტების დღეს დილით წამკითხველთა შორის, შესაძლოა, მე ერთმა შევნიშნე მასში ცინიზმი და გუშინ-კი თითონ მეც სხვებზე უკეთ ვერ შევამჩნევდი მას. ჩემი ასეთი გადახალისება მოახდინა ჩემმა უცნაურმა სიზმარმა. ამის შემდეგ, არვიცი-კი რამდენის ხნით, დავივიწყე ყოველივე ჩემს გარშემო და ისევ იმ ნაცნობს ფანტასტიკურ ქვეყნის დედა-ქალაქში ამოვყავი თავი, მისს სადად და ლამაზად მორთულს შენობეებსა და ბრწყინვალე საზოგადო სასახლეთა შორის. ჩემს გარშემო ისევ ვხედავდი ყოყოჩობით, მლიქვნელობით, მეშურნეობით, მოუსვენარი ზრუნვით ან ძვალრბილში გამჯდარ პატივ-მოყვარეობით დაუმახინჯებელს პირებს; ვხედავდი ახოვან მამა-კაცთა და დედა-კაცთა, რომელთაც არასოდეს არ უგრძვნიათ თავიანთი თანამოძმის წინ კრთომა ან დამოკიდებულება მათის კეთილ-მიდრეკილებათა გამო, არამედ, ქადაგების სიტყვისამებრ, რომელიც ჯერაც ისევ გამწივის ყურებში,—«მუდამ ურცხვენლად წარსდგებოდნენ ღვთის წინაშე“ ღრმა ოხვრითა და სინანულით ამ საგრძნობელ მოუბრუნებელს დანაკარგზე, მიუხედავად მისა, რომ ეს იყო არასოდეს არ არსებულის სიკეთის დაკარგვა, ძლივს მოვიფხიზლე ნაცხადევად ბოდვისაგან და საჩქაროთ გამოვედი სახლიდამ. ჩემი ბინიდამ ვაშინგტონის ქუჩამდის ათჯერ მაინც შევჩერდი, რომ გონება მომეკრიფა. სიზმარში ნახული მომავალი ბოსტონის შთაბეჭდილება ისეთი ძლიერი იყო ჩემში, რომ ახლანდელი ბოსტონი რაღაც უცნაურად მეჩვენებოდა. ქუჩაში რომ გავედი, ქალაქის ტალახმა და სიმყრალემ საშინლად გამაკვირვეს—წინად-კი ესენი არასოდეს არ შემიმჩნევია. ესეც არ იყოს, გუშინ სრულ წესიერად მიმაჩნდა, რომ ზოგი ჩემი თანა მოქალაქენი აბრეშუმში ბრჭყვიალებდნენ და ზოგი ძონძებში გამოხვეულიყო, ზოგი კურატივით ჩასუქებულიყო და ზოგს-კი შიმშილით კუჭი ეწოდა. ახლა-კი პირ-იქით ყოველ ნაბიჯზე

ცხადი შეუდარებლობა ხეივანში მოსეირნე მამა-კაცთა და დედა-კაცთა ტანსაცმელსა და სახეში ძლიერ მაკვირვებდა; განსაკუთრებით მაბრაზებდა ის სრული სიგულგრილე, რომელსაც სია-მოჭნენებით დამტკბარნი იჩენდნენ უსახლ-კაროთა მდგომარეობის მიმართ. განა ესენი კაცები იყვნენ, თუ-კი ოდნავაც არ ეცვ-ლებოდათ სახე მათ მოძმეთა უბედურების დანახვაზე? მაგრამ მთელ ამ ხნის განმავლობაში კარგად მესმოდა, რომ მე გამო-ვიცვალე და არა ჩემნი თანამედროვენი. მე მესიზმრა ქალაქი, სადაც ყველა ერთი ცხოვრებით ცხოვრებდა. როგორც ერთის ოჯახის ერთმანეთის მცველი შვილები.

ნამდვილი ბოსტონის მეორე ხასიათი, რომელმაც საშინ-ლად გამაოცა თავის უცნაურობით და ახალის სინათლით მო-მიფინა ნაცნობი საგნები, ეს განცხადებათა სიმრავლე იყო. მეო-ცე საუკუნის ბოსტონში კერძო განცხადებებს ადგილი არ ჰქონ-და, რადგან არ საჭიროებდნენ. აქ-კი შენობათა კედლები, ფანჯრები, გაზეთების ფურცლები თითეულ გამვლელის ხელში, თვით ქვაფენილებიც—ყველაფერი, რასაც თვალი წვდება, გარ-და ცისა, განცხადებით იყო დაფარული; რომ ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ დაეძროთ თავიანთ სასარგებლოდ მოყვას-თა ჯიბიდამ მათი საწილადო ხარკი. გამოთქმა ამ მოწოდება-თა სხვა-და-სხვაობდა, მაგრამ შინაარსით სულ ერთმანეთს წააგავდ-ნენ.

„შემეწიეთ მე, დჟონი დჟონსს. სხვებს ნუ მიმართავთ, ეგენი გაიძვერებია. ჩემგან, დჟონი დჟონსისაგან სიყალბე არ შეიძლება. ჩემგან იყიდეთ. მე მომეცით საქმე. ჩემთან მობრძან-დით. გამიგონეთ მე, დჟონი და დჟონსს. მე მომპაყარით ყუ-რადღება. ნუ გაბრიყვდებით! ნამდვილ ფასად გამყიდველი მე ვარ დჟონი დჟონსი და არა სხვა ვინმე. თუნდა ყველა შიმშლით გაწყდეს, თქვენს ღმერთს გაფიცებთ, ნუ დაივიწყებთ დჟონი დჟონსს“.»

არ ვიცი რამ უფრო დამცა თავ-ზარი—მტირალმა სახემ, თუ ამ სანახაობის ზნეობრივმა სიმახინჯემ, მაგრამ თავი-კი

რაღაც უცხოდ ვიგრძენ ამ ჩემს სამშობლო ქალაქში. „საბრალონო — ამოჰგვა ჩემი გულიდამ — თქვენ არ გინდათ ერთმანეთს დაეხმაროთ და ამის გამო ყველა, დიდიდამ პატარამდის, ღატაკად უნდა დარჩეთ ერთი-მეორის თვალწინ. ეს ურცხვი თავდაკმაყოფილების და ერთმანეთის დამცრობის საზარელი ბაბილონის გოდლის შენება, ეს დამარეტიანებელი ძახილი მოქიშპე განცხადებათა, ეს სხვათა წყევა-კრულვით თავის ქება, ეს მბეზარ სიღატაკის ამაზრზენებელი წესი — ყოველივე ეს წარმოსდგებოდა საზოგადოებაში სოციალური წყობილების უქონლობისაგან, რის მეოხებითაც ნიჭის შესაფერად ქვეყნის სამსახური უნდა ბრძოლით გაგეტანა, ნაცვლად მისა, რომ თითეულისათვის საადვილო ყოფილიყო“.

მივაღწიე ვაშინგტონის ქუჩის საუკეთესო ალაგს და გავჩერდი, გამვლელ-გამომვლელთ ვარცხვენდი და ხმა-მაღლა ვხარხარებდი. თუნდა რომ სიცოცხლედ დამჯდომოდა ეს ხარხარი, ამისაგან თავის შემოკავება არ შემეძლო. კიდევ უფრო ამიტანა ამ ჭირვეულმა სიცილმა, როცა მთელს იმ არე-მარეზე, სადაც-კი თვალი მიწვდებოდა, ქუჩის ორთავე მხარეს, მარჯვნივ, ტ მარცხნივ მაღაზიების დაუსრულებელი წყება და ასობით გადაჭიმული დუქნები დავინახე; მაგრამ ყველაზე უფრო სასაცილო ის იყო, რომ ორს ნაბიჯზე ერთი-მეორისაგან მდგომნი ჰყიდნენ ერთსა და იმავე საქონელს. მაღაზიები, და მაღაზიები! მთელ ვერსტზე გადაჭიმული მაღაზიები! ათი ათასი დუქანია მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამ ერთს ქალაქში, როცა რომ ჩემს სიზმარში ერთად-ერთი საწყობი საკმაო იყო ამისათვის, სადაც მყიდველს არც დრო ეკარგებოდა, არც შრომა და მთელი ქვეყნის საუკეთესო არჩეულს საქონელს-კი ჰპოულობდა. ამასთან საღებ-მიცემო შრომა იმდენად მცირე იყო, რომ საქონლის ფასს მყიდველისათვის სულ უბრალო რამ ემატებოდა. ნამდვილად-კი მხოლოდ წარმოების ღირებულობას ისწორებდა. აქ რაღაა? მარტო ერთი გაყიდვა საქონლის, ერთი უბრალო ხელიდამ-ხელში გადასვლა მეოთხედს, მესამედს, ნახევარს...

ტორღიდამ გამოპარულ კაცისას, რომელიც საზარელ სიზმრის უკან, როცა ხედავს, რომ ვითომ ისევ დაუპერიათ და ჩაუმწყვდევიათ ბნელსა და მყრალს მიწურში, თვალს ახელს და ხედავს ცის კამარას. ეგეგე გამოვვლე მეც, როცა მივხვდი, რომ მეცხრამეტე საუკუნეში ჩემი სიზმარი იყო და მეოცე საუკუნეში ყოფნა-კი სინამდვილე. საზარელი სურათები, რომლის მოწმეც ვიყავ ამ ჩემს სიზმარში და რომლის დასაბუთებაც შემეძლო ჩემის წინანდელ გამოცდილებიდამ, თუმცა, ვაი, რომ ოდესღაც მართლა არსებობდნენ ისინი და, წარსულის მოგონების დროს, ქვეყნის დასასრულამდე ბევრს გულ-კეთილს კაცს დაარფქვევნებს ცრემლებს—ის სურათნი, ღვთის მადლით, სამუდამოდ დაიღუპნენ. მჩაგვრელი და ჩაგრული, მადიდებელი და მკიცხავი ამა ქვეყნისა დიდი ხანია უკვე მტვრად იქცნენ და სიტყვები: „მდიდარი“ და „ღარიბი“ ბევრს თაობას უკვე დავიწყებული აქვს.

იმ წამში, როცა გამოუთქმელის მადლობით ვფიქრობდი კიდევ იმ დიდ-მნიშვნელოვანს ქვეყნიერების ხსნაზე და მასზე, რომ წილად მხვდა ამ ხნის მოწამე ვყოფილიყავ, თითქო ნეშტარი გაეტაროს ვისმეს ჩემ გულში, ისე მიჩხვლიტა უეცრივ სირცხვილის, სინანულის და საშინელ სინდისის ქენჯნის ტანჯვამ; თავ-ჩაქანდრული მზად ვიყავ მიწა გამხეთქოდა და თან ჩავეტანე ყველა ჩემ თანამედროვეებიანად, რომ აღარ მეხილა მეტად მზის სინათლე. მე ხომ იმ წარსულ საუკუნის კაცი ვიყავი; რა ვიღვაწე იმ თავისუფლებისათვის, რომლითაც სიამოვნებას ვბედავ ახლა? მე, იმ სასტიკისა და უგუნურის დროის მცხოვრებმა. რა გავაკეთე, რომ მისთვის ბოლო შომეღო? მე იმდენად გულ-გრილად შევეცქეროდი ჩემი მოძმეების უბედურებას, რამდენადაც სასაცილო ვიყავ ჩემის ურწმუნოებისაგამო უკეთესს მომავალზე; მეც ისეთივე, უთავ-ბოლობისა და მავნე-სიბნელის თაყვან-მცემელი ვიყავ, როგორც თითეული ჩემი თანამედროვე. სანამდინაც აღწევდა ჩემი პირადი გავლენა, ეს ხელის შეშლაში უფრო იხატებოდა, ვინემ მასში, რომ

შემწეობა აღმომჩინა კაცობრიობისათვის, რომელიც უკვე ემზადებოდა თავისუფლების მოპოვებას. რა ნება მქონდა აღტაცებით მივსალმებოდი ჩემთვის სასაყვედურო დახსნას და შევტრფიალებოდი იმ დღეს, რომლის განთიადსაც ურცხვად დავცინოდი?

„განა უკეთესი არ იქმნებოდა შენთვის,—ჩამძახოდა ჩემი სინდისის ხმა,—რომ ეს ცუდი სიზმარი სიმართლე ყოფილიყო და ეს მშვენიერი სინამდვილე-კი სიზმარი? შენ უფრო შეგფეროდა ჯვარცმულ კაცობრიობის მფარველი ყოფილიყავ მოლიზღარ თაობის დროს, ვინემ წყურვილს იკლავდე აქ, ამ წყაროზე, რომელიც შენ არ გითხრია და სჯამდე იმ ხის ნაყოფს, რომლის დამრგველებსაც შენ ქვით ჰქოლავდი?“ და ჩემმა სულმა უპასუხა: „მართალია, ეს სწორედ უკეთესი იქმნებოდაო!“

როცა დაბოლოს ძლივს ავიღე ჩაქანდრული თავი და გავიხედე ფანჯარაში, დავინახე დილივით ქორფა იუდიფი ბაღში ყვავილებს ჰკრებდა. საჩქაროდ ჩავედი მასთან, დავეცი მის წინ მუხლებზე, ჩავეხვე პირ-ჩაღმა და ცრემლით აღვიპყრე, თუ რამდენად უღირსი ვიყავ ამ ოქროს საუკუნის ჰაერით სუნთქვისა და კიდევ უფრო უღირსი, რომ მის უმშვენიერესს ყვავილს ვეპატრონებოდე. მაგრამ ბედნიერია ის, ვისაც ჩემებრ უმედო მდგომარეობაში ასეთი მოწყალე მსაჯული გამოუჩნდება.

დ. კალ—ლი.